

საბოლოო შეთავაზების პრობების დოკუმენტი

საბოლოო შეთავაზების პრობების დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:

ბატონი მურთაზ კიკორია - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონი ბექა გოგიჩაიშვილი - გენერალური დირექტორი

ბატონი ვახტანგ ბაბუნაშვილი - ფინანსური დირექტორი

პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები:



სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე


მურთაზ კიკორია

გენერალური დირექტორი

ბექა გოგიჩაიშვილი

ფინანსური დირექტორი

ვახტანგ ბაბუნაშვილი



საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

1 შესავალი

1.1 ზოგადი ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების თაობაზე.

| | |
|--|---|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება: | სს „ლიბერთი ბანკის“ სუბორდინირებული, უვადო, დამატებითი პირველადი კაპიტალის ობლიგაციები. |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია: | სს „ლიბერთი ბანკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304) მისამართი: თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. #74 ელ. ფოსტა: info@lb.ge ტელ.: +995 32 2 55 55 00 ვებგვერდი: www.libertybank.ge/ |
| განთავსების აგენტის/შეთავაზების განმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405482721) მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3 ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com ტელ.: (+995) 555 088 88 88 ვებგვერდი: www.alphacapitaladvisory.com |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ: (995 32) 240 6120 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელფოსტა: info@nbg.ge ვებგვერდი: www.nbg.ge |
| დამტკიცების თარიღი: | 17 დეკემბერი, 2024 წელი. |
| ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: | GE 2700004981-1-04 |
| ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი ISIN: | GE 2700004981 |

1.2 მითითება იმის შესახებ, რომ შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის წინასწარ თუ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

2 ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ინფორმაცია

2.1 ფასიანი ქალაქის ძირითადი მახასიათებლები

| | | |
|---|--------------|--|
| ობლიგაციის სარგებელი (კუპონი) | საპროცენტო | ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან და შეადგენს პირველი 5 წლის განმავლობაში წლიურად 13.50%-ს. საპროცენტო განაკვეთის გადატვირთვა: განთავსებიდან 60 თვეში, ყოველი „გადატვირთვის განსაზღვრულ თარიღზე“ „საანგარიშო ინდექს“ დამატებული ფიქსირებული განაკვეთი. |
| საპროცენტო გადატვირთვის მარჟა | განაკვეთის | საპროცენტო განაკვეთის გადატვირთვის მარჟა შეადგენს 9.6070%-ს. |
| ობლიგაციების პირობები | ამორტიზაციის | ობლიგაციები წარმოადგენენ უვადო ფასიან ქალაქს. |
| სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა | | ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 30/360 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება ნახევარ-წლიურად 6 თვეში ერთხელ 18 დეკემბერს და 18 ივნისი. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2025 წლის 18 ივნისს. |
| ობლიგაციების ვალუტა | | ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში. |
| ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები | | ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები გაწერილია ამ პროსპექტის 24.6 „იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქალაქებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა“ ნაწილში. |
| ფასიანი ქალაქების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა | | ემიტენტს გამოზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. ფასიანი ქალაქების მიმოქცევა შეზღუდული არ არის საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ტერიტორიის გარეთ მიმოქცევა შესაძლოა ექვემდებარებოდეს შესაბამისი იურისდიქციის წესებს და ობლიგაციების თითოეული შემქმენი თავად არის ვალდებული დაიცვას ის პოტენციური წესები, რაც შესაძლოა მას ეხებოდეს. |
| გამოსყიდვის ოფცია | | ემიტენტს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია წინამდებარე პროსპექტის 24.6.1.7.4 ქვეპუნქტის შესაბამისად. |
| ობლიგაციების რეიტინგი | | ობლიგაციებს რეიტინგი მინიჭებული არ აქვთ. |
| ობლიგაციების დაფარვის თარიღი | | ობლიგაციები წარმოადგენენ უვადო ფასიან ქალაქს და არ გააჩნიათ ძირის დაფარვის წინასწარ განსაზღვრული თარიღი. |

| | |
|--|---|
| <p>ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა</p> | <p>„ობლიგაციები“ გამოშვებული იქნება დემატერიალიზირებული ფორმით, სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ სისტემაში.</p> <p>მის: ვაჟა-ფშაველას 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, თბილისი 0186 ტელ: (+995 32) 2 500 211 ელ-ფოსტა: info@gcsd.ge</p> |
| <p>სავაჭროდ დაშვება</p> | <p>ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. მენეჯმენტის შეფასებით, სასესხო ფასიანი ქაღალდების და შესაბამისად, „ობლიგაციების“ ბირჟის ლისტინგში დაშვებისთვის კომპანია აკმაყოფილებს ყველა პირობას (საკუთარი კაპიტალის მოცულობა, ზარალის გარეშე მუშაობა, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და ა.შ). საფონდო ბირჟის წესებთან შესაბამისობის ნაწილს შეაფასებს საფონდო ბირჟა. ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:</p> <p>https://gse.ge/upload/28.05.2020_6f4d6e87.pdf</p> |
| <p>ობლიგაციების კლასი და სტატუსი</p> | <p>„ობლიგაციები“ (როგორც ქვემოთ არის განმარტებული) წარმოადგენენ „კომპანიის“ პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ, სუბორდინირებულ, უვადო, დამატებითი პირველადი კაპიტალის ვალდებულებებს pari passu (თანაბარი მოპყრობის პრინციპის) რიგითობით, ჩამოთვლილთა შორის ყოველგვარი უპირატესობის მინიჭების გარეშე. „ობლიგაციების მფლობელთა“ უფლებები და მოთხოვნები სუბორდინირებულია წინამდებარე პროსპექტის 24.5 მუხლის – „გადახდის უზუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში“ შესაბამისად.</p> |
| <p>დივიდენდების გაცემის პოლიტიკა</p> | <p>ემიტენტს არ აქვს დამტკიცებული დივიდენდების პოლიტიკა. აკუმულირებული წმინდა მოგების განაწილება ხდება წლიურ ჭრილში, წესდებით გათვალისწინებული წესით. კერძოდ, დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე.</p> |
| <p>შეთავაზების შესახებ ინფორმაცია</p> | |
| <p>შეთავაზება</p> | <p>5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარი ჯამური ნომინალური ღირებულების უვადო, პირველადი კაპიტალის სუბორდინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები),</p> |

| | |
|--|---|
| ობლიგაციების მინიმალური მოცულობა განთავსების | 1 ობლიგაცია. |
| ინსტრუმენტი | კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი). |
| ობლიგაციის ღირებულება ნომინალური | 1,000 (ათასი) აშშ დოლარი. |
| ობლიგაციების რაოდენობა | 5,000 (ხუთი ათასი) ცალი. |
| მთლიანი ემისიის ღირებულება ნომინალური | 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარი. |
| მინიმალური ინვესტიციის მოცულობა | „ობლიგაციების“ შესყიდვის გარიგების მინიმალური თანხა ერთ ინვესტორზე უნდა აღემატებოდეს 100,000 (ასი ათასი) ლარის ექვივალენტს აშშ დოლარში. |
| გამოშვების ფასი | ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%. |
| ემისიის დამტკიცების შესახებ აქციონერთა კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება | „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება. |
| ობლიგაციების გამოშვების თარიღი („დახურვის თარიღი“) | ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2024 წლის 18 დეკემბერს. |
| გადავადებული თარიღი განთავსების | ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით. |
| გადავადებული განთავსების ფასი | ობლიგაციების ნომინალური ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი. |
| შეთავაზების დასრულების თარიღი | შეთავაზების პერიოდი განსაზღვრულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდით, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა. შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა. |
| ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში | „კომპანიის“ გადახდისუნარიობის შემთხვევაში, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები სუბორდინირებული იქნება დეპოზიტარების, |

| | |
|--|---|
| <p>გადახდისუნარიობის/გაკოტრების შემთხვევაში</p> | <p>არაუზრუნველყოფილი კრედიტორების და მეორადი კაპიტალის ვალდებულებების მიმართ.</p> <p>„ობლიგაციები“ რიგითობით თანაბარია ერთმანეთს შორის და უთანაბრდება „კომპანიის“ ყველა სხვა დამატებით პირველად კაპიტალად კლასიფიცირებულ ვალდებულებებს.</p> <p>„ობლიგაციები“ სუბორდინირებული არ იქნება „კომპანიის“ პირველად კაპიტალად კლასიფიცირებული ვალდებულებების მიმართ და ჩაითვლება მხოლოდ პირველად კაპიტალად კლასიფიცირებულ ვალდებულებებთან უპირატესი რიგითობის მქონე ვალდებულებად.</p> |
| <p>გადახდისა და კალკულაციის აგენტი</p> | <p>შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405482721)</p> <p>მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3</p> <p>ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com</p> <p>ტელ.: (+995) 555 088 88 88</p> <p>ვებგვერდი: www.alphacapitaladvisory.com</p> |
| <p>დეფოლტი</p> | <p>„ობლიგაციების“ პირობები არ ითვალისწინებენ „დეფოლტის შემთხვევას“, გარდა ემიტენტის გაკოტრების და ლიკვიდაციის შემთხვევისა;</p> |
| <p>ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული სახსრების სავარაუდო გამოყენება</p> | <p>ინსტრუმენტის გამოშვების მიზნობრიობას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება (კაპიტალის ზრდა ან შენარჩუნება).</p> |
| <p>რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები</p> | <p>ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ გათვალისწინებული წესით. ობლიგაციების გასხვისება შეიძლება მხოლოდ გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე.</p> |
| <p>მარეგულირებელი კანონმდებლობა</p> | <p>საქართველოს კანონმდებლობა.</p> |
| <p>იურისდიქცია</p> | <p>ობლიგაციებთან დაკავშირებული დავები უნდა მოგვარდეს საქართველოს ებისათვის მიმართვის ან არბიტრაჟის გზით, პროსპექტით განსაზღვრული წესით.</p> |
| <p>განთავსების აგენტი</p> | <p>შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“</p> <p>მის: ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3, თბილისი, საქართველო</p> <p>ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com</p> <p>ვებ გვერდი: www.alphacapitaladvisory.com</p> |
| <p>განთავსების ხელშეკრულების პირობები</p> | <p>ხელშეკრულება შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორს“ ავალდებულებს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა მოამზადოს ობლიგაციების</p> |

| | |
|-----------------------|--|
| | განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები. |
| განთავსების საკომისიო | განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1.0%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი. |
| იურიდიული მრჩეველი | ემისიის იურიდიული მრჩეველი არის შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“. საიდენტიფიკაციო კოდი: 211389291 მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 129ა, სართული 4 ტელ.: (+995 32) 292 24 91 მის კომპეტენციაშია კომპანიის სამართლებრივი შემოწმების დასრულება და შემოწმების შედეგების ემისიის პროსპექტის შესაბამის ნაწილებში ასახვა. კერძოდ, არსებითად BLC-ის მიერ მოხდა ემისიის პროსპექტის შემდეგი ნაწილების დაწერა: მიმდინარე სასამართლო დავები, არსებითი ხელშეკრულებები, კომპანიის კორპორატიული მართვის სტრუქტურის აღწერა, ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმი და ასევე, ობლიგაციების პირობები. ვინაიდან გამჟღავნებული ინფორმაცია ეყრდნობა „კომპანიიდან“ მიღებულ მონაცემებს, მათ სისწორეზე პასუხისმგებლობას კისრულობს „კომპანია“. |

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დამტკიცებულია ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი:



17 დეკემბერი, 2024 წელი.

თავფურცელი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი

ლიბერთი

სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304)

25,000,000 (ოცდახუთ მილიონ) აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების დამატებით პირველად კაპიტალად კლასიფიცირებული უვადო სუბორდინირებული გამოთხოვადი ობლიგაციები. ობლიგაციები გამოშვებულ იქნება ოთხი ინდივიდუალური ემისიით, რომელთა მოცულობა იქნება შესაბამისად (i) 5,000,000 (ხუთ მილიონ) აშშ დოლარამდე; (ii) 5,000,000 (ხუთ მილიონ) აშშ დოლარამდე; (iii) 5,000,000 (ხუთ მილიონ) აშშ დოლარამდე; და (iv) 10,000,000 (ათ მილიონ) აშშ დოლარამდე.

თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 1,000 (ათასი) აშშ დოლარი; პროცენტის გადახდის სიხშირე: 6 თვეში ერთხელ; ვადიანობა: უვადო; საპროცენტო განაკვეთის გადატვირთვა: განთავსებიდან 60 თვეში „საანგარიშო ინდექსს“ დამატებული ფიქსირებული განაკვეთი, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით.

გამოშვების ზუსტი თარიღი, საპროცენტო განაკვეთი, განთავსების ფასი და სხვა დამატებითი დეტალები განისაზღვრება თითოეული ემისიის შესაბამისი „ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტითა“ და წინამდებარე პროსპექტით. ობლიგაციების საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დადგინდება სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Bookbuilding-ის) პროცესში.

„ობლიგაციები“ გამოშვებულ იქნება დემატერიალიზებული ფორმით სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში „კომპანია“, „ემიტენტი“, „ლიბერთი ბანკი“ ან „ბანკი“) მიერ. „ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, სუბორდინირებულ და არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტი: შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“



იურიდიული მრჩეველი: შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“



ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:


ბატონი მურთაზ კიკორია - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონი ბექა გოგიჩაიშვილი - გენერალური დირექტორი

ბატონი ვახტანგ ბაბუნაშვილი - ფინანსური დირექტორი

ჩვენ, სს „ლიბერთი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მურთაზ კიკორია, გენერალური დირექტორი ბექა გოგიჩაიშვილი და ფინანსური დირექტორი ვახტანგ ბაბუნაშვილი, ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები:




სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მურთაზ კიკორია



გენერალური დირექტორი

ბექა გოგიჩაიშვილი



ფინანსური დირექტორი

ვახტანგ ბაბუნაშვილი

პროსპექტის დამტკიცებაში მონაწილე სხვა პირები:

განთავსების აგენტი:

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“

მის: ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3, თბილისი 0159, საქართველო

ტელ: (+995) 555 088 88 88

ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com

ვებგვერდი: www.alphacapitaladvisory.com

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი

0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1

ტელ: (995 32) 240 6120

ფაქსი: (995 32) 240 6577

ელფოსტა: info@nbg.ge

ვებგვერდი: www.nbg.ge

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მისი მიმღების მიერ, ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დაუშვებელია წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მთლიანად ან ნაწილობრივ გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ განსაზღვრული მიზნებისა.

„კომპანია“ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ არსებულ ინფორმაციაზე. „კომპანია“ აცხადებს, რომ მან მიიღო ყველა გონივრული ზომა „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაციის სისწორის და სისრულის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მასში არ არის გამოტოვებული რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს პროსპექტის შინაარსზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გავრცელება და „ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია აკრძალული იყოს ზოგიერთ სახელმწიფოში. ის პირები, ვის მფლობელობაშიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ აღმოჩნდება, ვალდებული არიან შეატყობინონ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“ (როგორც ეს განმარტებულია „ემისიის პროსპექტში“) ამგვარი შეზღუდვების არსებობის და მათი დაცვის შესახებ.

დაუშვებელია „ობლიგაციების“ „განთავსება“, „საჯარო შეთავაზება“ ან „რეკლამირება“ (როგორც თითოეული ტერმინი განმარტებულია „მარეგულირებელი კანონმდებლობით“) საქართველოს გარდა სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და მასში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს „ობლიგაციების“ რეკლამას, შეთავაზებას, მოწვევას ოფერტზე, გაყიდვას, გაცვლას და/ან სხვაგვარ გადაცემას საქართველოს ფარგლებს გარეთ. წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს „ობლიგაციების“ შეთავაზებას მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ არის დამტკიცებული არც ერთი მარეგულირებელი ორგანოს მიერ, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა („სებ“), რომელიც ამჟამად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოფიციალურ ზედამხედველ ორგანოს.

შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების მიხედვით, შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე. „ობლიგაციების“ შეთავაზება მეორად ბაზარზე ნებადართულია მხოლოდ გათვითცნობიერებული ინვესტორებისთვის.

„ობლიგაციების“ შეთავაზება არ უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფოში. უცხოელმა რეზიდენტებმა, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ადრესატები, უნდა უზრუნველყონ, რომ

ჰქონდეთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში იმგვარად, რომ არ გახდნენ რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობის სუბიექტები. ამასთან, რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი დაქვემდებარების შემთხვევაში, ადრესატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ „კომპანია“ და „განთავსების აგენტს“.

ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურს შეიძინოს ან შეისყიდოს „ობლიგაციები“, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელი სამთავრობო ან სხვაგვარი თანხმობა და დაიცვას ყველა შესაბამისი ფორმალობა.

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ პირდაპირ მოცემულ ან მითითების გზით მასში ჩართულ ინფორმაციას. „ობლიგაციების“ გამოშვებასა ან გაყიდვასთან დაკავშირებით, არც ერთ პირს არ აქვს უფლება გასცეს ისეთი ინფორმაცია ან გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც არ არის მოცემული ან ჩართული წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. „კომპანია“ არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ინფორმაციაზე, რომელიც მოცემული ან ჩართული არ არის წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიწოდება ან მის საფუძველზე „ობლიგაციების“ გაყიდვა არ გულისხმობს, რომ „ემისიის პროსპექტის“ გაცემის თარიღიდან „კომპანიის“ საქმეებში არ შესულა ცვლილებები. პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რაიმე მატერიალური ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტი შესაბამისად განახლდება.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეთავაზების მიზნებისათვის ნებისმიერ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი შეთავაზება არ არის კანონიერი ან ნებადართული, ან ნებისმიერი ისეთი პირის მიმართ, რომლის მიმართაც ამგვარი შეთავაზების გაკეთება არ არის კანონიერი ან ნებადართული; არ ხორციელდება რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც დაუშვებდა „ობლიგაციების“ შეთავაზებას ან „ემისიის პროსპექტის“ გავრცელებას იმ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი ქმედება აუცილებელია.

შეთავაზება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. იხილეთ „რისკ-ფაქტორები“. ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. თითოეულმა ინვესტორმა თავად უნდა განახორციელოს პოტენციური რისკების შეფასება. „ემისიის პროსპექტი“ არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და საინვესტიციო (მათ შორის, თითოეული ინვესტორის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული) შეფასების აღწერას. წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ იდენტიფიცირებული რისკები და საინვესტიციო შეფასებები მოცემულია ზოგადი ინფორმაციის სახით. ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ საკუთარ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩეველებთან „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საინვესტიციო შეფასებებთან მიმართებით; ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად. არც „კომპანია“ და არც „განთავსების აგენტი“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას „ობლიგაციების“ რომელიმე მყიდველის ან ოფერტის მიმღების წინაშე, „ობლიგაციების“ მყიდველის ან ოფერტის მიმღების მიერ შესაბამისი საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების კანონიერებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოცემა და გავრცელება, ასევე „ობლიგაციების“ ნებისმიერი შეთავაზება ან გაყიდვა, არ წარმოადგენს „კომპანიის“ ან მისი ნებისმიერი მმართველის, თანამდებობის პირის ან დასაქმებულის მიერ, „კომპანიის“ წესდებით („წესდება“), ან „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ მინიჭებულ რაიმე ისეთ უფლებაზე, იმუნიტეტზე, პრივილეგიაზე ან შეღავათზე უარის თქმას, რომელიც მათ უნარჩუნდებათ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ საფუძველზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ მომზადებულია ქართულ ენაზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ აშშ დოლარზე და “USD”-ზე მითითება გულისხმობს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ვალუტაზე მითითებას.

„განთავსების აგენტი“ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ან ჩართული ინფორმაციის სისწორეზე და პოტენციურმა ინვესტორებმა სიფრთხილით უნდა გამოიყენონ აღნიშნული ინფორმაცია.

სარჩევი

| | | |
|----|--|-----|
| 1 | ზოგადი მიმოხილვა..... | 7 |
| 2 | მოკლე ინფორმაცია ემიტენტის საქმიანობისთვის სპეციფიკური რისკების შესახებ..... | 19 |
| 3 | რისკის ფაქტორები..... | 23 |
| 4 | შეთავაზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია..... | 67 |
| 5 | პასუხისმგებელი პირები..... | 68 |
| 6 | ინფორმაცია ემიტენტის შესახებ..... | 70 |
| 7 | საქმიანობის აღწერა..... | 73 |
| 8 | ორგანიზაციული სტრუქტურა..... | 102 |
| 9 | საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა..... | 106 |
| 10 | კაპიტალიზაცია და დავალიანება..... | 124 |
| 11 | მარეგულირებელი გარემო..... | 140 |
| 12 | ინფორმაცია ტენდენციების შესახებ..... | 150 |
| 13 | მოგების პროგნოზი და ვარაუდები..... | 151 |
| 14 | მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები..... | 152 |
| 15 | მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა..... | 166 |
| 16 | თანამშრომლები..... | 169 |
| 17 | მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები)..... | 170 |
| 18 | ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან..... | 171 |
| 19 | ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია..... | 174 |
| 20 | დამატებითი ინფორმაცია..... | 180 |
| 21 | მატერიალური ხელშეკრულებები..... | 183 |
| 22 | გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი..... | 185 |
| 23 | მნიშვნელოვანი ინფორმაცია..... | 186 |
| 24 | ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს..... | 188 |
| 25 | საჯარო შეთავაზების პირობები..... | 220 |

1 ზოგადი მიმოხილვა

1.1 შესავალი

1.1.1 ფასიანი ქაღალდის დეტალები

| | |
|---|---|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება: | სს „ლიბერთი ბანკის“ დამატებით პირველად კაპიტალად კლასიფიცირებული უვადო სუბორდინირებული ობლიგაციები. |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია: | სს „ლიბერთი ბანკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304) მისამართი: თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. #74 ელ. ფოსტა: +995 32 2 55 55 00 ტელ.: info@lb.ge ვებგვერდი: www.libertybank.ge/ |
| განთავსების აგენტის/შეთავაზების განმხორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405482721) მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3 ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com ტელ.: (+995) 555 088 88 88 ვებგვერდი: www.alphacapitaladvisory.com |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ: (995 32) 240 6120 ფაქსი: (995 32) 240 6577 ელფოსტა: info@nbg.ge ვებგვერდი: www.nbg.ge |

დამტკიცების თარიღი:

29 ნოემბერი, 2024 წელი

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

1.2 მითითება პროსპექტის შესახებ:

წინამდებარე ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე;

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტი, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასთან ქალაქებში;

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასთან ქაღალდებთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი. ობლიგაციების ემისიის პროსპექტი არ არის მარტივი დოკუმენტი და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს კომპანიასთან, ობლიგაციებთან, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს ობლიგაციებში კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

1.3 ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

1.3.1 ემიტენტის შესახებ მოკლე ინფორმაცია

1.3.1.1 ემიტენტის იურიდიული და არსებობის შემთხვევაში კომერციული დასახელება

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის სს „ლიბერთი ბანკი“ (შემდგომში „კომპანია“ ან „ემიტენტი“ ან „ლიბერთი ბანკი“).

1.3.1.2 ემიტენტის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

| | |
|-----------------------|--|
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N74 |
| ფაქტობრივი მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N74 |
| სამართლებრივი ფორმა: | სააქციო საზოგადოება |

| | |
|-------------------------------|--------------------------|
| რეგისტრაციის ქვეყანა: | საქართველო |
| მარეგულირებელი კანონმდებლობა: | საქართველო კანონმდებლობა |

1.3.1.3 ემიტენტის ძირითადი საქმიანობების, ამ საქმიანობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების, გაწეული მომსახურების ან/და წარმოებული საქონლის კატეგორიების, ასევე იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, რომელზეც წარმოდგენილია ემიტენტი

სს „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს სააქციო კომერციული ბანკი - „აგრომრეწვბანკის“, ხოლო შემდგომში სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახალხო ბანკის“ სამართალმემკვიდრეს. 1995 წლამდე „კომპანია“ ფუნქციონირებდა როგორც სახელმწიფო კომერციული ბანკი, ხოლო 1994-1995 წლებში განხორციელდა მისი პრივატიზაცია. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1993 წლის 10 თებერვალს გაცემული #3500/10 ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე. „კომპანია“ იღებს ანაბრებს მომხმარებლებისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის საცალო და კორპორაციულ კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას.

1.3.1.4 ემიტენტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების დასახელება, ვინ ფლობს, ან აკონტროლებს ემიტენტს პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობით

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით „კომპანიას“ შემდეგი აქციონერები ჰყავდა:

| აქციონერი | აქციათა წილი | ხმის უფლება |
|---|--------------|-------------|
| სს „გალტ & თაგარტი“ (ს/კ 211359206) (ანგარიშის მწარმოებელი) | 95.81% | 99.23% |
| სხვა აქციონერები (თითოეული ფლობს აქციათა და ხმის უფლების 5%-ზე ნაკლებს) | 4.19% | 0.77% |

სს „გალტ & თაგარტი“ კომპანიის აქციებს ფლობს როგორც „ანგარიშის მწარმოებელი“ და მოქმედებს ანგარიშის „მფლობელის“ სასარგებლოდ, მის მიერ გაცემული მითითებისა და მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით „ანგარიშის მფლობელებს“ წარმოადგენდნენ:

| აქციონერი | აქციათა წილი | ხმის უფლება |
|--|--------------|-------------|
| ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი | 95.12% | 98.51% |
| სხვა ანგარიშის მფლობელები (თითოეული ფლობს აქციათა და ხმის უფლების 5%-ზე ნაკლებს) | 4.88% | 1.49% |

გარდა ჩვეულებრივი აქციებისა, კომპანიას გამოშვებული აქვს პრივილეგირებული აქციები, რომელსაც არ გააჩნია ხმის უფლება. პრივილეგირებული აქციის მფლობელებს კომპანია უხდის დივიდენდს წლიური 17%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 0.17 ლარს ერ ცალ პრივილეგირებულ აქციაზე.

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით კომპანიის მიერ გამოშვებული პრივილეგირებული აქციების მფლობელებს წარმოადგენდნენ:

| პრივილეგირებული აქციის მფლობელი | მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობა | წილი განთავსებულ აქციებში |
|---|--|---------------------------|
| სს „ჰერიტიჯ სიქიურიტიზ“ (ს/კ 205286457) (ანგარიშის მწარმოებელი) | 563,667 | 12.35% |
| სს „გალტ & თაგარტი“ (ს/კ 211359206) (ანგარიშის მწარმოებელი) | 3,984,160 | 87.27% |
| სხვა მფლობელები (თითოეული ფლობს აქციათა 5%-ზე ნაკლებს) | 17,557 | 0.38% |

სს „გალტ & თაგარტი“ და სს „ჰერიტიჯ სიქიურიტიზ“ პრივილეგირებულ აქციებს ფლობენ როგორც „ანგარიშის მწარმოებლები“ და მოქმედებენ „ანგარიშის მფლობელის“ სასარგებლოდ, მის მიერ გაცემული მითითებისა და მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით კომპანიის პრივილეგირებული აქციების „ანგარიშის მფლობელებს“ წარმოადგენდნენ:

| პრივილეგირებული აქციის მფლობელი | მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობა | წილი განთავსებულ აქციებში |
|--|--|---------------------------|
| ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი | 684,160 | 14.99% |
| გიორგი კალანდარიშვილი | 2,633,330 | 57.68% |
| დავით შონია | 586,670 | 12.85% |
| სხვა ანგარიშის მფლობელები (თითოეული ფლობს აქციათა 5%-ზე ნაკლებს) | 661,224 | 14.48% |

აქციათა წილებსა და ხმის უფლებას შორის სხვაობა გამოწვეულია „ბანკის“ მიერ გამოშვებული, მაგრამ გაუნაღებელი 40,636,780 ჩვეულებრივი აქციის ეფექტით, რომელიც წილების დათვლისას იანგარიშება, ხოლო ხმის უფლების დათვლისას არ გაითვალისწინება. აღნიშნული ჩვეულებრივი აქციების გამოშვება მოხდა მხოლოდ პრივილეგირებული აქციების ჩვეულებრივ აქციებში შესაძლო კონვერტაციის მიზნით და „ბანკის“ წესდების მიხედვით მესამე პირებზე მათი სხვა მიზნით გადაცემა/გასხვისება დაუშვებელია.

კომპანიის მიერ გამოშვებული პრივილეგირებული აქცია თავისი ბუნებით არის ჩვეულებრივ აქციებში კონვერტირებადი ხასიათის. პრივილეგირებული აქციების მფლობელებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ ემიტენტს და მოითხოვონ საკუთარ მფლობელობაში არსებული პრივილეგირებული აქციების კონვერტაცია ჩვეულებრივ აქციებში. კონვერტაციის პროპორცია განსაზღვრულია პრივილეგირებული აქციების ემისიის პროსპექტით. სწორედ აღნიშნული მიზნით მოხდა კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული 40,636,780 ჩვეულებრივი აქციის გამოშვება, რომლებიც აღრიცხულია ცენტრალური დეპოზიტარის ომნიბუს სერვერებზე ანგარიშზე და მათ ხმის უფლება არ გააჩნია. ზემოთ გამოსახულ ცხრილში ხმის უფლების გრაფაში წარმოდგენილია მხოლოდ აქტიური ხმის უფლების მქონე აქციების პროცენტული მაჩვენებელი. კონვერტაციის მიზნით გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების ხმის უფლების მქონე აქციებში ჩართვა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრივილეგირებული აქციის მფლობელები მიმართავენ კომპანიას პრივილეგირებული აქციების ჩვეულებრივ აქციებში კონვერტაციის მიზნით, რა შემთხვევაშიც კონვერტირებული პრივილეგირებული აქციების სანაცვლოდ, პრივილეგირებული აქციების ემისიის პროსპექტით განსაზღვრული პროპორციით მოხდება ჩვეულებრივი აქციების გადაცემა შესაბამისი პრივილეგირებული აქციის მფლობელისთვის, რის შემდეგაც აღნიშნული აქციებიდან შესაბამისი ოდენობა ჩაითვლება განაღებულად და მოხდება მათი ხმის უფლების მქონე აქციებში ჩართვა.

„ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი.“, ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და მოქმედი კომპანია, არის ბანკის მშობელი საწარმო. ბანკი წარმოადგენს საფონდო ბირჟაზე

რეგისტრირებულ კომპანიას და მისი ჩვეულებრივი აქციები განთავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე. აღსანიშნავია რომ 2024 წლის 29 მაისიდან საქართველოს საფონდო ბირჟის გადაწყვეტილებით „კომპანიას“ დროებით შეუჩერდა ლისტინგი, რაც გამოწვეულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულებით განსაზღვრული თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნიდან გამომდინარე. აღნიშნული დებულების მიხედვით, თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის მოთხოვნის მინიმალური ოდენობა შეადგენს 5%-ს, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ „კომპანიის“ ძირითადი აქციონერი ფლობს მთლიანი განთავსებული აქციების 95%-ზე მეტს, ვერ ხდება აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება. თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დებულება¹. აღსანიშნავია რომ ლისტინგის დროებით შეჩერების მიუხედავად „კომპანიის“ ჩვეულებრივი აქციები კვლავ შეზღუდვის გარეშე ივაჭრება საფონდო ბირჟაზე. გარდა ამისა, ლისტინგის შეჩერება არ მოახდენს გავლენას „ობლიგაციების“ საფონდო ბირჟაზე დაშვებაზე ვინაიდან ზემოაღნიშნული თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ წილობრივ ფასიან ქაღალდებზე. „ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი“ ანგარიშის მწარმოებლის, სს „გალტ & თაგარტის“ საშუალებით ფლობს „ბანკის“ ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების 98.51%-ს. შესაბამისად, ზემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნული „გალტ & თაგარტის“, როგორც ანგარიშის მწარმოებლის ხმის უფლების მქონე აქციებიდან 98.51% წარმოადგენს „ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი“-ის კუთვნილ აქციებს. „ბანკის“ ძირითადი საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ბატონი ირაკლი ოთარ რუხაძე (31.47% ხმის უფლების მფლობელი), ბატონი ბენჯამინ ალბერტ მარსონი (31.47% ხმის უფლების მფლობელი) და ბატონი იგორ ალექსევი (31.47% ხმის უფლების მფლობელი). ხმის უფლების დაანგარიშებაზე განმარტება იხილეთ ქვემოთ.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ივნისში შეიცვალა ბენეფიციარი საკუთრების სტრუქტურა, რის შედეგადაც „ბანკის“ მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ერთადერთი აქციონერი, ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი „ბანკის“ აქციებს ფლობს საბროკერო კომპანია „გალტ & თაგარტი“ გახსნილი საბროკერო ანგარიშის საშუალებით². 2024 წლის 05 ივნისიდან „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის“ შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, „კომპანიის“ საჯარო ფასიანი ქაღალდები დამოუკიდებელი რეგისტრატორიდან გადატანილ იქნა ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2023 წელს ბანკმა გააუქმა მის საკუთრებაში არსებული მისივე სახაზინო აქციები (საკუთარი აქციები) და თანამშრომელთა აქციებით ანაზღაურების გეგმის (ESOP) ფარგლებში გამოშვებული მაგრამ გაუნაღდებელი აქციები, რის შედეგადაც ასეთი აქციები ამოირიცხა გამოშვებული და განთავსებული აქციების ოდენობიდან და პროპორციულად გაიზარდა აქციონერთა წილები, თუმცა აღნიშნულს არ ჰქონია ეფექტი აქციონერთა ხმის უფლებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მიხედვით, საკუთარი აქციები ხმის მიცემისას არ გაითვალისწინება. ასევე აღსანიშნავია რომ საჯარო ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარში აღრიცხვის შემდგომ, იმ აქციონერთა კუთვნილი აქციები, რომლებიც საკუთარ აქციებს პირდაპირი წესით ფლობდნენ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან (გარდა საფინანსო ინსტიტუტებისა), აღირიცხა ცენტრალური დეპოზიტარის ტექნიკურ ანგარიშზე. აღნიშნულ აქციებს შეჩერებული აქვთ ხმის უფლება იმ დრომდე, ვიდრე არ მოხდება ტექნიკური ანგარიშიდან მათი ანგარიშის მწარმოებელთან გადატანა და ცენტრალურ დეპოზიტარში ანგარიშის მწარმოებლის საშუალებით აღრიცხვა. ზემოთ მოცემულ ცხრილში აქციათა წილსა და ხმის უფლებას შორის სხვაობა გამოწვეულია წინამდებარე პარაგრაფში აღნიშნული ფაქტორებით, კერძოდ კონვერტაციის მიზნით გამოშვებული ჩვეულებრივი აქციებისა და ტექნიკურ ანგარიშზე აღრიცხული ჩვეულებრივი აქციების ეფექტით, რომელთაც არ გააჩნიათ ხმის უფლება.

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ემიტენტის“ თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს შეიძინონ ბანკის აქციები, რისთვისაც, „ემიტენტის“ განცხადებით, ბანკის მხრიდან რაიმე სახის თანხმობა

¹ https://gse.ge/upload/Listin_Rules_GEO_3ade087b.pdf

² 2024 წლის მესამე კვარტლის პილარ 3 ანგარიშგების მიხედვით, საბროკერო კომპანია „გალტ & თაგარტი“, როგორც ანგარიშის მწარმოებელი, ფლობს კომპანიის საწესდებო კაპიტალის 96.68%.

ან/და შეტყობინება არ არის საჭირო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არ ხდება ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენა. ბანკის აქციებით ვაჭრობა თავისუფლად ხორციელდება და „ემიტენტის“ მხრიდან არ ხდება თანამშრომლების მიერ ბანკის აქციების შეძენა-გასხვისების ტრანზაქციების აღრიცხვა. „ბანკის“ მენეჯმენტის განცხადებით, გალტ & თაგარტის საბროკერო ანგარიშზე აღრიცხული პრივილეგირებული აქციებიდან, 80,000 ცალს ფლობს ბექა გოგიჩაიშვილი, ბანკის გენერალური დირექტორი.

1.3.1.5 თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურის აღწერა მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით

ემიტენტი წარმოადგენს ჯგუფის წევრს. კერძოდ, ემიტენტს ჰყავს შვილობილი კომპანიები, რომელთა დეტალური აღწერა მოცემულია ამ პროსპექტის 8.2. პუნქტში.

1.3.1.6 ემიტენტის დირექტორების დასახელება პოზიციების მითითებით

ემიტენტის დირექტორატი შედგება შემდეგი წევრებისგან:

| სახელი და გვარი | თანამდებობა |
|---------------------|----------------------|
| ბექა გოგიჩაიშვილი | გენერალური დირექტორი |
| ვახტანგ ბაბუნაშვილი | ფინანსური დირექტორი |
| გიორგი გვაზავა | რისკების დირექტორი |

„ბანკის“ წესდების მიხედვით „ბანკს“ მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს გენერალური დირექტორი ერთპიროვნულად, ან ყველა სხვა დირექტორი ერთობლივად. კერძოდ, გენერალური დირექტორის არყოფნისას ან ნებისმიერ დროს, როდესაც გენერალური დირექტორი გადაწყვეტს, ბანკის სახელით მოქმედების უფლებამოსილება გადაეცემა ერთ-ერთ დირექტორს გენერალური დირექტორის მიერ ბანკის სახელით გაცემული მინდობილობის ან სხვა დოკუმენტის საფუძველზე. ასეთი დოკუმენტის არარსებობისას და იმავდროულად, გენერალური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ბანკის სახელით მოქმედების უფლებამოსილება ენიჭება იმ დირექტორს, რომელსაც ბოლოს გააჩნდა ასეთი უფლებამოსილება. ამასთან, ბანკის მესამე პირებთან წარმომადგენლობა ან/და ნებისმიერი გარიგება, ხელშეკრულება ან შიდა პროცედურის განმსაზღვრელი ნებისმიერი დოკუმენტი, ბრძანება ან ინსტრუქცია, თუ არ განხორციელებულა გენერალური დირექტორის ხელმოწერით, შესაძლოა განხორციელდეს დირექტორატის ყველა დანარჩენი წევრის მიერ/ხელმოწერით ერთობლივად.

1.3.1.7 ემიტენტის აუდიტორ(ებ)ისა და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე პირების ან ექსპერტების დასახელება, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მათი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში

| საიდენტიფიკაციო ნომერი | სახელწოდება | იურიდიული მისამართი | საკონტაქტო ნომერი |
|------------------------|------------------------------------|---|--------------------|
| 405482721 | შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ | საქართველო, თბილისი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3 | +995 555 088 88 88 |
| 211389291 | შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“ (BLC) | საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 129ა | +995 32 292 24 91 |

| | | | |
|-----------|----------|--|------------------|
| 204441158 | შპს იუაი | საქართველო, 0105 თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა 44 | +995 32 215 8811 |
|-----------|----------|--|------------------|

1.3.1.8 შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი.

| შეთავაზებაში ჩართული პირი | როლი შეთავაზებაში | ინტერესის აღწერა | ინტერესთა კონფლიქტის აღწერა |
|------------------------------------|---------------------------------|---|--|
| შპს „ალფა კაპიტალი ედვაიზორი“ | განთავსების აგენტი | წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია შპს „ალფა კაპიტალი ედვაიზორი“. | კომპანია და განთავსების აგენტი დაკავშირებული პირები არ არიან და არ არსებობს მათ შორის რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი. |
| შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“ (BLC) | იურიდიული მრჩეველი | BLC არის ტრანზაქციის იურიდიული მრჩეველი. მის კომპეტენციაშია კომპანიის სამართლებრივი შემოწმების დასრულება და შემოწმების შედეგების ემისიის პროსპექტის შესაბამის ნაწილებში ასახვა. კერძოდ, არსებითად BLC-ის მიერ მოხდა ემისიის პროსპექტის შემდეგი ნაწილების დაწერა: მიმდინარე სასამართლო დავები, არსებითი ხელშეკრულებები, კომპანიის კორპორატიული მართვის სტრუქტურის აღწერა, ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმი და ასევე, ობლიგაციების პირობები. ვინაიდან გამჟღავნებული ინფორმაცია ეყრდნობა კომპანიიდან მიღებულ მონაცემებს, მათ სისწორეზე პასუხისმგებლობას კისრულობს კომპანია. BLC დაქირავებულია ემიტენტის მიერ. | მომსახურების ხელშეკრულების ეტაპზე მომსახურე იურიდიული ფირმის მიერ გადამოწმებული იქნა პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, რაც ამ ინდუსტრიაში დამკვიდრებული სტანდარტია. შესაბამისად, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი „ბიელსი“-სა და კომპანიას შორის. |
| შპს „ალფა კაპიტალი ედვაიზორი“ | გადახდისა და კალკულაციის აგენტი | გადახდისა და კალკულაციის აგენტის მოვალეობაა კუპონისა და ძირი თანხის კალკულაცია და ანგარიშსწორება. | კომპანია და გადახდისა და კალკულაციის აგენტი დაკავშირებული პირები არ არიან და არ არსებობს მათ შორის რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი. |

1.3.2 ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

1.3.2.1 ემიტენტის შერჩეული ისტორიული ფინანსური ინფორმაცია ბოლო 2 ფინანსური წლისთვის, ამასთან თუ რელევანტურია, შუალედური ფინანსური ინფორმაცია შესაძარისი პერიოდის ინფორმაციასთან ერთად. რომელიც უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ კომპონენტებს:

შემდეგ ცხრილში მოცემულია „ემიტენტის“ შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2023 და 2022 წლების და 2023 და 2024 წლების 6 თვის მდგომარეობით. დეტალური ფინანსური მიმოხილვისთვის იხილეთ - „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

| საბალანსო უწყისი (ათასი ლარი) | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|--|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| აქტივები | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 450,324 | 494,771 | 437,838 | 546,911 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 2,426,423 | 2,857,976 | 2,594,099 | 3,127,904 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 369,481 | 346,704 | 306,069 | 459,157 |
| სხვა აქტივები | 394,361 | 396,146 | 401,768 | 391,689 |
| სულ აქტივები | 3,640,589 | 4,095,597 | 3,739,774 | 4,525,661 |
| ვალდებულებები | | | | |
| მომხმარებელთა ანგარიშები | 2,689,669 | 3,033,490 | 2,793,428 | 3,132,599 |
| მიღებული სესხები | 327,279 | 363,574 | 293,729 | 656,231 |
| სუბორდინირებული ვალი | 98,774 | 93,588 | 91,219 | 107,280 |
| სხვა ვალდებულებები | 110,206 | 109,208 | 105,874 | 77,429 |
| სულ ვალდებულებები | 3,225,928 | 3,599,860 | 3,284,250 | 3,973,539 |
| საკუთარი კაპიტალი | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 54,629 | 44,491 | 54,629 | 44,491 |
| დამატებითი შეტანილი კაპიტალი | 35,558 | 35,558 | 35,558 | 35,558 |
| გამოსყიდული აქციები | (10,138) | -- | (10,138) | -- |
| კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები | 4,565 | 4,565 | 4,565 | 4,565 |
| გაუნაწილებელი მოგება | 306,093 | 386,890 | 345,790 | 443,347 |
| სხვა რეზერვები | 23,954 | 24,233 | 25,120 | 24,161 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 414,661 | 495,737 | 455,524 | 552,122 |
| სულ ვალდ. და საკუთარი კაპიტალი | 3,640,589 | 4,095,597 | 3,739,774 | 4,525,661 |

| მოგება-ზარალის უწყისი (ათასი ლარი) | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| საპროცენტო შემოსავალი | 441,651 | 522,672 | 251,810 | 293,731 |
| საპროცენტო ხარჯი | (191,641) | (235,049) | (112,494) | (137,086) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 250,010 | 287,623 | 139,316 | 156,645 |
| საკრედიტო ზარალის ხარჯი | (25,940) | (37,985) | (19,174) | (8,354) |
| წმ. საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდეგ | 224,070 | 249,638 | 120,142 | 148,291 |

| | | | | |
|--|------------------|------------------|------------------|------------------|
| წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | 28,920 | 28,183 | 14,483 | 13,428 |
| სხვა არასაპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი) | 25,711 | 29,863 | 14,624 | 18,967 |
| წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | 54,631 | 58,046 | 29,107 | 32,395 |
| პერსონალზე გაწეული ხარჯი | (100,403) | (117,774) | (57,203) | (65,893) |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | (45,121) | (45,574) | (17,166) | (23,078) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (34,532) | (34,954) | (17,433) | (18,311) |
| სხვა ხარჯები | (12,929) | (13,346) | (11,177) | (7,098) |
| არასაპროცენტო ხარჯი | (192,985) | (211,648) | (102,979) | (114,405) |
| მოგება გადასახადით დაბეგვრამდე | 85,716 | 96,036 | 46,270 | 66,281 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (22,431) | (14,989) | (6,583) | (9,824) |
| წლის წმინდა მოგება | 63,285 | 81,047 | 39,687 | 56,457 |

1.3.2.2 განმარტების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ მონაცემებს თან უნდა ახლდეს პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია, დანართი 6-ის მიხედვით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად

მსგავსი პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაციის წარდგენის საჭიროება არ არსებობს.

1.3.2.3 თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტორის დასკვნის ტიპი (უპირობო, მოდიფიცირებული, პირობითი, უარყოფითი, უარი დასკვნის დაწერაზე) და პირობითი დასკვნის შემთხვევაში მიზეზების მოკლე აღწერა

2023 და 2022 წლების აუდიტრებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორმა გასცა უპირობო დასკვნები.

1.3.2.4 მოგების პროგნოზირებული ციფრის მითითება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული სახსრების გამოყენების ნაწილში ფიგურირებს ეს ციფრი და ხდება მისი პროგნოზი ან შეფასება

„კომპანია“ არ წარადგენს საპროგნოზო მონაცემებს.

1.3.2.5 თუ ემიტენტის საბრუნავი კაპიტალი არ არის საკმარისი მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, უნდა მოხდეს ამის მითითება და უნდა აიხსნას მიზეზები.

„კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი საკმარისი იყო მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი 137.7%-ს შეადგენდა, ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 137.1%-ს. ორივე მაჩვენებელი აკმაყოფილებდა სებ-ის მინიმალურ მოთხოვნებს.

1.3.2.6 ბოლო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, და/ან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა, რომელიც მატერიალური იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად

კომპანიის მენეჯმენტისთვის ცნობილი არ არის რაიმე ისეთი მოვლენის შესახებ, რასაც შესაძლოა ჰქონდეს მატერიალური გავლენა კომპანიის გადახდისუნარიანობაზე და არ არის პროსპექტში აღწერილი

1.3.2.7 არსებობის შემთხვევაში, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მიერ ემიტენტის ან/და მისი ფასიანი ქაღალდებისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულები

ემიტენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს საკრედიტო რეიტინგი არ გააჩნიათ. თავად ემიტენტის საკრედიტო რეიტინგები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| სარეიტინგო სააგენტო | კომპანიის გრძელვადიანი რეიტინგი | კომპანიის მოკლევადიანი რეიტინგი | პროგნოზი | რეიტინგის თარიღი |
|---------------------|---------------------------------|---------------------------------|-----------|------------------|
| Fitch | B+ | B | პოზიტიური | 24/04/2024 |
| Moody's | Ba3 | NP | სტაბილური | 28/03/2024 |

2024 წლის მარტში Moody's-მა საქართველოს რეიტინგის პერსპექტივა ნეგატიურიდან სტაბილურზე შეცვალა და აღნიშნა რომ რუსეთი-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების მიუხედავად ქვეყანაში აღინიშნება ეკონომიკის რეალური ზრდის მაღალი მაჩვენებლები, ფისკალური დისციპლინა და მიმდინარე ანგარიშების დეფიციტის შემცირების ტრენდი. Moody's-ის მოლოდინია რომ 2024 წელს ეკონომიკური ზრდა 5.5% იქნება.

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პუნქტი 6.5 („არსებობის შემთხვევაში, კომპანიის საკრედიტო რეიტინგი“). სარეიტინგო სააგენტოების უახლესი ანგარიშები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე:

Fitch: <https://www.fitchratings.com/entity/jsc-liberty-bank-88787064>

Moody's: <https://www.moody.com/credit-ratings/Liberty-Bank-JSC-credit-rating-825364714>

1.3.2.8 ემიტენტის ბოლო 2 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ბაზაზე ამ წესის დანართი 9-ის შესაბამისად დათვლილი ფინანსური კოეფიციენტები. აღნიშნული და დამატებით სხვა კოეფიციენტების წარდგენა უნდა მოხდეს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ემიტენტის ბიზნეს მოდელისა და საქმიანობის ინდუსტრიისთვის

შემდეგ ცხრილში მოცემულია „ემიტენტის“ ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები:

| | 2022 | 2023 | LTM 1H 2023* | LTM 1H 2024* |
|---|--------|--------|--------------|--------------|
| მომგებიანობის კოეფიციენტები | | | | |
| უკუგება საშუალო-წლიურ კაპიტალზე | 16.6% | 17.8% | 16.1% | 19.4% |
| უკუგება საშუალო-წლიურ აქტივებზე | 1.9% | 2.1% | 1.9% | 2.4% |
| ხარჯების შეფარდება შემოსავალთან | 67.1% | 61.2% | 63.5% | 60.9% |
| სესხების სარგებლიანობა | 17.8% | 17.8% | 17.1% | 17.2% |
| სახსრების ღირებულება | 6.5% | 7.1% | 7.0% | 7.3% |
| წმინდა საპროცენტო მარჟა | 9.8% | 9.3% | 9.4% | 9.1% |
| საპროცენტო ხარჯი/საპროცენტო შემოსავალი | 43.4% | 45.0% | 45.0% | 46.0% |
| | | | | |
| საზედამხედველო მაჩვენებლები | | | | |
| ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი | 122.8% | 120.5% | 118.0% | 137.7% |
| წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი | 130.1% | 125.0% | 127.2% | 137.1% |
| ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 10.9% | 13.2% | 13.3% | 14.4% |
| პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 11.1% | 13.3% | 13.5% | 14.5% |
| საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი | 14.2% | 15.4% | 15.8% | 17.0% |
| | | | | |

| აქტივების ხარისხი | | | | |
|---|-------|-------|-------|-------|
| რისკის ღირებულება | 1.1% | 1.4% | 1.1% | 0.9% |
| უმოქმედო სესხები (PAR 90) / მთლიან სესხებთან | 3.0% | 3.1% | 3.4% | 3.4% |
| უმოქმედო სესხები (PAR 30) / მთლიან სესხებთან | 3.5% | 3.9% | 4.0% | 3.8% |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი/მთლიანი სესხები | 4.5% | 4.5% | 4.7% | 4.2% |
| ჩამოწერა/მთლიან სესხებთან | 2.9% | 0.9% | 0.3% | 0.4% |
| რესტრუქტურული სესხები/მთლიან სესხებთან | 3.3% | 1.9% | 1.8% | 1.9% |
| | | | | |
| ლიკვიდობა/ლევერიჯი | | | | |
| ვალდებულებები/კაპიტალი | 7.8x | 7.3x | 7.2x | 7.2x |
| ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები | 12.4% | 12.1% | 11.7% | 12.1% |
| კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი | 17.1% | 17.3% | 17.6% | 17.7% |

*შენიშვნა: ნახევარ-წლიური მონაცემები დათვლილია 30 ივნისისთვის დასრულებული 12-თვიანი პერიოდის მონაცემების მიხედვით.

ზემოაღნიშნული ცხრილის მიზნებისთვის, ფინანსურ კოეფიციენტებს გააჩნიათ შემდეგი განმარტება:

1. უკუგება საშუალო-წლიურ კაპიტალზე*: წმინდა მოგება გაყოფილი საშუალო-წლიურ აქციონერთა კაპიტალზე.
2. უკუგება საშუალო-წლიურ აქტივებზე*: წმინდა მოგება გაყოფილი საშუალო-წლიურ სრულ აქტივებზე.
3. ხარჯების შეფარდება შემოსავალთან: სრული საოპერაციო ხარჯები გაყოფილი საოპერაციო შემოსავალზე. შემოსავალი მოიცავს წმინდა საპროცენტო შემოსავალს, წმინდა საკომისიო შემოსავალი და წმინდა არასაპროცენტო შემოსავალს. სრული საოპერაციო ხარჯები მოიცავს პერსონალზე გაწეულ ხარჯებს, სხვა ზოგად ადმინისტრაციულ ხარჯებს და ცვეთა და ამორტიზაციას. არასაოპერაციო ან ერთჯერადი ხარჯები და შემოსავლები არაა გათვალისწინებული.
4. სესხების სარგებლიანობა*: საპროცენტო შემოსავალი სესხებზე გაყოფილი საშუალო-წლიურ მომხმარებლებზე გაცემული მთლიან სესხებზე.
5. სახსრების ღირებულება*: სრული საპროცენტო ხარჯი გაყოფილი საშუალო-წლიურ საპროცენტო ხარჯის მქონე ვალდებულებებზე.
6. წმინდა საპროცენტო მარჟა*: წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაყოფილი საშუალო-წლიურ საპროცენტო შემოსავლის მომტან აქტივებზე. საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები მოიცავენ მომხმარებლებზე გაცემულ წმინდა სესხებს, საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს და მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.
7. საპროცენტო ხარჯი/საპროცენტო შემოსავალი: სრული საპროცენტო შემოსავალი გაყოფილი სრულ საპროცენტო ხარჯზე.
8. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება გაყოფილი სტაბილური დაფინანსების საჭიროებაზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).

9. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები გაყოფილი ფულის წმინდა გადინებაზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).
10. ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი: ძირითადი პირველადი კაპიტალი გაყოფილი რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციებზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).
11. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი: პირველადი კაპიტალი გაყოფილი რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციებზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).
12. საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი: საზედამხედველო კაპიტალი გაყოფილი რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციებზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).
13. რისკის ღირებულება*: საკრედიტო ზარალის ხარჯი გაყოფილი საშუალო-წლიურ მომხმარებლებზე გაცემული მთლიან სესხებზე და ფინანსურ იჯარაზე.
14. უმოქმედო სესხები (PAR 90) / მთლიან სესხებთან: „სებ“-ის მეთოდოლოგიით დათვლილი უმოქმედო სესხები გაყოფილი მთლიან სესხებზე.
15. სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი გაყოფილი მთლიან სესხებზე.
16. ვალდებულებები/კაპიტალი: მთლიანი ვალდებულებები გაყოფილი მთლიან კაპიტალზე.
17. ფულადი სახსრები/მთლიანი აქტივები: ფული და ფულის ექვივალენტები გაყოფილი მთლიან აქტივებზე.
18. კაპიტალი/წმინდა სასესხო პორტფელი: მთლიანი კაპიტალი გაყოფილი წმინდა სესხებზე.
19. ჩამოწერა/მთლიან სესხებთან: ჩამოწერილი სესხები გაყოფილი საშუალო-წლიურ მთლიან სესხებზე..
20. რესტრუქტურისებული სესხები/პორტფელთან: რესტრუქტურისებული სესხების ჯამი (R1 და R2 აუდირებული ანგარიშების მიხედვით) გაყოფილი მთლიან სესხებზე.

2 მოკლე ინფორმაცია ემიტენტის საქმიანობისთვის სპეციფიკური რისკების შესახებ

2.1 ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

- 2.1.1 ინვესტიციის განხორციელება ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, შეიცავს უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელება შედარებით განვითარებულ ბაზრებში
- 2.1.2 საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დამაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე
- 2.1.3 საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის რისკმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე
- 2.1.4 ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე
- 2.1.5 ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე
- 2.1.6 საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე
- 2.1.7 შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით
- 2.1.8 ახალმა კანონმა „მეწარმეთა შესახებ“, ასევე მომავალმა ან მიმდინარე ცვლილებებმა „მარეგულირებელ კანონმდებლობაში“ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე
- 2.1.9 საქართველოს საგადასახდო სისტემაში არსებულმა გაურკვეველობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახდო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში
- 2.1.10 მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ემიტენტის ბიზნესზე

2.2 საზედამხედველო ჩარჩოსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

- 2.2.1 „კომპანია“ ვალდებულია დააკმაყოფილოს გარკვეული საზედამხედველო მოთხოვნები
- 2.2.2 „კომპანია“ საქმიანობას ეწევა განვითარებად საზედამხედველო გარემოში. აღნიშნული საზედამხედველო გარემოს მომავალი ცვლილებები რთული საპროგნოზოა
- 2.2.3 კომპანიის ზრდის ტემპი და მომგებიანობა შესაძლოა გაუარესდეს, მათ შორის სეზონის მიერ დაწესებული დამატებითი შეზღუდვების შედეგად
- 2.2.4 „კომპანიას“ შეიძლება დაეკისროს მნიშვნელოვანი ჯარიმები ან/და შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით თუ ის ვერ შეძლებს იმ სამართლებრივი და საზედამხედველო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომლებიც ვრცელდება ფინანსურ ინდუსტრიაზე

- 2.2.5 „კომპანიის“ მიერ საბანკო ლიცენზიის პირობების დარღვევამ შესაძლოა შეაფერხოს ან სრულად შეაჩეროს „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობა
- 2.2.6 „კომპანიის“ ფულის გათეთრებასა ან/და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე
- 2.3 მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ემიტენტისა და შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის
 - 2.3.1 ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები
 - 2.3.1.1 საკრედიტო რისკები
 - 2.3.1.1.1 „კომპანიის“ სასესხო პორტფელის ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის შემცირებამ თუ ლარის კურსის გაუფასურებამ შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ სასესხო პორტფელის ხარისხის გაუარესება
 - 2.3.1.1.2 „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ მოახერხოს თავისი სასესხო პორტფელის ხარისხის შენარჩუნება
 - 2.3.1.1.3 საფინანსო ბაზრის მაღალი ვოლატილობა კომპანიისთვის ქმნის დამატებით საკრედიტო რისკს.
 - 2.3.1.1.4 შესაძლოა შემცირდეს „კომპანიის“ მიერ უზრუნველყოფად გამოყენებული აქტივების ღირებულება
 - 2.3.1.1.5 „კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა თუ პროცედურები შეიძლება არ იყოს საკმარისი საკრედიტო რისკის ეფექტური მიტიგაციისთვის
 - 2.3.1.1.6 საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთან ინფორმაციის მიმოცვლა შესაძლოა არ იყოს დროული ან/და სრულყოფილი
 - 2.3.1.1.7 „კომპანიის“ სადაზღვევო პოლისებმა შესაძლოა არ ან სრულად არ აანაზღაურონ გარკვეული სახის ზარალი
 - 2.3.1.1.8 საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ კომპანიისთვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი შესაძლოა გაუარესდეს
 - 2.3.1.2 საოპერაციო რისკები
 - 2.3.1.2.1 „კომპანია“ დამოკიდებულია მესამე მხარის მიერ მოწოდებულ სერვისებზე. მესამე მხარის მხრიდან საკონტრაქტო ან „კომპანიის“ ხარისხის მოთხოვნების პირობების დარღვევამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე
 - 2.3.1.2.2 „კომპანიას“ გააჩნია რისკები მისი უსაფრთხოებისა თუ კომპიუტერული სისტემისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის პოტენციურ გაუმართაობასთან დაკავშირებით
 - 2.3.1.2.3 დისტანციური საბანკო მომსახურების პლატფორმები მომატებული რისკის შემცველია
 - 2.3.1.2.4 „კომპანიას“ გააჩნია საბანკო საქმიანობისთვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკები
 - 2.3.1.2.5 ბანკის მიერ დანერგილი საბუღალტრო, ფინანსური, საანგარიშგებო და კონტროლის სისტემები შესაძლოა არ იყოს თანმიმდევრული, უზარვეზო ან სათანადოდ ფორმალიზებული
 - 2.3.1.3 მომგებიანობასთან დაკავშირებული რისკები

- 2.3.1.3.1 „კომპანიის“ წმინდა საპროცენტო მარჟის არსებითმა ცვლილებამ ან რყევამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ შედეგებზე
- 2.3.1.4 ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები
 - 2.3.1.4.1 „კომპანიას“ გააჩნია ლიკვიდობისა და ფინანსური სახსრების მოზიდვის რისკი
 - 2.3.1.4.2 „კომპანიამ“ უნდა შეასრულოს სასესხო ხელშეკრულებებში ჩადებული ფინანსური თუ სხვა ტიპის კოვენანტები, რომელთა დარღვევამაც შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“ დეფოლტი აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად
- 2.3.1.5 კომპანიას გააჩნია კონცენტრაციის რისკი
- 2.3.1.6 საბაზრო რისკები
 - 2.3.1.6.1 კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში
 - 2.3.1.6.2 კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში
 - 2.3.1.6.3 კომპანიის სასესხო პორტფელის დიდი ნაწილი დენომინირებულია ლარში
- 2.3.1.7 რეპუტაციული რისკები
 - 2.3.1.7.1 მომხმარებელთა უკმაყოფილებამ ან/და ნეგატიურმა გამოხმაურებამ „კომპანიის“ საქმიანობასთან დაკავშირებით შეიძლება იმოქმედოს „კომპანიის“ რეპუტაციასა და მისი მომხმარებლების ნდობაზე
 - 2.3.1.7.2 „კომპანია“ დამოკიდებულია მის ბრენდზე და შესაბამისად გააჩნია რეპუტაციული რისკები, რომლებმაც შესაძლოა დააზარალოს „კომპანიის“ საქმიანობა
- 2.3.1.8 სტრატეგიული განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა სპეციფიკური რისკები
 - 2.3.1.8.1 კომპანიამ“ შესაძლოა ვერ განახორციელოს ბიზნესის ზრდის სტრატეგია. ამასთან, „კომპანიას“ გააჩნია ბიზნესის გაფართოებასთან დაკავშირებული რისკები
 - 2.3.1.8.2 „კომპანიის“ ძირითადი პერსონალის დაკარგვამ ან გამოცდილი და/ან კვალიფიციური თანამშრომლების ვერ მოზიდვამ, ვერ განვითარებამ ან ვერ შენარჩუნებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის საქმიანობაზე
 - 2.3.1.8.3 კომპანიის შემოსავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფულადი გასაცემების გაცემის/დარიგების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე, რომლის ვადაც იწურება 2029 წლის 31 დეკემბერს. იმ შემთხვევაში თუ კომპანიამ ვერ შეძლო საკუთარი ბიზნესის საკმარისი დივერსიფიცირება ან ამ ხელშეკრულების გაგრძელება, არსებობს რისკი რომ ამ ფაქტმა იქონიოს მატერიალური უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.
 - 2.3.1.8.4 „კომპანია“ საბანკო საქმიანობას ეწევა კონკურენტულ გარემოში
- 2.4 შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები
 - 2.4.1 „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი
 - 2.4.2 „ობლიგაციების“ მეორადი ბაზარი შესაძლოა არასდროს განვითარდეს და აღნიშნულმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების შესაძლებლობაზე გაყიდონ „ობლიგაციები“ ან გაყიდონ ისინი მომგებიან ფასად
 - 2.4.3 „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით

- 2.4.4 არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი
- 2.4.5 ინვესტორები უნდა დაეყრდნონ ცენტრალური დეპოზიტარის და შესაბამის შემთხვევებში - სხვა „ანგარიშის მწარმოებლისა“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს
- 2.4.6 „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს
- 2.4.7 „ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ, უვადო, სუბორდინირებულ, გამოთხოვად ვალდებულებებს, რაც სხვადასხვა ტიპის დამატებით რისკებს წარმოშობს ინვესტორისთვის. ინვესტორი იღებს ემიტენტის გადახდის უუნარობით გამოწვეული ზარალის განგრძობით რისკს
- 2.4.8 ემიტენტს არ ეზღუდება აიღოს სესხი ან/და დამატებით იკისროს სხვა ვალდებულება, რომელიც თავის მხრივ შეიძლება გაუთანაბრდეს ან უპირატესი იყოს „ობლიგაციებზე“
- 2.4.9 ობლიგაციებიდან გამომდინარე მოვლენები შესაძლოა დაექვემდებაროს სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწერას ან კომპანიის აქციებში კონვერტაცია
- 2.4.10 „ობლიგაციების“ პირობები არ ითვალისწინებენ „დეფოლტის შემთხვევას“ და ინვესტორებისთვის არსებული აღსრულების უფლებები შეზღუდულია
- 2.4.11 ემიტენტს გააჩნია სრული დისკრეტია შეწყვიტოს პროცენტის გადახდა ნებისმიერ დროს და ზოგიერთ ვითარებაში აქვს ვალდებულება შეწყვიტოს პროცენტის გადახდა, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ინსტრუმენტის დამატებით პირველად კაპიტალად ჩართვა დადასტურდა და რომ აღნიშნული ინსტრუმენტის კლასიფიკაცია არ შეცვლილა
- 2.4.12 ობლიგაციებიდან გამომდინარე ვალდებულებები შესაძლოა დაექვემდებაროს სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწერას ან კომპანიის აქციებში კონვერტაციას
- 2.4.13 ჩამოწერის მოვლენის დადგომის მაპროგნოზირებელი გარემოებები არაპროგნოზირებადია
- 2.4.14 არ არსებობს ობლიგაციების გამოთხოვის დაგეგმილი თარიღი და ობლიგაციების მფლობელებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ გამოთხოვა. ამასთან ემიტენტმა შეიძლება გამოითხოვოს ობლიგაციები გარკვეულ შემთხვევებში
- 2.4.15 ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შეიცვალოს „გადატვირთვის თარიღზე“, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციების სავაჭრო ფასზე
- 2.4.16 SOFR-ის გაუქმებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ ფასზე
- 2.4.17 „ობლიგაციები“ კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტებია და დაკავშირებულია მაღალი ხარისხის რისკთან, შესაბამისად ობლიგაციები შეიძლება არ იყოს შესაფერისი ინვესტიცია ყველა ტიპის ინვესტორისთვის.

3 რისკის ფაქტორები

ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს გარკვეულ რისკებს. ინვესტირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში მოცემული სხვა ინფორმაციის გარდა, პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებამდე, ყურადღებით უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და ინვესტიციათა მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილი რისკებიდან ნებისმიერს შეუძლია არსებითი უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე. ნებისმიერი ამ რისკის რეალურად წარმოქმნის შემთხვევაში ობლიგაციების საბაზრო ღირებულებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება განიცადოს. გარდა ამისა, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შესაფასებლად. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შესაძლოა წარმოიქმნას დამატებითი რისკები და გაურკვეველი ვითარება, რომლებიც კომპანიას ამჟამად არ მიაჩნია მნიშვნელოვნად ან რომელთა შესახებ არა აქვს ინფორმაცია, და ნებისმიერს ამ რისკთაგან და გაურკვეველი გარემოებებიდან შესაძლოა მოჰყვეს ქვემოთ აღწერილის მსგავსი შედეგი და ინვესტორის ფინანსურ მდგომარეობაზე მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა. შესაბამისად, კომპანია არ ამტკიცებს, რომ ობლიგაციების ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემული რისკების შესახებ განცხადებები ამომწურავია.

2022 წლის მთავარი გამოწვევა რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენებია. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინას შორის დაიწყო შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტი. დღეის მდგომარეობით ომის შედეგად ორივე მხარემ საკმაოდ დიდი ზარალი განიცადა. რუსეთს მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა დაუწესეს სანქციები და შეუზღუდეს წვდომა უცხოურ ვალუტაზე, ტექნოლოგიურ პროდუქტებსა და საბანკო ტრანზაქციებზე. ომმა საქართველოზეც იქონია გავლენა, იმდენად, რამდენადაც ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორები სწორედ რუსეთი და უკრაინა არიან.

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის მეორე ნახევრისთვის სიტუაცია საქართველოს მასშტაბით შედარებით დასტაბილურებულია, მაინც არსებობს რისკები, რადგან მიმდინარე მოვლენებს შესაძლოა უარყოფითი არაპირდაპირი გავლენა ჰქონდეს კომპანიასაზე. ემისიის პერიოდში, 2024 წლის მეორე ნახევარში, აღნიშნული რუსეთ-უკრაინის ომი კვლავ გრძელდებოდა, რაც არაერთი რისკის შემცველია. პირდაპირი გავლენით, რუსეთ-უკრაინის ომი საფრთხეს არ წარმოადგენს სს „ლიბერთი ბანკისთვის“ რადგან ის მომხმარებლები რომელთა შემოსავლის წყარო უკავშირდება რუსეთს და უკრაინას (ექსპორტი, იმპორტი, გზავნილები) პორტფელში დაბალი არამატერიალური კონცენტრაციით არიან წარმოდგენილნი. არაპირდაპირი გავლენა კი შესაძლოა გამოიხატოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელებაში, ასევე კომპანიის საკრედიტო პორტფელის ზრდის შენელებაში ან/და არსებული პორტფელის ხარისხის გაუარესებაში, დაფინანსების მოძიების გართულებაში და ა.შ.

3.1 ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

3.1.1 ინვესტიციის განხორციელება ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, შეიცავს უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელება შედარებით განვითარებულ ბაზრებში.

განვითარებად ბაზრებს ახასიათებს უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გადა ამისა, საერთაშორისო ინვესტირების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და საბოლოოდ ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (სტაბილური მოლოდინი) - რეიტინგის უკანასკნელი განახლების თარიღი: 2024 წლის 21 ივნისი;
- Moody's – Ba2 (სტაბილური მოლოდინი) - რეიტინგის უკანასკნელი განახლების თარიღი: 2024 წლის 26 მარტი;
- S&P Global Ratings – BB (სტაბილური მოლოდინი) - რეიტინგის უკანასკნელი განახლების თარიღი: 2024 წლის 9 აგვისტო;
- Scope Ratings – BB (სტაბილური მოლოდინი) - რეიტინგის უკანასკნელი განახლების თარიღი: 2024 წლის 23 ივლისი.

აღსანიშნავია რომ 2024 წლის 21 ივნისს გამოქვეყნდა Fitch Ratings-ის საქართველოს სუვერენული რეიტინგის ანგარიში, რომლითაც შენარჩუნდა საქართველოს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი BB ნიშნულზე, ხოლო მოლოდინი პოზიტიურიდან შეიცვალა სტაბილურით. იმავე მოხსენებაში ხაზგასმულია მთელი რიგი რისკები. ეჭვმა ნებისმიერი აღნიშნული რისკის რეალიზაციის თაობაზე ან რომელიმე რისკის რეალიზაციამ შესაძლოა გააჩინოს კითხვები ფინანსური სისტემის სანდოობასთან დაკავშირებით და უარყოფითი გავლენა იქონიოს ქვეყნის მაკროეკონომიკურ გარემოზე, ფინანსების ხელმისაწვდომობაზე, ემიტენტის ბიზნესზე და შესაბამისად, უარყოფითად იმოქმედოს ემიტენტის საოპერაციო შედეგებსა და მის უნარზე, მოემსახუროს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ვალდებულებებს.

3.1.2 საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დამაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დამაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დამაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კონტროლ ქვეშ აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი და აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულში რუსეთის სასაზღვრო ძალებმა მავთულხლართის ღობეები აღმართეს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის სადემარკაციო ხაზის ზოგიერთი ნაწილის გასწვრივ. მომავალში თუ ასეთი ქმედებები განმეორდება დამაბულობა შეიძლება გამწვავდეს.

საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

ამასთან, აღსანიშნავია სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში და შემდგომ, 2023 წლის სექტემბერში, რომელიც უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აჩენდა უარყოფით მოლოდინებს რეგიონის ეკონომიკების აღდგენის პროცესზე.

2023 წლის სექტემბრის ომის დასრულების შემდეგ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები საზღვრების დელიმიტაციის და სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შესახებ, თუმცა ამ პროსპექტის შედეგის მომენტისთვის მსგავსი შეთანხმება მიღწეული ჯერ არ იყო. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის გაგრძელებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს რეგიონში და მათ შორის საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებასა და ტურიზმის სექტორზე.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ პირდაპირი ფრენები აღდგა 2023 წლის მე-2 კვარტალში. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან 2019 წელს დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში შეიძლება ასევე მოახდინოს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული და ეკოლოგიური კრიზისი და მოუტანა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების, არამედ - რეგიონისა და გლობალურ ეკონომიკასაც. რუსეთ-უკრაინის ომი ემისიის პერიოდშიც გრძელდება. ომის დაწყებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს არაერთი სანქცია დაუწესა, რომელთა მიზანიც რუსეთზე წნეხის გაზრდა იყო, რათა მას შეეჩერებინა საომარი მოქმედებები. მოსალოდნელია, რომ ამ ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის უარყოფითი ეფექტები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე არსებული გაზრდილი წნეხის პასუხად, მოსალოდნელია, რომ დასავლური ცენტრალური ბანკები გაზრდიან საპროცენტო განაკვეთებს, რაც გამოიწვევს უფრო გამკაცრებულ გლობალურ ფინანსურ მდგომარეობას. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია ან გადადებული რეზოლუცია, რაიმე დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაზრდილი გაურკვევლობის დონე, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ნებისმიერი სამომავლო გაუარესება საქართველოს ურთიერთობისა რუსეთთან, შეიძლება გახდეს უარყოფითი ეფექტის მქონე საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტაბილურობისათვის.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

3.1.3 საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის რისკმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარებაა. თუმცა ბიზნესისა და ინვესტორებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა აღარ გაგრძელდეს ან უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი ცვლილებით, რომელიც „ქართული ოცნების“ მთავრობის მოქმედების გაგრძელებასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2010 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებიც ითვალისწინებდა პარლამენტის მმართველობითი უფლებამოსილების გაფართოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდას და პრეზიდენტის ფუნქციების შეკვეცას. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში (პარლამენტის არჩევნები მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს) ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ 150 წევრიან პარლამენტში მიიღო 90 მანდატი, 36 მანდატი მოიპოვა ოპოზიციურმა პარტიამ - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, დანარჩენი კი სხვა პარტიებმა. თუმცა პარლამენტში ოპოზიციური სპექტრი არ შევიდა და საპროტესტო რეჟიმში გადავიდნენ. პოლიტიკური დამაბულობის გასანეიტრალებლად ორმხრივ მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართული ევროკავშირის და აშშ-ს წარმომადგენლები, რომელთაც მიაღწიეს შეთანხმებას და 2021 წლის გვიან გაზაფხულზე პარლამენტში ყველა პარტია შევიდა. მოკლევადიანმა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2020 წლის ნოემბრიდან დაიწყო გარკვეული გავლენა იქონია ეკონომიკურ და საინვესტიციო აქტიურობაზე. ამასთან, 2021 წლის ივლისში პრესის წარმომადგენლებზე თავდასხმამ და მმართველი პარტიის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული 2021 წლის 19 აპრილის ხელშეკრულებიდან გამოსვლამ უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის საინვესტიციო იმიჯზე.

საქართველოს მორიგი საპარლამენტო არჩევნები დანიშნულია 2024 წლის 26 ოქტომბერს. წინასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერმა პოლიტიკურმა დამაბულობამ ან ევროკავშირთან ურთიერთობების დამაბულობამ, მათ შორის ე.წ. 12 პუნქტიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების ნაწილში, რაც სახელდება საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების აუცილებელ წინაპირობად, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატსა და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე.

3.1.4 ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

კომპანიის შემოსავლები დამოკიდებულია საქართველოზე, შესაბამისად კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები. განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და

კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან გამომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა (რეალური მშპ) 6.8%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.5%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით - 3.0%-ით. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმის აღდგენა სტაბილური ტემპით მიმდინარეობს ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტითაა განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე მთლიანი მოთხოვნა მყარი რჩება, რასაც ხელს უწყობს მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, ხოლო 2023 წელს 7.5%. რაც შეეხება 2024 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდი 5.7%-იან ზრდას მოელის. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პროგნოზებს კვლავ თან ახლავს მაღალი გაურკვეველობა. რუსეთ-უკრაინის ომი, გლობალური რეცესიის შიშები და 53 მაღალი ინფლაცია მოსალოდნელთან შედარებით დაბალი ეკონომიკური ზრდის რისკებს წარმოშობს. მეორე მხრივ, მიგრაციის ძლიერი ტალღა, ტურიზმის სწრაფი აღდგენა და მაღალი საინვესტიციო აქტივობა მოსალოდნელთან შედარებით უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს ქმნის. ინფორმაციისათვის, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს 5%-ით, 2018 და 2017 წლებში - 4.8%-ით, ხოლო 2015 და 2016 წლებში საშუალოდ 3%-ით იზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან სესხზე მოთხოვნა შეამციროს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ვირუსიდან მომდინარე გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

საქსტატის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის I კვარტალში ეკონომიკა 8.4%-ით გაიზარდა, II კვარტალში 9.5%-ით, ხოლო 2024 წლის ივლისში ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 13.0% შეადგინა.

3.1.5 ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით მისმა ოფიციალურმა რეზერვმა 4.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2022 წლის ბოლოსთვის. მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რომლითაც ქვეყანას შეუძლია თავი გაართვას კრიზისულ სიტუაციებს მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჭაერო ფრენების აკრძალვა, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 აშშ დოლარზე 3.48 ლარს, მიაღწია), რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარება დაიწყო და აღიდგინა ყველა ის დანაკარგი, რომელიც თებერვალსა და მარტში მიიღო. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ადგილობრივი ვალუტის სიმყარის შენარჩუნებას მკაცრი მონეტარული პოლიტიკითაც შეუწყო ხელი. 2023 წელს ლარი დოლართან მიმართებაში 0.5%-ით გამყარდა (2.7020-დან 2.6894-მდე). 2024 წლის 1 იანვრიდან 31 მაისამდე პერიოდში ლარი დოლართან მიმართებაში 4.0%-ითაა გაუფასურებული (2.6894-დან 2.7968-მდე).

აგრეთვე, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქსტატის შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2018 წელს 2.6%, 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6% და 2022 წელს 9.8% იყო. 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2022 წლის დეკემბერში წლიურმა საშუალო ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2021 წლის მარტი-დეკემბრის პერიოდში ოთხჯერ გაზარდა, ჯამურად 250 საბაზისო პუნქტით 10.5%-მდე. 2022 წლის დასაწყისიდან, წინა წლის ბაზის გავლენისა და საკვებისა და ენერჯის რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. ამის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 0.5 პროცენტული ერთეულით, 11%-მდე გაზარდა. 2023 წლის განმავლობაში ინფლაციის დონემ საქართველოში შემცირება დაიწყო და 2023 წლის ივნისში 7-წლიან მინიმუმზე ჩამოვიდა და 0.6% შეადგინა. 2024 წლის ივნისში წლიურმა ინფლაციამ 1.0% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაციამ 0.9% შეადგინა. ინფლაციის დონის შემცირებასთან ერთად სებ-მა 2023 წლის მაისში რეფინანსირების განაკვეთის შემცირება დაიწყო. 2024 წლის 30 ივლისის მდგომარეობით რეფინანსირების განაკვეთი 8.00%-ის დონეზე იყო.

ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი

უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

3.1.6 საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიასა“ და ინვესტორებზე.

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში, ხოლო რამდენიმე ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი (როგორცაა საგადასახადო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არბიტრაჟის შესახებ კანონი და ა.შ.) რამდენჯერმე ფუნდამენტურად შეიცვალა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებრობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც „მარეგულირებელი კანონმდებლობა“ და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ნებართვების გაუქმება.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემამ რეფორმის რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობისა და სასამართლოს კორპუსის თვითმმართველობის გაძლიერების მიმართულებით, შეიცვალა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი, ამოქმედდა საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის და მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს ლეგიტიმური კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობას, ეფექტურობასა და კვალიფიკაციასთან მიმართებით. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით (კერძოდ, ევროპა და შეერთებული შტატები), საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებიან საკანონმდებლო ხელისუფლების რეაგირების იმედად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბოლო წლების მანძილზე ფიქსირდება სერიოზული ეჭვები საქართველოს სასამართლო სისტემაში კლანური მმართველობის და კორუფციის არსებობის თაობაზე. სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ 2023 წელს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა რამდენიმე ქართველი მოსამართლე დაასაჩქირო (აღსანიშნავია, რომ სანქციები შემოიფარგლა სავიზო შეზღუდვებით), რომლებსაც სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობები უკავიათ დღემდე. გაურკვევლობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში, კვალიფიკაციის ნაკლებობამ და ასევე, მზარდმა ეჭვებმა სისტემაში არსებული კორუფციის თუ არასათანადო გავლენების თაობაზე, შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

3.1.7 შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების

ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ფინანსური სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. „მარეგულირებელ კანონმდებლობაში“ შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა, „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მიიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

3.1.8 ახალმა „მეწარმეთა შესახებ“ კანონმა, ასევე მომავალმა ან მიმდინარე ცვლილებებმა „მარეგულირებელ კანონმდებლობაში“ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე

2022 წელს ძალაში შევიდა განახლებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონი. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 1994 წელს შემუშავდა, პერიოდული განახლებების მიუხედავად კანონის წესდებების ნაწილი ზოგადი ხასიათის იყო, რის გამოც რიგი საკითხები რეგულირების ჩარჩოს მიღმა რჩებოდა. სწორედ ამიტომ, შემუშავდა ახალი კანონი, რომელიც უზრუნველყოფს კორპორატიული სამართლის პრინციპების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, და, შესაბამისად როგორც აქციონერთა, ისე კრედიტორთა თუ სხვა ბიზნეს-სუბიექტთა დაცვას.

ახალ კანონში „მეწარმეთა შესახებ“ შევიდა შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ემსგავსება სააქციო საზოგადოებას, რომელსაც შესაძლებლობა აქვს გამოუშვას როგორც ნომინალური ღირებულების, ისე ნომინალური

ღირებულების არმქონე წილები. ამრიგად, შპს-ს კაპიტალის მოსაზიდად კიდევ უფრო მეტი ინსტრუმენტი ექნება.

- კანონი ადგენს ყველა ფორმის სამეწარმეო საზოგადოების ორგანოებთან დაკავშირებულ ზოგად წესებს.
- კანონი დეტალურად აწესრიგებს ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა ისეთ კორპორაციულ მოვალეობებს, როგორცაა: კეთილსინდისიერების მოვალეობა, კონკურენციის აკრძალვა, საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოვალეობა.
- კანონმა გააუქმა ჩანაწერი, რომელიც სააქციო საზოგადოებას უფლებას აძლევდა საერთო კრების მოწვევის გარეშე მიეღო გადაწყვეტილება, თუ ხმის უფლების მქონე აქციების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას და აღნიშნულ გადაწყვეტილება ითვლებოდა აქციონერთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ტოლფასად. შესაბამისად, ახალი კანონის მიხედვით საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად აუცილებელია საერთო კრების დადგენილი წესით მოწვევა და ჩატარება.
- კანონმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საწარმოს განთავსებული კაპიტალისა და დივიდენდის რეგულირების მხრივ. კერძოდ, განთავსებული კაპიტალის ცვლილება და საწარმოს კაპიტალის ფარგლებში ახალი აქციების გამოშვება განისაზღვრა საწარმოს საერთო კრების კომპეტენციად. რაც შეეხება დივიდენდს, სააქციო საზოგადოებისთვის დივიდენდის გაცემის ვადა შემცირდა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 6 (ექვსი) თვემდე და ამასთან, გაჩნდა ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ გაცემული დივიდენდი, რომელსაც აქციონერი არ მიიღებს დივიდენდის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, უნდა გაუქმდეს და სააქციო საზოგადოებისთვის მისი მოთხოვნა დაუშვებელია.
- კანონით დამოუკიდებლად არის მოწესრიგებული საზოგადოების რეორგანიზაციის ისეთი სახეები, როგორცაა გარდაქმნა, შერწყმა და გაყოფა.
- კანონი ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებულ დაცვას რეორგანიზაციის პროცესში მყოფი საზოგადოების კრედიტორებისთვის და ანიჭებს მათ სამეწარმეო საზოგადოების მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის გამოყენების უფლებას, თუკი რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
- კანონი ადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონული პორტალის, როგორც ერთიანი ელექტრონული სივრცის, ცნებას. ელექტრონული პორტალის მეშვეობით ხდება მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის პროცესში წარდგენილი დოკუმენტების გასაჯაროება, კანონით დაკისრებული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულება.
- მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მეწარმისათვის გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება მეწარმის იურიდიულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან, ან მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ელექტრონულად განთავსებიდან მე-15 დღეს.
- პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი/პარტნიორები. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევეს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა რაოდენობის მიუხედავად.
- აქციონერის ძირითადი უფლებების წრეში ექცევა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება, დღის წესრიგის გაცნობის უფლება, დივიდენდის უფლება, აქციათა თავისუფალი განკარგვის უფლება, საზოგადოებისათვის აქციათა სავალდებულო წესით მიყიდვის უფლება და სხვა.

ემიტენტს თავისი სარეგისტრაციო მონაცემები „მარეგულირებელ კანონმდებლობასთან“ შესაბამისობაში აქვს მოყვანილი. 2023 წლის ივლისში კომპანიის აქციონერთა საერთო კრებამ ასევე დაამტკიცა წესდების განახლებული რედაქცია, რომელიც შესაბამისია განახლებულ კანონთან, თუმცა უცნობია როგორ იმუშავებს მეწარმეთა შესახებ კანონში შესული ცვლილებები, „კომპანია“ ვალდებულია შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ახლებურად რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებით

ჯერჯერობით არ არსებობს დამკვიდრებული პრაქტიკა. სავარაუდოა, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება და შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები. კანონი 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და მისი თავდაპირველი რედაქციით, კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული ყველა საწარმო, ვალდებული იყო კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყო სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. 2023 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, სადამფუძნებლო დოკუმენტების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის ვადა გახანგრძლივდა 2025 წლის 01 აპრილამდე. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საწარმოს რეგისტრაცია უჩერდება, ხოლო 2026 წლის 01 იანვრიდან მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს ხარვეზიანობის შესახებ და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს დამატებით, 3-თვიან ვადას. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სამეწარმეო საზოგადოებისა და სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაცია ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ სამეწარმეო საზოგადოებას დარჩა ქონება. ამ შემთხვევაში სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორებს. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციისთვის დადგენილი წესები.

ახალი „მეწარმეთა კანონით“ გამკაცრებულია მიდგომა საწარმოს საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების მხრივ. უფრო კონკრეტულად, კანონის მიხედვით, საერთო კრების ოქმის დადგენილი ფორმის დაუცველობა, საერთო კრების მოწვევის წესის დარღვევა, საერთო კრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების პარტნიორებისთვის შეტყობინების წესის დარღვევა და კანონით განსაზღვრული სხვა გარემოებები განეკუთვნება საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის ბათილობის საფუძველს.

გარდა ამისა, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში არ მოყვანა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოიწვევს საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებას. ამჟამად არსებული ინფორმაციის მიხედვით საჯარო რეესტრისთვის მიმართვიანობა სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად არც თუ ისე მაღალია.

ზემოაღნიშნული გარემოებები ქმნის დამატებით რისკებს რომ ბანკის კლიენტმა და პარტნიორმა იურიდიულმა პირებმა შესაძლოა ვერ უზრუნველყონ დადგენილ ვადაში კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა ან/და ვერ დაიცვან საერთო კრების მოწვევასთან/ჩატარებასთან დაკავშირებული ფორმალური მხარეები, რაც ასევე უარყოფითად შეიძლება აისახოს ბანკის საქმიანობაზე, მაგალითად ბანკის კლიენტის მიერ კანონით განსაზღვრული წესის დარღვევის საფუძველზე ბათილად იქნას მიჩნეული საერთო კრების მიერ გაცემული ავტორიზაცია კომპანიის მიერ ვალდებულების აღებასთან დაკავშირებით, რა შემთხვევაშიც ბანკს წარმოემოხება/გაეზრდება საკრედიტო რისკი, ან/და გართულდება უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაცია.

3.1.9 საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი,

რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. მოქმედი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა). აღსანიშნავია, რომ „ესტონური მოდელი“ არ ეხება საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებს, რომლებთან მიმართებითაც 2023 წლის 1 იანვარს ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმი და ფინანსური ინსტიტუტების მოგება, სადაც დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის, დაექვემდებარა 20%-იან დაბეგვრის განაკვეთს.

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე (რომელიც 2022 წლის ბოლოს გაგრძელდა 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობასა და გაუგებრობას მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იძლევა საგადასახადო ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, გადასახადის გადამხდელების მიერ დაყენებული საგადასახადო საკითხების წინასწარ გადაწყვეტის მიზნით. „კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

3.1.10 მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა პანდემია, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ემიტენტის ბიზნესზე

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც კომპანიის მიერ არ არის წინასწარ განჭვრეტადი, შესაბამისად შეუძლებელია აღნიშნული ფაქტორების სრულად ჩამოთვლა, ან/და მათ მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგების წინასწარ შეფასება, თუმცა აღნიშნულ ფაქტორებს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანად უარყოფითი შედეგი ბანკის საქმიანობაზე. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება პანდემიას, რისი პრევენდენტიც არსებობს უახლოეს წარსულში და რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც ბანკს, ისე მთლიანად საფინანსო სექტორს და ქვეყნის ეკონომიკას და რომლით გამოწვეული შედეგები დღემდე ბოლომდე დაძლეული არ არის. მსგავსი დამაზიანებელი შედეგის მომტანი შესაძლოა იყოს ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობა და სხვა გარე ფაქტორები, რომლის თავიდან არიდება კომპანიის კონტროლს მიღმა იმყოფება. შესაბამისად, თითოეული ასეთი ფაქტორის დადგომის შემთხვევაში შესაძლოა შეფერხდეს კომპანიის ბიზნესის უწყვეტობა და ბანკს დაუდგეს ფინანსური და საოპერაციო სირთულეები, რაც უარყოფითად აისახება ბანკის მომგებიანობასა და გადახდისუნარიანობაზე.

3.2 საზედამხედველო ჩარჩოსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული რისკები

3.2.1 „კომპანია“ ვალდებულია დააკმაყოფილოს გარკვეული საზედამხედველო მოთხოვნები

„კომპანია“ ისევე როგორც ყველა რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტი საქართველოში, ვალდებულია შესაბამისობაში იყოს სებ-ის მიერ დაწესებულ ფინანსური და კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლებთან. სებ-ის ახლანდელი რეგულაცია ბაზელ II-ისა და ბაზელ III-ის სტანდარტების კომბინაციაზეა დაფუძნებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტანდარტები მოდიფიცირებულია სებ-ის მიერ ადეკვატურობის საბანკო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე და ემსახურება ბაზრის საერთაშორისო სტანდარტებთან შემდგომ დაახლოებას.

2017 წლის ივნისში სებ-მა მიიღო ახალი რეგულაცია კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის პილარ 3-ის სტანდარტის მიხედვით გამჟღავნებასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეგულაციის თანახმად კომერციულმა ბანკებმა უნდა გამოაქვეყნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია მათი საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მატერიალური საკითხების შესახებ.

2017 წლის დეკემბერში სებ-მა ასევე შეიტანა ცვლილებები საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებში. ცვლილებები მოიცავდა როგორც უკვე არსებული საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის ცვლილებას ასევე კაპიტალთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების შემოტანას:

- I. დამატებითი კაპიტალის ბუფერის მოთხოვნა კომერციული ბანკებისთვის პილარ 2-ის ფარგლებში;
- II. კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის დადგენა;
- III. სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების და მათთვის შესაბამისი სისტემური ბუფერის მოთხოვნის განსაზღვრა.

აღნიშნული ცვლილებების მიზანია კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესების გზით ბაზელ III-ის ჩარჩოს სრულყოფა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

პილარ 1-ისა და კომბინირებული ბუფერის მოთხოვნები:

საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილებების შედეგად, კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები შესაბამისობაში მოვიდა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ დაწესებულ კაპიტალის ჩარჩოსთან. ცვლილებები მოიცავდა შემდეგ პუნქტებს:

- კონსერვაციის 2.5%-იანი ბუფერის გამოყოფა. ცვლილებებამდე აღნიშნული ბუფერი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნის ნაწილი იყო. განახლებული კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები შეადგენს 4.5%, 6% და 8%-ს ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესაბამისად. წინა პერიოდში მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები შესაბამისად შეადგენდა 7.0%, 8.5% და 10.5%-ს;
- ბანკებს დამატებით მოეთხოვებათ ძირითადი პირველადი კაპიტალის მეშვეობით დამატებითი კომბინირებული ბუფერის დაცვა. აღნიშნული ბუფერი შედგება კონსერვაციის, კონტრციკლური და სისტემური ბუფერებისგან. კონსერვაციის ბუფერი მიმდინარე ეტაპზე გამოთავისუფლებულია კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, თუმცა 2024 წლის იანვარში სრულად აღდგება და შეადგენს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 2.5%-ს. კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი მიმდინარე ეტაპზე 0%-ია თუმცა 2024 წლის მარტიდან შეადგენს 1%-ს. კონტრციკლური ბუფერი შეიძლება დაწესდეს რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0%-დან 2.5%-ის შუალედის ფარგლებში. აღნიშნული ბუფერის პერიოდულად გადახედვა ხდება ფინანსური და მაკროეკონომიკური მდგომარეობის განხილვის კრილში. ლიბერთი ბანკისთვის სისტემურობის ბუფერი მიმდინარე ეტაპზე შეადგენს 1%-ს.

სებ-მა სამ ადგილობრივ კომერციულ ბანკს მიაჩნა ადგილობრივად სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკის სტატუსი. შესაბამისად, აღნიშნული ბანკებისთვის განისაზღვრა დამატებითი ინდივიდუალური სისტემური ბუფერები.

პილარ 2-ის მოთხოვნები:

ბაზელ III-ის ჩარჩო დებულების თანახმად პილარ 2-ის ფარგლებში, სებ-მა შემოიღო დამატებითი კაპიტალის ბუფერის მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის. კომერციულმა ბანკებმა პილარ 2-ის ფარგლებში უნდა შეინარჩუნონ კაპიტალის ადეკვატური ბუფერები იმ რისკებისთვის, რასაც სათანადოდ არ ფარავს პილარ 1.

აღნიშნული კაპიტალის მოთხოვნები მოიცავს სავალუტო რისკისგან დაუცველი რისკის პოზიციებისთვის კაპიტალის ბუფერის მოთხოვნას. აღნიშნული ცვლილების მიზანია დოლარიზაციით გამოწვეული სისტემური რისკის შემცირება. აღნიშნული ბუფერის გარდა, პილარ 2-ის ჩარჩო განსაზღვრავს კაპიტალის ბუფერის მოთხოვნას საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისათვის (როგორც სახელობითი კონცენტრაციის, ასევე სექტორული კონცენტრაციის რისკებისათვის), საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრულ წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერს და სებ-ის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში დაწესებულ წმინდა GRAPE (General Risk Assessment Process) ბუფერის განსაზღვრის წესს. სავალუტო რისკისგან დაუცველი რისკის პოზიციებისთვის კაპიტალის ბუფერის მოთხოვნა 2017 წლის დეკემბრიდან არის ძალაში, ხოლო წმინდა GRAPE ბუფერი 2018 წლის თებერვლიდან, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი 2018 წლის 1 აპრილიდან, ხოლო, წმინდა სტრეს ტესტების ბუფერი 2020 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. ამასთან, IFRS ანგარიშგებაზე გადასვლის პარალელურად 2023 წლის თებერვლიდან ძალაში შევიდა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი.

პილარ 2-ის ფარგლებში დაწესებული მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების იმავე პროპორციით, როგორც ეს მოცემულია მინიმალურ მოთხოვნებში (ძირითადი პირველადი კაპიტალი 4.5%, პირველადი კაპიტალი 6% და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი 8%). შესაბამისად სებ-ის რეგულაციის თანახმად პილარ 2-ის ფარგლებში განსაზღვრული კაპიტალის ნებისმიერი ბუფერის მინიმუმ 56%-ის დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, მინიმუმ 75%-ის დაკმაყოფილება პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო დარჩენილი წილი (მაქსიმუმ 25%) შეიძლება დაცული იყოს მეორადი კაპიტალის ელემენტებით.

კაპიტალის მოთხოვნები, რომლებიც გააჩნია „კომპანის“, მათ შორის პილარ 2-ის მოთხოვნები რეგულირდება და პერიოდულად დგინდება სებ-ის მიერ. ამასთან პილარ 2-ის ზოგიერთი ბუფერი დამოკიდებულია ვალუტის გაცვლითი კურსის დონეზე. შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ ამჟამინდელი მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები არ შეიცვლება.

- ამ ეტაპზე „კომპანია“ არ არღვევს არცერთ შესაბამის კაპიტალისა თუ საზედამხედველო მოთხოვნილ მაჩვენებელს. მენეჯმენტი მოელის, რომ „კომპანია“ შეძლებს დააკმაყოფილოს ამჟამინდელი და მომავალი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები. თუმცა „კომპანიის“ უნარი დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, ზოგიერთი მათგანი კი „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი ფაქტორია, მათ შორისაა:
 - „კომპანიის“ რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი აქტივების ზრდა;
 - „კომპანიის“ შესაძლებლობა მოიზიდოს დამატებითი კაპიტალი;
 - „კომპანიის“ აქტივების ხარისხის გაუარესებით გამოწვეული ზარალი, მოგების დონის შემცირება, ხარჯების ზრდა ან ზემოთჩამოთვლილი რამდენიმე ან ყველა ფაქტორის კომბინაცია;
 - „კომპანიის“ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შემცირება;
 - საანგარიშგებო წესების ან კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გაანგარიშების მეთოდის ცვლილება; და
 - სებ-ის მიერ დაწესებული მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის ზრდა

კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდობის, ფინანსური ვალდებულებების, დაკავშირებულ მხარესთან პოზიციის ლიმიტის ან/და სხვა საზედამხედველო მაჩვენებლების დარღვევამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ საქმიანობაზე. ზემოთაღნიშნული ან სხვა საზედამხედველო მოთხოვნების დარღვევას შეიძლება მოყვეს „კომპანიის“ დაჯარიმება. დარღვევის მნიშვნელობიდან გამომდინარე სებ-ი უფლებამოსილია „კომპანიას“ დააკისროს სხვა უფრო მკაცრი სანქციები, მათ შორის „კომპანიის“ ადმინისტრატორების ხელმოწერის უფლებამოსილების შეზღუდვა, აქტივების ზრდის, მოგების განაწილების, დივიდენდებისა თუ ბონუსის გადახდის, ხელფასების ზრდის ან სხვა ქმედებების დროებით შეჩერება ან განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვა. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში შესაძლებელია „კომპანიისთვის“ საბანკო ლიცენზიის ჩამორთმევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომბინირებული ბუფერის დარღვევის შემთხვევაში, „კომპანიამ“ სებ-თან უნდა წარადგინოს კაპიტალის შენარჩუნების გეგმა და უზრუნველყოს კომბინირებული ბუფერის მოთხოვნების დაკმაყოფილება. თუ სებ-ი ჩათვლის რომ გეგმა არ არის შესაბამისი მან შეიძლება „კომპანიას“ მოსთხოვოს სხვა დამატებითი ზომების მიღება ან/და დააკისროს მას დამატებითი სანქციები. სანქციების ვადის და სიმკაცრის დადგენა სებ-ის მოვალეობაში შედის და დამოკიდებულია დარღვევის მნიშვნელობაზე და ამ დარღვევით გამოწვეულ პოტენციურ რისკებზე.

საზედამხედველო მაჩვენებლების მატერიალური დარღვევის შემთხვევაში ზედამხედველის მიერ დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა იმოქმედოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე წარმართოს საკუთარი ბიზნესი. რამაც თავის მხრივ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

3.2.2 „კომპანია“ საქმიანობას ეწევა განვითარებად საზედამხედველო გარემოში. აღნიშნული საზედამხედველო გარემოს მომავალი ცვლილებები რთული საპროგნოზოა

„კომპანია“ საბანკო საქმიანობას საზედამხედველო გარემოში ეწევა, რაც ნიშნავს რომ მისი სეგმენტების ოპერაციები შეიძლება საზედამხედველო ცვლილებებს დაექვემდებაროს. „კომპანიას“ არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს თუ რა რეგულაცია შევა ძალაში ან/და რა ეფექტი ექნება აღნიშნულ ცვლილებას „კომპანიის“ ბიზნესზე.

„კომპანიის“ საქმიანობა რეგულირდება საქართველოს პარლამენტისა და სებ-ის მიერ მიღებული შესაბამისი კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით და აღნიშნულ საკანონმდებლო აქტებთან ბანკის შესაბამისობას ზედამხედველობს სებ. საზედამხედველო ორგანოები საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას სარგებლობენ ძალიან ფართო სპექტრით და ამასთანავე, საზედამხედველო ჩარჩო მუდმივად იცვლება, ხდება ახალი რეგულაციების იმპლემენტაცია. შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ აღნიშნული გარემო არ

შეიცვლება და რომ საზედამხედველო ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობაზე. თუ რეგულაციები შეიცვლება ან/და „კომპანია“ გააფართოებს თავის ბიზნესს ის შეიძლება დაექვემდებაროს დამატებით რეგულაციებს, რამაც თავის მხრივ შესაძლოა „მნიშვნელოვნად“ იმოქმედოს მის ოპერაციებზე, გარდა ამისა საზედამხედველო ჩარჩოში ცვლილებებმა შესაძლოა შეზღუდოს ბანკის საქმიანობა რომელიმე მიმართულებით, გამოიწვიოს საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდა ან სხვაგვარად უარყოფითად აისახოს ბანკის საქმიანობაზე

რეგულაციების, ფისკალური ან სხვა ტიპის პოლიტიკის მომავალი ცვლილება რთული საპროგნოზოა. ასევე რთული საპროგნოზოა პერიოდის ხანგრძლივობა, რომლის შემდეგაც ძალაში შევა ესა თუ ის ცვლილება. არ არსებობს გარანტია, რომ ახლანდელი საზედამხედველო გარემო, რომელშიც „კომპანია“ საქმიანობს მნიშვნელოვნად არ შეიცვლება, ან რომ „კომპანია“ შეძლებს დააკმაყოფილოს ყველა განახლებული რეგულაცია. თუ რომელიმე ზემოთაღნიშნული რისკი მატერიალიზდება მათ შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეთ „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციის შედეგებზე.

3.2.3 კომპანიის ზრდის ტემპი და მომგებიანობა შესაძლოა გაუარესდეს, მათ შორის სეზ-ის მიერ დაწესებული დამატებითი შეზღუდვების შედეგად

„კომპანია“ ვალდებულია შესაბამისობაში იყოს სეზ-ის მიერ დაწესებულ კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან, მიუხედავად იმისა, რომ თავად კომპანია შესაძლოა არ ეთანხმებოდეს დაწესებულ მოთხოვნებს. პერიოდულად, სეზ-ის მიერ შესაძლოა განხორციელდეს საზედამხედველო კაპიტალის დადგენილი მოთხოვნების კიდევ უფრო გამკაცრება, რა შემთხვევაშიც ბანკს დაჭირდება დამატებითი კაპიტალის მოზიდვა ერთის მხრივ იმ მიზნით რომ შესაბამისობაში იყოს კაპიტალის მოთხოვნებთან და მეორეს მხრივ განაგრძოს საკუთარი სასესხო პორტფელისა და შესაბამისად, საკუთარი საბაზრო წილის ზრდა, რადგან სასესხო პორტფელის ზრდა საზედამხედველო კაპიტალზე ქმნის დამატებით წნეხს. არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ ბანკი შეძლებს დამატებითი კაპიტალის მოზიდვას, რა შემთხვევაშიც შესაძლოა დაირღვეს სეზ-ის მიერ დადგენილი კაპიტალის მოთხოვნები, ბანკმა ვერ შეძლოს სასესხო პორტფელის ზრდა და დაკარგოს არსებული საბაზრო წილი.

მაღალი კონკურენციის, არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოსა და საბანკო საქმიანობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორების გარდა ბანკის მომგებიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს არსებულმა ან სამომავლო საზედამხედველო ჩარჩომ და რეგულაციურმა გარემომ. საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების მიერ სარეზოლუციო ფონდში წინასწარი სავალდებულო შენატანების განხორციელებას. სარეზოლუციო ფონდში ჩარიცხული სახსრები მათ შორის შეიძლება გამოყენებული იქნას რეზოლუციის რეჟიმში მყოფ კომერციულ ბანკზე ან დროებით ბანკზე სესხის ან გარანტიის გაცემის, კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისების ან დროებითი ბანკის ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში, გადაცემულ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობის ანაზღაურების მიზნით. განახლებული საკანონმდებლო მოთხოვნების მიხედვით, კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების მიერ სარეზოლუციო ფონდში განხორციელებულმა შენატანებმა უნდა მიაღწიოს მიზნობრივ ოდენობას, რაც მოცემულ ეტაპზე განსაზღვრულია როგორც „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 3% და პირველი შენატანის გადახდის ვალდებულება კომერციულ ბანკებს წარმოეშობათ 2025 წლის 15 თებერვალს.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით განსაზღვრული დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა პერიოდულად მზარდია, შესაბამისად მზარდია კომერციული ბანკების სარეზოლუციო ფონდში შენატანის ოდენობა, რაც შესაძლოა მძიმე ტვირთი აღმოჩნდეს ბანკისთვის და უარყოფითად იმოქმედოს ბანკის მომგებიანობაზე, ფინანსურ

მდგომარეობასა და განვითარებაზე. ამასთან, არ არსებობს გარანტია, რომ აღნიშნული საზედამხედველო და რეგულაციური მოთხოვნები მომავალში კიდევ უფრო არ გაიზრდება/გამკაცრდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 31 მაისის №90/04 ბრძანების („დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის დაწესების თაობაზე“) შესაბამისად სისტემურად მნიშვნელოვან კომერციულ ბანკებს, მათ შორის სს „ლიბერთი ბანკს“, დაუწესდათ დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის („MREL მოთხოვნა“) ვალდებულება.

„MREL მოთხოვნა“ წარმოადგენს პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც მიიღება დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების შეფარდებით საზედამხედველო კაპიტალსა და მთლიან ვალდებულებებთან. „MREL მოთხოვნის“ შესაბამისად დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის განაკვეთი განისაზღვრა ქვემოთ მოცემული ოდენობით და ვადების შესაბამისად:

- 2024 წლის 1 იანვრიდან 10%-ის ოდენობით;
- 2025 წლის 31 დეკემბრიდან 15%-ის ოდენობით;
- 2027 წლის 31 დეკემბრიდან 20%-ის ოდენობით.

აღნიშნული მინიმალური მოთხოვნის მიზანია, კრიზისული სიტუაციებისთვის სისტემური ბანკების მიერ წინასწარ ბალანსის იმგვარი სტრუქტურის შექმნა, რომელიც ეროვნულ ბანკს, მისი მანდატის ფარგლებში, საშუალებას მისცემს ეფექტურად მოახდინოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი ბანკის რეკაპიტალიზაცია ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის გზით. აღნიშნულმა „MREL მოთხოვნის“ რეგულაციამ შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ კაპიტალის სტრუქტურაზე, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობის მაჩვენებლებზე და ფინანსურ შედეგებზე.

„კომპანია“ ამჟამად აკმაყოფილებს ყველა „MREL მოთხოვნა“-ს და „ობლიგაციების“ გამოშვება არ გამოიწვევს აღნიშნული მოთხოვნების დარღვევას.

3.2.4 „კომპანიის“ შეიძლება დაეკისროს მნიშვნელოვანი ჯარიმები ან/და შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით თუ ის ვერ შეძლებს იმ სამართლებრივი და საზედამხედველო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომლებიც ვრცელდება ფინანსურ ინდუსტრიაზე

„კომპანია“ თავის საქმიანობას ეწევა კომპლექსურ სამართლებრივ და საზედამხედველო გარემოში. თუ „კომპანია“ დაარღვევს შესაბამის კანონებსა თუ რეგულაციებს, შესაძლოა მის წინააღმდეგ დაიწყოს სამართალწარმოება ან/და დაეკისროს ჯარიმები და სხვა სახის სანქციები, შეეზღუდოს დაკრედიტება ან/და კონკრეტული ოპერაცი(ებ)ის განხორციელება. აღნიშნული პროცესების ან სახელმწიფო გამოძიების კომპანიის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტამ შეიძლება მომავალში უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, საოპერაციო შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მათ შორის ამჟამად, ბანკს შესაძლოა დარღვეული ჰქონდეს „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ ან სებ-ის მიერ დადგენილი მოთხოვნა/მოთხოვნები, მათ შორის დაკისრებული ჰქონდეს ჯარიმა, ან/და სხვა სახის სანქცია და მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ყველა შესაძლო საშუალებას მიმართავს აღნიშნული ჯარიმის ან/და სანქციის მოსახსნელად და სებ-ის მოთხოვნების შესასრულებლად, არ არსებობს გარანტია რომ აღნიშნული ჯარიმა/სანქცია ბანკს მოეხსნება, ან მომავალში არ ექნება ადგილი ბანკის მიერ იგივე ან სხვა დარღვევას ან/და მის მიმართ ჯარიმის/სანქციის დაკისრების ფაქტს. სახელმწიფო და საზედამხედველო ორგანოების გამოძიების შედეგი რთული საპროგნოზოა. ამასთან მსგავსი პროცესების წარმოება მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული და შეიძლება გამოიწვიოს მენეჯმენტის ყურადღების გადატანა „კომპანიის“ ყოველდღიური ბიზნეს საქმიანობიდან. აღნიშნული

უარყოფითად აისახება „კომპანიის“ რეპუტაციაზე, ბიზნესზე, ოპერაციის შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

3.2.5 „კომპანიის“ მიერ საბანკო ლიცენზიის პირობების დარღვევამ შესაძლოა შეაფერხოს ან სრულად შეაჩეროს „კომპანიის“ საოპერაციო საქმიანობა

საქართველოში ნებისმიერი საბანკო საქმიანობა ან ფინანსური სერვისების გაწევა საჭიროებს შესაბამის ლიცენზიას სებ-ისგან. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ახორციელებს საქმიანობას შესაბამისი მოთხოვნილი ავტორიზაციის ფარგლებში, არ არსებობს გარანტია, რომ „კომპანია“ მომავალში მოახერხებს მსგავსი ლიცენზიებისა და ნებართვების შენარჩუნებას ან მოიპოვებს მომავალში შემოდებული საჭირო დამატებითი ავტორიზაციის მიღებას.

რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტები საქართველოში ექვემდებარებიან სებ-ის ზედამხედველობას და აქვთ ვალდებულება შეასრულონ მისი მოთხოვნები. სავალდებულო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ლიცენზიის ჩამორთმევა ან რეგისტრაციის გაუქმება. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ბანკს არ დაურღვევია სებ-ის ლიცენზიის პირობები, მომავალში მსგავსი პირობების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს სებ-ის მიერ ლიცენზიის ჩამორთმევა, ჯარიმების დაკისრება, ფულის მასის მოძრაობის გართულება, სებ-ის მიერ დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღება, ბანკის იძულებითი გაყიდვა, ან ლიკვიდაციის პროცესის დაწყება. აღნიშულმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეზღუდოს კომპანიის შესაძლებლობა, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები და თავის მხრივ უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ბიზნესზე, საოპერაციო შედეგებზე, სამომავლო გეგმებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

3.2.6 „კომპანიის“ ფულის გათეთრებასა ან/და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე

ბანკს, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვის და შემცირების მიზნით, შესაბამისი შიდა კონტროლის პოლიტიკა/პროცედურები აქვს შემუშავებული და დანერგული, როგორცაა KYC პროცედურა. გარდა ამისა, ფულის გათეთრებისა და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების გამოვლენისა და თავიდან არიდების მიზნით, მომხმარებლისა და ტრანზაქციების სკრინინგისა და მონიტორინგის განსახორციელებლად ბანკი იყენებს სხვადასხვა პროგრამულ უზრუნველყოფას, ფილტრაციის მეთოდს, ავტორიზებულ ბაზებს, რაც ბანკს საშუალებას აძლევს დროის რეალურ რეჟიმში გამოავლინოს მაღალი რისკის შემცველი ტრანზაქციები/მომხმარებლები.

მიუხედავად აღნიშნულისა, პროცესი გარკვეულწილად ასევე იმართება მანუალურად და შეუძლებელია დანამდვილებით თქმა, რომ მოცემულ ეტაპზე აღნიშნული ზომები არის სრულყოფილი ან/და რომ მიღებული ზომები მომავალში ეფექტური იქნება, ან რომ ეს ზომები დაიცავს „კომპანიას“ ფულის გათეთრების კანონის დარღვევისაგან. ამასთან, ფულის გათეთრებასთან და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონები ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოყალიბების პროცესშია და, შესაბამისად, შესაძლოა მომავალში მათი არსებითი ცვლილება. „კომპანია“ წინასწარ ვერ განსაზღვრავს აღნიშნული ცვლილებების შინაარსს.

2021 წელს ბანკმა გადაიხადა ჯარიმა 149,500 ლარის ოდენობით (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოწმებული პერიოდი შედგებოდა 2018-2020 წლების პერიოდისგან) და ბანკის დაჯარიმების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, კომპანიამ რამდენიმე შემთხვევაში ვერ უზრუნველყო გაძლიერებული იდენტიფიკაციისას პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების ნებართვის

ხელმძღვანელისგან მოპოვება, ერთეულ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო მომხმარებლის კუთვნილი ფულადი სახსრების წარმომავლობის დადგენა, ასევე რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის არასწორად ან/და ვადაგადაცელებით წარდგენას, მონაცემთა აღრიცხვისა და დამუშავების სათანადო ელექტრონული სისტემის არქონას.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო პერიოდში ასევე შემოწმდა 2021-2022 წლების პერიოდი, რის შედეგადაც საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით ბანკს დაეკისრა ჯარიმა 75,000 ლარის ოდენობით. დაჯარიმების ძირითად საფუძველს შეადგენდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის არასწორად / ვადის დარღვევით წარდგენა, მომხმარებლისთვის შესაბამისი რისკის კატეგორიის მინიჭების წესის მოთხოვნების დარღვევა, ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დარღვევა.

ბანკმა შესაძლოა მომავალშიც ვერ უზრუნველყოს ფულის გათეთრებისა და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებასთან დაკავშირებული „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მოთხოვნების ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის/ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გაცემული მითითებების/რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულება და ადგილი ჰქონდეს შესაბამისი „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ დარღვევას, მათ შორის არაერთჯერადად, რასაც მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნება „კომპანიის“ ბიზნესზე, რეპუტაციაზე, საოპერაციო შედეგებზე, სამომავლო გეგმებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ამასთან, მსგავსი დარღვევების აღმოჩენამ შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ წინააღმდეგ სამართალწარმოება ან/და შესაბამისი საზედამხედველო ჯარიმები „კომპანიის“ მიმართ.

3.3 მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის

3.3.1 ემიტენტის საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკები

3.3.1.1 საკრედიტო რისკები

3.3.1.1.1 „კომპანიის“ სასესხო პორტფელის ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, თუ ლარის კურსის გაუფასურებამ შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ სასესხო პორტფელის ხარისხის გაუარესება

„კომპანია“ სესხებს გასცემს როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ სასესხო პორტფელის 19.4% დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში. „კომპანია“ აქტიურად მართავს მის ღია სავალუტო პოზიციას და როგორც კომერციულ ბანკს „სებ“-ისგან დაწესებული აქვს ლიმიტები ღია სავალუტო პოზიციის მოცულობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანმა და უეცარმა ცვლილებამ შეიძლება მატერიალური გავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე და ფინანსურ სიჯანსაღეზე. „კომპანიის“ სასესხო პორტფელის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ამ პროსპექტის 9.1 სექციაში („მომხმარებლებზე გაცემული სესხები“).

3.3.1.1.2 „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ მოახერხოს თავისი სასესხო პორტფელის ხარისხის შენარჩუნება

„კომპანიის“ სასესხო პორტფელის ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს მისგან დამოუკიდებელი გარე ფაქტორების გამო. აღნიშნული გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მოვლენების განვითარებით: საქართველოს ან მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, მომხმარებლების შესახებ საკრედიტო ინფორმაციის არ ან შეზღუდული არსებობა, „კომპანიის“ სასესხო პორტფელის სწრაფი ზრდა,

სესხებისთვის უზრუნველყოფად გამოყენებული აქტივების ღირებულების შემცირება ან „კომპანიის“ მსესხებლების გადახდისუნარიანობის გაუარესება სესხის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის მომავალმა გაუარესებამ, მსესხებლების პირადი შემოსავლის, გადახდისუნარიანობის ან ნდობის შემცირებამ თუ გაუარესებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომხმარებლო ფინანსურ სერვისებისა თუ ზოგადად სამომხმარებლო ნივთების მოთხოვნის შემცირება. პორტფელის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს არა მხოლოდ საქართველოს არამედ ზოგადად რეგიონის ეკონომიკური არასტაბილურობა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამომხმარებლო სესხები (რომლებიც მოიცავენ სამომხმარებლო სესხებს, საპენსიო სესხებს, ოვერდრაფტებს და სახელფასო სესხებს) შეადგენდნენ 945,345 ათას ლარს, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 31.6% იყო. აღნიშნული სესხების ბენეფიციარების მნიშვნელოვანი ნაწილი პენსიონერები არიან. პენსიონერები მაღალ-რისკიანი მსესხებლების ჯგუფს წარმოადგენენ.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უმოქმედო სესხები (PAR 90) მთლიანი პორტფელის 3.1%-ს შეადგენდა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3.0%-ს. რესტრუქტურისებული სესხების შეფარდება მთლიან სესხებთან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1.9%-ს შეადგენდა (2022 წლის 31 დეკემბერი: 3.3%, 2021 წლის 31 დეკემბერი: 6.6%).

2024 წლის 30 ივნისი მდგომარეობით უმოქმედო სესხები (PAR 90) მთლიანი პორტფელის 3.4%-ს შეადგენდა, ხოლო 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 3.4%-ს. რესტრუქტურისებული სესხების შეფარდება მთლიან სესხებთან 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 1.9%-ს შეადგენდა, ხოლო 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 1.8%-ს.

„კომპანიის“ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები („ECL“), გაუფასურების ხარჯები და რისკის ღირებულება შესაძლოა იმ შემთხვევაშიც გაიზარდოს თუ კომპანიის რომელიმე მსხვილი მსესხებელი ან მცირე მსესხებლების მატერიალური კონცენტრაცია განიცდის დეფოლტს.

„კომპანია“ მუდმივად შეისწავლის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას და დეტალურად განიხილავს მიმდინარე ცვლილებებს. აღნიშნულთან ერთად „კომპანია“ ატარებს სტრეს ტესტებსა თუ სცენარების ანალიზს, „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობის გასაანალიზებლად სხვადასხვა მაკროეკონომიკური მოვლენების პირობებში. აღნიშნული გამაფრთხილებელი ზომების მიღების მიუხედავად არ არსებობს გარანტია, რომ „კომპანიის“ სასესხო პორტფელის ხარისხის არ გაუარესდება ან არ გაიზარდება „კომპანიის“ გაუფასურების ხარჯები. რაც თავის მხრივ უარყოფითი გავლენას იქონიებს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე.

„კომპანიის“ სასესხო პორტფელის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ამ პროსპექტის 9.1 სექციაში („მომხმარებლებზე გაცემული სესხები“) ხოლო საკრედიტო ზარალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 9.2 სექციაში („საკრედიტო ზარალის ხარჯი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე“).

3.3.1.1.3 საფინანსო ბაზარის მაღალი ვოლატილობა ბანკისთვის ქმნის დამატებით საკრედიტო რისკს

საქართველოს ეკონომიკა შედარებით ახალ ბაზარს წარმოადგენს და მასში მოქმედ ბიზნეს სუბიექტებს დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით გააჩნიათ კონკურენტულ გარემოში ოპერირებისა და ბიზნესის სწორად დაგეგმვის მნიშვნელოვნად მწირი გამოცდილება, ხოლო საცალო მსესხებლების მიერ საკუთარი ფინანსების მართვისა და საკრედიტო რისკების სათანადო შეფასებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები მხოლოდ ჩანასახის სტადიაზეა და ახლა იწყებს განვითარებას. შესაბამისად, ბანკის მომხმარებელთა საკრედიტო ხარისხი არის ნაკლებად პროგნოზირებადი.

ბანკის კორპორატიული და მიკრო, მცირე და საშუალო კლიენტთა ფინანსური ანგარიშები, რასაც ბანკი ეყრდნობა დაკრედიტების პროცესში, შესაძლოა არ იყოს ზუსტი/სრული და არ იძლეოდეს სრულ სურათს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად. მათ შესაძლოა ასევე არ გააჩნდეთ სათანადო საკრედიტო ისტორია. საცალო მსესხებლები დიდწილად დამოკიდებული არიან სახელფასო, ასევე ინდივიდუალური

საქმიანობიდან მიღებულ არაგარანტირებულ შემოსავლებზე, რაც შესაძლოა ნებისმიერ ეტაპზე შეწყდეს ან შემცირდეს.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მიუხედავად ბანკის მიერ საკრედიტო რისკის მიტიგაციის მიზნით განხორციელებული ქმედებებისა, არ არსებობს გარანტია რომ ბანკი სწორად შეაფასებს მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას და ზუსტად განსაზღვრავს მის გადახდისუნარიანობას. შესაბამისად, მსესხებლებს შესაძლოა შეექმნათ ფინანსური სირთულეები. ამასთან, აღნიშნული შემთხვევები შესაძლოა არ იყოს ერთეული და გამოხატულ იქნას მნიშვნელოვან რაოდენობაში, რასაც მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი ექნება ბანკის საქმიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

„კომპანიის“ მიერ საბაზრო და სხვა რისკების მართვის ჩარჩოს შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ამ პროსპექტის 7.4.7 სექციაში.

3.3.1.1.4 შესაძლოა შემცირდეს „კომპანიის“ მიერ უზრუნველყოფად გამოყენებული აქტივების ღირებულება

სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს „კომპანიის“ საკრედიტო რისკის მიტიგაციის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. შესაბამისად, უზრუნველყოფის ეფექტური გამოყენება რისკის მართვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. „კომპანიის“ მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფა შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ჩამონათვალით: უძრავი ქონება, ფულადი დეპოზიტი, ავტომობილები, დანადგარები, მარაგები, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და მესამე მხარის გარანტიები. თუ რა უზრუნველყოფა გამოიყენება კონკრეტულ სესხზე დამოკიდებულია თავად საკრედიტო პროდუქტის ტიპზე და უშუალოდ მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფილი სესხები „კომპანიის“ მთლიანი სასესხო პორტფელის 58.5%-ს შეადგენდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სესხების მხოლოდ 46.5% არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი. არსებობს რისკი, რომ არალიკვიდური ან ნაკლებად ლიკვიდური ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე უზრუნველყოფამ ვერ შეასრულოს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ფუნქცია და კომპანიას აღნიშნულის შედეგად მიადგეს ზიანი, ან/და სებ-ის მიერ მომავალში გამკაცრდეს მიდგომა სესხის კოლატერალიზაციის მაჩვენებლის მიმართ.

„საქართველოს ეროვნული ბანკის“ დაკრედიტების რეგულაციის თანახმად უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი იპოთეკური სესხის გაცემის მომენტში აღნიშნული სესხის უზრუნველყოფის მაჩვენებელი (loan-to-value ratio/LTV) არ უნდა აღემატებოდეს 85%-ს (მაჩვენებელი ითვლება უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებით სესხის გაცემის მომენტში ლარის სესხებზე; უცხოური ვალუტის სესხებზე იგივე მაჩვენებელი 70%-ია); „კომპანიის“ დაკრედიტების პოლიტიკით განსაზღვრული სტანდარტი აღნიშნულ პროდუქტთან მიმართებაში უფრო მკაცრია.

უძრავი ქონების გარდა ბანკი გაცემული სესხების უზრუნველყოფად ასევე იყენებს ოქროს, ავტოსატრანსპორტო საშუალებას და სხვა სახის მოძრავ ქონებას. საცხოვრებელი და კომერციული ფართების, ოქროს ფასის შემცირებამ, ავტო-მპორტსა და ავტო-სადილერო ბიზნესზე რეგულირების გამკაცრებამ, „კომპანიის“ მსესხებლების საქმიანობის სექტორის ეკონომიკური პირობების გაუარესებამ ან არასტაბილურობამ შესაძლოა გამოიწვიოს უზრუნველყოფის არალიკვიდურობა ან აღნიშნული აქტივის ღირებულების შემცირება. არსებითი გაუარესების შემთხვევაში შესაძლებელია უზრუნველყოფის ღირებულება იმდენად შემცირება, რომ აქტივის ღირებულება ჩამოცდეს შესაბამისი უზრუნველყოფილი სესხის მიმდინარე ბალანსის დაფარვისთვის საკმარის ოდენობას. იქიდან გამომდინარე რომ „კომპანიის“ იპოთეკური პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი (1.7% 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ლარის გაუფასურებამ რომელიმე ვალუტის მიმართ შესაძლოა გამოიწვიოს უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ლარის ექვივალენტის მიმდინარე ბალანსის იმდენად გაზრდა, რომ აღნიშნული სესხების უზრუნველყოფამ ვერ დაფაროს სესხის დარჩენილი ბალანსი.

უზრუნველყოფის ღირებულების შემცირებამ ან ზოგადად არასტაბილურმა ფასებმა საქართველოს ბაზარზე შესაძლოა გაართულოს „კომპანიის“ მიერ უზრუნველყოფის ზუსტად შეფასების პროცესი. თუ „კომპანიის“ მიერ უზრუნველყოფად გამოყენებული აქტივების ნამდვილი ღირებულება მომავალში არსებითად გაუფასურდება, შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი შესაძლო დანაკარგების რეზერვის ზრდა ან/და უმოქმედო უზრუნველყოფილი

სესხების ამოღების კოფიციენტის შემცირება. ამასთან, კანონებისა თუ რეგულაციების მომავალმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს უზრუნველყოფის ღირებულების შემცირება. იხილეთ „კომპანია“ საქმიანობას ეწევა განვითარებად საზედამხედველო გარემოში. აღნიშნული საზედამხედველო გარემოს მომავალი ცვლილებები რთული საპროგნოზოა ზემოთაღნიშნული რისკებიდან რომელიმეს განხორციელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

„კომპანიას“ შესაძლოა შეექმნას პრობლემები სესხის უზრუნველყოფის დასაკუთრებასთან დაკავშირებით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, უზრუნველყოფის დასაკუთრების აღსრულება მოითხოვს სესხის გაცემის მომენტში უზრუნველყოფის ზუსტ და შეუცდომელ რეგისტრაციას. „კომპანია“ მიმართავს ზომებს, იმისთვის რომ დაარეგისტრირდეს საკუთარი ინტერესები იმ აქტივებზე, რომლებსაც ის სესხის უზრუნველყოფად იყენებს. თუმცა, ნებისმიერმა შეცდომამ სარეგისტრაციო პროცესში შეიძლება გამოიწვიოს უზრუნველყოფის დოკუმენტის არავალიდურობა ან სხვა უზრუნველყოფილი მხარეების უპირატესობა დასასაკუთრებელი აქტივის მიმართ. მაგალითად, იქიდან გამომდინარე, რომ მოძრავი ქონების რეალიზაციის შეზღუდვა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული მოძრავი ქონებაზე მოთხოვნის დაარეგისტრირება შეიძლება არ იყოს პრაქტიკული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის შემდგომი ესკალირება შესაძლოა საბოლოოდ წარუმატებელი გამოდგეს, მსესხებლის მიერ შემხვედრი სამართალწარმოების წამოწყების შემთხვევაში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განაახლა უზრუნველყოფად გამოყენებული აქტივების დასაკუთრების აღსრულების მეთოდებთან დაკავშირებული გარკვეული წესები. აღნიშნულმა ცვლილებებმა შესაძლოა დროში გაწელოს უზრუნველყოფის დასაკუთრების პროცესი და გაზარდოს ამ პროცესის წარმოებასთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები. მაგალითისთვის, რამდენიმე წლის წინ გაუქმდა „პოლიციის დახმარებით გასახლების“ მეთოდი. დღესდღეობით, გასახლების პროცესის წარმოებისთვის საჭიროა სასამართლოს გადაწყვეტილება და პოლიციის დახმარება, როდესაც 2015 წლის დეკემბრამდე გასახლების პროცესი მხოლოდ პოლიციის დახმარებით (სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე) მიმდინარეობდა.

გარდა ამისა, ბოლო წლების მანძილზე, ქართული სასამართლოები აფიქსირებენ მკვეთრად უარყოფით და კონსერვატიულ პოზიციას სხვადასხვა საარბიტრაჟო ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების ნაწილში, რაც აიძულებს კომპანიას მიმართ სასამართლო სისტემას აღსრულების მოთხოვნით. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო დავები დროში იწელება და ხშირად საბანკო დაწესებულებები მკვეთრად უარყოფით პოზიციაში არიან ჩაყენებულები მოსამართლეების მიერ, არ არსებობს გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს/ან დროულად მოახერხებს მოახერხოს სესხის უზრუნველყოფის სრული ღირებულების რეალიზაციას. რამაც, შესაძლოა თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ მიერ უმოქმედო სესხების ამოღების პროცესზე.

3.3.1.15 „კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა თუ პროცედურები შეიძლება არ იყოს საკმარისი საკრედიტო რისკის ეფექტური მიტიგაციისთვის

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ დებს მნიშვნელოვან ძალისხმევას და დროს რისკის მენეჯმენტის სტრატეგიის შემუშავებაში, განვითარებასა და დანერგვაში აღნიშნული ქმედებები გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი რისკის ეფექტური მიტიგაციისთვის. იმ შემთხვევაში თუ წარმოიშვება

ისეთი გარემოებები, რომლებიც „კომპანია“ არ დაუიდენტიფიცირებია ან ადეკვატურად არ გაუთვალისწინებია რისკის შეფასების მეთოდოლოგიაში „კომპანია“ შეიძლება არსებითად დაზარალდეს. თუ „კომპანიის“ მიერ განხორციელებული ქმედებები რისკების შეფასებისა და შემცირებისთვის არ იქნება ეფექტური, ან მისი მოდელები არ იქნება გამართული სწრაფად ცვალებადი გარემო-ფაქტორების პირობებში, გამოყენებული იქნება არასწორი დაშვებები და შეფასებები, „კომპანია“ და მისი საოპერაციო საქმიანობა შესაძლოა მნიშვნელოვნად დაზარალდეს, რაც შესაძლოა გამოიხატოს სასესხო პორტფელის ვადაგადაცილების ზრდაში, რაც თავის მხრივ გამოიწვევს რეზერვების ზრდას.

საკრედიტო რისკებთან დაკავშირებული ზარალი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიის“ მართვის პოლიტიკა, პროცედურები ან შეფასების მეთოდები ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდება. „კომპანია“ რისკის მართვისთვის იყენებს ბაზრის ისტორიულ მონაცემებზე დაფუძნებულ ხარისხობრივ თუ რაოდენობრივ მეთოდებს. აღნიშნული მონაცემები შეიძლება არაზუსტი აღმოჩნდეს მომავალი რისკის საპროგნოზოდ. მსგავსი შეცდომების რისკი განსაკუთრებით იზრდება ფასების რყევის, უზრუნველყოფად გამოყენებული აქტივების ღირებულების შემცირების ან სასესხო პორტფელის სწრაფი ზრდის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ მსესხებლებისგან მოითხოვს რეგულარული ფინანსური ანგარიშგების მოწოდებას, აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს მომხმარებლის ეკონომიკური თუ ფინანსურ მდგომარეობის სრულ ან/და ზუსტ სურათს. „კომპანიის“ ზოგიერთ მსესხებელს შეიძლება არ ჰქონდეს დეტალური ან მესამე მხარისგან დადასტურებული საკრედიტო ისტორია. ამასთან, მათი ანგარიშგებები შეიძლება არ იყოს კვალიფიციური გარე აუდიტორის მიერ დადასტურებული. შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ „კომპანიას“ გააჩნია საკრედიტო რისკის შეფასების პროცედურები, მან შეიძლება ეფექტურად ვერ შეაფასოს თითოეული პოტენციური ან არსებული მსესხებლის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა ან/და სწორად ვერ შეაფასოს ამ მსესხებლის უნარი ეფექტურად დაფაროს მასზე გაცემული სესხი, სესხის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

ამასთან, მცირე და საშუალო ან მიკრო ბიზნეს სესხების გაცემა შესაძლოა უფრო დიდი რისკის მატარებელი აღმოჩნდეს ვიდრე „კომპანიის“ მიერ პირველადი შეფასება. ძირითადად ამ ტიპის ბიზნეს მსესხებლებს მსხვილი კომპანიებისგან განსხვავებით ნაკლებად ფორმალიზებული თუ სტანდარტიზებული ფინანსური ანგარიშგებები გააჩნიათ. შესაბამისად, აღნიშნული მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ზუსტი დაპროგნოზება უფრო მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე „კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი რისკის ეფექტური იდენტიფიცირებისა და მართვისთვის, რამაც თავის მხრივ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

„კომპანიის“ მიერ რისკების მართვის ჩარჩოს შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ამ პროსპექტის 7.4.7 სექციაში.

3.3.1.1.6 საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთან ინფორმაციის მიმოცვლა შესაძლოა არ იყოს დროული ან/და სრულყოფილი

მოქმედი საბანკო რეგულაციების შესაბამისად, კომპანია ჩართულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში (კრედიტინფო საქართველო), რომელიც საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს აძლევს საშუალებას, მიიღონ ინფორმაცია პოტენციური მსესხებლის საკრედიტო გადახდისუნარიანობის შესახებ. საკრედიტო რისკის შეფასებისას ბანკი იყენებს კრედიტინფოსგან მიღებულ ინფორმაციას, თუმცა არ არსებობს არანაირი გარანტია რომ მიღებული ინფორმაცია არის ზუსტი და სრულყოფილი, მათ შორის იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ კომერციულ ბანკებსა და კრედიტინფოს შორის ინფორმაციის მიმოცვლა ხორციელდება ინფორმაციულ ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. ნებისმიერმა ხარვეზმა, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ინფორმაციულ ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით ინფორმაციის მიმოცვლისას, შესაძლოა მნიშვნელოვნად დაამახინჯოს რეალური ინფორმაცია, რასაც ბანკი ეყრდნობა

საკრედიტო რისკის შეფასებისას. ამასთან, გარდა ზემოაღნიშნულისა, არ არსებობს გარანტია რომ კრედიტინფოს სისტემაში ჩართული ყველა ბანკის ახდენს ინფორმაციის სრულად, სწორად და დროულად გაზიარებას.

გარდა საკრედიტო რისკის შესაფასებლად ინფორმაციის გამოთხოვისა, კრედიტინფოსთან ინფორმაციის მიმოცვლა ასევე რისკის შემცველია ბანკის მხრიდან ინფორმაციის გაგზავნის კუთხით, რადგან არ არსებობს არანაირი გარანტია რომ ინფორმაცია გაგზავნილი იქნება სრულად, ზუსტად და დროულად, როგორც ეს მოთხოვნილია მოქმედი რეგულაციებით, მათ შორის ინფორმაციის გაგზავნისას დაცული იქნება მომხმარებლის პერსონალური მონაცემები, სათანადო წესითა და ფორმით იქნება მოპოვებული მომხმარებლის თანხმობა და ა.შ.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, კრედიტინფოსთან ინფორმაციის მიმოცვლის პროცესში არსებულმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს როგორც ბანკის სასესხო პორტფელის ხარისხის გაუარესება, ისე ბანკისთვის მნიშვნელოვანი ოდენობის ჯარიმების დაკისრება, რაც მნიშვნელოვნად უარყოფითად აისახება ბანკის საოპერაციო საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

3.3.1.1.7 „კომპანიის“ სადაზღვევო პოლისებმა შესაძლოა არ ან სრულად არ აანაზღაურონ გარკვეული სახის ზარალი

„კომპანიას“ გააჩნია სადაზღვევო პოლისები, რომლებიც ფარავენ მის აქტივებს, ოპერაციებს და ზოგიერთი თანამშრომლის დაზღვევას. აღსანიშნავია, რომ კომპანიის სასესხო პორტფელის დაზღვევა არ ხდება. არ არსებობს იმის გარანტია რომ „კომპანიას“ ყველა სახის პოტენციური რისკი დაზღვეული აქვს ან რომ პოლისის ლიმიტები საკმარისია დაზღვეული რისკების მატერიალიზებით გამოწვეული პოტენციური ზარალის დასაფარად. ნებისმიერმა დაუზღვეველი რისკის მატერიალიზებამ ან დაზღვეული ლიმიტების ზემოთ განხორციელებულმა ზარალმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, რასაც თავის მხრივ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

3.3.1.1.8 საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ „ბანკისთვის“ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი შესაძლოა გაუარესდეს

ამჟამად საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებს (Fitch და Moody's) ბანკისთვის მინიჭებული აქვთ გრძელვადიანი და მოკლევადიანი რეიტინგი, რომელიც შესაძლოა ნებისმიერ დროს შეიცვალოს ემიტენტის ან ქვეყნის ფინანსური ან ეკონომიკური მდგომარეობის გაურესების, ქვეყანაში ან რეგიონში არსებული არასტაბილური პოლიტიკური გარემოს, ნეგატიური მოლოდინებისა და პროგნოზების ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, რამაც შესაძლოა ბანკის საქმიანობაზე მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ბანკის ლიკვიდობასა და რეპუტაციაზე, შეასუსტოს ბანკის მიმართ ინვესტორების ნდობა, გაართულოს და გააძვიროს ბანკისთვის ლიკვიდური სახსრების ხელმისაწვდომობა და გამოიწვიოს ბანკის მიერ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულებების დეფოლტი. „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პუნქტი 6.5 („არსებობის შემთხვევაში, კომპანიის საკრედიტო რეიტინგი“).

სარეიტინგო სააგენტოების უახლესი ანგარიშები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე:

Fitch: <https://www.fitchratings.com/entity/jsc-liberty-bank-88787064>

Moody's: <https://www.moody.com/credit-ratings/Liberty-Bank-JSC-credit-rating-825364714>

3.3.1.2 საოპერაციო რისკები

3.3.1.2.1 „კომპანია“ დამოკიდებულია მესამე მხარის მიერ მოწოდებულ სერვისებზე. მესამე მხარის მხრიდან საკონტრაქტო ან „კომპანიის“ ხარისხის მოთხოვნების პირობების დარღვევამ, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე

„კომპანია“ იყენებს ვენდორებისა და მესამე მხარის კონტრაქტორებს იმ პროექტების განხორციელებისთვის, რომლებიც სპეციალურ ექსპერტიზას საჭიროებს. მაგალითად ისეთ პროექტებს როგორცაა მისი ძირითადი საბანკო სისტემის დახვეწა. მესამე მხარის კონტრაქტორის შესაძლებლობა შეასრულოს თავისი ვალდებულებები „კომპანიის“ კონტროლს არ ექვემდებარება. აქედან გამომდინარე „კომპანია“ შეიძლება არ იყოს კმაყოფილი მესამე მხარის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხით. მესამე მხარეების მიერ „კომპანიასთან“ შეთანხმებული ხარისხის სტანდარტების ან საკონტრაქტო პირობების ხშირმა და განგრძობითმა დარღვევებმა შემთხვევებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე შეასრულოს მისი სტრატეგიული მიზნები, და შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესსა და რეპუტაციაზე. იხილეთ „კომპანიის“ გააჩნია რისკები მისი უსაფრთხოებისა თუ კომპიუტერული სისტემისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის პოტენციურ გაუმართაობასთან დაკავშირებით.“

3.3.1.2.2 „კომპანიის“ გააჩნია რისკები მისი უსაფრთხოებისა თუ კომპიუტერული სისტემისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის პოტენციურ გაუმართაობასთან დაკავშირებით

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიის“ დანერგილი აქვს ტექნოლოგიური აიტი გარემოს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები, ის მაინც მგრძობიარეა კომპიუტერული თუ უსაფრთხოების სისტემების გაუმართაობის რისკის მიმართ. ნებისმიერმა მსგავსმა შემთხვევამ შეიძლება ავნოს „კომპანიის“ ბიზნესს. იქიდან გამომდინარე, რომ კომპიუტერული და უსაფრთხოების სისტემები მუდმივად იხვეწება „კომპანიის“ მიერ ამ ცვლილებების დროულად დანერგვის შეუძლებლობამ შეიძლება გაზარდოს „კომპანიის“ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის პოტენციური გაუმართაობის რისკი.

უსაფრთხოების სისტემის დარღვევამ ან/და სხვა შეფერხებებმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ პროდუქტების, ოპერირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საინფორმაციო სისტემებისა და პროცესების, მომხმარებლების პირადი ინფორმაციის უსაფრთხოება, რომელიც ინახება „კომპანიის“ კომპიუტერულ სისტემებში. აღნიშნული რისკის რეალიზებამ შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაჯარიმება, მნიშვნელოვანი ზარალი და მისი არსებული ან პოტენციური მომხმარებლების ნდობის დაკარგვა. „კომპანიის“ უსაფრთხოების სისტემის დამრღვევმა მხარემ შეიძლება ბოროტად გამოიყენოს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ან/და გამოიწვიოს შეფერხება „კომპანიისა“ და მისი მომხმარებლების საქმიანობაში. „კომპანიის“ შეიძლება მოუწიოს მნიშვნელოვანი ოდენობის კაპიტალისა და რესურსის დახარჯვა იმისათვის, რომ მომავალში თავი დაიცვას უსაფრთხოების სისტემის დარღვევისგან. თუ უსაფრთხოების სისტემის დაირღვევა „კომპანიის“ შეიძლება წარმოემშვას მნიშვნელოვანი ვალდებულება, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიის“ დღემდე არ განუცდია მსგავსი სახის მატერიალური დარღვევა, „კომპანია“ ხშირად შეიძლება გახდეს კიბერშეტევების სამიზნე. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მსგავსი შეტევების ინტენსივობა და სოფისტიცირება იზრდება. „კომპანია“ მომავალში შეიძლება დადგეს სისტემის გაუმართაობის, სერვისის-უარის (denial-of-service), არასაკმარისი ან არაეფექტური შემაკავებელი საშუალებების არსებობის რისკის წინაშე და გახდეს კიბერ შეტევების სამიზნე. არსებულმა ინფორმაციული და ტექნოლოგიური უსაფრთხოების სისტემებმა შესაძლოა ვერ უზრუნველყოს მსგავსი ტიპის შეტევების თავიდან აცილება. აღნიშნულმა შეტევებმა შეიძლება შეაფერხოს ბანკის სერვისების ხელმისაწვდომობა, შეამციროს ან უარყოფითად იმოქმედოს მისი სისტემების სიჩქარეზე ან ფუნქციონირებაზე. სერვისების ხელმისაწვდომობის გახანგრძლივებული შეფერხება ან „კომპანიის“ ძირითადი საბანკო სისტემის ფუნქციონირების შეფერხებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ბიზნესზე. მსგავსი პოტენციური შემთხვევების მუდმივმა ხდომილებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი კლიენტების უნდობლობა.

მომხმარებლებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ „კომპანიის“ ინფრასტრუქტურა არ არის სანდო და შესაბამისად გადაერთონ მისი კონკურენტების მომსახურებაზე ან თავი აარიდონ „კომპანიის“ პროდუქტების გამოყენებას. აღნიშნულმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ რეპუტაციასა და ბრენდზე.

„კომპანიის“ უსაფრთხოების არსებულმა ან კლიენტის მიერ აღქმულმა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ოპერაციების შეფერხება, რამაც თავის მხრივ სხვა შედეგებთან ერთად შეიძლება გამოიწვიოს მისი სერვისების ხელმისაწვდომობის შეფერხება, კონფიდენციალური ინფორმაციის ბოროტად გამოყენება, მისი ბრენდისა და რეპუტაციის არსებითად დაზარალება, მნიშვნელოვანი საზედამხედველო ჯარიმების დაკისრება ან სამართლებრივი პროცესების წარმოება. აღნიშნული სისტემების ნებისმიერმა შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს არამხოლოდ კომპანიის, არამედ მისი მომხმარებლების დაზარალება. აღნიშნულმა მომხმარებლებმა შეიძლება „კომპანიისგან“ მოითხოვონ მიღებული ზარალის ანაზღაურება. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მუდმივად მუშაობს მისი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დახვეწაზე, არ არსებობს გარანტია, რომ ზემოთაღნიშნული რისკები არ მატერიალიზდება. რამაც თავის მხრივ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

3.3.1.2.3 დისტანციური საბანკო მომსახურების პლატფორმები მომეტებული რისკის შემცველია

ბანკის მრავალარხიანი დისტანციური, საგადამხდელო და ადგილზე მომსახურების საბანკო სერვისები კრიტიკულად დამოკიდებულია ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ტექნოლოგიური სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული მომსახურებები მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ლიბერთი ექსპრესის მობილურ სერვის-ცენტრებს, გადახდების მიღების, პროცესინგის, ანგარიშსწორებისა და ელექტრონული კომერციის განხორციელების სისტემებსა და საშუალებებს, ბანკომატებით, სწრაფი გადახდის ტერმინალებითა და პოს ტერმინალებით მომსახურებას, ინტერნეტ და მობაილ ბანკების არხებს. აღნიშნული არხები და სერვისები კომპანიის ბიზნეს საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ტრანზაქციების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მუშავდება. არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ აღნიშნული არხებითა და სერვისებით ბანკი მომავალშიც გაუწევს მომსახურებას საკუთარ მომხმარებელს, ან რომ ადგილი არ ექნება ისეთი სახის ინფორმაციულ ან ტექნოლოგიურ ხარვეზს, რასაც შეუძლია მნიშვნელოვნად დააზიანოს აღნიშნულის სისტემების გამართული ფუნქციონირება, რასაც მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი ექნება ბანკის რეპუტაციულ, ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობაზე და რასაც შეუძლია ასევე გამოიწვიოს ბანკიდან მომხმარებლების მასიური გადინება.

3.3.1.2.4 „კომპანიას“ გააჩნია საბანკო საქმიანობისთვის დამახასიათებელი საოპერაციო რისკები

„კომპანიას“ შიდა პროცესების გაუმართავობის, ადამიანური შეცდომების, ტრანზაქციების არასწორად განხორციელების, კომპიუტერული სისტემებისა თუ საკომუნიკაციო არხების გაუმართავობის, არავტორიზებული ტრანზაქციების განხორციელების, ქურდობის, თაღლითობის, თანამშრომელთა არაკვალიფიციურობის თუ სხვადასხვა აქტივების დაზიანების რისკი. ჩამოთვლილთან ერთად, სამოქმედო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ფინანსური სერვისების მიმწოდებელი კომპანიები დგანან თანამშრომლების მხრიდან უკანონო ქმედების განხორციელების რისკის წინაშე. აღნიშნული სხვა ქმედებებთან ერთად შეიძლება მოიცავდეს, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას ან დანიშნულების გარდა რაიმე სხვა მიზნით გამოყენებას, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, თაღლითობას, ბანკის შიდა პროცედურებით განსაზღვრული ლიმიტების დარღვევას, თანამშრომელთა მიერ მომეტებული რისკის აღებას, რასაც თან ასევე შეიძლება ახლდეს თანამშრომელთა, მათ შორის იმ თანამშრომელთა მხრიდან შესაბამისი ფაქტების დამალვა/გაუცხადებლობა, ვისაც ფუნქციურად ევალება მსგავსი ფაქტების აღმოჩენა და თავიდან არიდება. „კომპანიის“ თანამშრომლების მიერ ნებისმიერი ზემოთაღნიშნული ქმედების განხორციელებას არსებითი ფინანსური და რეპუტაციული ზარალის გამოწვევასთან ერთად შეიძლება მოჰყვეს ზედამხედველის მიერ მნიშვნელოვანი სანქციების ან ჯარიმების დაწესება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბევრი პროცესი ბანკის მასშტაბით არ არის ავტომატიზებული და მათი მართვა ხდება მანუალურად, რა შემთხვევაშიც კიდევ უფრო იზრდება თანამშრომელთა მიერ არაავტორიზებული ან/და თაღლითური ქმედებების როგორც წინასწარი განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით განხორციელების რისკი. აღნიშნული რისკის მატერიალიზაციამ ბანკის საქმიანობაზე შესაძლოა იქონიოს მნიშვნელოვანად უარყოფითი ეფექტი.

„კომპანიის“ საქმიანობისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საბანკო სისტემის, რისკის მართვის, შიდა კონტროლის, საბუღალტრო ანგარიშგების, საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების, დაკრედიტებისა თუ სხვადასხვა საბანკო სერვისების მიწოდების პროცესების გამართულ ფუნქციონირებას. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, „კომპანიის“ საქმიანობის გაფართოებასთან ერთად, გაიზარდა თაღლითობის რისკი. „კომპანია“ დგას კიბერ-უსაფრთხოების ხუთი ძირითადი რისკის წინაშე: ინფორმაციის გაჟონვა, ინსაიდერული ინფორმაციისა და პრივილეგიების ბოროტად გამოყენება, სისტემაში კიბერ-შემოჭრები, ქსელური შეტევები და მაღალი ხარისხის მიზანმიმართული საფოსტო შეტევები (ფიშინგი). მიუხედავად იმისა, რომ დღემდე მსგავს კიბერ შეტევებს „კომპანიის“ ოპერაციებზე მატერიალური გავლენა არ ჰქონიათ, მომავალში განვითარებადი ტექნოლოგიებისა და გაფართოებული საქმიანობის ფონზე მოსალოდნელია მსგავსი შემთხვევების რიცხვის ზრდა.

„კომპანიამ“ შეიძლება განიცადოს სისტემის გაუმართავობის შემთხვევები, სერვისზე უარის თქმის (denial-of-service) ან სხვა სახის შეტევები. აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება შეაფერხოს „კომპანიის“ საქმიანობა, დროებით შეზღუდოს მისი სერვისების ხელმისაწვდომობა ან უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ კომპიუტერული სისტემის სიჩქარესა თუ ფუნქციონირებაზე. „კომპანიის“ უსაფრთხოების არსებული ან კლიენტის მიერ აღქმული დარღვევები საფრთხეს უქმნის მისი საქმიანობის შეუფერხებლობას, სერვისების ხელმისაწვდომობას და ზრდის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკს. აღნიშნულმა თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ მიმართ გარკვეულ სამართლებრივი ან ფინანსურ წარმოების დაწყება. ტექნოლოგიური სისტემების გაუმართავობამ ამ მათი გაუმჯობესების შეფერხებამ შეიძლება გამოიწვიოს საბანკო სისტემის დაუგეგმავი გაუმართავობა, მომხმარებლის თხოვნის დაკმაყოფილების შენელებული დრო, კლიენტის კმაყოფილების გაუარესება და საოპერაციო თუ ფინანსური ინფორმაციის არაზუსტი ანგარიშგება. აღნიშნული შეიძლება უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ ოპერაციის შედეგებზე და სამომავლო პერსპექტივაზე.

„კომპანიის“ მენეჯმენტი თვლის, რომ „კომპანიის“ რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ადეკვატურია. მიუხედავად ამისა, ნებისმიერმა გაუმართავობამ რისკის მართვის სისტემაში შესაძლოა ხელი შეუშალოს „კომპანიის“ მოულოდნელი რისკის იდენტიფიცირებაში და საოპერაციო რისკების ეფექტურ მიტიგაციაში. მესამე მხარის მიერ მოწოდებული სერვისის მნიშვნელოვანმა დარღვევამ, როგორცაა მაგალითად ბარათების დამუშავება ან ფულის ტრანსპორტირება შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციის შედეგებზე.

ინფორმაცია სასამართლო დავებთან დაკავშირებით, რომლებსაც შესაძლოა უკავშირდებოდეს გარკვეული დამატებითი რისკები, გთხოვთ იხილეთ ქვეპუნქტი 19.10-ში (სასამართლო პროცესები).

3.3.1.2.5 ბანკის მიერ დანერგილი საბუღალტრო, ფინანსური, საანგარიშგებო და კონტროლის სისტემები შესაძლოა არ იყოს თანმიმდევრული, უხარვეზო ან სათანადოდ ფორმალიზებული

ბანკი საკუთარი საქმიანობისას ეყრდნობა ფინანსური რეპორტირებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების საშუალებებს და ანგარიშგებების მომზადებისა და გამოქვეყნებისას ვალდებულია დაიცვას რეგულაციური მოთხოვნები და სტანდარტები, მათ შორის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი („ფას“). კომპანიის მიერ მომზადებული ანგარიშგებები შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში არ იყოს სათანადოდ ფორმალიზებული ან დეტალიზებული. გარდა აღნიშნულისა, მსგავსი ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მაღალკვალიფიციურ თანამშრომელთა მნიშვნელოვან რაოდენობას და ამასთან, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები განიცდიან ხშირ ცვლილებებს და განვითარებას. სტანდარტების ცვლილების შედეგად შესაძლებელია არსებითად შეიცვალოს კომპანიის

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგებების სტრუქტურა. შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ ბანკის მიერ მომზადებული ანგარიშები და ანგარიშგებები, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და სხვა ანგარიშები და ანგარიშგებები იქნება ზუსტი და სრული, ასევე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფაქტობრივ შეუსაბამობას ან/და შეცდომას. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს წინა წლების ისტორიული ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება, რათა მოხდეს ისტორიული მონაცემების ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი რომ ფინანსური ანგარიშგებები, რომელთა საფუძველზეც ინვესტორები იღებენ „კომპანიის“ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციის განთავსების გადაწყვეტილებას, შეიცვლება ფასს სტანდარტების ცვლილებასთან შესაბამისად, რასაც თავის მხრივ, შესაძლოა ჰქონდეს ექნება უარყოფითი ეფექტი ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან/და ობლიგაციებში განხორციელებულ ინვესტიციაზე.

3.3.1.3 მომგებიანობასთან დაკავშირებული რისკები

3.3.1.3.1 „კომპანიის“ წმინდა საპროცენტო მარჟის არსებითმა ცვლილებამ ან რყევამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ შედეგებზე

„კომპანიის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მისი მთლიანი წმინდა მოგების ძირითად ნაწილს მისი წმინდა საპროცენტო მოგება შეადგენს. შედეგად, „კომპანიაზე“ მოქმედებს მისი წმინდა საპროცენტო მარჟის რყევები. აღნიშნული რყევები თავის მხრივ მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის არის ისეთი ფაქტორები, რომლებიც „კომპანიის“ კონტროლს არ ექვემდებარება. აღნიშნული ჩამონათვალი მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ჩამონათვალით: საპროცენტო განაკვეთი, კომერციულ ბანკებს შორის კონკურენცია სესხებსა და დეპოზიტებზე, მომხმარებლების მოთხოვნა კომერციული ბანკების პროდუქტებზე და „კომპანიის“ მიერ ფინანსური სახსრების მოზიდვის ხარჯი.

ჩამოთვლილი ფაქტორები ძირითადად დამოკიდებულია საერთაშორისო და ადგილობრივ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე, კონკურენტი კომერციული ბანკებისათვის ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებსა და მომხმარებელთა ნდობაზე. საპროცენტო განაკვეთი და ფინანსური სახსრების მოზიდვის ღირებულება განსაკუთრებით სენსიტიურია ისეთი ფაქტორების მიმართ როგორებიცაა მონეტარული პოლიტიკა, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო და სებ-ის მიერ დაწესებული მინიმალური მაჩვენებლები და კონსერვატიული დაკრედიტების მოთხოვნები. საპროცენტო შემოსავალსა და საპროცენტო ხარჯს შორის სხვაობას, რომელიც შესაძლოა გამოწვეულ იქნას რომელიმე ზემოაღნიშნული ან სხვა ფაქტორით, შესაძლოა გააჩნდეს კომპანიის წმინდა საპროცენტო მარჟის შემცირების ეფექტი. 2023 წელს ბანკის წმინდა საპროცენტო მარჟა 9.3%-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს - 9.8%-ს. წმინდა საპროცენტო მარჟის შემცირება გამოიწვევს თავის მხრივ წმინდა საპროცენტო შემოსავლის შემცირებას, რაც უარყოფითად აისახება ბანკის მომგებიანობაზე.

მძაფრი კონკურენციის პირობებში შესაძლოა მომხმარებლებმა გადაფარონ „კომპანიის“ მიერ გაცემული სესხები, ან ახალი სასესხო პროდუქტებისთვის კონკურენტ კომერციულ ბანკებს მიმართონ. „კომპანიის“ წმინდა საპროცენტო მარჟის ცვლილებამ, რომელიმე ზემოთაღნიშნული ან სხვა მიზეზის გამო, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციის შედეგებზე.

ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ნებისმიერმა ზრდამ შეიძლება გაზარდოს „კომპანიის“ მსესხებლების მიერ პერიოდულად გადასახდელი თანხის ოდენობა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხების წილი „კომპანიის“ მთლიან სასესხო პორტფელში 31.5%-ს წარმოადგენდა. საპროცენტო განაკვეთის ზრდამ მომხმარებლებს შეიძლება წარმოუქმნას სირთულეები სესხის მომსახურებასთან დაკავშირებით. რამაც თავის მხრივ, შესაძლოა შეიძლება გააუარესოს „კომპანიის“ სასესხო პორტფელის ხარისხი, არსებითი უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

3.3.1.4 ლიკვიდობასა და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

3.3.1.4.1 „კომპანია“ გააჩნია ლიკვიდობისა და ფინანსური სახსრების მოზიდვის რისკი.

აღნიშნული რისკის მატერიალიზების ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება, როდესაც „კომპანიის“ აქტივებისა და ვალდებულებების სასიცოცხლო ვადები არსებითად არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში. „კომპანია“ თვლის, რომ მას გააჩნია საკმარისი რესურსი თავისი სტრატეგიის დანერგვისთვისა და ვალდებულებების დროულად მომსახურებისთვის. მიუხედავად ამისა, ლიკვიდობის რისკი დამახასიათებელია ზოგადად საბანკო საქმიანობისთვის და აღნიშნული რისკი შეიძლება გაიზარდოს მრავალი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ არის შეზღუდული შემდეგი ჩამონათვალით: ფინანსური სახსრების მოზიდვის რომელიმე კონკრეტულ წყაროზე ზედმეტად დამოკიდებულება, ფინანსური სახსრების მოზიდვის შეუძლებლობა, საკრედიტო რეიტინგის ცვლილება ან ზოგად-საბაზრო მოვლენა, როგორც იყო მაგალითად 2007 წელს დაწყებული საერთაშორისო ფინანსური კრიზისი. მსოფლიო ფინანსური თუ ეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად შეიძლება შემცირდეს საერთაშორისო ბაზარზე გრძელვადიანი ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობა და ლიკვიდობა. განვითარებად ბაზრებზე ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით დამოკიდებულია ინვესტორების ნდობაზე. „კომპანიის“ ან ზოგადად საქართველოს რეიტინგის შემცირებას, ბაზარზე ცენტრალური ბანკის ან სახელმწიფოს ინტერვენციას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ქვეყანაში არსებული ბიზნესებისთვის ფინანსური სახსრების მოზიდვის ხარჯებზე.

„კომპანია“ ლიკვიდობის რისკის მართვის სხვა ინსტრუმენტებთან ერთად იყენებს დივერსიფიცირებული მოკლევადიანი ფინანსური სახსრების ბაზის შენარჩუნების მეთოდს. აღნიშნული სახსრები მოიცავს იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებს, ბანკთაშორისი სესხებს, სებ-ისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან მიღებულ ფულად სახსრებს. ამასთან კომპანია ინარჩუნებს გრძელვადიანი ფულადი სახსრების დივერსიფიცირებულ ბაზას და იყენებს შემდეგი დაფინანსების წყაროებს: იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებს, სესხებს საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდან, ფასიანი ქაღალდების შესყიდვასა თუ რეალიზაციას და გრძელვადიანი სასესხო ინსტრუმენტების გამოშვებას.

„კომპანიის“ ამჟამინდელ ლიკვიდობაზე შესაძლოა იმოქმედოს ფინანსურ ბაზარზე განვითარებულმა არასახარბიელო მოვლენებმა. თუ „კომპანიის“ აქტივები ნაკლებად ლიკვიდური გახდება ან მათი ღირებულება საგრძნობლად შემცირდება „კომპანიის“ ოპერაციებისა და სამომავლო ზრდის შესანარჩუნებლად ახალი ფინანსური სახსრების მოზიდვა მოუწევს. უნდა აღინიშნოს საქართველოს ბანკთაშორის ბაზარზე შეზღუდული რაოდენობის ფინანსური რესურსი არის ხელმისაწვდომი. ხოლო, განსხვავებული სახსრების მოზიდვა შეიძლება დამატებით რისკებს უკავშირდებოდეს. ასეთი რისკებია ფინანსური სახსრების მოზიდვის არახელსაყრელი პირობები ან აღნიშნული სახსრების ნაკლებ მოქნილობა. ამასთან, „კომპანიის“ შესაძლებლობა მოზიდოს ფინანსური დაფინანსების გარე წყაროები დამოკიდებულია მისთვის ხელმისაწვდომი საკრედიტო ხაზების არსებულ ოდენობაზე, „კომპანიის“ ფინანსურ თუ საკრედიტო მდგომარეობაზე და ზოგადად ბაზრის ლიკვიდობაზე.

მომხმარებლების ანგარიშები და დეპოზიტები „კომპანიის“ დაფინანსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომხმარებლებისგან მოზიდული ანგარიშების და დეპოზიტების 91.5%-ის საკონტრაქტო ვადა ერთ წელზე ნაკლები იყო, იგივე მაჩვენებელი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 92.3%-ს შეადგენდა.

„კომპანიის“ მიმდინარე და მოკლევადიანი ლიკვიდურობის ჭრილში გააჩნია მომხმარებლების მიერ დეპოზიტების დიდი რაოდენობით მოულოდნელი და სწრაფი გატანის რისკი. გარემოებები, როდესაც სავარაუდოა დეპოზიტების დიდი ოდენობით და სწრაფი გატანა მოიცავს ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას, მომხმარებლის ნდობის დაკარგვას, ზოგადად ფინანსური ინსტიტუტების ნდობის დაკარგვას ან სოციალურ თუ პოლიტიკურ არასტაბილურობას. თუ მომხმარებლების დიდი ნაწილი სწრაფად ან მოულოდნელად ვადაზე ადრე გაიტანს თავის მოთხოვნად ვადას დეპოზიტებს ან კომპანია ვერ შეძლებს გარე

ფინანსური სახსრების ხელსაყრელ პირობებში მოზიდვას აღნიშნულს შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე.

3.3.1.4.2 „კომპანიამ“ უნდა შეასრულოს სასესხო ხელშეკრულებებში ჩადებული ფინანსური თუ სხვა ტიპის კოვენანტები, რომელთა დარღვევამაც შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“ დეფოლტი აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად

„კომპანია“, როგორც მსესხებელი ექვემდებარება გარკვეული სახის ფინანსურ და არაფინანსური კოვენანტებს, რომლებიც გაწერილია შესაბამის სასესხო ხელშეკრულებების თანახმად. ზოგიერთი სესხის ფინანსური კოვენანტის თანახმად „კომპანიამ“ უნდა დააკმაყოფილოს ზოგიერთი მაჩვენებლის უფრო მაღალი ლიმიტები ვიდრე მოთხოვნილია სებ-ის რეგულაციების მიხედვით. ზოგიერთ შემთხვევაში ბანკმა უნდა სებ-ის მოთხოვნილი მაჩვენებლების გარდა უნდა დააკმაყოფილოს დამატებითი მაჩვენებლები, მაგალითად მაჩვენებლები რომლებიც აკონტროლებს ვადაგადაცილებულ და უმოქმედო სესხებს. იმ შემთხვევაში, თუ სებ-ი დაამტკიცებს უფრო მკაცრ ლიმიტებს სხვადასხვა მაჩვენებლებზე, ვიდრე ეს აღნიშნულ ხელშეკრულებებშია მოცემული, „კომპანიამ“ უნდა დააკმაყოფილოს უფრო მკაცრი მოთხოვნები. „კომპანიის“ სასესხო ხელშეკრულებებში ჩადებულ კოვენანტებზე დეტალები ასევე დამატებით განხილულია წინამდებარე პროსპექტის მე-19.1.1 (კაპიტალი) და მე-20 (მატერიალური ხელშეკრულებები) თავებში.

„კომპანია“ ასრულებს ყველა დაკისრებულ კოვენანტს, რომელსაც მას აღნიშნული სასესხო ხელშეკრულებები აკისრებს. თუმცა, „კომპანიის“ მიერ რომელიმე კოვენანტის გრძელვადიანმა დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით „კომპანიის“ დეფოლტი ან „კომპანიის“ გარკვეული სესხებისა და ფასიანი ქაღალდების დაჩქარებით დაფარვის ვალდებულება. აღნიშნულმა, შესაძლოა თავის მხრივ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ოპერაციის შედეგებზე, სამომავლო გეგმებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

3.3.1.5 „კომპანიას“ გააჩნია კონცენტრაციის რისკი

ბანკი ისტორიულად მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საჯარო სექტორისგან მოზიდულ ფულად სახსრებზე, რომელიც ძირითადად განთავსებულია სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაზრებში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო სექტორისგან მოზიდული სახსრები შეადგენდა 29.3%-ს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად 32.1%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს შეამციროს დამოკიდებულება საჯარო სექტორისგან მოზიდულ სახსრებზე და გახადოს მეტად გრანულარული, საჯარო სექტორის ხვედრითი წილი კვლავ მნიშვნელოვნად გამოხატულია. არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს საჯარო სექტორის შესაძლებლობასა და სურვილს, ფულადი სახსრები განათავსოს კომპანიის ანგარიშებზე და საფინანსო პროდუქტებში, მათ შორის ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი გარანტია რომ ბანკი მომავალშიც შეინარჩუნებს საჯარო სექტორისგან მიღებულ დაფინანსებას. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ორგანოები და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციები აღარ გააგრძელებენ აღნიშნული კუთხით ბანკთან თანამშრომლობას, ან აღნიშნული ლიკვიდური სახსრები შემცირდება, ბანკმა შესაძლოა ვერ მოიპოვოს დაფინანსების ალტერნატიული წყარო, რაც გამოიხატება ლიკვიდური სახსრების ნაკლებობაში და მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნება ბანკის საქმიანობაზე, სტაბილურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

3.3.1.6 საბაზრო რისკები

3.3.1.6.1 კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ჭრილში. საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთის

არსებით შეუსაბამობას შეუძლია წმინდა საპროცენტო მარჟის მნიშვნელოვანი შემცირება. რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნესსა და მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე. კომპანია მუდმივ რეჟიმში უყურებს შეუსაბამობის დონეს და მიმართავს სხვადასხვა ზომებს აღნიშნული რისკის სამართავად, თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანიის მიერ მიღებული ზომები იქნება საკმარისი და კომპანია არ აღმოჩნდება მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის შეუსაბამობის რისკის პოზიციაში.

3.3.1.6.2 კომპანიას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტის ჭრილში

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მას გააჩნია აქტივებისა და ვალდებულებების რისკის პოზიცია უცხოური ვალუტების ჭრილში. სხვადასხვა ვალუტებში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების პოზიციის არსებით შეუსაბამობას უცხოური ვალუტების ჭრილში შეუძლია კომპანიის გადახდისუნარიანობის გაუარესება ან მის მომგებიანობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა. რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნესსა და მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებზე. კომპანია მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს შეუსაბამობის დონეს და მიმართავს სხვადასხვა ზომებს აღნიშნული რისკის სამართავად, თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანიის მიერ მიღებული ზომები იქნება საკმარისი და კომპანია არ აღმოჩნდება მნიშვნელოვანი უცხოური ვალუტების შეუსაბამობის რისკის პოზიციაში.

3.3.1.6.3 კომპანიის სასესხო პორტფელის დიდი ნაწილი დენომინირებულია ლარში

ბანკის სასესხო პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოხატულია ლარში. მიუხედავად იმისა, რომ სავალუტო რისკის მიტიგაციის მიზნით ბანკს დაწესებული აქვს გარკვეული ლიმიტები და ასევე მიმართავს სხვა ზომებს საპროცენტო რისკის შესამცირებლად, ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობამ შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის საქმიანობაზე.

3.3.1.7 რეპუტაციული რისკები

3.3.1.7.1 მომხმარებელთა უკმაყოფილებამ ან/და ნეგატიურმა გამოხმაურებამ „კომპანიის“ საქმიანობასთან დაკავშირებით შეიძლება იმოქმედოს „კომპანიის“ რეპუტაციასა და მისი მომხმარებლების ნდობაზე

მომხმარებლების უკმაყოფილებამ ან ნეგატიურმა გამოხმაურებამ შეიძლება შეამციროს „კომპანიის“ მომხმარებლების ნდობა და მათი სურვილი გამოიყენონ „კომპანიის“ სერვისები, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება „კომპანიის“ რეპუტაციაზე. „კომპანიის“ საქმიანობა მომხმარებლის უკმაყოფილების მიზეზის სწრაფ და ეფექტურ აღმოფხვრას მოითხოვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ სესხის ამოღების პროცესის მესამე მხარისთვის გადაცემა თავის მხრივ ზრდის მომხმარებლის უკმაყოფილების და ნეგატიური გამოხმაურების რისკებს. აღნიშნული კომპანიების მიერ სესხის ამოღების გამოყენებული მეთოდები შეიძლება უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ რეპუტაციასა და ბრენდზე.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ მუდმივად ცდილობს მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია შეძლებს წარმატებულად და ეფექტურად მართოს მომხმარებლების უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზები. აღნიშნულმა პრობლემებმა, შეიძლება დააზარალოს კომპანიის რეპუტაცია და შეამციროს მომხმარებლის ნდობა. რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება „კომპანიის“ უნარზე განახორციელოს ბიზნეს სტრატეგია.

3.3.1.7.2 „კომპანია“ დამოკიდებულია მის ბრენდზე და შესაბამისად გააჩნია რეპუტაციული რისკები, რომლებზეც შესაძლოა დაზარალოს „კომპანიის საქმიანობა

„კომპანიის“ სტრატეგიის წარმატების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებულია „კომპანიის“ ბრენდის ცნობადობასა და სიძლიერეზე იმ ბაზარზე, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საბანკო საქმიანობას. არ არსებობს გარანტია, რომ „კომპანია“ წარმატებულად შეინარჩუნებს და განავითარებს მის ბრენდს. ნებისმიერმა ფაქტორმა, რომელიც იწვევს „კომპანიის“ ბრენდის არსებულ ან მესამე მხარის მიერ აღქმულ დაზარალებას, შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე შეინარჩუნოს ან მოიზიდოს ახალი მომხმარებლები. „კომპანიის“ მიერ საკუთარ ბრენდთან დაკავშირებული რისკების არაეფექტურმა მართვამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ბიზნესზე, ფინანსური მდგომარეობაზე, ოპერაციის შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე.

3.3.1.8 სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული და სხვა რისკები

3.3.1.8.1 „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ განახორციელოს ბიზნესის ზრდის სტრატეგია. ამასთან, „კომპანიას“ გააჩნია ბიზნესის გაფართოებასთან დაკავშირებული რისკები

„კომპანია“ გეგმავს მიაღწიოს გრძელვადიან შენარჩუნებად ზრდასა და მომგებიანობას საკუთარი ბიზნესის ყველა სექტორში. თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ მიაღწევს მის სტრატეგიულ მიზნებს, (იხილეთ „ბიზნესის აღწერა - სტრატეგია“) მათ შორის მისი სასესხო პორტფელის ზრდას ან/და მომგებიანობისა და მარჯების შენარჩუნებას გრძელვადიან პერიოდში. „კომპანიის“ ბიზნესზე მოქმედებს გარკვეული მაკროეკონომიკური რისკები, მათ შორის საქართველოსა და რეგიონის ეკონომიკის ზრდასთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური რისკები, „კომპანიის“ შესაძლებლობაზე, შეასრულოს დასახული სტრატეგიული მიზნები უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს ნეგატიურმა ფაქტორებმა არამხოლოდ საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაში, არამედ საერთაშორისო ეკონომიკაში.

ამასთანავე, „კომპანიის“ სტრატეგიული მიზნები ნაწილობრივ დამოკიდებულია იმ ზოგად დაშვებაზე, რომ საქართველოს საბანკო სექტორი ზრდას განაგრძობს. ამასთან, „კომპანიის“ სტრატეგიული მიზნები დაკისრებულია სხვა დაშვებებსა და პროგნოზებზეც. თუმცა, არ არსებობს გარანტია, რომ აღნიშნული მოლოდინები გამართლდება. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე შეასრულოს დასახული სტრატეგიული მიზნები. ამასთან არ არსებობს გარანტია, რომ მთლიანი სასესხო პორტფელის მოსალოდნელი ზრდა არ გამოიწვევს პორტფელის ხარისხის გაურესებას.

„კომპანიის“ ზრდის სტრატეგიის დაფინანსება მოსალოდნელია სამომხმარებლო დეპოზიტების, დამატებითი სესხების, ოპერაციიდან მოზიდული ფულადი ნაკადებისა და სავარაუდოდ დამატებითი კაპიტალის მეშვეობით. თუმცა, გარეგანი დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობა და მათ მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, რომლებიც „კომპანიის“ კონტროლს არ ექვემდებარება. „კომპანიას“ არ შეუძლია დანამდვილებით განაცხადოს, რომ ის მომავალში მოახერხებს გარეგანი დაფინანსების წყაროების მოზიდვას ან მათ მოზიდვას კომერციულად ხელსაყრელი პირობებით. „კომპანიის“ მიერ მსგავსი წყაროების მოზიდვის შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაძლოა „კომპანიამ“ ვერ განახორციელოს საკუთარი სტრატეგია.

ზემოთაღნიშნულმა ფაქტორებმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე გაზარდოს თავისი ბიზნესი, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება მის ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა თუ გრძელვადიან პერსპექტივაზე.

3.3.1.8.2 „კომპანიის“ ძირითადი პერსონალის დაკარგვამ ან გამოცდილი და/ან კვალიფიციური თანამშრომლების ვერ მოზიდვამ, ვერ განვითარებამ ან ვერ შენარჩუნებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის საქმიანობაზე

იმისთვის რომ ბანკმა განაგრძოს განვითარება და დარჩეს ბაზარზე კონკურენტული, მისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს მაღალკვალიფიციური მენეჯერები და საკვანძო თანამშრომლები. მოცემულ ეტაპზე ბანკს ჰყავს საბანკო საქმისა და სათანადო კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები, რომელთა ძალისხმევით ხორციელდება ბანკის ყოველდღიური მართვა და ზედამხედველობა, მათ შორის ფინანსური დაგეგმვა და მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, რისკის მართვა, მარკეტინგი, ახალი პროდუქტების შექმნა, ციფრული არხებისა და პროდუქტების განვითარება და სხვა.

არ არსებობს გარანტია რომ ბანკი მომავალში შეძლებს მაღალი რგოლის მენეჯერებისა და სხვა საკვანძო თანამშრომლების შენარჩუნებას და ისინი მოქმედი ხელშეკრულებების ვადის გასვლის შემდეგ ან მანამდე არ დატოვებენ ბანკს, რა შემთხვევაშიც ბანკის საოპერაციო შედეგები და დასახული სტრატეგიის განხორციელება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული, რამდენად შეძლებს მათს ჩანაცვლებას სათანადო კვალიფიკაციის, მოტივაციისა და ექსპერტული ცოდნის მქონე კადრებით. საქართველოში შეზღუდულია ისეთი პოტენციური დასაქმებულების რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება და აღნიშნული მოთხოვნა სულ უფრო მზარდია.

თუკი „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის წევრები და სხვა საკვანძო თანამშრომლები დატოვებენ ბანკს და „კომპანია“ ვერ შეძლებს შესაფერისი შემცვლელებით მათ დროულად ჩანაცვლებას, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

ამასთან, სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დაქირავება დაკავშირებულია მნიშვნელოვან საოპერაციო ხარჯებთან. ბანკს შესაძლოა მოუწიოს სახელფასე ფონდის გაზრდა, სხვადასხვა სახის წახალისების ზომების დანერგვა იმისთვის რომ ბაზარზე დარჩეს კონკურენტული და შეინარჩუნოს საკვანძო თანამშრომლები, რაც თავის მხრივ გაზრდის საოპერაციო ხარჯს და შეამცირებს კომპანიის მომგებიანობას.

3.3.1.8.3 კომპანიის შემოსავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფულადი გასაცემების გაცემის/დარიგების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე, რომლის ვადაც იწურება 2029 წლის 31 დეკემბერს. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ ვერ შეძლო საკუთარი ბიზნესის საკმარისი დივერსიფიცირება ან ამ ხელშეკრულების გაგრძელება, არსებობს რისკი, რომ ამ ფაქტმა იქონიოს მატერიალური უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე

ისტორიულად ბანკი წარმოადგენდა სახელმწიფო პენსიისა და სხვა სახელმწიფო სოციალური გასაცემების გაცემასა და მასთან დაკავშირებული საბანკო მომსახურების ექსლუკუზიურ მიმწოდებელს. იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის 31 დეკემბერს იწურებოდა არსებული ხელშეკრულება ფულადი გასაცემების გაცემის/დარიგების უსასყიდლოს საბანკო მომსახურების შესახებ, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და ორ-ეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესაბამისად, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სახელმწიფო ფულადი გასაცემების გაცემის/დარიგებისთვის საჭირო შესაბამისი საბანკო მომსახურების შესყიდვის შესახებ.

სატენდერო პირობების მიხედვით შესყიდვის ღირებულებად განისაზღვრა 105,000,000 (ას ხუთი მილიონი) ლარი, ხოლო მომსახურების გაწევის ვადად შესაბამისად - 7 (შვიდი) წელი, 2023 წლის 01 იანვრიდან 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2022 წლის 03 ივნისს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და „ლიბერთი ბანკს“, როგორც ტენდერში გამარჯვებულ კომერციულ ბანკს შორის ხელი მოეწერა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას,

რომლის საფუძველზეც, 105,000,000 ლარის მომსახურების საფასურის სანაცვლოდ ბანკი უზრუნველყოფს სახელმწიფო პენსიისა და სხვა სოციალური გასაცემლების დარიგებას 2029 წლის ბოლომდე.

მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ბანკმა სოციალური გასაცემლების ფარგლებში ბენეფიციარებისთვის სესხის გაცემა უნდა უზრუნველყოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, ხოლო წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს სესხის გაცემის მომენტში 6 თვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსისა (TIBOR6M) და 15 (თხუთმეტი) პროცენტული პუნქტის ჯამურ ოდენობას და არ უნდა იცვლებოდეს სესხის ვადის ბოლომდე. ამასთან, ბენეფიციარს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე სახის დამატებითი ფინანსური ხარჯი.

ბანკი უზრუნველყოფს სოციალური გასაცემლების ბენეფიციარების კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე შესაბამისი გასაცემლების თანხების განთავსებას სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ბანკისთვის თანხის ჩარიცხვიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში. ამასთან, ბენეფიციარის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს რომ ბენეფიციარებმა შეძლონ მათ ანგარიშზე განთავსებული სოციალური გასაცემლების თანხის უსასყიდლოდ გადატანა საქართველოში მოქმედ სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილ საბანკო ანგარიშზე.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით ბანკს ეკისრება ჯარიმის/პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მათ შორის, სოციალური გასაცემლის ბენეფიციარის ანგარიშზე თანხის დაგვიანებით განთავსების, სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობის ან/და არასრულყოფილად მიწოდების, ბენეფიციარებზე სესხის გაცემის პირობების დარღვევის შემთხვევებზე.

გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმების ოდენობა ხშირ შემთხვევაში დადგენილია დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე, რაც ხელშეკრულების განგრძობადი ან/და მრავალჯერადი დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა გამოიხატოს ბანკისთვის დაკისრებული ჯარიმის მატერიალურ ოდენობაში, რაც მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი იქნება ბანკისთვის როგორც ფინანსურად, ისე რეპუტაციულად. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი მიმართავს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, რათა თავიდან აირიდოს ხელშეკრულების დარღვევა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ბანკს არ აქვს დარღვეული, ან მომავალში არ დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს და არ დადგება ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმების გადახდის ვალდებულების წინაშე.

სოციალური გასაცემლების საფუძველზე გაცემული სასესხო პროდუქტები ბანკის მთლიანი სასესხო პორტფელის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. არ არსებობს არანაირი გარანტია რომ ამჟამად მოქმედი ხელშეკრულება არ შეწყდება მოქმედების ვადის გასვლამდე, ან რომ მოხდება ბანკისთვის მისაღები პირობებით ახალი ხელშეკრულების გაფორმება მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ბანკი რომელიმე ეტაპზე აღარ იქნება ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების საბანკო მომსახურების სახელმწიფოსთვის ექსკლუზიური მიმწოდებელი, აღნიშნულმა შესაძლოა ბანკის მდგომარეობაზე მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შემცირდეს ბანკის სასესხო პორტფელი, ან/და მნიშვნელოვნად გაუარესდეს უკვე გაცემული სასესხო პროდუქტების საკრედიტო ხარისხი, მნიშვნელოვანი ოდენობის ფულადი რესურსის შემოიღინების შეწყვეტამ გამოიწვიოს ლიკვიდობის პრობლემები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელშეკრულების შეწყვეტამ, ისევე როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სოციალური გასაცემლების ბენეფიციართა მიერ, ბანკში გახსნილ ანგარიშებზე ჩარიცხული სოციალური გასაცემლების სხვა საბანკო დაწესებულებებში მასობრივად გადატანამ შესაძლოა ასევე გამოიწვიოს მომხმარებელთა მნიშვნელოვანი სეგმენტის დაკარგვა, რასაც ბანკის საქმიანობაზე ექნება მნიშვნელოვნად უარყოფითი ეფექტი.

3.3.1.8.4 „კომპანია“ საბანკო საქმიანობას ეწევა კონკურენტულ გარემოში

უკანასკნელ წლებში საქართველოს საბანკო სექტორი განსაკუთრებით კონკურენტუნარიანი გახდა. „კომპანია“ კონკურენციას უწევს საქართველოს ბაზარზე არსებულ ყველა ბანკს, მათ შორის თიბისი ბანკს, საქართველოს ბანკს, ლიბერთი ბანკს, პროკრედიტ ბანკსა და ტერა ბანკს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის მცირე წილიდან გამომდინარე „კომპანია“ იკავებს ბაზრის ფასის მიმდებარის პოზიციას. ზოგიერთი კონკურენტი მიმართავს აგრესიული ფასების პოლიტიკას ბაზრის წილის მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით. საქართველოს საბანკო სექტორში ბაზრის წილის დინამიკის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია ამ პროსპექტის 7.5 პუნქტში („ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა, ასევე ამ პოზიციის საფუძველის აღწერა“).

გაზრდილ კონკურენციას შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიაზე“, მათ შორის გაზრდილი კონკურენციის პირობებში კომპანიამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს მომხმარებლისთვის საბანკო პროდუქტების მიწოდება კონკურენტებზე უკეთესი პირობებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის საბაზრო წილის შემცირება და სასესხო ან/და სადეპოზიტო პორტფელის ტემპის ზრდის შემცირება. განსაკუთრებით კი იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მის კონკურენტებს ხელი მიუწვდებათ უფრო დიდ ფინანსურ რესურსზე. აღნიშნული განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ბანკების შემთხვევაში, რომელთა კაპიტალშიც უცხოური ინვესტიცია არის განხორციელებული, ან ისინი წარმოადგენენ უცხოური არარეზიდენტი ბანკების ფილიალს ან შვილობილ კომპანიას და ხელი მიუწვდებათ კაპიტალის რესურსზე მშობელი კომპანიის გავლით. აღნიშნულ ბანკებს შესაძლოა ჰქონდეთ უფრო დაბალი ფინანსური სახსრების მოზიდვის ხარჯი და მსგავსი ფინანსური რესურსის მაღალი ხელმისაწვდომობა. კონკურენციის შემდგომმა ზრდამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბაზრის წილზე, რამაც თავის მხრივ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ოპერაციის შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ამასთან, კორპორატიული მსესხებლები უმეტეს შემთხვევაში საკმაოდ მგრძობიარეები არიან მათი სესხის ღირებულების მიმართ და საცალო მსესხებლებისგან განსხვავებით მზად არიან კონკურენტისგან უკეთესი პირობების მიღების შემთხვევაში საკუთარი ბიზნეს საქმიანობის სხვა ბანკთან წარმოებისთვის. ბაზრის წილიდან გამომდინარე „კომპანია“ ფასის მიმდებარე წარმოადგენს, შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ მომხმარებლები არ მიიღებენ უფრო კონკურენტულ შეთავაზებას სხვა კომერციული ბანკებისგან. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ „კომპანიის“ კლიენტები ბიზნეს დეპოზიტებისა თუ სესხების სრულ ან მნიშვნელოვან ნაწილს გადაიტანენ რომელიმე სხვა კომერციულ ბანკში.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კონკურენციის სააგენტო და შესაბამისი რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანო თანამშრომლობენ ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის დარღვევის შემთხვევათა შესწავლისა და აღკვეთისთვის. თუ ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით კონკურენციის სააგენტოს წარედგინა განცხადება, სააგენტო განცხადებას უგზავნის შესაბამისი რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს, გარდა ამავე კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შესაბამისად, ამჟამად კონკურენციასა და ანტიმონოპოლიურ საკითხებთან დაკავშირებით მარეგულირებლის ფუნქციას ითავსებს სეზ-ი, თუმცა, არ არსებობს გარანტია რომ ის საზედამხედველო გარემო რომელშიც „კომპანია“ ეწევა თავის საქმიანობას, არ დაექვემდებარება ცვლილებებს კონკურენციის და ანტი-მონოპოლიური საკითხების მხრივ, ან მომავალში საქართველოს მთავრობა არ მოახდენს კონკურენციისა და ანტი-მონოპოლიური საკითხების რეგულირების სეზ-ის კომპეტენციისგან გამოყოფას.

ბაზარზე ასევე გაჩნდა ახალი მიკრო-ბანკები და ციფრული ბანკები, რომელთა ოპერაციები ამ ეტაპზე არ არის იმ მასშტაბის რომ შესაძარის იყოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებთან.

3.4 შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

3.4.1 „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). საქართველოში დოლარში დენომინირებული ობლიგაციების ინვესტორები ობლიგაციებს უმეტესად მათი მთლიანი ვადის განმავლობაში ფლობენ და შედეგად დოლარის ობლიგაციებით ვაჭრობის მოცულობა დაბალია. შესაბამისად, „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი და არაპროგნოზირებადი, რამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების ინტერესებზე.

3.4.2 „ობლიგაციების“ მეორადი ბაზარი შესაძლოა არასდროს განვითარდეს და აღნიშნულმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების შესაძლებლობაზე გაყიდონ „ობლიგაციები“ ან გაყიდონ ისინი მომგებიან ფასად

საფონდო ბირჟის საიტზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით ბოლო ორი წლის განმავლობაში დოლარის ობლიგაციისთვის სავაჭრო სესიის დროს გარიგება არ განხორციელებულა. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ემისიის მეორად ბაზარზე გაყიდვის შეზღუდვების გათვალისწინებით, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

3.4.3 „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით

„კომპანია“ „ობლიგაციების“ ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის აშშ დოლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია აშშ დოლარის გარდა სხვა ვალუტაში („ინვესტორის ვალუტა“). აღნიშნული რისკები მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს (აშშ დოლარის გაუფასურების ან „ინვესტორის ვალუტის“ რევალვაციის ჩათვლით) და რისკს, რომ „ინვესტორის ვალუტაზე“ შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები. „ინვესტორის ვალუტის“ აშშ დოლართან მიმართებით ღირებულების ზრდა შეამცირებს: (i) „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ სარგებელს „ობლიგაციებზე“; (ii) „ობლიგაციებზე“ გადასახდელ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ ძირ თანხას; და (iii) „ობლიგაციების“ „ინვესტორის ვალუტის“ ეკვივალენტურ საბაზრო ღირებულებას. მთავრობებმა და სავალუტო ორგანოებმა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში) შეიძლება დააწესონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები, რომლებმაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს გამოსაყენებელ გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე.

3.4.4 არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენს „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციების“ კლასიფიკაცია კაპიტალის ადეკვატურობის მარეგულირებელი ნორმების ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა რეგულირდება საინვესტიციო კანონმდებლობით ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციებით, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალო ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

3.4.5 ინვესტორები უნდა დაეყრდნონ ცენტრალური დეპოზიტარის და შესაბამის შემთხვევებში - სხვა „ანგარიშის მწარმოებლისა“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს

„კომპანია“ „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. ამასთან, შესაძლოა, „განთავსების აგენტის“ ან შეთავაზებაში ჩართული სხვა „ანგარიშის მწარმოებლის“ შიდა სტრუქტურა არ იძლეოდეს ემისიის პროსპექტის მომზადებისა და „ობლიგაციების“ შეთავაზების/გაყიდვის სხვადასხვა გუნდებს შორის გამიჯვნის შესაძლებლობას. „ობლიგაციების“ მფლობელი ვალდებულია დაეყრდნოს ცენტრალური დეპოზიტარის, სხვა „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და მათ პროფესიულ შეხედულებას შესაბამისობის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და ამ გზით შეიძინოს „ობლიგაციები“ და მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე და თითოეული ინვესტორი თავად არის ვალდებული შეაფასოს ამ პროსპექტით გათვალისწინებული ტრანზაქციების განხორციელების სტრუქტურირებასთან დაკავშირებული რისკები.

3.4.6 „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს

„ობლიგაციების“ პირობები შეიცავს დათქმას „ობლიგაციების“ მფლობელთა კრების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების განხილვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე. აღნიშნული პირობები განსაზღვრულ უმრავლესობას უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს და მიიღოს გადაწყვეტილება „ობლიგაციების“ პირობების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე, იმ პირობით, რომ შესაბამისი ცვლილება ძალაში შევა ზედამხედველის თანხმობის მოპოვების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ უმცირესობაში აღმოჩენილი მფლობელები ვალდებულნი იქნებიან დაეთანხმონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, ობლიგაციების მფლობელები არ არიან უფლებამოსილნი პირობები შეცვალონ იმგვარად, რაც გამოიწვევს „ობლიგაციების“ რეკლასიფიკაციას ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში.

3.4.7 ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ, უვადო, სუბორდინირებულ, გამოთხოვად ვალდებულებებს, რაც სხვადასხვა ტიპის დამატებით რისკებს წარმოშობს ინვესტორისთვის; ინვესტორი იღებს ემიტენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული ზარალის განგრძობით რისკს

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ გამოთხოვად პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ, უვადო, სუბორდინირებულ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით თანაბარნი არიან ერთმანეთს შორის. ემიტენტის გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში (როგორც ეს განისაზღვრება საბანკო რეგულაციების თანახმად) ყველა მოთხოვნა ობლიგაციების მიმართ (მათ შორის ემიტენტის ვალდებულების რომელიმე დარღვევით გამოწვეული მოთხოვნა) კლასიფიცირებული იქნება, როგორც რიგითობით უფრო დაბალ საფეხურზე შემდეგი ინსტრუმენტების მიმართ (i) ნებისმიერი ამჟამინდელი ან მომავალი მოთხოვნა ემიტენტის არასუბორდინირებულ ვალდებულებებზე და (ii) ემიტენტის სხვა ვალდებულებების მიმართ, რომლებიც „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ და/ან საკონტრაქტო პირობების თანახმად რიგითობით უპირატესია აღნიშნული ფასიანია ქაღალდების მოთხოვნებზე.

ამასთან, „ობლიგაციები“ რიგითობით თანაბარნი არიან ერთმანეთს შორის და უთანაბრდებიან „კომპანიის“ ყველა სხვა დამატებით პირველად კაპიტალად კლასიფიცირებულ ვალდებულებებს.

თუ, გადახდისუუნარობის და/ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ემიტენტის აქტივები არ იქმნება საკმარისი რიგითობით უპირატესი კრედიტორების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისთვის, ფასიანი ქაღალდების ინვესტორები სრულად დაკარგავენ თავიანთ ინვესტიციას აღნიშნულ „ობლიგაციაში“. თუ ემიტენტს აქვს საკმარისი რესურსი, რომ სრულად გაისტუმროს რიგითობით „ობლიგაციაზე“ უპირატესი მსესხებლების მოთხოვნები, მაგრამ არ აქვს საკმარისი აქტივები „ობლიგაციების“ და მასთან რიგითობით თანაბარი „ობლიგაციების“ მოთხოვნების დასაფარად, „ობლიგაციების“ მფლობელები დაკარგავენ ნაწილობრივ (ან სრულ) ინვესტიციას „ობლიგაციებში“.

მიუხედავად იმისა, რომ „ობლიგაციებმა“ შეიძლება გადაიხადონ უფრო მაღალი კუპონი (აღნიშნულის გადახდის შეწყვეტა ან შეჩერება ემიტენტის უფლებამოსილებაშია და, ამასთან, დამოკიდებული პირობებში გათვალისწინებულ იმ შემთხვევებზე, როდესაც კუპონის გადახდის შეწყვეტა სავალდებულოა) ვიდრე სხვა ნაკლებად ან სრულად არასუბორდინირებულ ფასიანი ქაღალდები იხდიან, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი რისკი იმისა, რომ „ობლიგაციების“ ინვესტორებმა დაკარგონ მთლიანი ან ნაწილობრივი ოდენობა საკუთარი ინვესტიციისა, ემიტენტის გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის დადგომის შემთხვევაში.

3.4.8 ემიტენტს არ ეზღუდება დამატებით სესხის ან/და ვალდებულების აღება, რომელიც თავის მხრივ შეიძლება გაუთანაბრდეს ან უპირატესი იყოს „ობლიგაციებზე“

პირობები არ აწესებს ზღვარს იმ ვალდებულებების ოდენობაზე, რომლებიც რიგითობით „ობლიგაციის“ თანაბრად ან უპირატესად დაკლასიფიცირდება გადახდის შემთხვევაში.

პირობები არ ასხვავებს ამ ჭრილში წარსულში თუ მომავალში გამოშვებულ ინსტრუმენტებს. ამასთან პირობები არ ზღუდავს ემიტენტს კაპიტალის ინსტრუმენტების დამატებით გამოშვებაში, აღნიშნულ ინსტრუმენტებს შეიძლება ჰქონდეთ სხვა გამოთხოვის მექანიზმები ან ემიტენტის აქციებში გადაკონვერტირების შესაძლებლობა წინასწარ გაწერილი ვითარების შემთხვევაში. ემიტენტმა შეიძლება გამოუშვას ან აიღოს არსებითი ოდენობის დამატებითი უზრუნველყოფილი ან არაუზრუნველყოფილი არასუბორდინირებული სესხები ან/და რიგითობით უპირატესი სუბორდინირებული ვალდებულებები.

ემიტენტს შეიძლება წარმოუშვას არასუბორდინირებული ვალდებულებები იმ შემთხვევებიდან, რომლებიც არ არის ასახული ემიტენტის ბალანსზე. მსგავსი შემთხვევები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტებით, დერივატივების კონტრაქტებით, გარანტიების გაცემით ან სხვა ვალდებულებებით, რომლებიც გახდება ემიტენტის არასუბორდინირებული ვალდებულებები ემიტენტის

გადახდისუუნარობის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა შეიძლება გახდეს საჭირო „ობლიგაციებით“ წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვამდე.

შედეგად „ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება ან გაასწრებს „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირითადი და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ გადაყიდვის ფასზე. თუ, გადახდისუუნარობის და/ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ემიტენტის აქტივები არ იქნება საკმარისი რიგითობით უპირატესი კრედიტორების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისთვის, ფასიანი ქაღალდების ინვესტორები სრულად დაკარგავენ თავიანთ ინვესტიციას აღნიშნულ „ობლიგაციაში“. თუ ემიტენტს აქვს საკმარისი რესურსი, რომ სრულად გაისტუმროს რიგითობით „ობლიგაციაზე“ უპირატესი მსესხებლების მოთხოვნები, მაგრამ არ აქვს საკმარისი აქტივები „ობლიგაციების“ და მასთან რიგითობით თანაბარი „ობლიგაციების“ მოთხოვნების დასაფარად, „ობლიგაციების“ მფლობელები დაკარგავენ ნაწილობრივ (ან სრულ) ინვესტიციას „ობლიგაციებში“.

თუ ემიტენტის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება, ინვესტორები შეიძლება დაზარალდნენ პირდაპირ და არსებითად, მათ შორის არის პროცენტის გადახდის შეწყვეტისა და მათი მთლიანი ინვესტიციის დაკარგვის შემთხვევა.

3.4.9 ობლიგაციებიდან გამომდინარე მოვლენები შესაძლოა დაექვემდებაროს სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწერას ან კომპანიის აქტივებში კონვერტაციას

ობლიგაციები გამოშვებულია კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაციის დაკმაყოფილების მიზნით და გამოშვებულია იმ მიზნით, რომ აღნიშნული ინსტრუმენტი ჩაირთოს ემიტენტის დამატებით პირველად კაპიტალში. აღნიშნული კლასიფიკაცია დამოკიდებულია რამდენიმე პირობის დაკმაყოფილებაზე, რომლებიც გაწერილია პირობების ნაწილში.

„ობლიგაციებს“, როგორც ბანკის დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტს, შეეხება სებ-ის მიერ გამოცხადებული რეზოლუციის რეჟიმში სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწერის ან აქტივებში კონვერტაციის შესაძლებლობა.

„ობლიგაციებთან“ მიმართებაში საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს კომერციული ბანკის სარეზოლუციო ინსტრუმენტი - კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია. ტერმინი „რეკაპიტალიზაცია“ გულისხმობს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას, რომელიც სხვადასხვა დროს, სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, განსაზღვრულია ან სამომავლოდ განისაზღვრება, მათ შორის 1996 წლის 23 თებერვლის საქართველოს კანონით (დოკუმენტის N121) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (ცვლილებებთან და დამატებებთან ერთად), 2009 წლის 24 სექტემბრის საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ (დოკუმენტის N1676, ცვლილებებსა და დამატებებთან ერთად) და მათთან დაკავშირებული ან/და მათგან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტებით და უკავშირდება კომერციული ბანკის სარეზოლუციო რეჟიმში კომერციული ბანკის კაპიტალის გაზრდას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუკი „ზედამხედველის“ გადაწყვეტილებით „ემიტენტის“ მიმართ შემოღებული იქნება რეზოლუციის რეჟიმი, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების დაკმაყოფილება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით („ზედამხედველის“ რეგულაციებით) გათვალისწინებული წესით. „ემიტენტი“ და „ინვესტორები“ აცხადებენ თანხმობას საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებაზე, რეზოლუციის რეჟიმის დადგომის შემთხვევაში „ობლიგაციების“ მიმართ გამოიყენოს ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტი საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „კომერციული

ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის წესის“ შესაბამისად. „ობლიგაციებზე“ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სარეზოლუციო ინსტრუმენტი, კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ხოლო „ინვესტორები“ აღიარებენ და აცხადებენ თანხმობას საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებაზე, დროდადრო მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, „ემიტენტის“ რეზოლუციის რეჟიმის დადგომისას მისი რეკაპიტალიზაციის მიზნით, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ვალდებულებები ა) სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწეროს; ან/და ბ) სრულად ან ნაწილობრივ დააკონვერტიროს „კომპანიის“ ჩვეულებრივ აქციებში ან/და საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო რეჟიმთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ინვესტორის“ უფლებები „კომპანიის“ მიმართ შესაძლოა შემცირდეს (სრულად ან ნაწილობრივ), ჩამოიწეროს, შეწყდეს, გადაიდოს მათი შესრულება, აგრეთვე, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „კომპანიის“ ვალდებულება შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ დაკონვერტირდეს „კომპანიის“ ჩვეულებრივ აქციებში ან/და საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში;

„ინვესტორები“ აღიარებენ და აცხადებენ თანხმობას რომ მიიღებენ ნებისმიერ აქციას/აქციებს ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტ(ებ)ს, რომლებშიც „პროსპექტით“ გათვალისწინებული „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული „კომპანიის“ ვალდებულება დაკონვერტირებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

სებ-ი რეზოლუციის რეჟიმს წარმართავს რეზოლუციის შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) კომერციული ბანკის აქციონერები პირველად ზარალს იღებენ. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა;

ბ) კომერციული ბანკის კრედიტორები ზარალს იღებენ აქციონერების შემდეგ, ლიკვიდაციისას დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობის საპირისპირო მიმდევრობით;

გ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომერციული ბანკის ერთი და იმავე რიგის კრედიტორთა ინტერესების თანაბარზომიერი დაცვა;

დ) რეზოლუციის საბოლოო შედეგით, კომერციული ბანკის აქციონერებმა და კრედიტორებმა არ უნდა იზარალონ იმაზე მეტად, ვიდრე ისინი იზარალებდნენ კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

ე) „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაზღვეული დეპოზიტები დაცული უნდა იყოს.

სებ-ი უფლებამოსილია შემოიღოს მორატორიუმი კომერციული ბანკის ვადამოსული გადახდების ან მათი ნაწილის მიმართ, გარდა დაზღვეულ დეპოზიტებთან დაკავშირებული, აგრეთვე საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების ან ამ სისტემების მონაწილეთა მიმართ გადახდებისა, საგადახდო სისტემაში მონაწილეობიდან გამომდინარე გადახდებისა და ეროვნული ბანკის მიმართ არსებული გადახდებისა. მორატორიუმის ვადა 90 კალენდარულ დღეს არ უნდა აღემატებოდეს.

სებ-ი ასევე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ მიმდინარე საქმის წარმოების დროებით შეჩერების მოთხოვნით ან/და, ახალი საქმის წარმოებაში მიღების შემთხვევაში, – საქმის განხილვის გადავადების მოთხოვნით. აღნიშნული შეჩერება/გადავადება 90 კალენდარულ დღეს არ უნდა აღემატებოდეს.

სებ-ის მიერ ნებისმიერმა ზემოთ ჩამოთვლილმა მექანიზმის გამოყენებამ შესაძლოა არსებითად საუარესო ეფექტი იქონიოს „ობლიგაციონერების“ შანსსა და შესაძლებლობაზე, დაიბრუნონ გაცემული თანხა.

3.4.10 „ობლიგაციების“ პირობები არ ითვალისწინებენ „დეფოლტის შემთხვევას“ და ინვესტორებისთვის არსებული აღსრულების უფლებები შეზღუდულია

„ობლიგაციების“ პირობები არ ითვალისწინებენ „დეფოლტის შემთხვევას“. ამასთან ინვესტორებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ გადახდა ან საკუთარი ობლიგაციების გამოთხოვა ვადაზე ადრე და მათი გადახდის მოთხოვნის აღსრულების უფლებები შეზღუდულია.

3.4.11 ემიტენტს გააჩნია სრული დისკრეცია შეწყვიტოს პროცენტის გადახდა ნებისმიერ დროს და ზოგიერთ ვითარებაში აქვს ვალდებულება შეწყვიტოს პროცენტის გადახდა, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ინსტრუმენტის დამატებით პირველად კაპიტალად ჩართვა დადასტურდა და რომ აღნიშნული ინსტრუმენტის კლასიფიკაცია არ შეცვლილა

ემიტენტს გააჩნია სრული დისკრეცია შეწყვიტოს პროცენტის გადახდა სრულად ან ნაწილობრივ ნებისმიერ დროს, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ინსტრუმენტის დამატებით პირველად კაპიტალად ჩართვა დადასტურდა და რომ აღნიშნული ინსტრუმენტის კლასიფიკაცია არ შეცვლილა. ემიტენტი ვალდებულია შეწყვიტოს ნებისმიერ პროცენტის გადახდა, რომელიც უნდა ყოფილიყო გადახდილი გადახდის დღეს იმ შემთხვევაში თუ მსგავსი გადახდა კუმულატიურად სხვა შესაბამის გადახდებთან აჭარბებს ემიტენტის ხელთ არსებული გადასახდელი რესურსების (განაწილებადი ელემენტების) ოდენობას აღნიშნული გადახდის თარიღის მდგომარეობით. აღნიშნული განაწილებადი ელემენტების ოდენობაზე გავლენას ახდენს ბევრი ფაქტორი და შესაბამისად, განაწილებადი ელემენტების არარსებობა ან არასაკმარისი ოდენობა შეზღუდავს ემიტენტის უნარს გადაიხადოს დარიცხული პროცენტი. ამასთან, თუ „ზედამხედველი“, შესაბამისი საბანკო რეგულაციების თანახმად, მოსთხოვს ემიტენტს შესაბამისი გადახდის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტას, ემიტენტი ვალდებული იქნება სრულად ან ნაწილობრივ მოახდინოს შესაბამისი გადახდების შეწყვეტა.

ამასთან, „ობლიგაციებზე“ პროცენტის გადახდა არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი გადახდა გამოიწვევს რაიმე სახის რეგულაციურ შეზღუდვას ამ დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებზე პროცენტის გადახდის აკრძალვას შესაბამისი საბანკო რეგულაციების თანახმად.

იმ შემთხვევაში თუკი „ჩამოწერის მოვლენა“ მოხდა და გრძელდება ჩამოწერის ქმედებების ძალაში შესვლის თარიღისთვის პროცენტის დარიცხვა და გადახდა არ მოხდება მანამ სანამ „ჩამოწერის მოვლენა“ ძალაშია.

„ობლიგაციებზე“ პროცენტის გადახდა არა-კუმულატიურია. შესაბამისად, თუ პროცენტის გადახდა შეწყდება ზემოთაღნიშნული მოვლენების დადგომის გათვალისწინებით და შედეგად, „ობლიგაციის“ მფლობელის უფლება მიიღოს პროცენტი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეწყდება და ემიტენტს არ ექნება ვალდებულება ამ პერიოდის განმავლობაში დაგროვილი პროცენტის გადახდისა. იმ პერიოდში, როდესაც „კომპანიას“ შეჩერებული ექნება კუპონის გადახდა „კომპანია“ ვერ შეძლებს ჩვეულებრივი აქციების მფლობელი აქციონერებისათვის ჩვეულებრივი დივიდენდების გადახდას ან რაიმე სხვა სახის განაწილებას. „კომპანიას“ ჩვეულებრივი აქციების მფლობელი აქციონერებისათვის ჩვეულებრივი დივიდენდების გადახდის უფლება დაუბრუნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი განაახლებს „ობლიგაციების“ ფარგლებში დარიცხული კუპონის გადახდას.

თუმცა ობლიგაციის პირობები არ ზღუდავს ემიტენტს ჩვეულებრივი აქციების გამოსყიდვის ან სხვა მხრივ შესყიდვისგან, პროცენტის გადახდისგან ან მისი სხვა ვალდებულებების გამოთხოვისა და გამოსყიდვისგან. „კომპანიის“ გადახდისუნარიობის შემთხვევაში, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები სუბორდინირებული არ იქნება „კომპანიის“ ჩვეულებრივი აქციების მიმართ.

ემიტენტის ამჟამინდელი სურვილია, რომ მისი დისკრეციის გამოყენების შემთხვევაში და ახალი დივიდენდების ან განაწილების სქემის შემთხვევაში ჩვეულებრივ აქციებთან მიმართებაში, ან საპროცენტო გადახდის შეწყვეტის შემთხვევაში გაითვალისწინოს აღნიშნული ინსტრუმენტების რიგითობა მისი

კაპიტალის სტრუქტურაში. თუმცა, ემიტენტმა შეიძლება ნებისმიერ დროს სრული დისკრეციით ნებისმიერი პიროვნებისათვის (მათ შორის „ობლიგაციის“ მფლობელისათვის) ცნობის გარეშე მიიღოს სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საპროცენტო განაკვეთის გადახდის ნებისმიერმა არსებულმა ან მოსალოდნელმა შეწყვეტამ შეიძლება არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ ფასზე. ნებისმიერმა მინიშნებამ ან აღქმულმა მინიშნებამ კომპანიის გადახდების გასანაწილებელ რესურსებთან მიმართებაში მნიშვნელოვან სხვაობაზე, ან/და ემიტენტის ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1) კოეფიციენტის იურიდიული და საზედამხედველო მოთხოვნების დარღვევისკენ მიმავალმა ტრენდმა შეიძლება მატერიალურად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ფასზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც პროცენტის გადახდის გაუქმების ან შეჩერების უფლებამოსილებას იყენებს „ემიტენტი“, „ზედამხედველის“ მითითების გარეშე, წინამდებარე 24.6.1.7.2 პუნქტის საფუძველზე პროცენტის გადახდების ნაწილობრივ ან სრულად გაუქმების ან შეჩერების უფლებამოსილება „ემიტენტს“ წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის გადაწყვეტილებას მოიწონებს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭო.

3.4.12 ობლიგაციებიდან გამომდინარე ვალდებულებები შესაძლოა დაექვემდებაროს სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწერას

ობლიგაციები გამოშვებულია კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაციის დაკმაყოფილების მიზნით და გამოშვებულია იმ მიზნით, რომ აღნიშნული ინსტრუმენტი ჩაირთოს ემიტენტის დამატებით პირველად კაპიტალში. აღნიშნული კლასიფიკაცია დამოკიდებულია რამდენიმე პირობის დაკმაყოფილებაზე, რომლებიც გაწერილია პირობების ნაწილში.

„ჩამოწერის მოვლენა“ დადგება „გამომწვევი მოვლენის“ ან „სიცოცხლისუნარიანობის მოვლენის“ დადგომის შემთხვევაში. თუკი ნებისმიერ დროს „კომპანია“, „ზედამხედველი“ ან „ზედამხედველის“ მიერ დანიშნული აგენტი ჩათვლის, რომ „კომპანიის“ ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1) კოეფიციენტი დათვლილი ცალკე-მდგომი პოზიციიდან არის 5.125%-ზე ნაკლები; ან „ზედამხედველი“ დადგენით: (i) აუცილებელი არის ობლიგაციების ჩამოწერა რის გარეშეც „კომპანია“ აღარ იქნებოდა ქმედუნარიანი; ან/და (ii) აუცილებელი არის საჯარო სექტორის მიერ კაპიტალის შეტანა, ან მსგავსი ქმედება, რის გარეშეც „კომპანია“ აღარ იქნებოდა ქმედუნარიანი ან/და (iii) ნებისმიერი სხვა მოვლენა ან გარემოება მოხდა, რომელიც განმარტებული არის, როგორც „კომპანიის“ ქმედუნარობა დადგება „ჩამოწერის მოვლენა“.

იმ შემთხვევაში თუკი „ჩამოწერის მოვლენა“ მოხდა და გრძელდება ჩამოწერის ქმედებების ძალაში შესვლის თარიღისთვის:

- (ა) ნებისმიერი ფინანსური ზარალი, რომელზეც პასუხისმგებელი შეიძლება იყოს „კომპანია“ „ობლიგაციების“ ფარგლებში სრულად გაუქმდება;
- (ბ) ნებისმიერი დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი სრულად გაუქმდება; და
- (გ) გამოშვებული ძირი სრულად ჩამოიწერება.

ნებისმიერი ფინანსური ზარალი და/ან დარიცხული პროცენტი რომლის გაუქმებაც მოხდა „კომპანიის“ მიერ ამ პირობის მიხედვით აღარ დაგროვდება და აღარ იქნება გადასახდელი იმის მიუხედავად „ჩამოწერის მოვლენა“ კვლავ გრძელდება თუ არა.

პროცენტის დარიცხვა და გადახდა არ მოხდება მანამ სანამ „ჩამოწერის მოვლენა“ მოხდა და ძალაშია.

„ჩამოწერის მოვლენა“ შეიძლება მოხდეს რამდენჯერმე (და ფინანსური ზარალის და დარიცხული პროცენტის გაუქმება და ობლიგაციების ჩამოწერა შეიძლება მოხდეს ასევე რამდენჯერმე).

ჩამოწერის მოვლენა სხვადასხვაგვარად აისახება „ობლიგაციების“ მფლობელებზე. პირველ რიგში ობლიგაციების მფლობელების მოთხოვნა ძირის მიმართ შეზღუდული იქნება ნარჩენი ძირის ოდენობით და

არა ძირის ნომინალური ოდენობით. ამასთან, პროცენტი დაერიცხება მხოლოდ ძირის ნარჩენ ოდენობას დროდადრო და იმის გათვალისწინებით, რომ ძირის ნარჩენი ოდენობა ნაკლებია საწყისი ნომინალური ძირის ოდენობაზე. ამასთან, ნებისმიერმა მინიშნებამ ან აღქმულმა მინიშნებამ კომპანიის გადახდების გასანაწილებელ რესურსებთან მიმართებაში მნიშვნელოვან სხვაობაზე, ან/და ემიტენტის ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1) კოეფიციენტის იურიდიული და საზედამხედველო მოთხოვნების დარღვევისკენ მიმავალმა ტრენდმა შეიძლება მატერიალურად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ფასზე.

ნებისმიერმა მინიშნებამ ან აღქმულმა მინიშნებამ კომპანიის მიერ დამატებითი კაპიტალის მოზიდვის საჭიროებაზე, მისი გადახდისუნარიობის აღქმულ რისკზე, ან ბიზნეს-მოქმედებების გაგრძელების უნარის საფრთხეზე შეიძლება არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების საბაზრო ფასზე.

ობლიგაციების საბაზრო ფასზე იმოქმედებს ნებისმიერი რეალური ან აღქმული ჩამოწერის მოვლენის დადგომის ალბათობა.

3.4.13 ჩამოწერის მოვლენის დადგომის მაპროგნოზირებელი გარემოებები არაპროგნოზირებადია

ჩამოწერის მოვლენის ხდომილება თავის მხრივ არაპროგნოზირებადია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთაგან ბევრი ემიტენტის კონტროლს არ ექვემდებარება. ჩამოწერის ხდომილება ნაწილობრივ დამოკიდებულია ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1) კოეფიციენტის გაანგარიშებაზე, რომელიც თავის მხრივ სხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია ემიტენტის ბიზნესისა და მისი მომავალი შემოსავლის ზრდაზე, საზედამხედველო ცვლილებებზე, ემიტენტის უნარზე მოახდინოს რისკების მიტიგაცია შეწონილი აქტივების მიხედვით და ემიტენტის გადაწყვეტილებებზე მართოს მისი კაპიტალის პოზიცია.

კალკულაციაზე შეიძლება იმოქმედოს ცვლილებებმა შესაბამის საანგარიშგებო სტანდარტებში. ამასთან საზედამხედველო ცვლილებებმა შეიძლება იმოქმედოს ემიტენტის მიერ ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1) კოეფიციენტის გაანგარიშებაზე და ნეგატიურად იმოქმედოს აღნიშნულ კოეფიციენტზე და შესაბამისად გაზარდოს ჩამოწერის მოვლენის დადგომის ალბათობა.

შესაბამისად ზემოთმოყვანილ პარაგრაფებში აღწერილი შემთხვევების დადგომა არაპროგნოზირებადია და დამოკიდებულია კომპანიის კონტროლს დაუქვემდებარებელ ფაქტორებზე. ჩამოწერის მოვლენის დადგომა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზედამხედველის დადგენილებზე. შესაბამისად ზედამხედველის მსგავსმა დადგენილებამ (ან დადგენილების დამტკიცების აღქმულმა საშიშროებამ) შეიძლება არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ ღირებულებაზე და გამოიწვიოს ინვესტორების ფასიან ქალაქებში ინვესტიციის სრული ან ნაწილობრივი ინვესტიციის დაკარგვა.

შეუძლებელია წინაწარ განისაზღვროს როდის დადგება ჩამოწერის მოვლენის განმაპირობებელი ფაქტები. შესაბამისად ობლიგაციებთან დაკავშირებული სავაჭრო ქმედებები აუცილებლად არ მიემსგავსება სხვა ტიპის ფასიანი ქალაქების ვაჭრობების ქმედებებს. ნებისმიერმა მინიშნებამ, რომ შეიძლება დადგეს ემიტენტის ჩამოწერის მოვლენის საშიშროება შეიძლება არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების საბაზრო ფასზე.

3.4.14 არ არსებობს ობლიგაციების გამოთხოვის დაგეგმილი თარიღი და ობლიგაციების მფლობელებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ გამოთხოვა. ამასთან ემიტენტმა შეიძლება გამოითხოვოს ობლიგაციები გარკვეულ შემთხვევებში

ობლიგაციები არის უვადო და არ აქვთ ფიქსირებული ვადა. ემიტენტს არ აქვს ვალდებულება ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ობლიგაციები და ობლიგაციების მფლობელებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ მათი გამოთხოვა და გამოსყიდვა ემიტენტისგან.

იმ შემთხვევაში, თუკი „ობლიგაციების“ გამოშვების შემდეგ „ზედამხედველი“ არ აღიარებს „ობლიგაციებს“ „კომპანიის“ დამატებით პირველად კაპიტალად ან ასეთად აღიარების შემდეგ ნებისმიერ დროს შეწყვეტს მათ აღიარებს დამატებით პირველად კაპიტალად, „კომპანიას“ ექნება უფლება, მაგრამ არა ვალდებულება,

მოახდინოს „ობლიგაციების“ სრულად, მაგრამ არა ნაწილობრივ, გამოსყიდვა „ინვესტორებისგან“ მათი ნომინალური ღირებულების 100%-ად. „ობლიგაციების“ ემისიის თარიღიდან 5 (ხუთი) წლის შემდეგ, ნებისმიერ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ „კომპანიას“ ექნება უფლება, მაგრამ არა ვალდებულება, მოახდინოს „ობლიგაციების“ სრულად, მაგრამ არა ნაწილობრივ, გამოსყიდვა „ინვესტორებისგან“ მათი ნომინალური ღირებულების 100%-ად იმ პირობით, რომ (ა) „კომპანიას“ მიღებული ექნება „ზედამხედველისგან“ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა წინასწარი თანხმობა და ნებართვა გამოსყიდვის განხორციელებაზე და (ბ) „კომპანია“ აცნობებს „ინვესტორებს“ სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ გამოსყიდვამდე 30 (ოცდაათი) „კალენდარული დღით“ ადრე - („გამოთხოვის უფლება“). არსებული რეგულაციის მიხედვით, „კომპანია“ ვერ გამოიყენებს „გამოთხოვის უფლებას“ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „გამოთხოვის უფლების“ გამოყენების შედეგად „ობლიგაციების“ ჩანაცვლება მოხდება იგივე ან უკეთესი ხარისხის კაპიტალით და აღნიშნული კაპიტალის ჩანაცვლება მოხდება ისეთი პირობებით, რომელიც შეესაბამება „კომპანიის“ შემოსავლის მასშტაბებს, ან „კომპანიას“ შეუძლია იმის დემონსტრირება, რომ „გამოთხოვის უფლების“ გამოყენების შემთხვევაში, „კომპანიის“ კაპიტალი საკმარისად აღემატება „ზედამხედველის“ მიერ დაწესებულ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს.

არ არსებობს იმის პროგნოზირების შესაძლებლობა მოხდება თუ არა ზემოთაღნიშნული მოვლენები და დადგება თუ არა შედეგი, როდესაც ემიტენტი გადაწყვეტს ობლიგაციების გამოთხოვას, ან დააკმაყოფილებს გამოთხოვისთვის აუცილებელ პირობებს. ემიტენტი უფრო დიდი ალბათობით იმ შემთხვევაში გამოითხოვს ობლიგაციებს, როდესაც ფინანსური სახსრების მოზიდვის ხარჯები ნაკლები იქნება ობლიგაციებთან დაკავშირებულ საპროცენტო განაკვეთზე. თუ მოხდება ობლიგაციების გამოთხოვა არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციის მფლობელები მოახდენენ მიღებული თანხების უფრო ხელსაყრელი ან მსგავსი პირობებით რეინვესტირებას.

3.4.15 ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შეიცვალოს „გადატვირთვის თარიღზე“, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციების სავაჭრო ფასზე

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება გამოშვებიდან ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ემიტენტის უნარზე გადაიხადოს დარიცხული სარგებელი ან ინვესტიციის საბაზრო ფასზე. პირველი ხუთი წლის მანძილზე ობლიგაციებს დაერიცხება ამ ემისიის პროსპექტით განსაზღვრული სარგებელი, თუმცა გადაანგარიშდება ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული წესით. გადაანგარიშების შედეგად, ყოველი შემდეგი პერიოდის საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს ნაკლები და შესაბამისად, შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების სავაჭრო ფასზე რასაც, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა ექნება ინვესტორების ინტერესებზე.

3.4.16 SOFR-ის გაუქმებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ ფასზე

ობლიგაციების საპროცენტო სარგებლის საანგარიშო ინდექსია SOFR (Secured Overnight Financing Rate), რომელმაც ჩანაცვლა მანამდე მოქმედი LIBOR. აღნიშნული საანგარიშო ინდექსი შესაძლოა მომავალში შეიცვალოს, რაც არ იქნება დამოკიდებული „ემიტენტზე“. მსგავსი ინდექსის ცვლილებამ შესაძლოა გააჩინოს ნეგატიური მოლოდინები ბაზარზე ან შექმნას არაპროგნოზირებადი გარემო, რასაც თავის მხრივ არსებითად საუარესო ეფექტი ექნება „ობლიგაციების“ ფასს და ლიკვიდურობაზე.

3.4.17 „ობლიგაციები“ კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტებია და დაკავშირებულია მაღალი ხარისხის რისკთან, შესაბამისად ობლიგაციები შეიძლება არ იყოს შესაფერისი ინვესტიცია ყველა ტიპის ინვესტორისთვის

ობლიგაციები კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტებია და დაკავშირებულია მაღალი ხარისხის რისკთან. შესაბამისად ობლიგაციებში ინვესტიცია დაკავშირებულია გარკვეული სახის გაზრდილ რისკთან. თითოეულმა ინვესტორმა უნდა შეაფასოს შესაბამისობა (ინდივიდუალურად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) საკუთარი მდგომარეობის გათვალისწინებით. კონკრეტულად თითოეულმა ინვესტორი:

- უნდა ფლობდეს საკმარის ცოდნასა და გამოცდილებას ობლიგაციების მნიშვნელოვანი შეფასებისთვის, რისკებისა და დაკავშირებული ამონაგების ანალიზისა და აღნიშნულ „მემორანდუმში“ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზისთვის
- ჰქონდეს წვდომა და ცოდნა შესაბამისი ანალიტიკური ხერხებისა და მეთოდებისა, რომ გაანალიზოს კონკრეტულ ფინანსურ სიტუაციაში აღნიშნული ობლიგაციების გავლენა არა მხოლოდ ცალკეული ინვესტიციის, არამედ მთლიანი საინვესტიციო პორტფელის ჭრილში
- ჰქონდეს საკმარისი ოდენობის ფინანსური სახსრები და ლიკვიდურობა, რომ შეძლოს აღნიშნულ ობლიგაციაში ინვესტიციასთან დაკავშირებული რისკების აღება. მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც პოტენციური ინვესტორის საფინანსო საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია აშშ დოლარისგან განსხვავებულ ვალუტებთან და არსებობს რისკი, რომ ჩამოწერის შემთხვევაში დაიკარგოს ინვესტიციის სრული ან მნიშვნელოვანი ნაწილი.
- საფუძვლიანად ესმოდეს ობლიგაციების პირობები (მათ შორის, სუბორდინაციასთან დაკავშირებული შეზღუდვები); და
- შეეძლოს შეაფასოს შესაძლებელი ეკონომიკური სცენარები, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფაქტორების ცვლილების ჭრილში, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს მის ინვესტიციაზე და უნარზე აილოს შესაბამისი რისკები.

გათვითცნობიერებული ინვესტორები ინვესტიციებს დივერსიფიცირებულ პორტფელებში დებენ და კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტები საინვესტიციო პორტფელების შედარებით მცირე ნაწილს წარმოადგენენ ხოლმე. შესაბამისად მთლიანი თანხის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ინვესტირება ერთ კომპლექსურ ინსტრუმენტში განსაკუთრებით მაღალ რისკს ატარებს. პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა განახორციელონ ინვესტიცია ობლიგაციებში თუ მათ არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება (ინდივიდუალურად ან ფინანსურ მრჩეველთან ერთად) გაანალიზონ ობლიგაციები ცვალებადი გარემოპირობების ფაქტორების გათვალისწინებით. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე პოტენციურმა ინვესტორებმა ფრთხილად უნდა გაანალიზონ საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით აღნიშნულ „მემორანდუმში“ წარმოდგენილი სრული ინფორმაცია.

4 შეთავაზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია

4.1 განთავსების აგენტის შესახებ ინფორმაცია

4.1.1 განთავსების აგენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა და საიდენტიფიკაციო ნომერი, აგრეთვე მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 405482721

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3

რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო

მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა

ტელ: (+995) 555 08 88 88

ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com

ვებგვერდი: www.alphacapitaladvisory.com

4.1.2 განთავსების აგენტთან ხელშეკრულების ძირითადი პირობები (Firm Commitment, Best Effort, Standby Commitments, Other); თუ სრულად ან საერთოდ არ ხდება ემისიის შექმნა, დარჩენილი ნაწილის რაოდენობა/წილი

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ („განთავსების აგენტი“), 2023 წლის 22 მასის მომსახურების ხელშეკრულების და 2024 წლის 3 სექტემბრის დანართის შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ იგი დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არა-გარანტირებული საფუძველით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

4.2 მიღებული სახსრების გამოყენება

4.2.1 შეთავაზების მიზნების აღწერა

ინსტრუმენტის გამოშვების მიზნობრიობა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას (კაპიტალის ზრდა ან შენარჩუნება).

„ემიტენტი“ წინამდებარე პროსპექტის საფუძველზე გეგმავს ჯამურად 25,000,000 (ოცდახუთ მილიონ) აშშ დოლარამდე ნომინალური ღირებულების „ობლიგაციების“ გამოშვებას ოთხ ნაწილად.

4.2.2 მიღებული სახსრების გამოყენება

პირველი ემისიის გამოშვების მიზნობრიობას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება (კაპიტალის ზრდა ან შენარჩუნება).

შემდგომი ტრანშებით მოზიდული სახსრებით გამოყენება დაზუსტდება შესაბამისი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით.

4.2.3 ყველა იმ ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ შეთავაზებას; მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ამ შეთავაზებასთან მიმართებით.

5 პასუხისმგებელი პირები

5.1 სარეგისტრაციო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ყველა იმ პირის დასახელებას, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული დოკუმენტის ან მისი რომელიმე ნაწილის შინაარსზე დაკავებული თანამდებობის მითითებით

ბატონი მურთაზ კიკორია - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ბატონი ბექა გოგიჩაიშვილი - გენერალური დირექტორი

ბატონი ვახტანგ ბაბუნაშვილი - ფინანსური დირექტორი

5.2 დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გაკეთებული განაცხადი იმის შესახებ, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე. არსებობის შემთხვევაში, იგივე განაცხადი უნდა გაკეთდეს ცალკეულ ნაწილებზე პასუხისმგებელი პირების მიერაც.

ჩვენ, სს „ლიბერთი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მურთაზ კიკორია, გენერალური დირექტორი ბექა გოგიჩაიშვილი და ფინანსური დირექტორი ვახტანგ ბაბუნაშვილი, ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

5.3 ემიტენტის აუდიტორის დასახელება და მისამართი წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისთვის; ამასთან, თუ წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე მოხდა აუდიტორის შეცვლა, უნდა აღიწეროს მიზეზები.

ემიტენტის ფინანსური აუდიტორი 2022 და 2023 წლის მანძილზე იყო შპს “იუაი”. საიდენტიფიკაციო კოდი: 204441158. მისამართი: საქართველო, 0105 თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა 44. ტელ: +995 32 215 8811

5.4 როდესაც რეგისტრაციის დოკუმენტში გამოყენებულია ნებისმიერი მესამე პირის ან ექსპერტის დასკვნა, უნდა მიეთითოს მისი სახელი, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მისი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში

რეგისტრაციის დოკუმენტში არ არის გამოყენებული მესამე პირის ან ექსპერტის დასკვნა, გარდა ფინანსური აუდიტორისა. ფინანსური აუდიტორის რეკვიზიტები იხილეთ წინა ქვეთავში.

5.5 როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, უნდა მიეთითოს წყარო და გაკეთდეს დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადაამუშავებული. ასევე, უნდა მოხდეს განცხადება, რომ რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.

„ემისიის პროსპექტის“ სხვადასხვა ნაწილებში მოცემული სტატისტიკური მონაცემები, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოპოვებულ იქნა „სებ“-დან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან („ფინანსთა სამინისტრო“), ტურიზმის ეროვნული სააგენტო, და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან („საქსტატი“). აღნიშნული წყაროების მიერ დაცული სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ლარში (საქართველოს ეროვნული ვალუტა) ან აშშ დოლარში. ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოცემულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში, კონვერტირებულია ლარში, „ემისიის პროსპექტში“ მითითებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. მსგავსი სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვა წყაროებიდან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული წყაროს მიერ გამოყენებული მეთოდები, დაშვებები და მიღებული შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მართალია, ყველა ზომა მიღებულ იქნა იმისათვის, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ყოფილიყო ყველაზე სანდო და თანმიმდევრული მონაცემები, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავსი მონაცემები შედგენილ იქნა და მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ასევე პროსპექტში გამოყენებულია „კომპანიის“ კონკურენტული ბანკების ფინანსური ინფორმაცია.

„კომპანიის“ მიერ „სებიდან“, „ფინანსთა სამინისტროდან“, „საქსტატიდან“ და სხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია ზუსტად იქნა ასახული „ემისიის პროსპექტში“ და „კომპანია“ და „განთავსების, გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ აცხადებენ, რომ, მათი ინფორმაციით და ამგვარი წყაროების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ემისიის პროსპექტში“ არ იქნა გამოტოვებული ისეთი ფაქტები, რაც გამოიწვევდა ასახული ინფორმაციის უზუსტობას ან უსწორობას. „ემისიის პროსპექტში“ მესამე პირის ინფორმაციის გამოყენებისას, ამგვარი ინფორმაციის წყარო იდენტიფიცირებულ იქნა.

6 ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

6.1 ემიტენტის იურიდიული და კომერციული დასახელება, ცვლილების შემთხვევაში ძველი სახელწოდებაც

ემიტენტის იურიდიული და კომერციული დასახელება არის სს „ლიბერთი ბანკი“. ძველი სახელწოდებებია სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ და სს „აგრომრეწვბანკი“.

6.2 ემიტენტის სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის ქვეყანა, კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც აწარმოებს საქმიანობას, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ვებ-გვერდის მისამართი

| | |
|--|--|
| ემიტენტის სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი: | სს „ლიბერთი ბანკი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304) |
| რეგისტრაციის ქვეყანა: | საქართველო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად |
| მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N74 |
| ელ.ფოსტა: | info@lb.ge |
| ტელ: | +995 32 2 55 55 00 |
| ვებ-გვერდი: | https://libertybank.ge/ |

6.3 დაარსების თარიღი და საქმიანობის ისტორია

ისტორიულად ბანკი წარმოადგენდა სახელმწიფო ბანკს, რომლის პრივატიზება განხორციელდა 1995 წელს. აღნიშნული პერიოდიდან ბანკი ოპერირებდა სააქციო საზოგადოება „აგრომრეწვბანკის“ სახელწოდებით. 2000-იანი წლების დასაწყისში ბანკმა შეიცვალა სახელწოდება და საქმიანობა განაგრძო „საქართველოს სახალხო ბანკის“ სახელით. 2010 წელს ბანკში განხორციელდა კონტროლის ცვლილება, ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი გახდა რუმინელი ბიზნესმენი დან კოსტაჩე პატრიჩიუ, რასაც შედეგად მოყვა საფირმო სახელწოდების კიდევ ერთი ცვლილება და ბანკის მთლიანი რებრენდინგი. აღნიშნული პერიოდიდან დღემდე მოყოლებული ბანკი ოპერირებს სს „ლიბერთი ბანკის“ სახელწოდებით. დან კოსტაჩე პატრიჩიუს გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი იყო ყაზახური ბიზნეს ჯგუფი. ამ პერიოდისთვის ბანკი წარმოადგენდა მკვეთრად გამოხატულ საცალო კლიენტებზე ორიენტირებულ ფინანსურ ინსტიტუტს. 2017 წლიდან ბანკის სათავეში მოვიდა ამჟამინდელი აქციონერი Georgian Financial Group B.V და აღნიშნული პერიოდიდან ბანკმა დაიწყო უნივერსალურ ბანკად ჩამოყალიბება, მათ შორის განავითარა კორპორატიული სექტორის დაკრედიტება, ხოლო MSME სექტორი დღეს უკვე ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

6.4 არსებობის შემთხვევაში, იმ მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა, რამაც მატერიალური გავლენა შეიძლება მოახდინოს ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე

„კომპანიის“ მენეჯმენტის განცხადებით, მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

6.5 არსებობის შემთხვევაში, კომპანიის საკრედიტო რეიტინგი

ემიტენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს საკრედიტო რეიტინგი არ გააჩნია. თავად ემიტენტის საკრედიტო რეიტინგები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| სარეიტინგო სააგენტო | კომპანიის გრძელვადიანი რეიტინგი | კომპანიის მოკლევადიანი რეიტინგი | პროგნოზი | რეიტინგის თარიღი |
|---------------------|---------------------------------|---------------------------------|-----------|------------------|
| Fitch | B+ | B | პოზიტიური | 24/04/2024 |
| Moody's | Ba3 | NP | სტაბილური | 28/03/2024 |

სარეიტინგო ნიშნულები 2021-2023 წლებში არ შეცვლილა. თავად რეიტინგის პროგნოზი კი Fitch-მა 2023 წლის მაისში „სტაბილურიდან“ „პოზიტიურზე“ შეცვალა, ხოლო Moody's-მა 2024 წლის მარტში „ნეგატიურიდან“ „სტაბილურზე“ გადაიყვანა.

თავიანთ ანგარიშებში სარეიტინგო სააგენტოებმა აღნიშნეს „კომპანიის“ რეიტინგის განმსაზღვრელი ისეთი დადებითი ფაქტორები, როგორებიცაა აქტივების ხარისხის და მომგებიანობის კარგი მაჩვენებლები, კაპიტალიზაციის ადეკვატური დონე და დაფინანსების მისაღები სტრუქტურა. უარყოფით ფაქტორებს შორის აღნიშნული იყო „კომპანიის“ შედარებით მცირე ზომა, კაპიტალიზაციის ზომიერი მაჩვენებელი, კონკურენტებთან შედარებით ფასდადებზე გავლენის ნაკლები უნარი და საცალო მომხმარებლების სექტორზე მნიშვნელოვანი ფოკუსირება.

ანგარიშებში სარეიტინგო სააგენტოებმა აღნიშნეს, რომ შემდეგი გარემოებების დადგომამ შეიძლება გამოიწვიოს რეიტინგის გაუარესება: (1) აქტივების ხარისხის გაუარესება და გაუფასურებული სესხების წილის 10%-ზე მაღლა ასვლა, რაც იწვევს რისკის ღირებულების ზრდას და მომგებიანობის გაუარესებას (საოპერაციო მოგების რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან შეფარდების 1%-ზე დაბალ ნიშნულზე ჩამოსვლა); (2) კაპიტალიზაციის მნიშვნელოვანი გაუარესება და FCC კოეფიციენტის 10%-ზე ნაკლებ ნიშნულზე ჩამოსვლა.

ანგარიშებში სარეიტინგო სააგენტოებმა აღნიშნეს, რომ შემდეგი გარემოებების დადგომამ შეიძლება გამოიწვიოს რეიტინგის გაუმჯობესება: (1) საქართველოში საოპერაციო გარემოს გაუმჯობესება და „კომპანიის“ მიერ ჯანმრთელი საოპერაციო შედეგების მიღწევა, მათ შორის გაუფასურებული სესხების წილის 5%-ზე დაბალ ნიშნულზე შენარჩუნება და მომგებიანობის კარგი მაჩვენებლები (საოპერაციო მოგების რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან შეფარდების 2%-ზე მაღალ ნიშნულზე ასვლა); (2) კაპიტალიზაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და FCC კოეფიციენტის 15%-ზე მაღალ ნიშნულზე ასვლა.

სარეიტინგო სააგენტოების უახლესი ანგარიშები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე:

Fitch: <https://www.fitchratings.com/entity/jsc-liberty-bank-88787064>

Moody's: <https://www.moody.com/credit-ratings/Liberty-Bank-JSC-credit-rating-825364714>

6.6 ინფორმაცია ემიტენტის სასესხო და დაფინანსების სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ ბოლო ფინანსური წლის მანძილზე; ამასთან, მისი საქმიანობის მომავალი პერიოდების სავარაუდო დაფინანსების წყაროების აღწერა

„კომპანიის“ საპროცენტო დავალიანების სტრუქტურა საანალიზო პერიოდის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 30/06/2024 |
|------------|--------------------|--------------------|------------|
|------------|--------------------|--------------------|------------|

| | | | არა- აუდირებული |
|--|------------------|------------------|--------------------|
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 327,279 | 363,574 | 656,231 |
| ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ | 2,689,669 | 3,033,490 | 3,132,599 |
| საიჯარო ვალდებულებები | 28,741 | 30,114 | 36,340 |
| სუბორდინირებული ვალი | 98,774 | 93,588 | 107,280 |
| სულ: | 3,144,473 | 3,520,766 | 3,932,450 |

„კომპანია“ მოელის, რომ მომავალ წლებში მისი დაფინანსების ძირითადი წყაროები კვლავ იქნება მომხმარებელთა ანგარიშები, მიღებული სესხები და სუბორდინირებული ვალები.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით გაზრდილია 292,657 ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია საქართველოს ეროვნული ბანკისგან მოზიდული სახსრების ზრდით 250,131 ლარი, ასევე 48,251 მლნ ლარით გაზრდილია ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრებით.

7 საქმიანობის აღწერა

7.1 ძირითადი საქმიანობა

7.1.1 ემიტენტის საქმიანობის ტიპიდან და ბიზნეს-ოპერაციებიდან გამომდინარე, მის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორების, ასევე, ფინანსურ მონაცემებში მოყვანილი ყოველი წლისთვის წარმოებულ პროდუქტების და/ან გაწეული მომსახურების ძირითადი კატეგორიების მოკლე აღწერა

ბანკი“ წარმოადგენს სააქციო კომერციული ბანკი - „აგრომრეწვბანკის“, ხოლო შემდგომში სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახალხო ბანკის“ სამართალმემკვიდრეს. 1995 წლამდე „კომპანია“ ფუნქციონირებდა როგორც სახელმწიფო კომერციული ბანკი, ხოლო 1994-1995 წლებში განხორციელდა მისი პრივატიზაცია. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1993 წლის 10 თებერვალს გაცემული #3500/10 ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე. „კომპანია“ იღებს ანაბრებს მომხმარებლებისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის საცალო და კორპორაციულ კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას.

კომპანიის მიერ საკუთარი მომხმარებლისთვის შეთავაზებული პროდუქტი და მომსახურება მუდმივად ვითარდება, ემატება ახალი სახის პროდუქტი და მომსახურება, ასევე იცვლება არსებულის პირობები. ქვემოთ აღწერილი პროდუქტი და მომსახურება არ არის ამომწურავი, ასევე არ არსებობს არანაირი გარანტია რომ მომხმარებლისთვის კონკრეტულ ეტაპზე ხელმისაწვდომი იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი ან მომსახურება ან ხელმისაწვდომი იქნება აღნიშნული პირობებით. მიუხედავად ამისა, მოცემულ ეტაპზე „კომპანიის“ ძირითადი სასესხო პროდუქტები შემდეგია:

სამომხმარებლო სესხი

| | |
|--|---|
| სესხის თანხა | 300-დან 80,000 ლარამდე არაუზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხებზე / 300-დან 300,000 ლარამდე უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხებზე |
| ვალუტა | ლარი, დოლარი, ევრო (400,000 ლარამდე სესხები გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, გარდა „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ გათვალისწინებული გამონაკლისებისა) |
| სესხის ვადა | უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი - მინიმალური 3 თვე, მაქსიმალური ლარში - 120 თვე; არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი - მინიმალური 3 თვე, მაქსიმალური ლარში - 48 თვე |
| შემოსავალი | 200 ლარიდან |
| წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში | არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი ლარში 9,9%-დან, უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი ლარში 13%-დან; უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი დოლარში 10,5%-დან; უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი ევროში 8,9%-დან |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: | არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი ლარში 15,8%-დან*, უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი ლარში 15%-დან*; უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი დოლარში 12,37%-დან*; უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი ევროში 10,9%-დან* |
| საკრედიტო ბიუროში გადამოწმების საკომისიო | 300-10,000 ლარი - 10 ლარი; 10,000-20,000 ლარი - 15 ლარი; 20,000< - 20 ლარი *ვალუტის შემთხვევაში 5 ევრო, 10 დოლარი |
| სესხის გაცემის საკომისიო: | 2% უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი, მინ 50 ლარი / 2.5% არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი; მინ. 40 ლარი |
| ასაკი | 18 - 70 წელი |

| | |
|----------------|--|
| თანამსესხებელი | დასაშვებია არაუმეტეს სამი თანამსესხებლისა (ძირითად მსესხებელს + ორი თანამსესხებელი) |
| სხვა ხარჯები | საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის რეგისტრაციის ხარჯი: 158 ლარიდან; საჯარო რეესტრის უზრუნველყოფის მოხსნის ხარჯი: 151 ლარიდან. |

*ეფექტური პროცენტი დათვლილია 5,000 ლარზე 12 თვით (არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი) / 100,000 ლარზე 120 თვით (უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი)

იპოთეკური სესხი

| | |
|--|---|
| სესხის თანხა | 3000 ლარიდან |
| ვადა | მინიმალური - 6 თვე, მაქსიმალური ლარში - 240 თვე, მაქსიმალური ვალუტაში - 120 თვე |
| ვალუტა | ლარი, დოლარი ევრო (400,000 ლარამდე სესხები გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, გარდა „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ გათვალისწინებული გამონაკლისებისა) |
| საპროცენტო განაკვეთი (ნომინალური და ეფექტური*) | ინდექსირებული** პროცენტი: ლარი 11,8%-დან, ეფექტური 13,28%-დან; აშშ დოლარი 7,95% - დან, ეფექტური 9,15%-დან; ევრო 5,90%-დან, ეფექტური 6,95%-დან |
| უზრუნველყოფა | უძრავი ქონება |
| შემოსავალი | 500 ლარიდან |
| სესხის გაცემის საკომისიო | 0.4 % მინ. 50 ლარი |
| ასაკი | 18 - 75 წელი |
| თანამონაწილეობა | 0% დან*** |
| თანამსესხებელი | დასაშვებია არაუმეტეს სამი თანამსესხებლისა (ძირითად მსესხებელს + ორი თანამსესხებელი) |
| სხვა ხარჯები | საჯარო რეესტრში უზრუნველყოფის რეგისტრაციის ხარჯი: 158 ლარიდან; საჯარო რეესტრის უზრუნველყოფის მოხსნის ხარჯი: 151 ლარი |

*ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დათვლილია: 200,000 ლარზე 120 თვით, 100,000 დოლარზე 120 თვით, 100,000 ევროზე 120 თვით. **ინდექსი: ლარი - საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი; აშშ დოლარი - Sofr ინდექსი; ევრო - Euribor-ის ინდექსი. ***თანამონაწილეობა 0% დან - ალტერნატიული უძრავი ქონების დამატებით.

ავტო სესხი

| | |
|-------------------------|-------------------|
| სესხის ვალუტა | ლარი |
| სესხის თანხა | 1000-300,000 ლარი |
| ავტომობილის ღირებულების | 80%-მდე |
| ვადა | 1-60 თვე |
| ეფექტური | 49.65% |
| გაცემის საკომისიო | 0% |
| გირავნობის ხარჯი | უფასო |

ოქროთი უზრუნველყოფილი სესხი

| | |
|--|--------|
| სესხის ვალუტა | ლარი; |
| ნომინალური (წლიური) საპროცენტო განაკვეთი | 18.00% |

| | |
|-------------------------------|------------------------------------|
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთი | 19.57%-დან |
| სესხის თანხა | ლარი: მინიმუმ 70 - მაქსიმუმ 50 000 |

საპენსიო და დევილის სესხი

| | |
|--|---|
| სესხის თანხა | მინიმალური თანხა - 45 ლარი, მაქსიმალური - 10 000 ლარი |
| ვალუტა | ლარი |
| სესხის მოქმედების ვადა | 3 თვიდან მაქსიმუმ 48 თვემდე |
| დაფარვის წესი | იფარება ყოველთვიურად თანაბარი შენატანებით |
| წლიური საპროცენტო განაკვეთი | განისაზღვრება მაქსიმუმ გაცემის მომენტში 6 თვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსისა (TIBR6M) და 15 (თხუთმეტი) პროცენტული პუნქტის ჯამური ოდენობით და არ იცვლება სესხის ვადის ბოლომდე |
| საპროცენტო განაკვეთის ტიპი | ფიქსირებული |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთი | განისაზღვრება გაცემის მომენტში 6 თვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსისა (TIBR6M) და 15 (თხუთმეტი) პროცენტული პუნქტის ჯამური ოდენობის მიხედვით მიღებული ნომინალური პროცენტის საფუძველზე |
| საკომისიოები, პირგასამტეხლოები და სხვა ფინანსური ხარჯები | არ არის განსაზღვრული |
| ასაკი | მინიმალური 18 წელი, მაქსიმალური - 80 წელი |

ოვერდრაფტი

| | |
|------------------------------------|---|
| სესხის თანხა | ყოველთვიურად ასაღები ხელფასის 100% (მაქს.); მინიმალური - 200 ლარი, მაქსიმალური 25,000 ლარი |
| შემოსავალი | ხელფასი |
| საპროცენტო განაკვეთი (ფიქსირებული) | 16%-დან |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთი | 17.25%-დან |
| მსესხებელი | საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი |
| შემოსავლის დადასტურების გზა | სახელფასო ამონაწერი |
| პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის | ოვერდრაფტის გადაუხდელი პროცენტის 0.27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე |
| ყოველთვიური მომსახურების საკომისიო | 1 ლარი |

საკრედიტო ბარათი

| | |
|----------------|---------------|
| ბარათის ლიმიტი | 5,000 ლარამდე |
| ვალუტა | ლარი |

| | |
|-------------------------------------|---|
| შემოსავალი | ხელფასი |
| წლიური საკომისიო | 0 ლარი |
| ყოველთვიური საკომისიო | 0 ლარი საშუალო პერიოდის განმავლობაში დაფარვის შემთხვევაში |
| ყოველთვიური საკომისიო (ფიქსირებული) | მინიმალური 5 ლარი, მაქსიმალური 60 ლარი, დამოკიდებულია საკრედიტო ბარათის ლიმიტზე იმ შემთხვევაში თუ საშუალო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა დაფარვა |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთი | 15.37% სავაჭრო ობიექტების შემთხვევაში; 17.25 % ბანკომატებიდან განაღდების შემთხვევაში; |

განვადება

| | |
|-----------------------------|---|
| ბარათის ლიმიტი | 100-10,000 |
| ვალუტა | ლარი |
| ვადა | 3-48 თვე |
| წლიური საპროცენტო განაკვეთი | 0%-დან (სოციალურ სეგმენტზე არაუმეტეს TIBR+15%-ისა) |
| შემოსავალი | 1. ნებისმიერი ტიპის დეკლარირებული შემოსავალი, მათ შორის საპენსიო თანხა; 2. ფულადი გზავნილები 3. განვადების აღების მიზნით დამატებით დასაშვებია შემოსავლების გათვალისწინება ფიზიკური პირის სამეწარმეო და არასამეწარმეო შემოსავლები, ბანკში არსებული შემოსავლების დადგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. |
| ვადაგადაცილების საკომისიო | ერთჯერადი 20 ლარი ყოველი ვადაგადაცილების პირველ დღეს, დამატებით 0.27% ვადაგადაცილების თითოეულ დღეზე (სოციალურ სეგმენტზე პირგასამტეხლო 0%) |

ბიზნეს სესხი

| | |
|---------------------------------|---|
| მსესხებელი | ფიზიკური ან იურიდიული პირი |
| სესხის თანხა | <ul style="list-style-type: none"> • მიკრო სესხი - 1,000 – 50,000 ლარი; • მცირე სესხი - 50,001 – 500,000 ლარი; • საშუალო სესხი - 500,001 – 5,000,000 ლარი; |
| ვალუტა | ლარი, დოლარი, ევრო (400,000 ლარამდე სესხები გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, გარდა „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ გათვალისწინებული გამონაკლისებისა) |
| სესხის ვადა | 24 თვიდან 120 თვემდე |
| წლიური საპროცენტო განაკვეთი | განისაზღვრება აქტივებისა და პასივების კომიტეტის გადაწყვეტილებით |
| საპროცენტო განაკვეთის სტრუქტურა | ფიქსირებული, ინდექსირებული ან შერეული |
| წინსწრებით დაფარვის საკომისიო | მაქსიმალური 2% |

| | |
|----------------------------------|--|
| ვადაგადაცილების საკომისიო | ვადაგადაცილებული თანხის 0.27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დამატებით 20 ლარი ყოველი ვადაგადაცილების პირველ დღეზე 50,000 ლარამდე სესხებზე |
| სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი | მიკრო სესხებისთვის 200%; მცირე და საშუალო სესხებისთვის - 140%. |

ბანკი საკუთარ მომხმარებელს ასევე სთავაზობს კორპორატიულ საკრედიტო პროდუქტებს, მათ შორის საბანკო კრედიტი, საკრედიტო ხაზი და ფაქტორინგი. კორპორატიული მსესხებლის პროდუქტის პირობები განიხილება და მტკიცდება ინდივიდუალურად, შესაბამისი დონის საკრედიტო კომიტეტის მიერ.

ძირითადი არასაკრედიტო პროდუქტები და მომსახურება

ანაბარი და სადეპოზიტო სერტიფიკატი

ბანკი საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს როგორც ვადიან (ვადიანი და დაგროვებადი), ისე მოთხოვნამდე ტიპის (შემნახველი) ანაბრებს ლარში, ევროსა და დოლარში. ვადიანი ანაბრების შემთხვევაში მინიმალური ვადა განისაზღვრება 3 თვით, ხოლო წლიური საპროცენტო სარგებელი დამოკიდებულია ანაბრის ვალუტაზე, ვადაზე, საპროცენტო სარგებლის გადახდის პირობაზე. ბანკს ასევე აქვს როგორც სტანდარტული, ისე არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის პროდუქტი.

მომხმარებელს ასევე შეუძლია ისარგებლოს თანხის ავტომატურად დაგროვების სერვისით, რაც მას საშუალებას აძლევს, ბანკის პოს ტერმინალებისა და ელექტრონული კომერციის საშუალებით განხორციელებული თითოეული გადახდისას შემნახველ ანაბარზე დააგროვოს თანხა, რომლის ოდენობა (ფიქსირებული ან პროცენტული) განისაზღვრება მომხმარებლის მიერ არჩეული სქემის შესაბამისად.

პაკეტური მომსახურება

ბანკი საკუთარ მომხმარებელს პროდუქტებსა და მომსახურებას სთავაზობს პაკეტურად, რაც მომხმარებლისთვის ბევრად მოქნილი და პრაქტიკულია. მომხმარებელი იხდის პაკეტის საკომისიოს და მასში შემავალი ყველა პროდუქტითა და მომსახურებით სარგებლობს უფასოდ. პაკეტური მომსახურება მათ შორის მოიცავს ანგარიშ(ებ)ის გახსნასა და მომსახურებას, საბანკო პლასტიკური ბარათის დამზადებას, ინტერნეტ/მობაილ ბანკით სარგებლობას, გადარიცხვის ოპერაციებს და ა.შ.

ციფრული ბარათი

ბანკი საკუთარ მომხმარებელს ასევე სთავაზობს ციფრული ბარათით სარგებლობას, რომელიც წარმოადგენს ანგარიშსწორების მარტივ და მოქნილ საშუალებას. ციფრული ბარათის დამზადება არ ხდება მატერიალური ფორმით, მომხმარებელს არ უწევს ფილიალში ვიზიტი და შეუძლია ციფრულ ბარათზე მოთხოვნა დააფიქსიროს ინტერნეტ/მობაილ ბანკის არხის საშუალებით. ციფრულ ბარათს არ აქვს მომსახურების საკომისიო და მომხმარებელს შეუძლია ბარათის ციფრულ საფულეში ინტეგრაციის გზით მარტივად განახორციელოს საანგარიშსწორებო ოპერაციები.

პირადი ბანკირის მომსახურება

მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ პირადი ბანკირის მომსახურებით, რაც მათ საშუალებას მისცემს უკეთესად მართონ საკუთარი ფინანსები და მოქნილად განახორციელონ საბანკო ოპერაციები. მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში მომხმარებელს გამოეყოფა პირადი ბანკირი, რომელიც პირადად უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის კომფორტული გარემოსა და პირობების შექმნას. პირადი ბანკირის მომსახურება მორგებულია მომხმარებლის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე, ითვალისწინებს ექსკლუზიურ, სპეციალურად პირადი ბანკირის მომსახურებისთვის შექმნილ შეთავაზებებს და ზოგადად მომხმარებლის დროით რესურსს.

ლოიალობის პროგრამა

ლოიალობის პროგრამა მოიცავს ქეშბექს, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, უკან დაიბრუნოს გადახდილი თანხის გარკვეული ნაწილი. ქეშბექით სარგებლობის შემთხვევაში, ბანკის პარტნიორ ობიექტებში გადახდის შემთხვევაში ბარათის მფლობელი მომენტალურად, საკუთარ ანგარიშზე იბრუნებს გადახდილი თანხის ნაწილს. ქეშბექით სარგებლობის საშუალება აქვს ლიბერთი ბანკის ბარათის თითოეულ მფლობელს და ქეშბექის პარტნიორი ობიექტები არიან როგორც მსხვილი ქსელური კომპანიები, ისე ქართული სტარტაპები. მუდმივი ქეშბექის პარალელურად, ბანკის მომხმარებლებისთვის პერიოდულად ასევე მოქმედებს გაზრდილი ქეშბექის აქციები.

7.1.2 არსებობის შემთხვევაში, ახალი პროდუქტის ან მომსახურების მითითება და განვითარების სტადიის აღწერა

ბანკმა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები გაწია მომხმარებლისთვის კვალიფიციური საბროკერო მომსახურების მიწოდების მიზნით, რის შემდეგაც სექტემბრის თვიდან ბანკი საკუთარ მომხმარებელს სთავაზობს ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობასა და გაყიდვა-შეძენასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებას. ბანკის მიერ შეთავაზებული საბროკერო მომსახურების საშუალებით მომხმარებელი შეძლებს ივაჭროს სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდებით სხვადასხვა საფონდო ბირჟაზე. მომსახურება შესაძლოა მოიცავდეს როგორც შესაბამისი პლატფორმის გამოყენებით, ავტორიზაციის გავლის შედეგად მომხმარებლისთვის დამოუკიდებლად ვაჭრობის შესაძლებლობას, ისე მომხმარებლის მხრიდან ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული შესაბამისი დავალებების მიღებას და შესრულებას, დილინგური ოპერაციების განხორციელებას, ასევე საინვესტიციო რჩევების მიცემასა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევას. ფასიანი ქაღალდები, რომელიც შესაძლოა ვაჭრობის საგანს წარმოადგენდეს არ არის შეზღუდული და შესაძლოა დასაწყისშივე მოიცავდეს ან შემდგომში დაემატოს, მათ შორის აქციები, ობლიგაციები, ოფციონები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები.

საბროკერო მომსახურება თავის თავში ასევე მოიცავს მომხმარებლის აქტივების სათანადოდ აღრიცხვისა და მართვის მიზნით დემატერიალიზირებული ფასიანი ქაღალდების ანგარიშის გახსნასა და მომსახურებას.

2024 წლის მაისის თვეში კომპანიამ დაასრულა არსებული პორტფელის ზრდის მიზნით „პაშა ბანკი ჯორჯიასგან“ შეძენილი საცალო სასესხო პორტფელის მიგრაცია, რის შედეგადაც საკუთარ მომხმარებელს როგორც დისტანციური არხებით, ისე ფილიალების ქსელის საშუალებით სთავაზობს ახალ პროდუქტს - ტოპ ქარდს, რომელიც წარმოადგენს ე.წ. BNPL (შეიძინე დღეს, გადაიხადე მოგვიანებით) ტიპის პროდუქტს. ტოპ ქარდის მომხმარებელს ბარათზე გააჩნია წინასწარ დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტი. კომპანიას ასევე ჰყავს რამდენიმე ასეული საცალო გაყიდვების პარტნიორი მერჩანტი, რომელთა პოს ტერმინალებზე გადახდისას ტოპ ქარდის მომხმარებელს შეუძლია გადახდა გადაანაწილოს რამდენიმე თვეზე.

პაშა ბანკისგან შეძენილი სასესხო პორტფელის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პუნქტი 7.6.1 (ემიტენტის მიერ განხორციელებული მატერიალური ინვესტიციების აღწერა).

7.1.3 არსებობის შემთხვევაში, ბიზნესის სეზონურობის აღწერა

საბანკო სექტორს არ ახასიათებს მაღალი სეზონურობა. წლის განმავლობაში სესხებსა და სხვა საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნის დონე დამოკიდებულია მომხმარებლის საჭიროებებზე და მათი ბიზნესების სეზონურობაზე. უმეტესად სესხებზე მოთხოვნა აქტიურდება გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ხოლო ზამთარში შედარებით დაბალია.

7.2 გასაღების ბაზრები (ძირითადი ბაზრები)

7.2.1 იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, სადაც ემიტენტი ოპერირებს საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ახორციელებს ექსპორტს, მიღებული შემოსავლების ჩაშლა გეოგრაფიული მდებარეობის მითითებით, პროსპექტში წარმოდგენილი თითოეული ფინანსური წლისთვის

საქართველოს საბანკო სექტორის ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

ემიტენტი საბანკო საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე და მის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში 17 კომერციული ბანკი, მიკრო-ბანკი და ელექტრონული ბანკი იყო ლიცენზირებული

საქართველოს საბანკო სექტორი წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთ მთავარ მიმღებს. საბანკო სექტორში ინვესტიციები განხორციელებული აქვთ ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებს და კორპორაციებს როგორებიცაა EBRD, FMO, IFC, ADB, DEG, EIB, BSTDB, GGF, EFSE, BOMF, responsAbility, OeEB, OFID, Hualing Group, KfW, Proparco, FAD, Procredit Holding AG, Access Microfinance Holding AG, Halyk Bank, Ziraat Bank და IS Bank.

საბანკო სექტორის კრესითი ფინანსური ანგარიშგება

შემდეგ ცხრილში მოცემულია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების კრესითი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დათვლილია „სებ“-ის ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით:

| მლნ ლარი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
|------------------------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| ნაღდი ფულადი სახსრები | 1,218 | 1,429 | 1,770 | 1,985 | 2,178 | 2,722 | 2,542 |
| განთავსებული ფულადი სახსრები | 6,354 | 6,080 | 7,073 | 9,062 | 7,900 | 11,387 | 10,722 |
| ფასიანი ქაღალდები | 3,325 | 4,162 | 4,383 | 6,071 | 5,384 | 8,551 | 9,595 |
| მთლიანი სესხები | 22,301 | 26,591 | 31,957 | 38,230 | 43,095 | 45,172 | 53,748 |
| მოსალოდნელი ზარალის ანარიცხი | (1,169) | (1,300) | (1,347) | (2,437) | (2,005) | (1,801) | (987) |
| წმინდა სესხები | 21,131 | 25,291 | 30,610 | 35,793 | 41,090 | 43,371 | 52,760 |
| არაფინანსური აქტივები | 1,726 | 1,796 | 2,327 | 2,628 | 2,598 | 2,847 | 2,431 |
| სხვა წმინდა აქტივები | 839 | 926 | 1,022 | 1,332 | 1,419 | 1,472 | 1,982 |
| მთლიანი აქტივები | 34,594 | 39,683 | 47,183 | 56,871 | 60,569 | 70,351 | 80,032 |
| ბანკების დეპოზიტები | 1,094 | 868 | 1,004 | 797 | 796 | 1,744 | 1,772 |
| არასაბანკო დეპოზიტები | 19,782 | 23,036 | 26,239 | 34,628 | 37,240 | 44,294 | 50,601 |
| ნასესხები სახსრები | 7,561 | 7,979 | 9,487 | 11,509 | 10,914 | 11,956 | 13,238 |
| სხვა ვალდებულებები | 1,722 | 2,667 | 4,708 | 4,088 | 3,887 | 3,105 | 2,185 |

| | | | | | | | |
|-------------------------------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| სულ ვალდებულებები | 30,159 | 34,551 | 41,438 | 51,023 | 52,837 | 61,097 | 58,312 |
| საკუთარი კაპიტალი | 4,435 | 5,132 | 5,745 | 5,848 | 7,732 | 9,253 | 12,237 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 34,594 | 39,683 | 47,183 | 56,871 | 60,569 | 70,351 | 80,032 |


2023 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის სესხები, მთლიანი აქტივები და საკუთარი კაპიტალი წინა წელთან შედარებით შესაბამისად 21.6%-ით, 13.8%-ით და 32.2%-ით გაიზარდა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 52.8 მილიარდი ლარი, 80.0 მილიარდი ლარი და 12.2 მილიარდი ლარი.

2017-2023 წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა საბანკო სექტორის ვალდებულებათა სტრუქტურა: საბანკო სექტორის ვალდებულებათა შორის ნასესხები სახსრების წილი 25.1%-დან 22.7%-მდე შემცირდა, ხოლო არასაბანკო დეპოზიტების წილი 65.6%-დან 86.8%-მდე გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურობას, რადგან დეპოზიტებს მოზიდვა უმეტესად ადგილობრივი წყაროებიდან ხდება და მათ უფრო მაღალი სტაბილურობა ახასიათებს ნასესხებ სახსრებთან შედარებით, რომელთა მოზიდვაც უმეტესად უცხოეთიდან ხდება და რომელთა სტაბილურობაც უფრო მეტადაა დამოკიდებული საბაზრო რყევებზე და სენტემენტებზე.

2023 წელს საბანკო სექტორის წმინდა სესხებმა ნომინალური მშპ-ს 65.7% შეადგინეს, ხოლო მთლიანმა აქტივებმა - მშპ-ს 99.7%. ორივე მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო სამი წლის განმავლობაში: 2020 წელს წმინდა სესხები და მთლიანი აქტივები მშპ-ს შესაბამისად 71.9%-ს და 114.2%-ს შეადგენდნენ. მაჩვენებლების შემცირება ძირითადად ორმა ფაქტორმა გამოიწვია:

- ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის შედეგად 2020-2023 წლებში საქართველოს ნომინალური მშპ 49.8 მილიარდი ლარიდან 80.2 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, რაც 61.2%-იან ნომინალურ ზრდას წარმოადგენს.
- ამავდროულად დოლართან ლარის გაცვლითი კურსი გამყარდა (2020 წლის 31 დეკემბერს 3.2766, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერს 2.6894) რის შედეგადაც დოლარში დენომინირებული სესხების ლარში გაზომვისას მათი მოცულობა შემცირდა.

ზემოაღნიშნული ორი ფაქტორის შედეგად საქართველოს ეკონომიკის ვალიანობის დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რაც ერთის მხრივ მსესხებლების მიერ სესხის დროულად და სრულად დაბრუნების ალბათობას, ხოლო მეორე მხრივ საშუალებას აძლევს კომერციულ ბანკებს დამატებით სესხები გასცენ ეკონომიკაზე ჭარბვალუანობის რისკის ზრდის გარეშე.



შემდეგ ცხრილში მოცემულია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების კრებისთი მოგება-ზარალის ანგარიშგება, რომლებიც დათვლილია „სებ“-ის ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით:

| მლნ ლარი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
|---------------------------------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| საპროცენტო შემოსავლები | 2,762 | 3,286 | 3,572 | 3,980 | 4,736 | 5,641 | 7,154 |
| საპროცენტო ხარჯები | (1,248) | (1,467) | (1,728) | (2,184) | (2,330) | (2,774) | (3,264) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 1,514 | 1,818 | 1,843 | 1,796 | 2,406 | 2,867 | 3,890 |
| ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგებზე | (273) | (396) | (385) | (1,331) | 178 | (338) | (390) |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | 821 | 885 | 925 | 902 | 1,239 | 1,866 | 1,340 |
| საოპერაციო ხარჯები | (1,089) | (1,200) | (1,317) | (1,288) | (1,487) | (1,862) | (1,489) |
| არა-საოპერაციო შემოსავლები/ხარჯები | (13) | (68) | (11) | (3) | 0 | (0) | (141) |
| მოგება დაბეგრამდე | 960 | 1,038 | 1,057 | 76 | 2,337 | 2,532 | 3,209 |
| მოგების გადასახადი | (90) | (122) | (102) | 24 | (252) | (439) | (492) |
| წმინდა მოგება | 871 | 916 | 955 | 99 | 2,085 | 2,093 | 2,716 |


საქართველოს საბანკო სისტემა მაღალი მომგებიანობის დონით ხასიათდება და 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის დროსაც წელი მოგებით დაასრულა (99 მილიონი ლარი). აღსანიშნავია, რომ ამ წელს რისკის ღირებულებამ 3.8% შეადგინა, ხოლო უკვე 2021 წელს გაუფასურებული სესხების ამოღების შედეგად რისკის ღირებულება უარყოფითი გახდა და -0.4% შეადგინა.

საბანკო სექტორის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები შემდეგ ცხრილშია მოცემული:

| | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
|---------------------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| უკუგება საშუალო-წლიურ კაპიტალზე | 19.1% | 17.6% | 1.7% | 30.7% | 24.6% | 25.3% |
| უკუგება საშუალო-წლიურ აქტივებზე | 2.5% | 2.2% | 0.2% | 3.6% | 3.2% | 3.6% |
| ხარჯების შეფარდება შემოსავალთან | 44.4% | 47.6% | 47.8% | 40.8% | 39.3% | 28.5% |
| წმინდა საპროცენტო მარჟა | 5.5% | 4.8% | 3.9% | 4.6% | 4.9% | 5.7% |
| სესხების სარგებლიანობა | 13.4% | 12.2% | 11.3% | 11.6% | 12.8% | 14.5% |

| | | | | | | |
|---|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| სახსრების ღირებულება | 4.9% | 5.0% | 5.2% | 4.9% | 5.2% | 5.3% |
| რისკის ღირებულება | 1.6% | 1.3% | 3.8% | -0.4% | 0.8% | 0.8% |
| სესხები / (დეპოზიტები+ნასესხები სახსრები) | 79.3% | 83.3% | 76.3% | 83.9% | 74.8% | 80.4% |

ასევე აღსანიშნავია, რომ საბანკო სისტემაში ხარჯების შემოსავლებთან შეფარდების მაჩვენებელი სტაბილურად მცირდება და 2018 წელს არსებული 44.4%-დან 2023 წლისთვის 28.5%-მდე შემცირდა. ამ მაჩვენებლის შემცირება მიუთითებს საბანკო სექტორში საოპერაციო ხარჯების უფრო ეფექტურ მართვას რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება ინტერნეტ- და მობაილ-ბანკინგის უფრო მაღალ გამოყენებაში, რაც ბანკებს საშუალებას აძლევს შეამციროს საოპერაციო ხარჯები და არსებული ფილიალები და სერვის-ცენტრები უფრო ეფექტიანად გამოიყენოს.



სასესხო პორტფელის მიმოხილვა


ბოლო წლებში ეროვნული ბანკის და მთავრობის პოლიტიკის შედეგად აღინიშნება სასესხო პორტფელის ლარიზაციის დონის ზრდა. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 2017-2023 წლებში 42.9%-დან 55.8%-მდე გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების წილი 57.1%-დან 44.2%-მდე შემცირდა იმავე პერიოდში:

| მლნ ლარი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
|-----------------------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| სულ უცხოური ვალუტით | 12,723 | 15,182 | 17,679 | 21,280 | 21,919 | 20,134 | 23,801 |
| სულ ეროვნული ვალუტით | 9,558 | 11,415 | 14,246 | 16,939 | 21,167 | 24,652 | 30,086 |
| სულ გაცემული სესხები | 22,282 | 26,597 | 31,925 | 38,219 | 43,085 | 44,786 | 53,887 |
| უცხოური ვალუტით, % | 57.1% | 57.1% | 55.4% | 55.7% | 50.9% | 45.0% | 44.2% |
| სულ ეროვნული ვალუტით, % | 42.9% | 42.9% | 44.6% | 44.3% | 49.1% | 55.0% | 55.8% |

იმავე პერიოდში იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე გაცემული სესხების თანაფარდობა მთლიანობაში უცვლელი იყო:

| მლნ ლარი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
|-----------------------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| იურიდიულ პირებზე | 10,102 | 11,970 | 15,500 | 18,928 | 20,978 | 20,551 | 24,757 |
| შინამეურნეობებზე | 12,180 | 14,627 | 16,425 | 19,291 | 22,107 | 24,236 | 29,131 |
| სულ გაცემული სესხები | 22,282 | 26,597 | 31,925 | 38,219 | 43,085 | 44,786 | 53,887 |
| იურიდიულ პირებზე, % | 45.3% | 45.0% | 48.6% | 49.5% | 48.7% | 45.9% | 45.9% |
| შინამეურნეობებზე, % | 54.7% | 55.0% | 51.4% | 50.5% | 51.3% | 54.1% | 54.1% |

საპროცენტო განაკვეთები ლარსა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე უპირველესად დამოკიდებულია შესაბამისად ეროვნული ბანკის და ფედერალური რეზერვის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთებზე. 2023 წლის აპრილში უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე საშუალო განაკვეთმა 10.3%-ს მიაღწია რად 2017-2023 წლების მაქსიმუმია, ხოლო ლარში დენომინირებული სესხების საშუალო განაკვეთი 16.7%-ს შეადგენდა ამავე თარიღისთვის.



სადეპოზიტო პორტფელის მიმოხილვა

სესხების მსგავსად სადეპოზიტო პორტფელშიც 2017-2023 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ლარიზაციის მაჩვენებელი (34.0%-დან 48.3%-მდე) თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დეპოზიტების ლარიზაციის მაჩვენებელი სესხების მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია. ამ მოვლენას რამდენიმე ფაქტორი იწვევს:


- სესხების შემთხვევაში მოქმედებს შეზღუდვა 400,000 ლარამდე მოცულობის სესხების დოლარში გაცემაზე. მსგავს შეზღუდვებს არ აქვთ ადგილი დეპოზიტების მიღებასთან დაკავშირებით.

- კომერციული ბანკები ლარის რესურსების მოსაზიდად იყენებენ ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხებს, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან სესხებს და სხვა საბითუმო დაფინანსების წყაროებს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად „სებ“-ი აქტიურად მუშაობს ლარის, როგორც დაზოგვის ვალუტის წახალისებაზე, მათ შორის სარეზერვო მოთხოვნების ცვლილების გზით.

| მლნ ლარი | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 | 2023 |
|-----------------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|---------------|
| ეროვნული ვალუტით | 7,088 | 8,639 | 9,596 | 13,442 | 15,015 | 19,806 | 25,142 |
| უცხოური ვალუტით | 13,788 | 15,265 | 17,647 | 21,983 | 23,021 | 26,231 | 26,945 |
| სულ დეპოზიტები | 20,876 | 23,904 | 27,243 | 35,425 | 38,035 | 46,037 | 52,087 |
| ეროვნული ვალუტით, % | 34.0% | 36.1% | 35.2% | 37.9% | 39.5% | 43.0% | 48.3% |
| უცხოური ვალუტით, % | 66.0% | 63.9% | 64.8% | 62.1% | 60.5% | 57.0% | 51.7% |

სესხებისგან განსხვავებით უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე განაკვეთები შედარებით ნაკლებად არიან დამოკიდებულნი ფედერალური რეზერვის მონეტარულ პოლიტიკაზე. საქართველოში დეპოზიტებზე განაკვეთებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვების განაკვეთი, ვალუტის გაცვლითი კურსი და ქვეყანაში უცხოური ვალუტის გზავნილების მოცულობა. 2024 წლის აპრილის მდგომარეობით ლარის დეპოზიტებზე საშუალო განაკვეთი 10.3%-ს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებზე - 2.3%-ს.



7.3 ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

ისტორიულად ბანკი წარმოადგენდა სახელმწიფო ბანკს, რომლის პრივატიზაცია განხორციელდა 1995 წელს. აღნიშნული პერიოდიდან ბანკი ოპერირებდა სააქციო საზოგადოება აგრომრეწვბანკის სახელწოდებით. 2000-იანი წლების დასაწყისში ბანკმა შეიცვალა სახელწოდება და საქმიანობა განაგრძო საქართველოს სახალხო ბანკის სახელით. 2010 წელს ბანკში განხორციელდა კონტროლის ცვლილება, ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი გახდა რუმინელი ბიზნესმენი დან კოსტაჩე პატრიჩიუ, რასაც შედეგად მოყვა საფირმო

სახელწოდების კიდევ ერთი ცვლილება და ბანკის მთლიანი რეზერვინგი. აღნიშნული პერიოდიდან დღემდე მოყოლებული ბანკის ოპერირებს სს ლიბერთი ბანკის სახელწოდებით. დან კოსტაჩე პატრიჩიუს გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი იყო ყაზახური ბიზნეს ჯგუფი. ამ პერიოდისთვის ბანკი წარმოადგენდა მკვეთრად გამოხატულ საცალო კლიენტებზე ორიენტირებულ ფინანსურ ინსტიტუტს. 2017 წლიდან ბანკის სათავეში მოვიდა ამჟამინდელი აქციონერი Georgian Financial Group B.V და აღნიშნული პერიოდიდან ბანკმა დაიწყო უნივერსალურ ბანკად ჩამოყალიბება, მათ შორის განავითარა კორპორატიული სექტორის დაკრედიტება, ხოლო MSME სექტორი დღეს უკვე ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

7.4 სამომავლო სტრატეგია და მიზნები

7.4.1 ემიტენტის ბიზნესის სტრატეგიისა და მიზნების აღწერა, მათ შორის ფინანსური და არაფინანსური. ამასთან, კომპანიის სამომავლო გეგმების აღწერა

2020-2022 წლები სს „ლიბერთი ბანკისთვის“ განახლებული სტრატეგიის, ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის წლები იყო. ბანკი აქტიურად განიხილავდა სასესხო პორტფელის ზრდის შესაძლებლობებს. რუსეთ უკრაინის ომის შედეგად ვითიბი ბანკზე აშშ-ის, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების მიერ დაწესდა სანქციები, რის გამოც სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაც“ აღმოჩნდა ბიზნეს უწყვეტობის პრობლემების ქვეშ. შესაბამისად სს „ვითიბი ბანკი საქართველომ“ გადაწყვიტა სესხებისა და დეპოზიტების პორტფელების მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისება. სს „ლიბერთი ბანკი“ სესხებისა და დეპოზიტების გასხვისების პროცესში ჩაერთო და შეიძინა სასესხო პორტფელი, რომელიც ძირითადად მცირე და საშუალო ზომის იურიდიულ პირებზე არის გაცემული. სესხების პორტფელის გასხვისების სანაცვლოდ სს „ვითიბი ბანკი საქართველოს“ მიერ მოხდა დეპოზიტების პორტფელის ტრანსფერი, შესაბამისად სს „ლიბერთი ბანკმა“ სესხების პორტფელის შემენისას თანხის გადახდის ნაცვლად სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სადეპოზიტო ვალდებულებები გადმოიწერა. ვინაიდან სს „ვითიბი ბანკი საქართველო“ დაინტერესებულიყო მაქსიმალურად სწრაფად გაესხვისებინა პორტფელები, თავდაპირველი გარიგება შედგა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ბალანსზე აღნიშნული სესხებისა და დეპოზიტების არსებული ღირებულებების შესაბამისად, სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ მოხდა აღნიშნულ სესხებზე სავარაუდო დანაკარგების რეზერვის დარიცხვა. შესყიდვის შემდგომ 2022 წლის განმავლობაში სს „ლიბერთი ბანკმა“ მოახდინა შემენილი სესხებისა და დეპოზიტების პორტფელების სრულყოფილი შეფასება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად, სადეპოზიტო და სასესხო პორტფელის შეფასებული ღირებულებებია GEL 303,853 ათასი და GEL 317,162 ათასი.

დირექტორთა საბჭოს უშუალო გეგმა გაძლიერება, უნივერსალური საბანკო ბიზნეს მოდელის გამყარება, პროდუქტებისა და პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციასთან მიახლოება, რაც გააუმჯობესებს საქართველოს რეგიონებში ფინანსების ხელმისაწვდომობას ყველა სამომხმარებლო სეგმენტში.

2022 წლის მაისში აღმასრულებელ დირექტორად ბექა გოგიჩაიშვილი დაინიშნა. ახალი დირექტორთა საბჭოს მიზანია მაქსიმალურად გაზარდოს სააქციო ღირებულება მომგებიანი ზრდისა და საქართველოში ბანკის ერთ-ერთ წამყვან ფინანსურ ინსტიტუტად გარდაქმნის გზით. „ლიბერთი ბანკი“ აერთიანებს ყველაზე დიდ საცალო ქსელს საქართველოში, რომელიც მოიცავს სრული მომსახურების ფილიალებს, სერვისცენტრებს, მცირე ზომის გაყიდვების ობიექტებს, აგრეთვე ისეთი ტიპის ობიექტებს, რომლებიც მესამე მხარის ბიზნესშია განთავსებული.

„ლიბერთი ბანკი“ მუდმივად ცდილობს მეტად განავითაროს მომხმარებლებთან კომუნიკაცია დისტანციური და ციფრული არხების გამოყენებით. 2020 წლის დასაწყისში ბანკმა შეიმუშავა ახალი ხედვა და მისია და წარმატებით მიყვება გეგმას:

- ხედვა: ჩვენი ხედვაა გავაუმჯობესოთ საქართველოში თითოეული ადამიანის, ოჯახისა და ბიზნესის ცხოვრება.

- მისია: ჩვენ მთელი გულით ვზრუნავთ ადამიანებზე, მათ ოჯახებსა და ბიზნესებზე. ჩვენ ვიქნებით ხელმისაწვდომი ყველგან, სადაც ჩვენი მომხმარებლები არიან და მივაწვდით მათზე მორგებულ და სწრაფ მომსახურებას.

უნივერსალური საბანკო მომსახურება

- ლიბერთი ბანკი შეინარჩუნებს უნივერსალურ საბანკო მოდელს ძირითადი აქცენტით საცალო და MSME სეგმენტებზე. კორპორატიული და კერძო საბანკო ბიზნესი დარჩება მტკიცე საყრდენი უნივერსალური ბანკის მშენებლობის თვალსაზრისით.
- ხარისხიან უნივერსალურ საბანკო მომსახურებასთან ერთად, ლიბერთი ბანკი ყურადღებას გაამახვილებს ინოვაციური პროდუქტების შემუშავებაზე, პროცესების გამარტივებაზე, ციფრული ტრანსფორმაციის ხარისხის ამაღლებასა და ახალი მომხმარებლების მოზიდვაზე, მათ შორის ისეთ კლიენტებზე, რომლებიც ჯერ არ სარგებლობენ საბანკო მომსახურებით.

ციფრული საბანკო მომსახურება

- ბანკი აპირებს გააგრძელოს ციფრული საბანკო შესაძლებლობების გაუმჯობესება და შექმნას მომხმარებლის უმაღლესი დონის ციფრული გამოცდილება მობილური და ინტერნეტბანკის პლატფორმების საშუალებით.
- ბანკი ასევე მიზნად ისახავს ახალი მომხმარებლებისთვის პროცესების დაჩქარება/გამარტივებას.
- ხანდაზმულთა და სოციალურად დაუცველი სეგმენტისთვის ფართო ფინანსური განათლების შესაძლებლობების შეთავაზებებთან ერთად, ასევე შემუშავდება ინოვაციური პროდუქტები.

კლიენტების მომსახურება

- ლიბერთი ბანკი არის მომხმარებელზე ორიენტირებული ფინანსური სერვისების მიმწოდებელი და აპირებს გააგრძელოს მომხმარებელთა მომსახურების და გამოცდილების მეტად გაღრმავება. ამ მხრივ, მიმდინარეობს მომხმარებელთა მომსახურების მოდელის, ორგანიზაციული ცვლილებების და მომხმარებელთა საჩივრების მართვის გაუმჯობესება.

დაფინანსება

- ლიბერთი ბანკი მიზნად ისახავს გააუმჯობესოს/დააოპტიმიზიროს დაფინანსების სტრუქტურა და გამოიყენოს შესაძლებლობები ფონდირების ხარჯის შესამცირებლად. ამასთან დაკავშირებით, ბანკი აპირებს გააგრძელოს თანამშრომლობა და კომუნიკაცია საერთაშორისო განვითარების ფინანსურ ინსტიტუტებთან.

კორპორაციული და სოციალური პასუხისმგებლობა

- ბანკი აქტიურად უწყობს ხელს გარემოსთვის სასარგებლო, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის CSR პროექტებს, რომლებიც მიმართულია ხანდაზმულთა და საზოგადოების მოწყვლადი ნაწილის საჭიროებებზე, ასევე თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვაზე.
- „მწვანე ყუთები“ სათაო ოფისში - სადაც გამოყენებული ქაღალდები გროვდება გადასამუშავებლად.
- უფასო კომპიუტერული და ფინანსური განათლება 60+ ასაკის ადამიანებისთვის, ახლა უკვე ონლაინ.
- სოლიდარობის ფონდი 22 წლამდე ონკოდაავადებული პაციენტებისთვის და რეაბილიტაციის ცენტრი შშმ ბავშვებისთვის.
- კომუნალური გადასახადების დაფინანსება ქვეყნის მასშტაბით 52 თავშესაფრისა და მზრუნველობის სახლისთვის.

- შიდა ფონდი თანამშრომლებისთვის „გულით ერთმანეთისთვის“, რომელიც პანდემიის პერიოდში შეიქმნა და მათი ოჯახის წევრებს ეხმარება ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში.

7.4.2 არსებობის შემთხვევაში, კომპანიის მიერ ბიზნესების შესყიდვებისა და შერწყმების შესახებ ინფორმაცია

„კომპანია“ 2022 წლის მარტში სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან“ შეიძინა მომხმარებელთა სესხების, მომხმარებელთა დეპოზიტების და გარანტიების პორტფელი. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ გაასხვისა თავისი აქტივებისა და ვალდებულებების დიდი ნაწილი, რადგან ვერ შეძლო საქართველოში საქმიანობის გაგრძელება მის მაკონტროლებელ მხარეებზე აშშ-ის, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციების გამო. ამ ოპერაციის მიზანი „კომპანიისთვის“ იყო საბანკო პორტფელის გაზრდა შეძენის გზით.

რუსეთის აგრესიის შემდეგ არსებული განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხისა და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უუნარობის გამო, რომ სრული მომსახურება გაეწია მომხმარებლებისთვის და შეემცირებინა ხანგრძლივი განუსაზღვრელობის პოტენციური უარყოფითი გავლენა საქართველოს საბანკო სექტორზე, ოპერაცია ჩატარდა შეზღუდულ ვადებში. ოპერაციის მიზანი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთვის“ იყო გაესხვისებინა, ხოლო „კომპანიისთვის“ იყო – შეეძინა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებების ტოლ ფასად. თუმცა, ზემოხსენებული შეზღუდული ვადის გამო, ოპერაციის განსახორციელებლად მხარეებმა ვერ შეძლეს სრული წინასაინვესტიციო შეფასების და დეტალური შეფასების ჩატარება, ამიტომ ოპერაცია შედგა მხარეთა მიერ შეთანხმებულ, შეძლებისდაგვარად ზუსტად გამოთვლილ, ფასად.

ოპერაციის განხორციელების შემდეგ, 2022 წლის 12 მარტს „კომპანია“ ჩაატარა ოპერაციის ფარგლებში შეძენილი აქტივებისა და ვალდებულებების დეტალური ანალიზი და შეფასება. ამის შედეგად, ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ 2022 წლის 12 მარტის მდგომარეობით, „კომპანია“ შეიძინა მომხმარებლებზე გაწეული წმინდა სესხები 317,070 ათასი ლარის ოდენობით, მომხმარებლების დეპოზიტები 302,037 ათასი ლარის ოდენობით, ნაღდი ფული 2,051 ათასი ლარის ოდენობით და გარეგანსური ვალდებულებები, მათ შორის გარანტიები 6,252 ათასი ლარის პირობითი თანხის ოდენობით და აუთვისებელი საკრედიტო ლიმიტები 24,063 ათასი ლარის პირობითი თანხის ოდენობით (გარეგანსური მუხლების სამართლიანი ღირებულება არაარსებითი იყო). აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახა 17,084 ათასი ლარის შემოსულობა, როგორც შემოსულობა პორტფელის შეძენიდან, რაც წარმოადგენდა სხვაობას შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს შორის.

| (ათასი ლარი) | 2022 წლის 12 მარტი (შეფასების შემდგომ) | 2022 წლის 12 მარტი (თავდაპირველი მოცულობები) |
|---------------------------------------|---|---|
| ნაღდი ფული | 2,051 | 2,051 |
| წმინდა სესხები | 317,070 | 308,366 |
| მომხმარებლების დეპოზიტები | (302,037) | (303,171) |
| შემოსულობა პორტფელის შეძენიდან | 17,084 | 7,246 |

2024 წლის თებერვალში „კომპანია“ 57,299,199 ლარად შეიძინა სასესხო პორტფელი სს „პაშა ბანკი საქართველო“-სგან, საბალანსო ღირებულებით 57,198,908 ლარი. სასესხო პორტფელი შედგებოდა 48,029,709 ლარის მოცულობის საკრედიტო ბარათების სესხებისგან და 16,394,062 ლარის სამომხმარებლო სესხებისგან. აღნიშნული პორტფელის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) 6,783,386 ლარს შეადგენდა. საკრედიტო ბარათების აუთვისებელი ბალანსი 72,783,284 ლარი იყო, ხოლო აუთვისებელი ბალანსის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) 441,477 ლარს შეადგენდა.

ბანკის მიერ გადახდილი თანხა წარმოადგენს შექმნილი პორტფელის საბაზრო ღირებულებას, შესაბამისად ბანკს აღნიშნული ტრანზაქციიდან მოგება ან ზარალი არ მიუღია.

ემიტენტის შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ამ პროსპექტის 8.2. პუნქტში.

7.4.3 არსებობის შემთხვევაში, კომპანიის ან მისი შვილობილების გადახდისუნარიობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევების აღწერა

მსგავს შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

7.4.4 თუ ემიტენტის ბიზნესის სპეციფიკისა და მომგებიანობისთვის მნიშვნელოვანია, ინფორმაცია ძირითადი პატენტების, ლიცენზიების, კომერციული ან ფინანსური კონტრაქტების ან წარმოების ახალი პროცესების შესახებ

საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად „ლიბერთი ბანკს“ მინიჭებული აქვს საბანკო ლიცენზია „სებ“-ის მიერ. აღნიშნული ლიცენზიის შესანარჩუნებლად „ლიბერთი ბანკმა“ უნდა შეასრულოს „სებ“-ის და „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად დაკისრებული მოთხოვნები.

„ემიტენტს“ საკუთრებაში რეგისტრირებული აქვს 42 (ორმოცდაორი) სასაქონლო ნიშანი, რომელთაგან თითოეული რეგისტრირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტში.“ აღნიშნული სასაქონლო ნიშნებიდან რამდენიმე შეიცავს მხოლოდ სიტყვიერ ნაწილს, მათ შორისაა სასაქონლო ნიშანი „სს „ლიბერთი ბანკი“ JSC „liberty bank“, ხოლო უმეტესი ნაწილი, როგორც სიტყვიერ, ისე გამოსახულებით ნაწილს. მათგან აბსოლუტურად ყველა ნიშანი რეგისტრირებულია 36-ე კლასში, რაც თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის მომსახურებას: დაზღვევა, ფინანსებთან დაკავშირებული საქმიანობა, ფულად-საკრედიტო ოპერაციები, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები. ამის გარდა, ერთ-ერთი სასაქონლო ნიშანი (ს/ნ: 105651/3) აგრეთვე რეგისტრირებულია 35-ე კლასში, რაც გულისხმობს ისეთ მომსახურებას, როგორცაა რეკლამა, მართვა და ადმინისტრირება საქმიან სფეროში და საოფისე სამსახური. ასევე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი სასაქონლო ნიშანი (ს/ნ: 105650/3; Onoff.ge) 36-ე კლასის გარდა, აგრეთვე რეგისტრირებულია 39-ე კლასში, რაც თავის მხრივ გულისხმობს ტრანსპორტირებას, საქონლის შეფუთვასა და შენახვას, ისევე როგორც, მოგზაურობის ორგანიზებას. „ემიტენტის“ საკუთრებაში არსებული ყველა სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ დაცვით და მათი ვადის გასვლის თარიღად ფიქსირდება 2024-2033 წლები.

7.4.5 ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაცია, მისი ტიპების, წყაროების, ფასების ცვალებადობის/სტაბილურობის მითითებით

ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ ინფორმაცია ემიტენტის სასესხო და დაფინანსების სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ ბოლო ფინანსური წლის მანძილზე; ამასთან, მისი საქმიანობის მომავალი პერიოდების სავარაუდო დაფინანსების წყაროების აღწერა.

7.4.6 არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული ან მომავალში გამოსაყენებელი ტექნოლოგიების აღწერა

კომპანია ყოველდღიური საქმიანობისთვის იყენებს საოპერაციო სისტემას და შესაბამის საბანკო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის განახლება და პროდუქტებზე მორგება მუდმივად ხორციელდება, რაც ერთის მხრივ ზრდის თანამშრომლების ეფექტურობას და მეორეს მხრივ სძენს კომპანიას უპირატესობას ბაზარზე.

ბანკი იყენებს ინტერნეტ და მობაილ ბანკის პლატფორმას რომელიც მორგებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე, ახორციელებს მსესხებელთა ცნობიერების ამაღლებას ციფრული პროდუქტების მოხმარებასთან დაკავშირებით რაც, ზრდის მათ აქტიურ ჩართულობის ზრდის ალბათობას. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში არსებობს შიდა ექსპერტიზა და ადამიანური რესურსი რათა მყისიერად და ხარისხიანად მოხდეს არხის განახლება და მომხმარებლის მოთხოვნებზე მორგება რაც თავის მხრივ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს ბანკს.

ბანკს დანერგილი აქვს სმს ხელმოწერის პროცესი, რაც გულისხმობს მომხმარებლის ვერიფიცირებულ ნომერზე ერთჯერადი გაგზავნის საშუალებით საბანკო ოპერაციებისა და ხელშეკრულების დადასტურებას. სმს ხელმოწერა ერთის მხრივ ამარტივებს პროცესს, ხოლო მეორეს მხრივ ამცირებს როგორც მომსახურების დროს, ისე ეკონომიკური საქმიანობის გავლენას გარემოზე.

ბანკს ასევე დანერგილი აქვს მომხმარებლის დისტანციური იდენტიფიკაციის სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის ფილიალში ვიზიტის გარეშე, დროის რეალურ რეჟიმში დისტანციურად იდენტიფიცირებას პლატფორმის საშუალებით. აღნიშნული მომსახურებისთვის ბანკი იყენებს გარე პროვაიდერს, რომელიც მომხმარებლის ბიომეტრიულ იდენტიფიცირებას ახდენს ვებ ინტერფეისის საშუალებით. მომსახურებას გავლილი აქვს ვალიდაცია ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

7.4.7 ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურების აღწერა

ბანკის რისკის მართვის ჩარჩო ითვალისწინებს ბანკის რისკების დადგენასა და ანალიზს, ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას, მათი შემდგომი მიტიგაციის ან მატერიალიზების თავიდან არიდების მიზნით, განსაზღვრავს შესაბამისი რისკის ლიმიტებს და კონტროლის მექანიზმებს ლიმიტების დაცვის მიზნით. რეგულარულად ხდება რისკის მართვის ჩარჩოს და სისტემების გადახედვა, მათი შესაბამისი რეგულაციებთან და არსებულ საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ბანკს, მართვის სტანდარტების, პროცედურების და ტრენინგების მეშვეობით, აქვს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის საშუალებები, სადაც ყველა თანამშრომელმა იცის თავისი ფუნქციები და ვალდებულებები და რაც ხელს უწყობს ბანკში რისკის კულტურის გაძლიერებას. სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი პერიოდულად განიხილავს რისკის მართვის ანგარიშს და რისკის აპეტიტთან შესაბამისობის ანგარიშს, რაც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ძირითადი რისკების ზედამხედველობას.

სამეთვალყურეო საბჭო და სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია რისკების დადგენას და კონტროლზე; თუმცა, დირექტორთა საბჭოსთან არსებობს მართვის ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან რისკების მართვასა და მონიტორინგზე. ბანკის ძირითად რისკებს მართავს ქვემოთ მითითებული კომიტეტები და ერთეულები, დირექტორთა საბჭოს აქტიური ჩართულობით:

- საკრედიტო რისკს მართავს საკრედიტო რისკის კომიტეტი
- ლიკვიდობის რისკს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (“ALCO”)
- საბაზრო რისკს მართავს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი
- საოპერაციო რისკს მართავს საოპერაციო რისკის მართვის კომიტეტი
- ინფორმაციის უსაფრთხოების და ტექნოლოგიურ რისკებს მართავს ინფორმაციის უსაფრთხოების კომიტეტი

საკრედიტო რისკის კომიტეტი ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის დონეზე ყველა ტიპის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით საკრედიტო რისკების მართვაზე. კომიტეტი ასრულებს მთავარ როლს ბანკის პორტფელში შესაძლო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების იდენტიფიკაციაში და აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება შეთავაზებულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული გარიგებების დამტკიცების ან უარყოფის შესახებ. ბანკის წესდება ადგენს ლიმიტს, რომლის ზემოთ

საკრედიტო რისკის ასაღებად საკრედიტო რისკის კომიტეტის გარდა ასევე საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა. საკრედიტო რისკის კომიტეტმა შეიმუშავა საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც შეესაბამება ბანკის მოქმედ რისკის პროფილს და მომავალი ზრდის გეგმებს. საკრედიტო რისკის კომიტეტების სტრუქტურა არის რამდენიმე დონიანი და თითოეული დონის რისკის კომიტეტისთვის განსაზღვრულია როგორც კომიტეტის შემადგენლობა, ისე კომიტეტის უფლებამოსილება და საკრედიტო რისკის ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება. ნებისმიერი დონის საკრედიტო რისკის კომიტეტის მიერ საკრედიტო რისკის პოზიციის დასამტკიცებლად აუცილებელია კომიტეტში რისკის მართვის ფუნქციის წარმომადგენლის თანხმობა, ამასთან, რისკის მართვის ფუნქციის წარმომადგენელი ასევე სარგებლობს ვეტოს უფლებით.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია კაპიტალის, ლიკვიდობის, საპროცენტო და დაფინანსების რისკების მართვა. კომიტეტის თავმჯდომარე არის გენერალური დირექტორი. ორგანიზაციული რისკების მართვისა და ბიუჯეტირების განყოფილება ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად წარმოადგენს რელევანტურ ანალიტიკურ მონაცემებს. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ან ნებისმიერ დროს, როდესაც საჭიროდ ჩაითვლება.

რისკის ტიპები

ბანკი თავისი საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა რისკის წინაშე დგას, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მითითებულია ქვემოთ. რეგულაციები მოიცავს საკრედიტო რისკს, საბაზრო რისკს, საოპერაციო რისკსა და სახაზინო და კაპიტალის რისკს. კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების შიდა პროცესის თანახმად ბანკი ითვლის ეკონომიკურ კაპიტალს, რომელიც საჭიროა ლიკვიდობის რისკის გარდა ყველა მატერიალური რისკის დასაფარად.

- **საკრედიტო რისკი:** საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი მხარის მიერ შეთანხმებული პირობების შესაბამისად ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. როგორც წესი, აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენენ ბანკის ტრადიციული არასავაჭრო საკრედიტო საქმიანობის, კონკრეტულად სესხების, შემადგენელ ნაწილს.
- **რეპუტაციული რისკი:** რეპუტაციული რისკი არის კომპანიის მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორების, რეგულატორის და სხვა მესამე მხარეთა შესაძლო უარყოფითი დამოკიდებულება და აღქმადობა „კომპანიის“ ან/და მისი პროდუქტებისა და მომსახურების მიმართ, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის მომხმარებელთა ლოიალობაზე, კომპანიის ლიკვიდობისა და კაპიტალის პოზიციასზე. რეპუტაციული რისკები მათ შორის მოიცავს კომპანიის მხრიდან ეთიკის პრინციპების სტანდარტების დაცვას, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკ ფაქტორების შეფასებასა და აღნიშნულთან დაკავშირებული რისკის მიტიგაციას, შრომის უსაფრთხოებას, მონაცემთა დაცვასა და კონფიდენციალურობას, ხარისხის კონტროლს და თანამშრომლის კმაყოფილებას.
- **საბაზრო რისკი:** საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის შედეგებზე. საბაზრო რისკის ძირითადი ტიპები მოიცავს საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის რისკს და მათი ცვალებადობის დონეს. საბაზრო რისკი ძირითადად წარმოიქმნება სავაჭრო საქმიანობებიდან. იგი მოიცავს აქციების გადაფასებასთან დაკავშირებულ ზარალის რისკს, ასევე საპროცენტო განაკვეთებისა და გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეულ ზარალს, რაზეც ბაზრის ცვალებადობა ახდენს გავლენას.
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშების მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის ნავარაუდები ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილ ცვლადი განაკვეთის მქონე არასავაჭრო ფინანსურ აქტივებს.

| 2023 | | | |
|------------|------------------------|--|-----------------------------------|
| ვალუტა | საბაზისო ერთეულით ზრდა | წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა | სხვა სრული შემოსავლის მგრძობელობა |
| ლარი | 100 | 5,809 | (2,814) |
| აშშ დოლარი | 100 | 2,633 | - |
| ევრო | 100 | 1,319 | - |

| 2023 | | | |
|------------|-------------------------|--|-----------------------------------|
| ვალუტა | საბაზისო ერთეულით კლება | წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა | სხვა სრული შემოსავლის მგრძობელობა |
| ლარი | 100 | (5,809) | 2,925 |
| აშშ დოლარი | 100 | (2,633) | - |
| ევრო | 100 | (1,319) | - |

| 2022 | | | |
|------------|------------------------|--|-----------------------------------|
| ვალუტა | საბაზისო ერთეულით ზრდა | წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა | სხვა სრული შემოსავლის მგრძობელობა |
| ლარი | 100 | 5,501 | -1,898 |
| აშშ დოლარი | 100 | 1,846 | 0 |
| ევრო | 100 | 1,588 | 0 |

| 2022 | | | |
|------------|-------------------------|--|-----------------------------------|
| ვალუტა | საბაზისო ერთეულით კლება | წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა | სხვა სრული შემოსავლის მგრძობელობა |
| ლარი | 100 | -5,501 | 1,984 |
| აშშ დოლარი | 100 | -1,846 | 0 |
| ევრო | 100 | -1,588 | 0 |

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. სებ-ის მოთხოვნით, ბანკს ევალება ბალანსური და მთლიანი აგრეგირებული (გარეგანსურის ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგი და ამ უკანასკნელის შენარჩუნება ბანკის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის 20.0%-ის ოდენობით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა შეინარჩუნა აგრეგირებული ღია სავალუტო პოზიცია საზედამხედველო კაპიტალის 2.9%-ის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 4.3%). ბანკს დამტკიცებული აქვს სავალუტო რისკი მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანიც არის ბანკისთვის სავალუტო რისკების მართვის პარამეტრების დაწესება.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია „კომპანიისთვის“ ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი ვალუტები, რომლებშიც ძირითადად გამოხატულია ბანკის არასავაჭრო ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის დროს ფასდება უცხოური ვალუტის ლ-ის მიმართ კურსის ცვლილების

ეფექტი, როდესაც ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშების ყველა სხვა პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრძობიარე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). კაპიტალზე ეფექტი არ განსხვავდება ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშგებას ან კაპიტალში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი კი ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

| ვალუტა (ათასი ლარი) | გამყარება/ლ-ის სავალუტო კურსის (გაუფასურება) შესაბამის ვალუტასთან მიმართებით (%) 2023 | გავლენა დასაბეგრ მოგებაზე 2023 | გამყარება/ლ-ის სავალუტო კურსის (გაუფასურება) შესაბამის ვალუტასთან მიმართებით (%) 2022 | გავლენა დასაბეგრ მოგებაზე 2022 |
|---------------------|---|--------------------------------|---|--------------------------------|
| აშშ დოლარი | 10.00% | (982) | 10.00% | (761) |
| ევრო | 10.00% | (271) | 10.00% | (823) |

- **საოპერაციო რისკი:** საოპერაციო რისკი არის დანაკარგების მიღების რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაუმართავი შიდა პროცესებით, ადამიანური ქმედებით, სისტემების გაუმართაობით ან მათში დაფიქსირებული ხარვეზებით ან/და გარე ფაქტორებით (მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შიდა და გარე თაღლითობით, წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით, ტერორისტული ან კიბერ-შეტევებით). საოპერაციო რისკი მოიცავს იურიდიულ, მაგრამ არ მოიცავს სტრატეგიულ და რეპუტაციულ რისკებს.
- **სახაზინო და კაპიტალის რისკი:** სახაზინო და კაპიტალის რისკი მოიცავს ლიკვიდობის და კაპიტალის რისკს. ლიკვიდობის რისკი არის ფინანსური რისკი, რომელიც წარმოიქმნება ბანკის მიერ ვალდებულებების დროული გადახდის პოტენციური უუნარობის, ან ამ ვალდებულებების შესრულებისას ზედმეტი ხარჯის გაწევის შედეგად. კაპიტალის რისკი წარმოიქმნება რისკის პოზიციების მხარდასაჭერად კაპიტალის არაადეკვატურობით, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობებით, დივიდენდების მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით, ინვესტორების რისკის დასაშვები დონის ან კრედიტ რეიტინგის გაუარესების გამო დაფინანსების ხარჯების ზრდით და ნორმალურ სამუშაო გარემოში საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობით.

7.4.8 მარკეტინგული პროგრამის აღწერა

„კომპანიის“ მარკეტინგული აქტივობები ფეხდაფეხ მიყვება მისსავე გაცხადებულ სტრატეგიას - გახდეს უნივერსალური ფინანსური ინსტიტუტი. შესაბამისად, კომუნიკაცია მორგებულია სხვადასხვა სტრატეგიულ სეგმენტზე და კომპანიის საკომუნიკაციო არხების განსაზღვრისას და მასალების მომზადებისას ითვალისწინებს პროდუქტისა თუ სერვისის შესაფერისი სეგმენტის ინტერესებს.

მარკეტინგული კამპანიების მთავარი ფოკუსი მიმართულია ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო პროდუქტებისკენ და ასევე, მთელი წლის განმავლობაში აქტიური კომუნიკაცია მიმდინარეობს კომპანიის ციფრული სერვისებისა და პროდუქტების გამოყენებაზე.

კამპანიების დაგეგმვისას გათვალისწინებულია როგორც ბიზნეს საჭიროებები, ისე მომხმარებლის ქცევა, ინტერესები, რომელიც თავის მხრივ, ტრანზაქციული ქცევისა და პროდუქტის მფლობელობის ანალიზის გარდა, გამყარებულია კვლევებით.

მარკეტინგისა და კომუნიკაციების მიერ ორგანიზებული კვლევები ემსახურება როგორც კომპანიის მასშტაბით მომხმარებლის კმაყოფილების გაზომვას, ასევე ჩაღრმავებული კვლევების საშუალებით მათი საჭიროებების ანალიზს, სეგმენტური მახასიათებლების გათვალისწინებისთვის თუ კომუნიკაციის სტილის განსაზღვრისთვის.

ამავდროულად, მარკეტინგისა და კომუნიკაციების დეპარტამენტში შემავალი მომხმარებლის გამოცდილების განყოფილება მუშაობს შშმ პირების გამოცდილების გაუმჯობესების პროექტზე, რომელიც დაიწყო 2023 წელს და გაგრძელდება მომდევნო წელსაც.

გარდა ამისა, „კომპანია“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებში:

- ბანკი აქტიურად უწყობს ხელს გარემოსთვის სასარგებლო, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის CSR პროექტებს, რომლებიც მიმართულია ხანდაზმულთა და საზოგადოების მოწყვლადი ნაწილის საჭიროებებზე, ასევე თანამშრომლების ჯანმრთელობაზე ზრუნვაზე.
- „მწვანე ყუთები“ სათაო ოფისში - სადაც გამოყენებული ქაღალდები გროვდება გადასამუშავებლად.
- უფასო კომპიუტერული და ფინანსური განათლება 60+ ასაკის ადამიანებისთვის, ახლა უკვე ონლაინ.
- სოლიდარობის ფონდი 22 წლამდე ონკოდაავადებული პაციენტებისთვის და რეაბილიტაციის ცენტრი შშმ ბავშვებისთვის.
- კომუნალური გადასახადების დაფინანსება ქვეყნის მასშტაბით 52 თავშესაფრისა და მზრუნველობის სახლისთვის.
- შიდა ფონდი თანამშრომლებისთვის „გულით ერთმანეთისთვის“, რომელიც პანდემიის პერიოდში შეიქმნა და მათი ოჯახის წევრებს ეხმარება ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში.

7.4.9 ძირითადი მომხმარებლებისა და მომწოდებლების აღწერა მათი წილების მითითებით (შემოსავლის/შესყიდვების 10%-ის ტოლი ან მეტი)

კომპანიის არცერთი მსესხებელი არ წარმოადგენს სასესხო პორტფელის 10%-ზე მეტს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 198,147 ლარს, ანუ „კომპანიის“ მთლიანი სასესხო პორტფელის 6.62%-ს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ლიბერთი ბანკის“ ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 179,071 ათას ლარს ანუ ბანკის მთლიანი სასესხო პორტფელის 7.05%-ს. აღნიშნული სესხებისთვის შეიქმნა რეზერვი შეადგენდა 1,241 ათას ლარს (2022 წ.: 1,714 ათას ლარს).

რაც შეეხება ვალდებულებების მხარეს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 623,483 ათასი ლარის (20.6%) ოდენობის ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ ათ უმსხვილეს მეანაბრეზე მოდიოდა (2022 წლის 31 დეკემბერი: 527,332 ათასი ლარი (19.6%)).








„კომპანიის“ მენეჯმენტის განცხადებით არცერთი მსესხებელისგან მიღებული საპროცენტო შემოსავალი არ წარმოადგენს მთლიანი საპროცენტო შემოსავლის 10%-ზე მეტს და არცერთ დეპოზიტარზე გადახდილი პროცენტი არ წარმოადგენს მთლიანი საპროცენტო ხარჯის 10%-ზე მეტს.








7.5 ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა, ასევე ამ პოზიციის საფუძველის აღწერა

მომდევნო ცხრილებში მოცემულია სს „ლიბერთი ბანკის“ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების და კოეფიციენტების შედარება სს „საქართველოს ბანკის“, სს „თიბისი ბანკის“, სს „კრედიო ბანკის“, სს „ბაზისბანკის“, სს „პროკრედიტ ბანკი“ და სს „ტერაბანკის“ ანალოგიურ მაჩვენებლებთან 2023 და 2022 წლებისთვის.

ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მუხლები

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოცემულია საქართველოში მოქმედი ძირითადი კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებების შედარება. რადგან კომერციული ბანკები ფინანსურ ანგარიშგების ინდივიდუალურ მუხლებს სხვადასხვა სახელებით წარადგენენ ან სხვადასხვა მუხლებთან აერთიანებენ, სიმარტივისთვის მოხდა ძირითადი მუხლების ცალკე ჩვენება ხოლო ყველა ძირითადი მუხლი გაერთიანდა.







| 2023 წელი (მლნ ლარი) |  |  |  |  |  |  |  |
|---------------------------------------|---|---|---|---|---|---|---|
| საბალანსო უწყისი | | | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 495 | 3,043 | 3,786 | 273 | 284 | 177 | 79 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწეს. მიმართ | 100 | 1,753 | 2,054 | 48 | 200 | 277 | 99 |
| გაცემული სესხები და ფინანსური იჯარა | 2,858 | 20,248 | 17,786 | 1,982 | 2,494 | 1,168 | 1,278 |
| ფასიანი ქაღალდები | 347 | 4,881 | 2,885 | 49 | 378 | 114 | 158 |
| ძირითადი საშუალებები | 153 | 404 | 424 | 26 | 107 | 39 | 27 |
| სხვა აქტივები | 143 | 1,065 | 1,394 | 92 | 155 | 19 | 47 |
| სულ აქტივები | 4,096 | 31,394 | 28,329 | 2,470 | 3,619 | 1,793 | 1,689 |
| მომხმარებელთა ანგარიშები | 3,033 | 20,777 | 17,841 | 854 | 2,192 | 1,060 | 1,100 |
| ნასესხები სახსრები | 364 | 4,999 | 5,095 | 1,104 | 667 | 408 | 221 |
| საიჯარო ვალდებულებები | 30 | 138 | 72 | 21 | 16 | 2 | -- |
| სუბორდინირებული ვალი | 94 | 555 | 590 | 127 | 106 | 15 | 99 |
| სხვა ვალდებულებები | 79 | 473 | 464 | 56 | 116 | 8 | 17 |
| სულ ვალდებულებები | 3,600 | 26,942 | 24,063 | 2,163 | 3,098 | 1,493 | 1,437 |
| აქციონერთა კაპიტალი | 496 | 4,452 | 4,266 | 307 | 521 | 301 | 252 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 4,096 | 31,394 | 28,329 | 2,470 | 3,619 | 1,793 | 1,689 |
| მოგება-ზარალის ანგარიშგება | | | | | | | |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 288 | 1,586 | 1,243 | 254 | 137 | 76 | 69 |
| საკრედიტო ზარალის ხარჯი | (38) | (142) | (116) | (58) | (4) | 7 | (3) |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | 28 | 341 | 266 | 29 | 14 | 2 | 5 |
| არასაპროცენტო შემოსავალი/ხარჯი | 30 | 486 | 438 | (10) | 23 | 17 | 6 |
| საოპერაციო ხარჯები | (212) | (679) | (561) | (167) | (83) | (49) | (42) |
| არარეგულარული მუხლები | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- |
| მოგება გადასახადით დაბეგვრამდე | 96 | 1,592 | 1,270 | 48 | 86 | 54 | 35 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (15) | (259) | (247) | (7) | (9) | (8) | (5) |
| წმინდა მოგება | 81 | 1,333 | 1,023 | 41 | 77 | 46 | 30 |







| 2022 წელი (მლნ ლარი) |  |  |  |  |  |  |  |
|-------------------------------------|---|---|---|---|---|---|---|
| საბალანსო უწყისი | | | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 450 | 3,496 | 3,786 | 269 | 278 | 162 | 125 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწეს. მიმართ | 105 | 2,417 | 2,054 | 30 | 231 | 284 | 119 |
| გაცემული სესხები და ფინანსური იჯარა | 2,426 | 16,842 | 17,786 | 1,751 | 2,087 | 1,126 | 1,056 |
| ფასიანი ქაღალდები | 369 | 4,344 | 2,885 | 49 | 394 | 82 | 157 |

| | | | | | | | |
|---------------------------------------|--------------|---------------|---------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| ძირითადი საშუალებები | 152 | 364 | 424 | 20 | 105 | 40 | 24 |
| სხვა აქტივები | 137 | 905 | 1,394 | 69 | 95 | 19 | 51 |
| სულ აქტივები | 3,641 | 28,367 | 28,329 | 2,188 | 3,190 | 1,715 | 1,531 |
| მომხმარებელთა ანგარიშები | 2,690 | 18,274 | 17,841 | 645 | 1,961 | 970 | 959 |
| ნასესხები სახსრები | 327 | 5,436 | 5,095 | 1,133 | 654 | 424 | 261 |
| საიჯარო ვალდებულებები | 29 | 113 | 72 | 17 | 19 | 1 | -- |
| სუბორდინირებული ვალი | 99 | 402 | 590 | 84 | 57 | 14 | 76 |
| სხვა ვალდებულებები | 81 | 355 | 464 | 44 | 46 | 7 | 14 |
| სულ ვალდებულებები | 3,226 | 24,580 | 24,063 | 1,923 | 2,736 | 1,417 | 1,309 |
| აქციონერთა კაპიტალი | 415 | 3,787 | 4,266 | 265 | 454 | 297 | 222 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 3,641 | 28,367 | 28,329 | 2,188 | 3,190 | 1,715 | 1,531 |
| მოგება-ზარალის ანგარიშგება | | | | | | | |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 250 | 1,175 | 1,243 | 220 | 126 | 77 | 62 |
| საკრედიტო ზარალის ხარჯი | (26) | (168) | (116) | (50) | (50) | 1 | 6 |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | 29 | 261 | 266 | 32 | 10 | 2 | 5 |
| არასაპროცენტო შემოსავალი/ხარჯი | 26 | 495 | 438 | (3) | 15 | 19 | (0) |
| საოპერაციო ხარჯები | (193) | (581) | (561) | (145) | (72) | (47) | (39) |
| არარეგულარული მუხლები | -- | (0) | -- | -- | 58 | -- | -- |
| მოგება გადასახადით დაბეგვრამდე | 86 | 1,183 | 1,270 | 53 | 87 | 52 | 33 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (22) | (191) | (247) | (8) | (13) | (9) | (3) |
| წმინდა მოგება | 63 | 992 | 1,023 | 45 | 74 | 43 | 30 |

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

2023 და 2022 წლებში სს „ლიბერთი ბანკის“ ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც გამოიყენებიან საფინანსო ინსტიტუტების შესაფასებლად, მთლიანობაში მისდევდნენ საქართველოს საბანკო სექტორის ძირითადი მოთამაშეების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

| 2023 წელი | LIBERTY |  |  |  |  |  |  |
|---|---------|---|---|---|---|---|---|
| უკუგება საშუალო-წლიურ კაპიტალზე | 17.8% | 32.4% | 24.8% | 14.4% | 15.8% | 15.5% | 12.6% |
| უკუგება საშუალო-წლიურ აქტივებზე | 2.1% | 4.5% | 3.7% | 1.8% | 2.3% | 2.6% | 1.9% |
| ხარჯების შეფარდება შემოსავალთან | 61.2% | 28.1% | 32.0% | 61.0% | 47.7% | 50.9% | 53.0% |
| წმინდა საპროცენტო მარჟა | 9.3% | 6.3% | 6.1% | 13.0% | 4.7% | 5.0% | 4.8% |
| სესხების სარგებლიანობა | 37.7% | 14.4% | 13.1% | 23.0% | 11.3% | 8.3% | 12.1% |
| სახსრების ღირებულება | 7.1% | 4.5% | 5.1% | 10.1% | 6.1% | 2.8% | 7.0% |
| რისკის ღირებულება | 3.0% | 0.8% | 0.7% | 3.0% | 0.2% | -0.6% | 0.2% |
| წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი | 125.0% | 126.3% | 116.4% | 163.1% | 124.1% | 189.9% | 116.0% |
| ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი | 120.5% | 130.4% | 119.9% | 117.1% | 119.6% | 151.9% | 121.5% |
| ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 13.2% | 18.2% | 17.4% | 13.2% | 15.1% | 21.4% | 16.2% |
| პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 13.3% | 20.0% | 19.6% | 13.2% | 15.1% | 21.4% | 18.7% |
| საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი | 15.4% | 22.1% | 22.1% | 17.6% | 18.2% | 22.3% | 22.1% |

| 2022 წელი | LIBERTY |  |  |  |  |  |  |
|---|---------|---|---|---|---|---|---|
| უკუგება საშუალო-წლიურ კაპიტალზე | 16.6% | 29.0% | 26.0% | 18.5% | 18.4% | 15.2% | 14.4% |
| უკუგება საშუალო-წლიურ აქტივებზე | 1.9% | 3.9% | 3.9% | 2.3% | 2.9% | 2.4% | 2.0% |
| ხარჯების შეფარდება შემოსავალთან | 63.3% | 30.1% | 28.8% | 58.4% | 47.7% | 48.0% | 58.9% |
| წმინდა საპროცენტო მარჟა | 9.8% | 5.3% | 5.7% | 13.2% | 5.8% | 5.0% | 4.9% |
| სესხების სარგებლიანობა | 17.8% | 13.2% | 12.2% | 23.9% | 13.3% | 8.1% | 11.6% |
| სახსრების ღირებულება | 6.5% | 4.9% | 4.6% | 11.0% | 6.2% | 2.4% | 6.0% |
| რისკის ღირებულება | 1.1% | 1.0% | 0.7% | 3.0% | 3.0% | -0.1% | -0.5% |
| წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი | 122.8% | 126.1% | 140.3% | 212.4% | 127.5% | 195.9% | 133.5% |
| ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი | 130.1% | 131.9% | 135.3% | 125.7% | 121.4% | 155.2% | 123.4% |
| ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 10.9% | 14.7% | 15.5% | 10.7% | 13.1% | 19.6% | 12.8% |
| პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 11.1% | 16.7% | 18.0% | 10.7% | 13.1% | 19.6% | 14.3% |
| საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი | 14.2% | 19.8% | 21.0% | 15.1% | 16.1% | 21.7% | 18.2% |

ზემოთ მოყვანილ ცხრილებში არსებული ფინანსური მაჩვენებლები დათვლილია შესაბამისი კომერციული ბანკის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებებიდან 2023 და 2022 წლებისათვის, ან ამავე ბანკების მიერ „სებ“-ში გაგზავნილი პილარ 3-ის შესაბამისი კვარტალური ანგარიშებიდან³. ფინანსური კოეფიციენტები დათვლილია შემდეგი განმარტებების შესაბამისად:

1. უკუგება საშუალო-წლიურ კაპიტალზე: წმინდა მოგება გაყოფილი საშუალო-წლიურ აქციონერთა კაპიტალზე.
2. უკუგება საშუალო-წლიურ აქტივებზე: წმინდა მოგება გაყოფილი საშუალო-წლიურ სრულ აქტივებზე.
3. ხარჯების შეფარდება შემოსავალთან: სრული საოპერაციო ხარჯები გაყოფილი შემოსავალზე. შემოსავალი მოიცავს წმინდა საპროცენტო შემოსავალს, წმინდა საკომისიო შემოსავალი და წმინდა არასაპროცენტო შემოსავალს.
4. წმინდა საპროცენტო მარჟა: წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაყოფილი საშუალო-წლიურ საპროცენტო შემოსავლის მომტან აქტივებზე. საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები მოიცავენ მომხმარებლებზე გაცემულ წმინდა სესხებს, წმინდა ფინანსურ იჯარას, საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს და მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.
5. სესხების სარგებლიანობა: საპროცენტო შემოსავალი სესხებზე და ფინანსურ იჯარაზე გაყოფილი საშუალო-წლიურ მომხმარებლებზე გაცემული მთლიან სესხებზე და ფინანსურ იჯარაზე.
6. სახსრების ღირებულება: სრული საპროცენტო ხარჯი გაყოფილი საშუალო-წლიურ საპროცენტო ხარჯის მქონე ვალდებულებებზე.
7. რისკის ღირებულება: საკრედიტო ზარალის ხარჯი გაყოფილი საშუალო-წლიურ მომხმარებლებზე გაცემული მთლიან სესხებზე და ფინანსურ იჯარაზე.
8. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს ხელმისაწვდომი სტაბილური დაფინანსება გაყოფილი სტაბილური დაფინანსების საჭიროებაზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).


³ წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი დათვლილია კვარტალური პილარ 3-ს ანგარიშგებებიდან.

9. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები გაყოფილი ფულის წმინდა გადინებაზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).
10. ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი: ძირითადი პირველადი კაპიტალი გაყოფილი რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციებზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).
11. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი: პირველადი კაპიტალი გაყოფილი რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციებზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).
12. საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი: საზედამხედველო კაპიტალი გაყოფილი რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციებზე (დათვლილი „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით).


საბანკო სექტორში ბაზრის წილების კონცენტრაცია

საქართველოს საბანკო სექტორი ხასიათდება ბაზრის წილის მაღალი კონცენტრაციით, 2023 წლის მდგომარეობით ტოპ-3 მოთამაშის (თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი და ლიბერთი ბანკი) ჯამური წილი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში და არასაბანკო დეპოზიტებში 83.5% და 86.5% იყო. 2013 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად 69.8% და 74.1% იყო. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5-7 წლის განმავლობაში კონცენტრაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.


დეტალური ინფორმაცია ბაზრის წილების დინამიკის შესახებ წარმოდგენილია შემდეგ გრაფიკებში:




მომხმარებლებზე გაცემული სესხები - ბაზრის წილი (%)



არასაბანკო დეპოზიტები (მილიარდი ლარი)





ბოლო წლებში საქართველოს საბანკო ბაზარზე შესაძლებელი გახდა ელექტრონული ბანკების და მიკრო-ბანკების ლიცენზიის მიღება. ამ ეტაპზე ლიცენზიები მიიღეს შემდეგმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა: სს „პეისერა ბანკი საქართველო“, სს „ჰემ ბანკი“ და სს „პეიჯ ბანკი ჯორჯია“. ამ ეტაპზე მსგავსი ფინანსური ინსტიტუტების ბაზრის წილი მცირეა და მათი საქმიანობის სქემა და სეგმენტი განსხვავდება სს „ლიბერთი ბანკისგან“.

საქართველოს საბანკო სექტორის კრებსითი მონაცემების ისტორიული დინამიკისთვის გთხოვთ იხილოთ შემდეგი სექცია: 7.2.1 („საქართველოს საბანკო სექტორის ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა“).

აღსანიშნავია, რომ თიბისი ბანკი, საქართველოს ბანკი და ლიბერთი ბანკი სებ-ის მიერ აღიარებულია როგორც სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები. აღნიშნულ ბანკებს დაწესებული აქვთ კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაციის მიხედვით დამატებითი სისტემური ბუფერები.

სისტემურობის ბუფერის მიზანია სისტემური მნიშვნელობის მქონე კომერციული ბანკების მდგრადობის ზრდა, რაც, ასევე, მთლიანად სისტემის მდგრადობასაც ზრდის, რადგან სისტემური მნიშვნელობის ბანკებში წარმოშობილ ფინანსურ სირთულეებს შეუძლია მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას.

2024 წლის ივნისის მდგომარეობით სისტემური ბუფერების მაჩვენებლები შემდეგი იყო:

- თიბისი ბანკი: 2.5%
- საქართველოს ბანკი: 2.5%
- ლიბერთი ბანკი: 1.0%

წყარო: <https://nbg.gov.ge/financial-stability/systemic-buffer>

„კომპანიის“ რისკიანობაზე რეგულაციური მოთხოვნების გავლენის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ შემდეგი სექცია: 3.2.1 („კომპანია“ ვალდებულია დააკმაყოფილოს გარკვეული საზედამხედველო მოთხოვნები).

მნიშვნელოვანი აკვიზიციები საქართველოს საბანკო სექტორში

ბოლო 10 წლის განმავლობაში, საქართველოს საბანკო სექტორში რამდენიმე მსხვილი გარიგება დაფიქსირდა:

- ბაზისბანკის და ლიბერთი ბანკის მიერ ვითიბი ბანკ ჯორჯია-სგან გარკვეული სესხების და დეპოზიტების გადაფორმება 2022 წლის თებერვალ-მარტში
- კრედო ბანკის მიერ ფინკა ბანკის შექმნა 2021 წლის ივლისში
- თიბისი ბანკის მიერ ბანკი რესპუბლიკას შექმნა 2016 წლის ოქტომბერში
- თიბისი ბანკის მიერ პროგრეს ბანკის გარკვეული სესხების და დეპოზიტების შექმნა 2016 წლის ოქტომბერში
- საქართველოს ბანკის მიერ პრივატ ბანკის შექმნა 2015 წლის იანვარში

7.6 ინვესტიციები

7.6.1 ემიტენტის მიერ განხორციელებული მატერიალური ინვესტიციების აღწერა (თანხების მითითებით) თითოეული იმ პერიოდისთვის, რომელიც პროსპექტში წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებშია მითითებული

კომპანიის ძირითადი საქმიანობა სასესხო პორტფელის და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვაა და ის სხვა ტიპის საინვესტიციო საქმიანობას არ ეწევა. ფიქსირებული აქტივები მისი მთლიანი აქტივების შედარებით მცირე ნაწილს წარმოადგენს, შესაბამისად, „კომპანიის“ მენეჯმენტის განცხადებით, კომპანიის არც-ერთი ფიქსირებული აქტივების მუხლი არ არის მატერიალური მის მთლიან აქტივებთან მიმართებაში.

2022 წელს „კომპანიამ“ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან“ შეიძინა აქტივები და პასივები (სასესხო და სადეპოზიტო პორტფელი). იმის გათვალისწინებით, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიმართ იმ პერიოდში დაწესდა ეკონომიკური სანქციები დასავლეთის ქვეყნების მიერ და შეუძლებელი იყო „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ საკუთარი მომხმარებლისთვის შეუფერხებელი და სრულფასოვანი საბანკო მომსახურების გაწევა, მომხმარებლის ინტერესების დაცვისა და საბანკო სექტორის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, აქტივებისა და პასივების შექმნა განხორციელდა შემჭიდროვებულ რეჟიმში, ხოლო აქტივებისა და პასივების ვითიბი ბანკიდან კომპანიის სისტემებში მიგრაცია და საბაზრო ღირებულების განსაზღვრა განხორციელდა მომდევნო ეტაპზე.

2024 წლის თებერვალში „კომპანიამ“ 57,299,199 ლარად შეიძინა სასესხო პორტფელი სს „პაშა ბანკი საქართველო“-სგან, საბალანსო ღირებულებით 57,198,908 ლარი. სასესხო პორტფელი შედგებოდა 48,029,709 ლარის მოცულობის საკრედიტო ბარათების სესხებისგან და 16,394,062 ლარის სამომხმარებლო სესხებისგან. აღნიშნული პორტფელის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) 6,783,386 ლარს შეადგენდა. საკრედიტო ბარათების აუთვისებელი ბალანსი 72,783,284 ლარი იყო, ხოლო აუთვისებელი ბალანსის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) 441,477 ლარს შეადგენდა.

ბანკის მიერ გადახდილი თანხა წარმოადგენს შექმნილი პორტფელის საბაზრო ღირებულებას, შესაბამისად ბანკს აღნიშნული ტრანზაქციიდან მოგება ან ზარალი არ მიუღია.

აღნიშნული ტრანზაქციის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის 7.4.2 პუნქტში. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდებისთვის კომპანიას არ განუხორციელებია მსგავსი ან სხვა ტიპის მატერიალური მოცულობის შესყიდვა ან/და ინვესტიცია.

7.6.2 ემიტენტის მიერ განხორციელებული იმ მატერიალური ინვესტიციების აღწერა, რომლებიც მიმდინარეობს პროცესშია, მათი გეოგრაფიული მდებარეობისა (ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ) და დაფინანსების სტრუქტურის (შიდა თუ მოზიდული სახსრებით) მიხედვით

კომპანია გეგმავს მომხმარებელს შესთავაზოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის მომსახურება. მოცემულ ეტაპზე აღნიშნული მომსახურება მოიცავს მომხმარებლის მიერ მიღებული დავალების

შესაბამისად, ლოკალური და გლობალური ფასიანი ქაღალდების შექმნა/გასხვისების, შენახვის ოპერაციების წარმოებას და აღნიშნულთან დაკავშირებული მომსახურების გაწევას. ამ მხრივ კომპანიის მიერ ამ დრომდე გაწეული ან/და მომავალში დაგეგმილი ინვესტიცია არ არის მატერიალური მოცულობის.

7.6.3 ინფორმაცია, ისეთი კომპანიების შესახებ, მათი წილების მითითებით, რომლებშიც ემიტენტი ფლობს წილს და რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და/ან მოგება-ზარალის შეფასებაზე (იგულისხმება შვილობილების გარდა არსებული წილების ფლობა).

„კომპანიის“ შვილობილი და ასოცირებული კომპანიები არ არიან მატერიალური ზომის და არ აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა „კომპანიის“ აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და/ან მოგება-ზარალის შეფასებაზე.

8 ორგანიზაციული სტრუქტურა

8.1 თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურისა და საქმიანობის მიმოხილვა, მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით; სიცხადისა და აღქმადობისთვის უმჯობესია ორგანიზაციული სტრუქტურის /დიაგრამის გამოყენება

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით „კომპანიას“ შემდეგი აქციონერები ჰყავდა:

| აქციონერი | აქციათა წილი | ხმის უფლება |
|---|--------------|-------------|
| სს „გალტ & თაგარტი“ (ს/კ 211359206) (ანგარიშის მწარმოებელი) | 95.81% | 99.23% |
| სხვა აქციონერები (თითოეული ფლობს აქციათა და ხმის უფლების 5%-ზე ნაკლებს) | 4.19% | 0.77% |

სს „გალტ & თაგარტი“ კომპანიის აქციებს ფლობს როგორც „ანგარიშის მწარმოებელი“ და მოქმედებს ანგარიშის „მფლობელის“ სასარგებლოდ, მის მიერ გაცემული მითითებისა და მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით „კომპანიის“ „ანგარიშის მფლობელებს“ წარმოადგენდნენ:

| აქციონერი | აქციათა წილი | ხმის უფლება |
|--|--------------|-------------|
| ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი | 95.12% | 98.51% |
| სხვა ანგარიშის მფლობელები (თითოეული ფლობს აქციათა და ხმის უფლების 5%-ზე ნაკლებს) | 4.88% | 1.49% |

გარდა ჩვეულებრივი აქციებისა, კომპანიას გამოშვებული აქვს პრივილეგირებული აქციები, რომელსაც არ გააჩნია ხმის უფლება. პრივილეგირებული აქციის მფლობელებს კომპანია უხდის დივიდენდს წლიური 17%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 0.17 ლარს ერ ცალ პრივილეგირებულ აქციაზე.

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით კომპანიის მიერ გამოშვებული პრივილეგირებული აქციების მფლობელებს წარმოადგენდნენ:

| პრივილეგირებული აქციის მფლობელი | მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობა | წილი განთავსებულ აქციებში |
|---|--|---------------------------|
| სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“ (ს/კ 205286457) (ანგარიშის მწარმოებელი) | 563,667 | 12.35% |
| სს „გალტ & თაგარტი“ (ს/კ 211359206) (ანგარიშის მწარმოებელი) | 3,984,160 | 87.27% |
| სხვა მფლობელები (თითოეული ფლობს აქციათა 5%-ზე ნაკლებს) | 17,557 | 0.38% |

სს „გალტ & თაგარტი“ და სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“ პრივილეგირებულ აქციებს ფლობენ როგორც „ანგარიშის მწარმოებლები“ და მოქმედებენ „ანგარიშის მფლობელის“ სასარგებლოდ, მის მიერ გაცემული მითითებისა და მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით კომპანიის პრივილეგირებული აქციების „ანგარიშის მფლობელებს“ წარმოადგენდნენ:


| პრივილეგირებული აქციის მფლობელი | მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობა | წილი განთავსებულ აქციებში |
|--|--|---------------------------|
| ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი | 684,160 | 14.99% |
| გიორგი კალანდარიშვილი | 2,633,330 | 57.68% |
| დავით შონია | 586,670 | 12.85% |
| სხვა ანგარიშის მფლობელები (თითოეული ფლობს აქციათა 5%-ზე ნაკლებს) | 661,224 | 14.48% |

„ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი.“, ნიდერლანდების სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და მოქმედი კომპანია, არის ბანკის მშობელი საწარმო. კომპანიის განცხადებით, ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი. არ ახორციელებს სხვა საქმიანობას გარდა სს „ლიბერთი ბანკის“ ფლობისა და არ გააჩნია სხვა შვილობილები. „ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი“ ანგარიშის მწარმოებლის, სს „გალტ & თაგარტის“ საშუალებით ფლობს „ბანკის“ ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების 98.51%-ს. შესაბამისად, ზემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნული „გალტ & თაგარტის“, როგორც ანგარიშის მწარმოებლის ხმის უფლების მქონე აქციებიდან 98.51% წარმოადგენს „ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი“-ის კუთვნილ აქციებს. „ბანკის“ ძირითადი საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან ბატონი ირაკლი ოთარ რუხაძე (31.47% ხმის უფლების მფლობელი), ბატონი ბენჯამინ ალბერტ მარსონი (31.47% ხმის უფლების მფლობელი) და ბატონი იგორ ალექსეევი (31.47% ხმის უფლების მფლობელი). აღნიშნულზე მეტი დეტალი მოცემულია პროსპექტის 1.3.1.4. პუნქტში.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ივნისში შეიცვალა ბენეფიციარი საკუთრების სტრუქტურა, რის შედეგადაც „ბანკის“ მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ერთადერთი აქციონერი, ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი „ბანკის“ აქციებს ფლობს საბროკერო კომპანია „გალტ & თაგარტში“ გახსნილი საბროკერო ანგარიშის საშუალებით. 2024 წლის 05 ივნისიდან „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის“ შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, „კომპანიის“ საჯარო ფასიანი ქაღალდები დამოუკიდებელი რეგისტრატორიდან გადატანილ იქნა ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში.

„ბანკის“ მფლობელობის პროსპექტის შედგენის მდგომარეობით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ გვერდზე.

სს ლიბერთი ბანკის მფლობელობის სტრუქტურა პროსპექტის მომზადების მდგომარეობით



8.2 ემიტენტის შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი, მათი სახელების, დაარსებისა და საქმიანობის ქვეყნის, მათში წილობრივი ფლობისა და ხმის უფლების მითითებით. ასევე, თუ ემიტენტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ჯგუფში შემავალ რომელიმე წევრზე, ამ დამოკიდებულების აღწერა.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „კომპანიას“ შემდეგი ინვესტიციები გააჩნდა შვილობილ და ასოცირებულ კომპანიებში:

| სახელწოდება | წილი და ხმის უფლება | დაფუძნების თარიღი და ქვეყანა | საქმიანობა |
|---|---------------------|--------------------------------|--|
| შპს „Bus Stop“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 205286046) | 100.00% | 27 აგვისტო, 2009 წ, საქართველო | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული წარმომადგენელი |
| სს „სმარტექსი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202455850) | 21.47% | 5 იანვარი, 2009 წ, საქართველო | ადრეულ ეტაპზე განხორციელებული ინვესტიციები სარისკო კაპიტალში. |

ემიტენტის განცხადებით, სს „ლიბერთი ბანკი“ არ არის მნიშვნელოვნად დამოკიდებული ჯგუფში შემავალ რომელიმე წევრზე.

9 საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

9.1 ფინანსური მდგომარეობა

შემდეგ ცხრილებში შეჯამებულია „კომპანიის“ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც 2023 და 2022 სრული ფისკალური წლების ანგარიშგებას და 2023 და 2024 წლების ნახევარ-წლიურ ანგარიშგებას ეფუძნება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS-ის) შესაბამისად.

კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების გადანაწილება წარმოდგენილია ქვემოთ:

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| აქტივები | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 450,324 | 494,771 | 437,838 | 546,911 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 105,341 | 99,723 | 105,081 | 91,307 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 2,426,423 | 2,857,976 | 2,594,099 | 3,127,904 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 369,481 | 346,704 | 306,069 | 459,157 |
| ძირითადი საშუალებები | 152,074 | 153,069 | 149,730 | 152,444 |
| არამატერიალური აქტივები | 57,159 | 61,406 | 59,048 | 67,443 |
| აქტივის გამოყენების უფლება | 30,141 | 30,724 | 34,073 | 35,095 |
| გადახდილი ავანსი | 6,310 | 6,728 | 9,697 | 12,310 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი | 1,982 | -- | 2,177 | -- |
| სხვა აქტივები | 41,354 | 44,496 | 41,962 | 33,090 |
| სულ აქტივები | 3,640,589 | 4,095,597 | 3,739,774 | 4,525,661 |
| ვალდებულებები | | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 327,279 | 363,574 | 293,729 | 656,231 |
| ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ | 2,689,669 | 3,033,490 | 2,793,428 | 3,132,599 |
| მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები | 5,250 | 11,771 | 32,350 | 5,913 |
| მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები | 19,565 | 17,220 | 17,084 | 16,813 |
| საიჯარო ვალდებულებები | 28,741 | 30,114 | 7,623 | 36,340 |
| სხვა ვალდებულებები | 56,650 | 50,103 | 48,817 | 18,363 |
| სუბორდინირებული ვალი | 98,774 | 93,588 | 91,219 | 107,280 |
| სულ ვალდებულებები | 3,225,928 | 3,599,860 | 3,284,250 | 3,973,539 |
| საკუთარი კაპიტალი | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 54,629 | 44,491 | 54,629 | 44,491 |
| დამატებითი შეტანილი კაპიტალი | 35,558 | 35,558 | 35,558 | 35,558 |
| გამოსყიდული აქციები | (10,138) | -- | (10,138) | -- |
| კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები | 4,565 | 4,565 | 4,565 | 4,565 |
| გაუნაწილებელი მოგება | 306,093 | 386,890 | 345,790 | 443,347 |

| | | | | |
|--|------------------|------------------|------------------|------------------|
| სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის | 1,526 | 2,331 | 2,692 | 2,259 |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | 22,428 | 21,902 | 22,428 | 21,902 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 414,661 | 495,737 | 455,524 | 552,122 |
| სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი | 3,640,589 | 4,095,597 | 3,739,774 | 4,525,661 |

ფული და ფულის ექვივალენტები

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| ნაღდი ფული | 267,685 | 311,934 | 317,933 | 285,711 |
| 90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში | -- | 128,986 | 47,601 | 184,393 |
| მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში | 122,357 | 39,031 | 65,048 | 56,086 |
| მიმდინარე ანგარიშები სებ-ში | 60,309 | 14,821 | 7,280 | 20,732 |
| გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი | (27) | (1) | (24) | (11) |
| სულ | 450,324 | 494,771 | 437,838 | 546,911 |

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 12,698 ლარი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,768 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 28,538 ათასი ლარი განთავსებული იყო მიმდინარე ანგარიშებზე „ეთაგო“-ს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ბანკებში, რომლებიც კონტრაქტებად გამოდიან „კომპანის“ მიერ განხორციელებულ საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებში (აღნიშნული თანხა არ არის ბლოკირებული).

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. სებ-ის რეგულაციების მიხედვით, „ლიბერთი ბანკს“ შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება. 2021 წელს სავალდებულო რეზერვის პროცენტულობა, რომელიც ბანკი ვალდებულებების გარკვეულ კატეგორიებზე ვრცელდებოდა, შემცირდა, რის შედეგადაც შემცირდა შესაბამისი სავალდებულო რეზერვის აქტივის ოდენობა. ბანკს ევალება სებ-ში სავალდებულო პროცენტის დეპოზიტის გახსნა კლიენტებისგან და არარეზიდენტი საკრედიტო დაწესებულებებისგან შესაბამის ორკვირიან ვადაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 5%-20%-ის ოდენობით (2022 წ.: 5%-25%).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სებ-ში სავალდებულო რეზერვები 75,027 ათას ლარს შეადგენდა, რაც მომხმარებლებისგან მოზიდული ანგარიშების და დეპოზიტების 2.5% იყო. 2022 წლის 31 დეკემბერს ეს მაჩვენებლები შესაბამისად 73,138 ათას ლარს და 2.7%-ს შეადგენდნენ.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სებ-ში სავალდებულო რეზერვები 88,514 ათას ლარამდე გაიზარდა, რაც მომხმარებლების ანგარიშების და დეპოზიტების 2.8%-ს შეადგენდა (2023 წლის 30 ივნისი: შესაბამისად 66,780 ათასი ლარი და 2.4%).

2024 წლის 30 ივნისისთვის 2,164 ათასი ლარი, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 23,982 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, 31,478 ათასი ლარი განთავსებული იყო საგარანტიო დეპოზიტის სახით სვოპ გარიგებების დასაფინანსებლად გაფორმებულ ISDA ჩარჩო ხელშეკრულების „კრედიტის უზრუნველყოფის შესახებ დანართით“ განსაზღვრული ვარიაციული და საიმედოობის მარჟებისთვის. ვარიაციული მარჟა დროდადრო იცვლება ფორვარდულ კონტრაქტებში საბაზრო კოტირებების მიხედვით გადაფასებისას. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით განთავსებული საგარანტიო დეპოზიტების მოცულობა 2,164 ათასი ლარი იყო. წინა წლებში აღნიშნული ბალანსის სავალუტო სვოპის ტრანზაქციის ფარგლებში გამოიყენებოდა და 2024 წელს მისი შემცირება აღნიშნული სავალუტო სვოპის დახურვით არის გამოწვეული.

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|------------------------------------|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| სავალდებულო რეზერვები სებ-ში | 73,138 | 75,027 | 66,780 | 88,514 |
| განთავსებული საგარანტიო დეპოზიტები | 31,478 | 23,982 | 37,564 | 2,164 |
| 90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაზარი | 905 | 908 | 941 | 807 |
| გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი | (180) | (194) | (204) | (178) |
| სულ | 105,341 | 99,723 | 105,081 | 91,307 |

მომხმარებლებზე გაცემული სესხები

„ემიტენტი“ გაცემული სესხების კლასიფიკაციას პროდუქტის ტიპის მიხედვით შემდეგი კატეგორიებით ახდენს: კომერციული სესხები, სამომხმარებლო სესხები, კლიენტებზე გაცემული სესხები, რეგულარული შენატანებით, მიკროსესხები, იპოთეკური სესხები და სალომბარდო სესხები.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „კომპანიის“ ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 202,279 ათას ლარს, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 6.19%-ს შეადგენდა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 198,147 ლარს, ანუ „კომპანიის“ მთლიანი სასესხო პორტფელის 6.62%-ს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ლიბერთი ბანკის“ ათ უმსხვილეს მესამე მხარე მსესხებელზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 179,071 ათას ლარს ანუ ბანკის მთლიანი სასესხო პორტფელის 7.05%-ს. აღნიშნული სესხებისთვის შეიქმნა რეზერვი შეადგენდა 1,714 ათას ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 74,055 ათასი ლარის მომხმარებელთა სესხები იყო დაგირავებული საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 72,623 ათასი ლარის მომხმარებელთა სესხები იყო დაგირავებული საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად.

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|-----------------------|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| კომერციული სესხები | 973,523 | 1,119,050 | 966,160 | 1,207,787 |
| სამომხმარებლო სესხები | 813,240 | 945,345 | 887,650 | 1,058,563 |
| მიკროსესხები | 424,690 | 541,627 | 510,929 | 599,327 |
| იპოთეკური სესხები | 155,029 | 220,863 | 180,582 | 266,720 |
| სალომბარდო სესხები | 175,095 | 165,824 | 177,981 | 133,769 |

| | | | | |
|---|-----------|-----------|-----------|-----------|
| მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები | 2,541,577 | 2,992,709 | 2,723,302 | 3,266,166 |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | (115,154) | (134,733) | (129,203) | (138,262) |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 2,426,423 | 2,857,976 | 2,594,099 | 3,127,904 |

შემდეგ ცხრილში ყველა ტიპის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ჩაშლა უზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით:

| ათასი ლარი | 2022 | 2023 | 1H 2023 | 1H 2024 |
|---|------------------|------------------|------------------|------------------|
| LTV ≤70% | 619,582 | 865,392 | 663,047 | 982,095 |
| LTV >70% ≤85% | 193,124 | 198,941 | 207,346 | 264,476 |
| LTV >85% ≤100% | 112,854 | 118,715 | 112,194 | 102,726 |
| LTV >100% | 198,460 | 207,160 | 233,724 | 222,106 |
| სულ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები: | 1,124,020 | 1,390,208 | 1,216,311 | 1,571,403 |

წყარო: პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშები, რომლებიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Quarter>

წმინდა სესხები 2022 წლის განმავლობაში 29.1%-ით გაიზარდა (სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასგან“ შექმნილი სესხების ეფექტის გარეშე ზრდამ შეადგინა 21.3%) და 2,426,423 ათასი ლარი შეადგინა. 2023 წელს ზრდამ 14.8% შეადგინა და წმინდა სესხების მოცულობა 2,857,976 ათას ლარამდე გაიზარდა. 2022 წელს ზრდის მთავარი მამოძრავებელი კომერციული სესხების 67.6%-იანი ზრდა იყო, რის შედეგადაც კომერციულმა სესხებმა 966,101 ათასი ლარი შეადგინეს (სრული სესხების 38.08%).

სესხები საქართველოს ფარგლებში ძირითადად შემდეგ დარგებზეა გაცემული:

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირირ- რებული | 1H 2024 არა-აუდირირ- რებული |
|--|--------------------|--------------------|-----------------------------------|-----------------------------------|
| ფიზიკური პირები | 1,697,088 | 1,956,340 | 1,925,201 | 2,278,184 |
| ვაჭრობა და მომსახურება | 483,333 | 476,243 | 420,533 | 489,266 |
| სოფლის მეურნეობა | 124,926 | 244,350 | 113,064 | 169,722 |
| მშენებლობა | 84,119 | 97,124 | 77,767 | 94,446 |
| ენერჯეტიკა | 46,794 | 83,465 | 45,956 | 85,925 |
| ჯანდაცვა | 29,087 | 40,332 | 30,224 | 38,115 |
| სამთო მრეწველობა | 31,139 | 28,987 | 14,084 | 40,933 |
| ტურიზმი და სასტუმროს ბიზნესი | 11,879 | 27,522 | 31,385 | 27,062 |
| არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაცია | 5,610 | 13,552 | 26,294 | 16,633 |
| წარმოება | 11,143 | 7,726 | 6,628 | 8,851 |
| ტრანსპორტირება და კომუნიკაცია | 4,995 | 4,462 | 5,081 | 4,029 |
| სხვა | 11,464 | 12,606 | 27,085 | 13,000 |
| მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები | 2,541,577 | 2,992,709 | 2,723,302 | 3,266,166 |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | (115,154) | (134,733) | (129,203) | (138,262) |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა | 2,426,423 | 2,857,976 | 2,594,099 | 3,127,904 |

საკრედიტო რისკების მართვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ბანკში მოქმედი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასების და აღიარების მიდგომა. აღნიშნული მიდგომა დაფუძნებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის - ფასს 9 მოთხოვნებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელ დოკუმენტზე „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესი“. ლიბერთი ბანკი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებას ახორციელებს ორი მიმართულებით: ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციებისა და კოლექტიურად შეფასებული (ჰომოგენული ჯგუფების) რისკის პოზიციების ჭრილში, რისთვისაც ბანკს შემუშავებული აქვს შესაბამისი რისკის პოზიციების გაუფასურების ორი მეთოდოლოგია.

ლიბერთი ბანკის მიერ გაცემული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკის პოზიციების და კოლექტიურად შეფასებული რისკის პოზიციების ფასს-9 მიხედვით გაუფასურების მეთოდოლოგიების საფუძველზე შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვები გამოიყენება როგორც ბანკის შიდა ისე საზედამხედველო ანგარიშგების მიზნებისთვის. აღნიშნულმა მიდგომამ 2023 წლის მეორე ნახევარში სრულად ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი“.

ფასს-9 მიდგომით სესხების გაუფასურების ზარალის რეზერვების ფორმირება ეფუძნება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ECL (expected credit losses) აღრიცხვის მოდელს და არა უკვე დამდგარი ზარალის აღრიცხვის მოდელს. განახლებული ფასს 9 დარეზერვების ჩარჩო მოიცავს შემდეგ ძირითად ფუნდამენტური ცვლილებებს:

- ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციას საკრედიტო რისკის მიხედვით გაუფასურების სტადიების მიხედვით, მათ შორის:
 - 1-ლი დონის საკრედიტო რისკის კატეგორიაში (Stage 1) ხვდება სტანდარტული საკრედიტო ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის გაუფასურებული ან რომლებზეც საკრედიტო რისკი არ არის მნიშვნელოვნად გაზრდილი საწყისი აღიარების შემდეგ.
 - მე-2 დონის საკრედიტო რისკის კატეგორიაში (Stage 2) ხვდება საკრედიტო ინსტრუმენტები, რომლებზეც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა საწყისი აღიარების შემდეგ.
 - მე-3 დონის საკრედიტო რისკის კატეგორიაში (Stage 3) ხვდება საკრედიტო რისკის მიხედვით სრულად გაუფასურებული (დეფოლტური) საკრედიტო ინსტრუმენტები.
- კოლექტიურად შეფასებული რისკის პოზიციებისთვის, ჰომოგენური ჯგუფების ჭრილში დაინერგა ახალი ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაც გულისხმობს SICR (Significant Increasing Credit Risk)– ის ან დეფოლტის თრიგერებად DSCR & PTI & LTV კოეფიციენტების გამოყენებას. ეს ფუნდამენტური ცვლილებაა და სეზ-ის ახალი მოთხოვნების გარეშე, ისედაც საჭირო იყო მისი განხორციელება. ვინაიდან გაუფასურების სტადიებს შორის მიგრაციების არსებული ხარისხობრივი პარამეტრები, ბანკის ახალი ბიზნეს მოდელის/პროდუქტების შესაბამისი რისკების საპასუხოდ საჭიროებდა განახლებას და გაუმჯობესებას.
- შეიცვალა რისკის პოზიციების კატეგორიების რეკლასიფიკაციის მიდგომები და დაინერგა კატეგორიების გაუმჯობესების ახალი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მსესხებლების ფინანსურ ანალიზსა და ასევე 3, 6, 12 თანმიმდევრული დემონსტრაციული გადახდების ისტორიებზე.
- შემოღებულ იქნა ახალი მიდგომები საყურადღებოდ მოდიფიცირებული ფინანსურ ინსტრუმენტებისა (სმფი), განმეორებითი რესტრუქტურისაციებისა და რეფინანსირებული სესხების მიმართ სრულიად ახალი რეკლასიფიკაციებისა და დარეზერვების მიდგომები.
- მნიშვნელოვნად შეიცვალა გარესაბალანსო რისკის პოზიციების გაუფასურების კრიტერიუმები და მიდგომები, კერძოდ: კოლექტიურად შეფასებული რისკის პოზიციების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შესაფასებლად ბანკის გარესაბალანსო ვალდებულებების ნაწილში დაინერგა CCF (Credit Conversion Factor) კონვერცია, რომელიც ეფუძნება ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ მიღებულ პრაქტიკას. აღნიშნულიდან გამომდინარე ბანკი გამოიყენებს კრედიტის კონვერსიის ფაქტორებს, მოკლევადიანი და გრძელვადიანი რისკის პოზიციებისთვის Stage 1, Stage 2, Stage 3 კატეგორიების ჭრილში.

- ინდივიდუალურად შესაფასებელი რისკის პოზიციების (ISRE) დარეზერვების მეთოდოლოგიაში დაემატა ოქროს საბითუმო ლომბარდის (ოსლ) რისკის პოზიციებისთვის ECL შეფასების განახლებული უნიფიცირებული მიდგომები, რომელიც ითვალისწინებს კომპანიების შეფასებას S&P GMI-ის PD&LGD სქორქარდებით მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებას.

ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, „ლიბერთი ბანკი“ აჯგუფებს თავის სესხებს პირველ, მეორე და მესამე სტადიებად და შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებულად:

- 1-ელი სტადია:** სესხების საწყისი აღიარებისას „კომპანია“ კმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე სტადიიდან.
- მე-2 სტადია:** როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, „კომპანია“ კმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.
- მე-3 სტადია:** სესხები, რომლებიც გაუფასურებულად მიიჩნევა. „კომპანია“ კმნის დეფოლტის შემთხვევაში ზარალის რეზერვს.
- შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული:** შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია საწყისი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო ამონაგების აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|--|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| 1-ელი სტადია | 2,345,137 | 2,769,541 | 2,526,766 | 3,026,685 |
| მე-2 სტადია | 98,141 | 101,161 | 84,391 | 105,859 |
| მე-3 სტადია | 91,949 | 122,007 | 112,145 | 133,622 |
| შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული | 6,350 | -- | -- | -- |
| მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები | 2,541,577 | 2,992,709 | 2,723,302 | 3,266,166 |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | (115,154) | (134,733) | (129,203) | (138,262) |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა | 2,426,423 | 2,857,976 | 2,594,099 | 3,127,904 |

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები | 213,032 | 192,536 | 176,280 | 217,430 |

| | | | | |
|---|----------------|----------------|----------------|----------------|
| სავალო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით | 66,870 | 118,259 | 95,614 | 165,466 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები | 18,435 | 4,275 | 12,709 | 44,560 |
| აშშ-ის სახაზინო თამასუქები | 53,548 | -- | -- | -- |
| კორპორაციული ობლიგაციები | 15,091 | 32,116 | 22,107 | 32,102 |
| სადეპოზიტო სერტიფიკატები სებ-ში | 2,978 | -- | -- | -- |
| სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები, მოგება ზარალში ასახვით | -- | -- | -- | 222 |
| გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი | (473) | (482) | (641) | (623) |
| სულ | 369,481 | 346,704 | 306,069 | 459,157 |

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 206,610 ათასი ლარის (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 154,938 ათასი ლარი) ღირებულების საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები იყო დაგირავებული საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დაგირავებული ქონების საბალანსო ღირებულება 184,967 ათას ლარს შეადგენდა.

ძირითადი საშუალებები: მოიცავენ „ემიტენტის“ მიწას და შენობა-ნაგებობებს, ავეჯს და მოწყობილობებს, კომპიუტერული ტექნიკას და საოფისე აღჭურვილობას, სატრანსპორტო საშუალებებს და საიჯარო ქონების გაუმჯობესებას.

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| თვითღირებულება | | | | |
| მიწა და შენობა-ნაგებობები | 92,578 | 97,710 | 93,487 | 99,489 |
| ავეჯი და მოწყობი-ლობები | 116,760 | 122,445 | 119,132 | 124,710 |
| კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა | 48,085 | 51,930 | 49,686 | 52,574 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 17,467 | 18,892 | 17,609 | 20,661 |
| საიჯარო ქონების გაუმჯობესება | 15,820 | 16,391 | 16,259 | 16,535 |
| დაუმთავრებელი მშენებლობა | -- | 24 | -- | 201 |
| სულ თვითღირებულება | 290,710 | 307,392 | 296,173 | 314,170 |
| დაგროვილი ცვეთა | | | | |
| მიწა და შენობა-ნაგებობები | -- | (1,898) | (929) | (2,880) |
| ავეჯი და მოწყობილობები | (78,264) | (86,468) | (82,434) | (90,193) |
| კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა | (35,042) | (38,952) | (36,932) | (40,471) |
| სატრანსპორტო საშუალებები | (16,395) | (16,890) | (16,665) | (17,398) |
| საიჯარო ქონების გაუმჯობესება | (8,935) | (10,115) | (9,483) | (10,784) |

| | | | | |
|-----------------------------|-----------|-----------|-----------|-----------|
| სულ დაგროვილი ცვეთა | (138,636) | (154,323) | (146,443) | (161,726) |
| წმინდა ძირითადი საშუალებები | 152,074 | 153,069 | 149,730 | 152,444 |

„ლიბერთი ბანკის“ მიწა და შენობა-ნაგებობები სისტემატურად გადაფასდება. ბოლო გადაფასების თარიღი 2022 წლის 31 დეკემბერი იყო. შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად, საბალანსო ღირებულება გაიზარდა 2,813 ათასი ლარით, საიდანაც 479 ათასი ლარი მოდიოდა მანამდე გაუფასურებულ შენობებზე, ამიტომ შესაბამისი შემოსულობა გადაფასებიდან აღიარებული იქნა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები: მოიცავენ ლიცენზიებს, უფლებებს და პატენტებს, ძირითად საბანკო პროგრამას და სხვა პროგრამული უზრუნველყოფას.

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|---------------------------------------|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| თვითღირებულება | | | | |
| პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები | 126,844 | 142,375 | 134,500 | 154,508 |
| სულ თვითღირებულება | 126,844 | 142,375 | 134,500 | 154,508 |
| დაგროვილი ამორტიზაცია | | | | |
| პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები | (69,685) | (80,969) | (75,452) | (87,065) |
| სულ დაგროვილი ამორტიზაცია | (69,685) | (80,969) | (75,452) | (87,065) |
| წმინდა არამატერიალური აქტივები | 57,159 | 61,406 | 59,048 | 67,443 |

იჯარა

| ათასი ლარი | აქტივის გამოყენების უფლება – შენობები (აუდირებული) | საიჯარო ვალდებუ- ლებები (აუდირებული) |
|--|--|--|
| 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 30,141 | 28,741 |
| შემოსვლები | 9,338 | 9,338 |
| ცვეთის ხარჯი | (7,362) | – |
| საპროცენტო ხარჯი | – | 1,351 |
| გადახდები | – | (7,832) |
| გასვლები | (8,433) | (1,438) |
| ცვეთა აქტივის გასვლისას | 7,040 | – |
| ვალუტის კონვერტაცია | – | (46) |
| 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 30,724 | 30,114 |

| ათასი ლარი | აქტივის გამოყენების უფლება – შენობები (აუდირებული) | საიჯარო ვალდებუ- ლებები (აუდირებული) |
|---|--|--|
| 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 32,964 | 35,897 |
| შემოსვლები | 7,776 | 7,776 |
| ცვეთის ხარჯი | (7,368) | 0 |

| | | |
|--|---------------|---------------|
| საპროცენტო ხარჯი | 0 | 1,471 |
| გადახდები | 0 | (8,558) |
| გასვლები | (5,957) | (3,662) |
| ცვეთა აქტივის გასვლისას | 2,726 | 0 |
| ვალუტის კონვერტაცია | 0 | (4,183) |
| 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 30,141 | 28,741 |

2023 წელს ბანკმა აღიარა 1,016 ათასი ლარის ხარჯი მოკლევადიანი იჯარებიდან (2022 წ.: 925 ათასი ლარი). 2023 წელს იჯარებთან დაკავშირებით ბანკის ფულადი ნაკადების გადინებამ (იჯარის ძირის და პროცენტის ჯამი) შეადგინა 7,832 ათასი ლარი (2022 წ.: 8,558 ათასი ლარი).

გადასახადები

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირი- რებული | 1H 2024 არა-აუდიირი- რებული |
|---|--------------------|--------------------|-----------------------------------|-----------------------------------|
| მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი | 5,250 | 17,334 | 6,244 | 10,231 |
| გადავადებული გადასახადის დანარიცხი – დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება | 17,181 | (2,345) | 329 | (407) |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 22,431 | 14,989 | 6,573 | 9,824 |
| დარიცხული გადავადებული გადასახადის ეფექტი სხვა სრულ შემოსავალზე | 1,549 | – | – | – |
| მთლიან სრულ შემოსავალზე დარიცხული მოგების გადასახადი | 23,980 | 14,989 | 6,573 | 9,824 |

2018 წლის 12 ივნისს ფინანსური დაწესებულებების, მათ შორის ბანკებისა და სადაზღვევო ბიზნესის, მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებულ მოდელში ცვლილება შევიდა. ცვლილების მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით 2023 წლის 1 იანვრიდან. 2022 წლის 16 დეკემბერს მოგების გადასახადის კოდექსში ცვლილება შევიდა, რომლითაც გაუქმდა მოსალოდნელი გადასვლა განაწილებული მოგების დაბეგვრაზე 2023 წლის 1 იანვრიდან. ცვლილების მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრიდან არსებული საგადასახადო წესები ფინანსური დაწესებულებებისთვის, მათ შორის ბანკებისთვის, შენარჩუნდება. ამავდროულად, მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-დან 20%-მდე გაიზარდება 2023 წლის 1 იანვრიდან. გარდა ამისა, დასაბეგრი საპროცენტო შემოსავალი და მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლის გამოქვითვა შესაძლებელია, განისაზღვრება ფასს-ის და არა სეზ-ის ადგილობრივი რეგულაციების მიხედვით. სტანდარტებზე გადასვლით განპირობებული სხვაობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ერთჯერადად 15%-ით დაიბეგრება.

ცვლილებამ მაშინვე მოახდინა გავლენა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც მიკუთვნებადია წინა პერიოდებთან დაკავშირებით აღიარებული დროებითი სხვაობებისთვის. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეფასდა კანონში შესული ცვლილებების გამო. ცვლილებამ განაპირობა არსებითი ერთჯერადი გადავადებული საგადასახადო ხარჯი, ვინაიდან მანამდე ბანკმა აღიარა გადავადებული გადასახადები მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო მათი რეალიზება 2023 წლის 1 იანვრამდე.

სხვა აქტივები

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| მოთხოვნები მოვალეების მიმართ | 17,536 | 24,279 | 19,849 | 15,544 |
| მარაგები | 4,333 | 5,168 | 4,828 | 5,109 |
| მოთხოვნები ფულადი გადარიცხვების სისტემის ოპერატორების მიმართ | 4,664 | 4,339 | 2,144 | 3,197 |
| დასაკუთრებული ქონება | 1,553 | 2,405 | 2,177 | 3,071 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა | 917 | 2,957 | 832 | 2,957 |
| საინვესტიციო ქონება | 2,008 | 2,045 | 2,008 | 2,045 |
| მოთხოვნები შემოსავლების სამსახურის მიმართ არარეზიდენტი მომხმარებლებისთვის გაწეული დაუბეგრავი მომსახურებისთვის | 10,921 | 4,286 | 6,139 | 2,013 |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში | 1,081 | 1,054 | 1,058 | 1,032 |
| გადახდილი გარანტიებიდან მისაღები ანგარიშები | 950 | 950 | 2,616 | 950 |
| სადაზღვევო მოთხოვნებიდან მისაღები თანხები | 310 | 75 | -- | 71 |
| წარმოებული აქტივი | -- | -- | -- | -- |
| სხვა | 1,523 | 2,583 | 5,251 | 3,775 |
| გამოკლებული - სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი | (4,442) | (5,645) | (4,940) | (6,674) |
| სულ | 41,354 | 44,496 | 41,962 | 33,090 |

მოთხოვნები მოვალეების მიმართ 2022 და 2023 წლის განმავლობაში გაზრდილია ძირითადად პანდემიის შემდგომ ტურისტული ნაკადების ზრდით, რადგან სხვა ბანკების ბარათებით ლიბერთი ბანკის ბანკომატებსა და გადახდის ტერმინალებზე ხდება უფრო აქტიური ოპერაციები. აღსანიშნავია რომ ზემოთ ხსენებულ ანგარიშზე თანხები მუდმივად მოძრაობს და სისტემატიურად ხდება ანგარიშსწორება. აღნიშნული ნაშთები არ წარმოადგენს გრძელვადიან დავალიანებებს.

საინვესტიციო ქონება ძირითადად მოიცავს “ბ” კლასის საოფისე ფართს ზუგდიდის ცენტრალურ ნაწილში და თბილისის გარეთ მდებარე რამდენიმე შენობას, რომელთაგან ერთი 2022 წელს გაიყიდა 1,144 ათას ლარად რამაც გამოიწვია 154 ათასი ლარის ზარალი.

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. ბოლო გადაფასების თარიღი 2022 წლის 31 დეკემბერი იყო. შეფასება ჩაატარა აკრედიტებულმა დამოუკიდებელმა შემფასებელმა, რომელსაც აქვს აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ასევე აქვს გამოცდილება შესაფასებელი საინვესტიციო ქონების ანალოგიური კატეგორიისა და ადგილმდებარეობის ქონების შეფასებაში.

ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|----------------------|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| მიმდინარე ანგარიშები | 1,408,912 | 1,290,396 | 1,284,476 | 1,517,002 |

| | | | | |
|--|------------------|------------------|------------------|------------------|
| ვადიანი დეპოზიტები (სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით) | 1,280,757 | 1,743,094 | 1,508,952 | 1,615,597 |
| ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ | 2,689,669 | 3,033,490 | 2,793,428 | 3,132,599 |

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომხმარებლების მიმართ ვალდებულებებმა 3,033,490 ათასი ლარი შეადგინეს, რაც 12.8%-იან ზრდას წარმოადგენს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობასთან შედარებით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის აღნიშნული ვალდებულებების 42.5% (2022 წლის 31 დეკემბერი: 52.4%) მიმდინარე ანგარიშები იყო, ხოლო 57.5% (2022 წლის 31 დეკემბერი: 47.6%) - ვადიანი დეპოზიტები (სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით).

სხვა ვალდებულებები

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| დარიცხული პრემია | 8,066 | 11,896 | 5,213 | 7,366 |
| ვალდებულებები კრედიტორების მიმართ | 10,341 | 13,206 | 3,348 | 3,172 |
| დაუფარავი თანხები | 995 | 958 | 1,896 | 2,172 |
| წარმოებული ვალდებულება | 30,251 | 18,545 | 31,849 | 1,387 |
| სასესხო ვალდებულებებისთვის შექმნილი ანარიცხები | 1,428 | 781 | 1,024 | 1,060 |
| საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა | 1,587 | 1,634 | 833 | 861 |
| სხვადასხვა კრედიტორები | 340 | 440 | 454 | 392 |
| საოპერაციო რისკებიდან ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები | -- | -- | 12 | -- |
| სხვა | 3,643 | 2,643 | 4,188 | 1,953 |
| სულ | 56,650 | 50,103 | 48,817 | 18,363 |

9.2 საოპერაციო შედეგები

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|--|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 406,625 | 478,710 | 230,031 | 265,785 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 22,866 | 30,453 | 15,330 | 19,296 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 12,160 | 13,509 | 6,449 | 8,650 |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი | 441,651 | 522,672 | 251,810 | 293,731 |
| ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ | (164,447) | (206,762) | (95,471) | (116,622) |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | (16,546) | (18,869) | (12,334) | (15,496) |
| საიჯარო ვალდებულებები | (1,471) | (1,352) | (687) | (669) |
| სუბორდინირებული ვალი | (9,177) | (8,066) | (4,002) | (4,299) |

| | | | | |
|--|------------------|------------------|------------------|------------------|
| საპროცენტო ხარჯი | (191,641) | (235,049) | (112,494) | (137,086) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 250,010 | 287,623 | 139,316 | 156,645 |
| საკრედიტო ზარალის ხარჯი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე | (25,940) | (37,985) | (19,174) | (8,354) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის ხარჯის გაწევის შემდეგ | 224,070 | 249,638 | 120,142 | 148,291 |
| შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | 47,668 | 51,257 | 25,905 | 27,113 |
| საკომისიო ხარჯი | (18,748) | (23,074) | (11,422) | (13,685) |
| წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | 28,920 | 28,183 | 14,483 | 13,428 |
| სავალუტო ოპერაციების და წარმოებული ინსტრუმენტების გადაფასება | 8,921 | 12,985 | 4,906 | 12,326 |
| საკურსო სხვაობები | (2,623) | 713 | 1,984 | (1,762) |
| შემოსულობა პორტფელის შექმნიდან | 17,084 | -- | -- | -- |
| სხვა შემოსავალი | 2,329 | 16,165 | 7,734 | 8,403 |
| წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | 54,631 | 58,046 | 29,107 | 32,395 |
| პერსონალზე გაწეული ხარჯი | (100,403) | (117,774) | (57,203) | (65,893) |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | (45,121) | (45,574) | (17,166) | (23,078) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (34,532) | (34,954) | (17,433) | (18,311) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (11,970) | (12,149) | (10,703) | (6,080) |
| სხვა გაუფასურება და რეზერვები | (959) | (1,197) | (474) | (1,018) |
| წმინდა მოგება/ზარალი სავაჭრო ოპერაციებიდან | -- | -- | -- | (25) |
| არასაპროცენტო ხარჯი | (192,985) | (211,648) | (102,979) | (114,405) |
| მოგება გადასახადით დაბეგვრამდე | 85,716 | 96,036 | 46,270 | 66,281 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (22,431) | (14,989) | (6,583) | (9,824) |
| წლის წმინდა მოგება | 63,285 | 81,047 | 39,687 | 56,457 |
| სხვა სრული შემოსავალი | | | | |
| შენობების გადაფასება | 2,334 | - | -- | -- |
| გადავადებული საგადასახადო ეფექტი | (1,549) | - | -- | -- |
| წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ მოგებად ან ზარალად არ რეკლასიფიცირდება | 785 | - | -- | -- |
| მოძრაობა სამართლიანი ღირებულების რეზერვში საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით | 1,526 | 805 | -- | (72) |
| მინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირდება | 1,526 | 805 | -- | (72) |
| წლის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გათვალისწინებით | 2,311 | 805 | -- | (72) |

| | | | | |
|--|--------|--------|--------|--------|
| წლის სრული შემოსავალი, გადასახადის გათვალისწინებით | 65,596 | 81,852 | 39,697 | 56,385 |
|--|--------|--------|--------|--------|

წმინდა საპროცენტო შემოსავალი და საკრედიტო ზარალის ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი: 2023 წელს საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა 18.3%-ით. ზრდის მთავარი მამოძრავებელი მომხმარებელზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის 17.7%-იანი ზრდა იყო. 2023 წელს ზრდის მთავარი მამოძრავებელი მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის 19.6%-იანი ზრდა იყო 406,625 ათას ლარამდე. 2023 წელს საპროცენტო შემოსავლის ზრდა გამოწვეული იყო წმინდა სასესხო პორტფელის 17.8%-იანი ზრდით. 2024 წლის 6 თვეში საპროცენტო შემოსავალი 16.6%-ით გაიზარდა და 293,731 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა წინა წლის შესაბამისი პერიოდის ბოლოსთან შედარებით მომხმარებლებზე გაცემული წმინდა სესხების 20.6%-იანი ზრდით და 2024 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში „სებ“-ის რეფინანსირების განაკვეთის 9.5%-დან 8.0%-მდე შემცირებით იყო განპირობებული.

საპროცენტო ხარჯი: 2023 წელს საპროცენტო ხარჯი 22.7%-ით გაიზარდა და 235,049 ათასი ლარი შეადგინა. საპროცენტო ხარჯის ზრდა უპირველესად მომხმარებლებისგან მიღებულ სახსრებზე (ანგარიშები, ანაბრები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და ა.შ.) საპროცენტო ხარჯის 25.7%-იანმა ზრდამ გამოიწვია 206,762 ათას ლარამდე. აღნიშნული ზრდა ლარის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ზრდით და მომხმარებლისგან მიღებული სახსრების ანგარიშებით იყო განპირობებული. 2024 წლის 6 თვეში საპროცენტო ხარჯი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.9%-ით გაიზარდა და 137,086 ათასი ლარი შეადგინა, ზრდის მთავარი მამოძრავებელი მომხმარებლების მიმართ არსებულ ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯის 22.2%-იანი 116,622 ათას ლარამდე ზრდა იყო.

საკრედიტო ზარალის ხარჯი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე 2023 წელს 46.4%-ით გაიზარდა და 37,985 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წლის 6 თვეში საკრედიტო ზარალის ხარჯი 56.4%-ით შემცირდა და 8,354 ათასი ლარი შეადგინა. კლების მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო ლიბერტი ბანკის მიერ დარეზერვების მეთოდოლოგიის დახვეწა, რაც გულისხმობს EAD (Exposure at default) ის დანერგვას. მოდელის დანერგვის შედეგად მოხდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეტი სიზუსტით გამოანგარიშება, შესაბამისად საკრედიტო ზარალი 2024 წლის 6 თვეში შემცირდა.

| 31 დეკემბერი, 2023 წ. | 1-ელი სტადია | მე-2 სტადია | მე-3 სტადია | შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული | სულ |
|--|--------------|-------------|-------------|------------------------------------|--------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | (26) | - | - | - | (26) |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 14 | - | - | - | 14 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით | (1,748) | 4,081 | 34,028 | 1,379 | 37,740 |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 9 | - | - | - | 9 |
| ფინანსური გარანტიები | 17 | - | - | - | 17 |
| სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფასიანი ქაღალდები | 231 | - | - | - | 231 |

| | | | | | |
|-----------------------------|---------|-------|--------|-------|--------|
| სულ საკრედიტო ზარალის ხარჯი | (1,503) | 4,081 | 34,028 | 1,379 | 37,985 |
|-----------------------------|---------|-------|--------|-------|--------|

| 31 დეკემბერი, 2022 წ. | 1-ელი სტადია | მე-2 სტადია | მე-3 სტადია | შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული | სულ |
|--|----------------|--------------|---------------|------------------------------------|---------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 27 | - | - | - | 27 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 16 | - | - | - | 16 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით | (5,693) | 9,844 | 21,375 | 350 | 25,876 |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 21 | - | - | - | 21 |
| სულ საკრედიტო ზარალის ხარჯი | (5,629) | 9,884 | 21,375 | 350 | 25,940 |

შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

2023 წელს წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან 2.5%-ით შემცირდა და 28,183 ათასი ლარი შეადგინა. 2022 წელს კი წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან 37.2%-ით გაიზარდა და 28,920 ათასი ლარი შეადგინა, რაც იმ ფაქტით იყო განპირობებული, რომ 2022 წელს შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან 43.0%-ით გაიზარდა, ხოლო შესაბამისი ხარჯი 29.2%-ით. 2022 წელს მაღალი ზრდა მიგრანტების მიერ ფულის გადმორიცხვის ზრდასთან იყო დაკავშირებული ხოლო 2023 წლისთვის ხარჯები და შემოსავლები ისტორიულ ტრენდს დაუბრუნდნენ.

2024 წლის 6 თვეში წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან 7.3%-ით შემცირდა და 13,428 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წელს შემცირება 2023 წლის შემცირების ანალოგიური მიზეზით მოხდა.

საზღაურიდან მიღებული შემოსავლების და შესაბამისი ხარჯების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილშია მოცემული:

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|--|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | | | | |
| ოპერაციები პლასტიკური ბარათებით | 24,819 | 29,773 | 14,837 | 17,589 |
| საანგარიშსწორებო ოპერაციები | 10,092 | 10,686 | 5,064 | 5,107 |
| ფულადი გადარიცხვები | 6,200 | 3,719 | 1,939 | 1,432 |
| საკასო ოპერაციები | 3,521 | 3,756 | 2,410 | 1,105 |
| კომუნალური გადახდებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი | 2,240 | 2,179 | 1,170 | 1,019 |
| გარანტიები და აკრედიტივები | 706 | 1,007 | 427 | 693 |
| სხვა | 91 | 137 | 58 | 168 |
| სულ | 47,669 | 51,257 | 25,905 | 27,113 |

| | | | | |
|---|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| საკომისიო ხარჯი | | | | |
| ოპერაციები პლასტიკური ბარათებით | (15,461) | (19,650) | (9,742) | (11,324) |
| საანგარიშსწორებო ოპერაციები | (1,441) | (1,698) | (322) | (1,082) |
| საკასო ოპერაციები | (1,130) | (882) | (811) | (912) |
| კომუნალურ გადახდებზე გაწეული საკომისიო ხარჯი | (587) | (676) | (472) | (322) |
| გარანტიები და აკრედიტივები | (130) | (168) | (75) | (45) |
| სულ | (18,749) | (23,074) | (11,422) | (13,685) |
| წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | 28,920 | 28,183 | 14,483 | 13,428 |

წმინდა შემოსავალმა უცხოური ვალუტიდან 2023 წელს 13,698 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს 6,298 ათასი ლარი, აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სავალუტო ოპერაციებიდან შემოსავალი 222.5%-ით გაიზარდა, ხოლო წმინდა შედეგი უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან 206.7%-ით. ორივე მაჩვენებლის ზრდა 2022 წელს ლარის გაცვლითი გურსის გამყარებამ გამოიწვია. 2024 წლის პირველ ნახევარში წმინდა შემოსავალმა უცხოური ვალუტიდან 53.3%-ით გაიზარდა და 10,564 ათასი ლარი შეადგინა. ზრდის მთავარი გამომწვევი მიზეზი 2024 წელს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული წმინდა შედეგის ცვლილება იყო, რაც 2024 წლის პირველ ნახევარში ლარის კურსის გაუფასურებამ გამოიწვია, მაშინ როდესაც წინა წლებში ლარი მყარდებოდა და შედეგად წმინდა შედეგი უარყოფითი იყო.

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| სავალუტო ოპერაციები | 22,844 | 18,621 | 9,489 | 10,360 |
| წმინდა შედეგი უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან | (13,923) | (5,636) | (4,583) | 1,965 |
| საკურსო სხვაობები | (2,623) | 713 | 1,984 | (1,761) |
| სულ | 6,298 | 13,698 | 6,890 | 10,564 |

სხვა შემოსავალი

2022 წელს სხვა შემოსავალი 74.8%-ით შემცირდა და 2,329 ათასი ლარი შეადგინა. კლების მთავარი მიზეზი 2022 წელს კოვიდ-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო სუბსიდირების გაუქმება და სადაზღვევო მოთხოვნებიდან შემოსავლის 94.1% კლება იყო. 2023 წელს სხვა შემოსავალი 594.1%-ით გაიზარდა და 16,165 ათასი ლარი შეადგინა. ზრდის მიზეზი სოციალური მომსახურების გაწევიდან შემოსავლის მიღების დაწყება გახდა, რამაც 2023 წელს 15,000 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2024 წლის პირველ ნახევარში 7,500 ათასი ლარი.

2023 წელს 15,000 ათასი ლარის ოდენობის შემოსავალი სოციალური მომსახურების გაწევიდან დაკავშირებული სახელმწიფო პენსიისა და სოციალური გასაცემლების დარიგების საბანკო მომსახურების განახლებულ ხელშეკრულებასთან. გასული პერიოდისგან განსხვავებით, 2023 წლიდან აღნიშნული მომსახურების გაწევისთვის კომპანია სოციალური მომსახურების სააგენტოსგან იღებს ფიქსირებულ საფასურს, რაც განისაზღვრება 105 მილიონი ლარით ხელშეკრულებით განსაზღვრული სრული პერიოდის განმავლობაში (7 წელი, 2029 წლის ჩათვლით), შესაბამისად, კომპანიის მიერ წლიური შემოსავალი მომსახურების გაწევიდან შეადგენს 15 მილიონ ლარს.

ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ბანკი სახელმწიფოსგან იღებს ფიქსირებულ ანაზღაურებას წელიწადში 15 მლნ ლარის ოდენობით. ბანკის მიერ საპენსიო სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, ხოლო წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს სესხის გაცემის მომენტში 6 თვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსისა (TIBR6M) და 15 (თხუთმეტი) პროცენტული პუნქტის ჯამურ ოდენობას და არ უნდა იცვლებოდეს სესხის ვადის ბოლომდე. ამასთან, მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ მსესხებელმა შეძლოს სოციალური გასაცემლების თანხის უსასყიდლოდ გადატანა საქართველოში მოქმედ სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილ საბანკო ანგარიშზე. ბანკი უსასყიდლოდ უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების ბენეფიციარებისთვის ანგარიშის გახსნას და პლასტიკური ბარათების დამზადებას და შემდგომ მომსახურებას, ასევე კომუნალური სერვისების გადახდის მომსახურებას ნულოვანი ტარიფით.

მოქმედი ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ხელშეკრულების ფარგლებში ბანკი სახელმწიფოს უწევდა უსასყიდლო მომსახურებას, სოციალური გასაცემლების დარიგებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევისთვის სახელმწიფოსგან არ იღებდა ანაზღაურებას. ხელშეკრულება არ განსაზღვრავდა საპენსიო სესხის შესაძლო მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს, თუმცა ბანკი ვალდებული იყო მსესხებლის მიერ სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებლისთვის არ დაეკისრებინა წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან/და რაიმე გადასახდელი. მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი უსასყიდლოდ უზრუნველყოფდა ფულადი გასაცემლის თანხის გადატანას საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკის ანგარიშზე, ასევე უსასყიდლოდ უზრუნველყოფდა სოციალური გასაცემლის ბენეფიციარებისთვის ანგარიშის გახსნას, პლასტიკური ბარათების დამზადებას და მათ შემდგომ მომსახურებას, პლასტიკური ბარათიდან ბანკის ბანკომატების საშუალებით თანხის უსასყიდლოდ განაღდებას, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში ბენეფიციარისთვის თანხის ბინაზე მიტანას.

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| შემოსავალი სოციალური მომსახურების გაწევიდან | -- | 15,000 | 7,500 | 7,500 |
| შემოსავალი იჯარიდან | 210 | 186 | 94 | 334 |
| შემოსულობა აქტივების გაყიდვიდან | 16 | 269 | 18 | 324 |
| შემოსავალი სადაზღვევო მოთხოვნებიდან | 162 | (45) | -- | 66 |
| საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის ეფექტი | 437 | 15 | -- | (53) |
| შემოსულობა ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან | 479 | -- | -- | -- |
| შემოსავალი კოვიდ-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო სუბსიდირებიდან | -- | -- | -- | -- |
| სხვა | 1,025 | 740 | 122 | 232 |
| სულ | 2,329 | 16,165 | 7,734 | 8,403 |

პერსონალზე გაწეული ხარჯი 2023 წელს გაიზარდა 17.3%-ით და 117,774 ათასი ლარი შეადგინა. რაც შეეხება 2022 წელს, პერსონალზე გაწეული ხარჯი 23.6%-ით გაიზარდა და 100,403 ათასი ლარი შეადგინა. პერსონალზე გაწეული ხარჯის ზრდა დაკავშირებული იყო საბაზო ხელფასების ზრდასთან და KPI-ების მიღწევის შედეგად ბონუსების ზრდასთან. 2024 წლის პირველ ნახევარში ხარჯი 15.2%-ით გაიზარდა და 65,893 ათასი ლარი შეადგინა. ხელფასების ზრდა 2024 წლის პირველ ნახევარში, 2023 წლის პირველ ნახევართან შედარებით, ძირითადად გამოწვეულია თანამშრომლების რაოდენობის ზრდით 5,656 დან 6,233 თანამშრომლამდე, ასევე

ბანკის ფინანსური შედეგების გაუმჯობესების შედეგად გაზრდილია პრემიალური თანხების მოცულობაც. აღნიშნული ხარჯების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილშია მოცემული:

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| ხელფასები | (79,001) | (88,025) | (43,408) | (49,056) |
| ცვალებადი ყოველთვიური პრემია | (14,459) | (20,228) | (10,952) | (11,772) |
| სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული პრემიალური თანხები | (6,943) | (9,521) | (2,843) | (5,065) |
| სულ | (100,403) | (117,774) | (57,203) | (65,893) |

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2023 წელს ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები გაიზარდა 1.0%-ით და შეადგინეს 45,574 ათასი ლარი. 2024 წლის 6 თვეში ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 34.4%-ით გაიზარდნენ. 2023 წლის 6 თვეში შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის დონე დაბალი იყო, რადგან ხარჯის უმეტესობა წლის მეორე ნახევარში იქნა გაწეული, 2024 წლის 6 თვეში კი აღნიშნული ხარჯი უფრო თანაბრად განაწილდა წლის კრილში. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილშია მოცემული:

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდიირ- რებული | 1H 2024 არა-აუდიირ- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| შეკეთება და ტექნიკური მომსახურება | (9,875) | (10,682) | (1,146) | (5,227) |
| მარკეტინგი და რეკლამა | (7,590) | (7,023) | (2,563) | (3,419) |
| საკომუნიკაციო მომსახურება | (3,899) | (4,196) | (2,153) | (2,504) |
| კომუნალური ხარჯი | (3,763) | (3,794) | (2,065) | (2,128) |
| იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება | (3,325) | (3,155) | (1,504) | (1,887) |
| შენობის დატვირთვა და საიჯარო ქირა | (3,041) | (3,143) | (1,463) | (1,566) |
| საოფისე მარაგები | (3,568) | (3,565) | (1,778) | (1,447) |
| საოპერაციო გადასახადები | (2,542) | (2,413) | (1,182) | (1,230) |
| დაზღვევა | (1,793) | (1,629) | (800) | (824) |
| კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები | (875) | (872) | (281) | (473) |
| მგზავრობის ხარჯი | (558) | (1,093) | (386) | (411) |
| უსაფრთხოება | (651) | (679) | (343) | (373) |
| აუდიტი, აუდიტთან დაკავშირებული და სხვა მომსახურების ხარჯები | (500) | (569) | (500) | (216) |
| სხვა | (3,141) | (2,761) | (1,002) | (1,373) |
| სულ | (45,121) | (45,574) | (17,166) | (23,078) |

9.2.1 იმ მნიშვნელოვანი ფაქტორების, მათ შორის მნიშვნელოვანი მოვლენების ან განვითარების ტენდენციების აღწერა, რომელიც მატერიალურ გავლენას ახდენს ემიტენტის საოპერაციო შემოსავალზე

კომპანიის მენეჯმენტის განცხადებით, 2024 წელს ემისიის მომენტამდე მსგავს მოვლენას/განვითარების ტენდენციებს ადგილი არ ჰქონია.

9.2.2 თუ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილია დიდი ცვლილებები წმინდა გაყიდვებში ან შემოსავლებში, ამ ცვლილებების მიზეზების აღწერა

რუსეთ უკრაინის ომის შედეგად ვითიბი ბანკზე აშშ-ის, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების მიერ დაწესდა სანქციები, რის გამოც სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაც“ აღმოჩნდა ბიზნეს უწყვეტობის პრობლემების ქვეშ. შესაბამისად სს „ვითიბი ბანკი საქართველომ“ გადაწყვიტა სესხებისა და დეპოზიტების პორთფელის მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისება. სს „ლიბერთი ბანკი“ სესხებისა და დეპოზიტების გასხვისების პროცესში ჩაერთო და შეიძინა სასესხო პორთფელი, რომელიც ძირითადად მცირე და საშუალო ზომის იურიდიულ პირებზე არის გაცემული. სესხების პორთფელის გასხვისების სანაცვლოდ სს „ვითიბი ბანკი საქართველოს“ მიერ მოხდა დეპოზიტების პორთფელის ტრანსფერი, შესაბამისად სს „ლიბერთი ბანკმა“ სესხების პორთფელის შექმნისას თანხის გადახდის ნაცვლად სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სადეპოზიტო ვალდებულებები გადმოიწერა. ვინაიდან სს „ვითიბი ბანკი საქართველო“ დაინტერესებულიყო მაქსიმალურად სწრაფად გაესხვისებინა პორტფელები, თავდაპირველი გარიგება შედგა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ბალანსზე აღნიშნული სესხებისა და დეპოზიტების არსებული ღირებულებების შესაბამისად, სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ მოხდა აღნიშნულ სესხებზე სავარაუდო დანაკარგების რეზერვის დარიცხვა. შესყიდვის შემდგომ 2022 წლის განმავლობაში სს „ლიბერთი ბანკმა“ მოახდინა შექმნილი სესხებისა და დეპოზიტების პორთფელის სრულყოფილი შეფასება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად, სადეპოზიტო და სასესხო პორტფელის შეფასებული ღირებულებებია შექმნის მომენტში 12 მარტი 2022 წლის მდგომარეობით GEL 303,853 ათასი და GEL 317,162 ათასი.

წლიურ ანგარიშგებაში და ფინანსურ შედეგებში სხვა დიდ ან არასტანდარტულ ცვლილებას 2022 და 2023 წელს ადგილი არ ჰქონია. არსებული ცვლილებები ჩვეულებრივი საქმიანობით და „კომპანიის“ გეგმაზომიერი ზრდით აიხსნება.

10 კაპიტალიზაცია და დავალიანება

10.1 ემიტენტის დაფინანსების სტრუქტურის აღწერა ცხრილის სახით, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია მისი კაპიტალის, ასევე გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებების შესახებ

კაპიტალიზაციისა და დავალიანების სტრუქტურა შესაბამისი პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 30/09/2024 არა- აუდირებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 327,279 | 363,574 | 807,715 |
| ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ | 2,689,669 | 3,033,490 | 3,207,739 |
| საიჯარო ვალდებულებები | 28,741 | 30,114 | 36,957 |
| სუბორდინირებული ვალი | 98,774 | 93,588 | 124,296 |
| სულ პროცენტული ვალდებულებები | 3,144,473 | 3,520,766 | 4,176,707 |
| კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 54,629 | 44,491 | 44,490 |
| დამატებითი შეტანილი კაპიტალი | 35,558 | 35,558 | 35,558 |
| გამოსყიდული აქციები | (10,138) | -- | - |
| კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები | 4,565 | 4,565 | 4,565 |
| გაუნაწილებელი მოგება | 306,093 | 386,890 | 470,266 |
| სამართლიანი ღირებულების რეზერვი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისთვის, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით | 1,526 | 2,331 | 3,313 |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | 22,428 | 21,902 | 21,902 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 414,661 | 495,737 | 580,094 |
| მთლიანი კაპიტალიზაცია | 3,559,134 | 4,016,503 | 4,756,801 |

2023 წელს მოხდა 10,138 ათასი ლარის ღირებულების გამოსყიდული აქციების გაუქმება რაც აღირიცხა სააქციო კაპიტალის ანალოგიური მაჩვენებლით შემცირების გზით. აღნიშნულ ქმედებას არ ქონია გავლენა „ემიტენტის“ მთლიანი კაპიტალის მოცულობაზე.

კაპიტალის ადეკვატურობა

„ემიტენტი“ ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას თავის ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. „ემიტენტის“ კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ემიტენტი“ აკმაყოფილებდა კაპიტალთან დაკავშირებულ ყველა გარე მოთხოვნას.

საზედამხედველო კაპიტალი შედგება პირველადი კაპიტალისაგან, რომელიც, შედგება აქციებისაგან, სარეზერვო ფონდისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან, მიმდინარე წლის მოგების/ზარალის ჩათვლით, მინუს ბანკის სააქციო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა და არამატერიალური აქტივები. ფასს-ის მიხედვით მიღებული თანხები გარკვეულწილად კორექტირდება სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად.

დაწეული კაპიტალის მოთხოვნების შედეგად, 2023 წლის IV კვარტლის მდგომარეობით, ბაზელ III-ის მოთხოვნების მიხედვით, ბანკს ევალუბოდა, რომ შეენარჩუნებინა მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 14.71%-ის (2024 წლის II კვარტალი: 16.50%) ოდენობით, ასევე პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 11.43%-ის (2024 წლის II კვარტალი: 13.52%) ოდენობით, და ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი – რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 8.96%-ის (2024 წლის II კვარტალი: 11.27%) ოდენობით, რაც გამოითვლება ბანკის მიერ სებ-ის მოთხოვნების მიხედვით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

2024 წლის II კვარტლის მდგომარეობით „კომპანიის“ მიმართ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დეტალური ჩაშლა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| პილარ 1-ის მოთხოვნები | კოეფიციენტი | თანხა ('000 ლარი) |
|--|--------------------|--------------------------|
| ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა | 4.50% | 141,225 |
| პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა | 6.00% | 188,299 |
| საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა | 8.00% | 251,066 |
| კომბინირებული ბუფერი | კოეფიციენტი | თანხა ('000 ლარი) |
| კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი | 2.50% | 78,458 |
| კონტრციკლური ბუფერი | 0.25% | 7,846 |
| სისტემური რისკის ბუფერი | 1.00% | 31,383 |
| პილარ 2-ის მოთხოვნა | კოეფიციენტი | თანხა ('000 ლარი) |
| პილარ 2-ის მოთხოვნა ძირითად პირველად კაპიტალზე | 3.02% | 94,749 |
| პილარ 2-ის მოთხოვნა პირველად კაპიტალზე | 3.77% | 118,222 |
| პილარ 2-ის მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე | 4.75% | 149,108 |
| ჯამური მოთხოვნა | კოეფიციენტი | თანხა ('000 ლარი) |
| ძირითადი პირველადი კაპიტალი | 11.27% | 353,661 |
| პირველადი კაპიტალი | 13.52% | 424,209 |
| საზედამხედველო კაპიტალი | 16.50% | 517,861 |

წყარო: პილარ 3-ის კვარტალური ანგარიში 2024 წლის II კვარტლისთვის

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის მთლიანი კოეფიციენტი იყო 14.17%, პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო 11.09%, ხოლო ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 10.92%.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის ადეკვატურობის მთლიანი კოეფიციენტი იყო 15.35%, პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო 13.34%, ხოლო ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 13.19%.

ზემოაღნიშნული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები და მაჩვენებლები დათვლილია „სებ“-ის მეთოდოლოგიის მიხედვით და გამჟღავნებულია პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის მიხედვით. პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Quarter>

| ათასი ლარი | 2022 IV კვ სებ-ის მეთოდო- ლოგიის მიხედვით | 2023 IV კვ ფასს-ის საფუძველზე დაანგ- არიშებული რიცხვები | 2023 II კვ ფასს-ის საფუძველზე დაანგ- არიშებული რიცხვები | 2024 II კვ ფასს-ის საფუძველზე დაანგ- არიშებული რიცხვები |
|--|--|--|--|--|
| ძირითადი პირველადი კაპიტალი | 304,656 | 401,458 | 362,756 | 451,911 |
| დამატებითი პირველადი კაპიტალი | 4,565 | 4,565 | 4,565 | 4,565 |
| პირველადი კაპიტალი | 309,221 | 406,024 | 367,321 | 456,476 |
| მეორადი კაპიტალი | 86,034 | 61,135 | 63,581 | 77,986 |
| სულ საზედამხედველო კაპიტალი | 395,255 | 467,159 | 430,902 | 534,462 |
| რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები | 2,789,371 | 3,043,259 | 2,724,116 | 3,138,325 |
| ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 10.92% | 13.19% | 13.32% | 14.40% |
| პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 11.09% | 13.34% | 13.48% | 14.55% |
| სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი | 14.17% | 15.35% | 15.82% | 17.03% |

10.1.1 თითოეული დაფინანსების წყაროსთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საკონტრაქტო და ნარჩენი ვადიანობა, ვალუტა, წლიური პროცენტი, ნარჩენი ძირი და დარიცხული პროცენტი, გრაფიკის ტიპი, უზრუნველყოფები და კოვენანტები; ინფორმაციის არსებითობიდან გამომდინარე, წლიური პროცენტი შესაძლოა გამჟღავნებული იყოს ჯამურად.

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| სებ-ისგან ნასესხები სახსრები | 227,119 | 290,229 | 174,167 | 540,360 |
| საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები | 74,389 | 62,110 | 68,387 | 54,314 |
| ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრები | -- | -- | -- | 48,251 |
| მიმდინარე ანგარიშები | 3,774 | 5,957 | 42,094 | 9,151 |
| ადგილობრივი კომერციული ბანკების ვადიანი ანაბრები | 21,997 | 5,278 | 9,081 | 4,155 |
| სულ | 327,279 | 363,574 | 293,729 | 656,231 |

სუბორდინირებული ვალი

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|------------|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| | | | | |

| | | | | |
|-------------------------------------|---------------|---------------|---------------|----------------|
| საწყისი საბალანსო ღირებულება | 112,460 | 98,774 | 98,774 | 93,588 |
| შემოსულობა | -- | -- | 1,344 | 13,318 |
| დაფარვა | -- | (4,646) | (8,044) | (3,853) |
| უცხოური ვალუტის გადაყვანა | (13,632) | (440) | (753) | 4,239 |
| სხვა | (54) | (100) | (102) | (12) |
| საბოლოო საბალანსო ღირებულება | 98,774 | 93,588 | 91,219 | 107,280 |

„კომპანიას“ გაფორმებული აქვს არაუზრუნველყოფილი სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებები მაღალშემოსავლიან ფიზიკურ და კორპორაციულ კლიენტებზე. „კომპანიას“ არ აქვს სუბორდინირებული ვალდებულებები საწარმოების მიმართ, რომელიც მთლიანი სუბორდინირებული ვალის 10%-ს აღემატება. სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებების გამოშვების ძირითადი მიზანია მეორადი კაპიტალის მოზიდვა „კომპანიის“ კაპიტალიზაციის მხარდასაჭერად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიას“ ჰქონდა 93,588 ათასი ლარის (2022 წლის 31 დეკემბერი: 98,774 ათასი ლარი) მოცულობის სუბორდინირებული ვალი. აქედან, ბაზელ III-ის საფუძველზე, სებ-ის მოთხოვნების თანახმად, მეორადი კაპიტალისთვის მიკუთვნებადი ვალის ამორტიზებული ღირებულება, შესაბამისად, იყო 61,135 ათასი ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი: 57,038 ათასი ლარი).

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილებშია მოცემული:

| კრედიტორი | სესხის სახე | გრაფიკის ტიპი | ვალუტა | საწყისი თარიღი | დაფარვის თარიღი | საბალანსო ღირებულება |
|----------------------------|----------------|---------------|--------|----------------|-----------------|----------------------|
| EIB | მიღებული სესხი | ნახევარწლიური | EUR | 17/12/2021 | 17/12/2026 | 5,334 |
| MEF | მიღებული სესხი | ნახევარწლიური | EUR | 01/12/2021 | 31/01/2025 | 4,111 |
| MEF | მიღებული სესხი | ნახევარწლიური | EUR | 07/07/2021 | 31/01/2025 | 2,598 |
| OPIC | მიღებული სესხი | კვარტალური | USD | 02/09/2020 | 15/11/2029 | 12,622 |
| EIB | მიღებული სესხი | ნახევარწლიური | EUR | 10/08/2020 | 10/08/2027 | 17,400 |
| EIB | მიღებული სესხი | ნახევარწლიური | EUR | 30/04/2020 | 30/04/2027 | 7,499 |
| საქართველოს ეროვნული ბანკი | მიღებული სესხი | ვადის ბოლოს | GEL | 25/09/2024 | 03/10/2024 | 710,634 |
| პაშა ბანკი საქართველო | მიღებული სესხი | ვადის ბოლოს | GEL | 15/03/2023 | 15/04/2025 | 45,223 |
| სს ჰემ ბანკი | მიღებული სესხი | ვადის ბოლოს | GEL | 29/08/2024 | 29/11/2024 | 1,060 |
| სს ჰემ ბანკი | მიღებული სესხი | ვადის ბოლოს | GEL | 09/09/2024 | 09/12/2024 | 1,234 |
| სულ: | | | | | | 807,715 |

2024 წლის 30 ივნისი მდგომარეობით საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილებშია მოცემული:

| კრედიტორი | სესხის სახე | გრაფიკის ტიპი | ვალუტა | საწყისი თარიღი | დაფარვის თარიღი | საბალანსო ღირებულება |
|-----------|----------------|---------------|--------|----------------|-----------------|----------------------|
| სებ | მიღებული სესხი | ვადის ბოლოს | GEL | 26/06/2024 | 04/07/2024 | 540,360 |

| | | | | | | |
|---------------|---------------------------------------|-------------|--------|------------|------------|----------------|
| სს პაშა ბანკი | მიღებული სესხი | ვადის ბოლოს | GEL | 03/15/2024 | 04/15/2024 | 45,035 |
| სს ჰემ ბანკი | მიღებული სადეპოზიტო სერტიფიკატი | ვადის ბოლოს | GEL | 23/05/2024 | 23/08/2024 | 1,038 |
| სს ჰემ ბანკი | მიღებული სადეპოზიტო სერტიფიკატი | ვადის ბოლოს | GEL | 07/03/2024 | 07/09/2024 | 2,178 |
| EIB | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 17/12/2021 | 17/12/2026 | 5,352 |
| MEF | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 07/07/2021 | 31/01/2025 | 3,882 |
| EIB | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 30/04/2020 | 30/04/2027 | 7,367 |
| MEF | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 01/12/2021 | 31/01/2025 | 4,016 |
| DFC | მიღებული სესხი | კვარტლური | USD | 02/09/2020 | 15/11/2029 | 13,605 |
| EIB | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 10/08/2020 | 10/08/2027 | 20,092 |
| კომ. ბანკები | მოთხოვნამდე ანაბრები | | GEL/FX | | | 4,155 |
| კომ. ბანკები | მიმდინარე ანგარიშები | | GEL/FX | | | 9,151 |
| სულ: | | | | | | 656,231 |

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოზიდული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი იყო აშშ დოლარში, ევროში და ლარში იყო 4.9%, 1.8% და 8.2% შესაბამისად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილებშია მოცემული:

| კრედიტორი | სესხის სახე | გრაფიკის ტიპი | ვალუტა | საწყისი თარიღი | დაფარვის თარიღი | საბალანსო ღირებულება |
|--------------|----------------------|---------------|--------|----------------|-----------------|----------------------|
| სებ | მიღებული სესხი | ვადის ბოლოს | GEL | 25/04/2024 | 02/05/2024 | 290,229 |
| EIB | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 17/12/2021 | 17/12/2026 | 6,379 |
| MEF | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 07/07/2021 | 31/01/2025 | 5,125 |
| EIB | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 30/04/2020 | 30/04/2027 | 8,217 |
| MEF | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 01/12/2021 | 31/01/2025 | 5,338 |
| DFC | მიღებული სესხი | კვარტლური | USD | 02/09/2020 | 15/11/2029 | 14,172 |
| EIB | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 10/08/2020 | 10/08/2027 | 22,879 |
| კომ. ბანკები | მოთხოვნამდე ანაბრები | | GEL/FX | | | 5,278 |
| კომ. ბანკები | მიმდინარე ანგარიშები | | GEL/FX | | | 5,957 |
| სულ: | | | | | | 363,574 |

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოზიდული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი იყო აშშ დოლარში, ევროში და ლარში იყო 4.9%, 2.3% და 9.6% შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილებშია მოცემული:

| კრედიტორი | სესხის სახე | გრაფიკის ტიპი | ვალუტა | საწყისი თარიღი | დაფარვის თარიღი | საბალანსო ღირებულება |
|-----------|----------------|---------------|--------|----------------|-----------------|----------------------|
| სებ | მიღებული სესხი | ვადის ბოლოს | GEL | 29/12/2022 | 05/01/2023 | 200,146 |
| სებ | მიღებული სესხი | ვადის ბოლოს | GEL | 22/12/2022 | 20/01/2023 | 26,973 |

| | | | | | | |
|--------------|----------------------|-------------|--------|------------|------------|----------------|
| IFI | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 10/08/2020 | 10/08/2027 | 27,757 |
| IFI | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 30/04/2020 | 30/04/2027 | 10,230 |
| IFI | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 17/12/2021 | 17/12/2026 | 7,215 |
| IFI | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | EUR | 01/12/2021 | 31/01/2025 | 6,539 |
| IFI | მიღებული სესხი | კვარტლური | EUR | 07/07/2021 | 31/01/2025 | 6,058 |
| IFI | მიღებული სესხი | ნახ. წლიური | USD | 02/09/2020 | 15/11/2029 | 16,590 |
| კომ. ბანკები | მოთხოვნამდე ანაზრები | | GEL/FX | | | 21,997 |
| კომ. ბანკები | მიმდინარე ანგარიშები | | GEL/FX | | | 3,774 |
| სულ: | | | | | | 327,279 |

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოზიდული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი იყო აშშ დოლარში, ევროში და ლარში იყო 4,9%, 1,8% და 11.1% შესაბამისად.

სუბორდინირებული სესხები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებული სესხების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილებშია მოცემული:

| კრედიტორი | სესხის სახე | გრაფიკის ტიპი | ვალუტა | საწყისი თარიღი | დაფარვის თარიღი | საბალანსო ღირებულება |
|---------------------|-------------|---------------|--------|----------------|-----------------|----------------------|
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 26/06/2018 | 26/06/2024 | 1,353 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | GEL | 17/01/2019 | 17/07/2027 | 1,427 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 15/02/2018 | 01/06/2028 | 1,232 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 22/10/2018 | 22/10/2024 | 1,015 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 11/03/2019 | 01/10/2028 | 1,032 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/02/2018 | 29/01/2028 | 1,220 |
| ფინანსური ინსტიტუტი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 20/02/2018 | 20/04/2025 | 1,251 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 19/02/2018 | 17/07/2027 | 3,020 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | GEL | 01/03/2019 | 01/03/2025 | 3,033 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 13/02/2018 | 01/06/2028 | 1,329 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 31/12/2018 | 31/12/2024 | 1,011 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 28/02/2018 | 01/06/2028 | 1,597 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/06/2018 | 17/07/2027 | 1,623 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 26/06/2018 | 26/06/2024 | 1,353 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 13/02/2018 | 13/02/2023 | 1,356 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 26/07/2018 | 26/07/2024 | 1,352 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 10/04/2019 | 10/04/2025 | 1,358 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 12/07/2018 | 01/10/2028 | 1,113 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 24/01/2019 | 24/01/2025 | 2,708 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/06/2018 | 17/07/2027 | 1,109 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 17/12/2018 | 17/07/2027 | 1,897 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/01/2019 | 01/10/2028 | 1,085 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | EUR | 22/01/2019 | 22/01/2025 | 1,647 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | GEL | 04/04/2019 | 04/04/2025 | 1,010 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 04/02/2019 | 01/10/2028 | 1,360 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 30/09/2019 | 30/09/2025 | 915 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 15/02/2018 | 15/04/2025 | 3,390 |

| | | | | | | |
|---------------|-----------|-------------|-----|------------|------------|---------------|
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/12/2018 | 01/10/2028 | 1,082 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | GEL | 30/01/2019 | 30/01/2024 | 1,017 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 06/11/2018 | 29/01/2028 | 1,358 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/02/2018 | 14/02/2023 | 1,111 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 18/07/2018 | 18/07/2024 | 1,110 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 10/05/2019 | 01/10/2028 | 2,715 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 08/10/2021 | 08/10/2027 | 1,918 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 01/05/2019 | 01/05/2026 | 2,724 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 20/05/2019 | 20/05/2025 | 1,626 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 16/02/2018 | 16/02/2023 | 2,527 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 08/10/2021 | 08/10/2027 | 1,358 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/02/2018 | 17/07/2027 | 1,111 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 19/02/2018 | 17/07/2027 | 1,110 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/02/2018 | 14/04/2025 | 2,846 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 26/07/2018 | 26/07/2024 | 1,352 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/05/2019 | 27/05/2025 | 1,217 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/02/2018 | 27/02/2023 | 1,109 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 06/09/2019 | 01/10/2028 | 1,425 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 16/02/2018 | 29/01/2028 | 2,710 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 19/04/2019 | 19/04/2025 | 1,084 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 02/07/2019 | 02/07/2025 | 4,085 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 10/05/2019 | 10/05/2025 | 1,358 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 03/07/2019 | 03/07/2025 | 4,084 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 29/05/2019 | 01/10/2028 | 973 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 26/02/2018 | 17/07/2027 | 1,109 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 06/08/2021 | 06/08/2027 | 3,204 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 28/02/2018 | 01/06/2028 | 1,597 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 04/07/2019 | 04/07/2025 | 2,721 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 09/07/2019 | 09/07/2025 | 962 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 06/08/2019 | 06/08/2025 | 3,264 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/02/2018 | 29/01/2028 | 1,111 |
| სულ | | | | | | 98,774 |

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სუბორდინირებული სესხების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილებშია მოცემული:

| კრედიტორი | სესხის სახე | გრაფიკის ტიპი | ვალუტა | საწყისი თარიღი | დაფარვის თარიღი | საბალანსო ღირებულება |
|---------------|-------------|---------------|--------|----------------|-----------------|----------------------|
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 12/07/2018 | 01/10/2028 | 1,107 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/12/2018 | 01/10/2028 | 1,072 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | GEL | 01/03/2019 | 01/03/2025 | 3,033 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/01/2019 | 01/10/2028 | 1,076 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 26/06/2018 | 26/06/2024 | 1,346 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 22/10/2018 | 01/04/2029 | 1,002 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/05/2019 | 27/05/2025 | 1,211 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 19/04/2019 | 19/04/2025 | 1,079 |

| | | | | | | |
|-----|--|--|--|--|--|--------|
| სულ | | | | | | 93,588 |
|-----|--|--|--|--|--|--------|

2024 წლის 30 ივნისი მდგომარეობით სუბორდინირებული სესხების დეტალური ჩაშლა შემდეგ ცხრილებშია მოცემული:

| კრედიტორი | სესხის სახე | გრაფიკის ტიპი | ვალუტა | საწყისი თარიღი | დაფარვის თარიღი | საბალანსო ღირებულება |
|---------------|-------------|---------------|--------|----------------|-----------------|----------------------|
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 26/02/2018 | 17/07/2027 | 1,153 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 08/10/2021 | 08/10/2027 | 1,412 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 22/10/2018 | 01/04/2029 | 1,048 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 06/11/2018 | 10/03/2031 | 1,413 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 11/03/2019 | 01/10/2028 | 1,069 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 28/02/2018 | 01/06/2028 | 1,661 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/01/2019 | 01/10/2028 | 1,125 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 29/05/2019 | 01/02/2031 | 1,003 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 15/02/2018 | 01/06/2028 | 1,281 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 01/03/2024 | 01/03/2030 | 2,266 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | GEL | 04/04/2019 | 04/04/2025 | 1,010 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 28/02/2018 | 01/06/2028 | 1,661 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 13/02/2018 | 01/06/2028 | 1,382 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/06/2018 | 01/02/2031 | 1,147 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/02/2018 | 01/04/2029 | 2,949 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/06/2018 | 01/02/2031 | 1,679 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | GEL | 04/04/2024 | 04/04/2030 | 1,817 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 26/07/2018 | 07/08/2029 | 1,406 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 24/05/2024 | 24/05/2031 | 3,870 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 18/07/2018 | 18/07/2024 | 1,151 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 01/05/2019 | 01/05/2026 | 2,833 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | GEL | 01/03/2019 | 01/03/2025 | 3,033 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 12/07/2018 | 01/02/2031 | 1,151 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/02/2018 | 01/02/2031 | 1,150 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 26/07/2018 | 07/08/2029 | 1,406 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 24/01/2019 | 01/04/2030 | 2,805 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 16/02/2018 | 10/03/2031 | 2,820 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 19/02/2018 | 01/02/2031 | 1,149 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/12/2018 | 01/02/2031 | 1,115 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 02/07/2019 | 01/04/2030 | 4,232 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 17/12/2018 | 01/02/2031 | 1,964 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | EUR | 22/01/2019 | 01/04/2030 | 1,711 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 04/07/2019 | 01/04/2030 | 2,820 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 08/10/2021 | 08/10/2027 | 1,994 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 30/09/2019 | 01/04/2030 | 951 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/02/2018 | 01/03/2031 | 1,157 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 10/05/2019 | 01/10/2028 | 2,814 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 04/02/2019 | 01/10/2028 | 1,409 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 31/12/2018 | 31/12/2024 | 1,051 |

| | | | | | | |
|----------------|-----------|-------------|-----|------------|------------|----------------|
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 13/02/2023 | 13/02/2029 | 1,410 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 20/05/2019 | 20/05/2025 | 1,690 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 06/09/2019 | 01/02/2031 | 1,470 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 03/07/2019 | 01/04/2030 | 4,231 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | GEL | 17/01/2019 | 01/02/2031 | 1,420 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 09/07/2019 | 09/07/2025 | 1,000 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 24/05/2024 | 24/05/2030 | 1,267 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 15/02/2018 | 15/04/2025 | 3,525 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 25/06/2024 | 25/06/2030 | 1,548 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 19/02/2018 | 01/02/2031 | 3,125 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 14/02/2018 | 01/02/2031 | 1,262 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 06/08/2021 | 06/08/2027 | 3,388 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 11/04/2024 | 11/04/2031 | 1,849 |
| ფიზიკური პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 06/08/2019 | 01/04/2030 | 3,382 |
| იურიდიული პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 20/02/2018 | 20/04/2025 | 1,301 |
| იურიდიული პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 10/05/2019 | 10/05/2025 | 1,412 |
| იურიდიული პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 10/04/2019 | 10/04/2025 | 1,412 |
| იურიდიული პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 27/05/2019 | 27/05/2025 | 1,265 |
| იურიდიული პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 28/06/2024 | 28/06/2030 | 1,125 |
| იურიდიული პირი | სუბ. ვალი | ვადის ბოლოს | USD | 19/04/2019 | 19/04/2025 | 1,127 |
| სულ | | | | | | 107,280 |

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოზიდული სუბორდინირებული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი აშშ დოლარში, ევროში და ლარში იყო 8.7%, 7.0% და 13.4% შესაბამისად.

კოვენანტები და დათქმები

შესაბამისი სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე ემიტენტს აკისრია სხვადასხვა ფინანსური თუ არაფინანსური კოვენანტების დაცვის ვალდებულება. 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ემიტენტი“ აკმაყოფილებდა ბანკებისგან და სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებულ სესხებთან და სუბორდინირებულ სესხებთან დაკავშირებულ ყველა ფინანსურ დათქმას.

კოვენანტები ინდივიდუალურად ითვლება მენეჯერული აღრიცხვის მიხედვით და მათი წარდგენა კრედიტორებთან კვარტალურად ხდება. 2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული კოვენანტების სია და მათი შესრულების მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ:

| კოვენანტის განმარტება | დათვლის სიხშირე | დარღვევის რაოდენობა | კოვენანტის მოთხოვნა 30/06/2024 | კოვენანტის შესრულება 30/06/2024 |
|---|------------------|---------------------|--------------------------------|---------------------------------|
| პირველი კაპიტალის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥13.52% | 14.55% |
| მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥13.52% | 17.03% |
| უმოქმედო სესხების წილი | კვარტალში ერთხელ | - | ≤10.00% | 4.15% |
| უარყოფითად კლასიფიცირებული სესხის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≤10.20% | 6.00% |
| თითო დაკავშირებული მხარეების დაკრედიტება | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 5.00% | 4.06% |
| ყველა დაკავშირებული მხარის დაკრედიტება | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 15.00% | 5.77% |

| | | | | |
|---|------------------|---|-----------|-------------------|
| უკუგება აქტივებზე | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 1.60% | 2.57% |
| ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 100.00% | 124.44% |
| სავალუტო გეპის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 20.00% | 1.68% |
| აქტივების და ვალდებულების ვადის გეპის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 40% | 51.26% |
| ლევერიჯის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 9.00 | 7.21 |
| რეზერვების გადაფარვის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 100% | N.A. ⁴ |

| კოვენანტის განმარტება | დათვლის სიხშირე | დარღვევის რაოდენობა | კოვენანტის მოთხოვნა 31/12/2023 | კოვენანტის შესრულება 31/12/2023 |
|---|------------------|---------------------|--------------------------------|---------------------------------|
| პირველი კაპიტალის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 11.31% | 13.76% |
| მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 14.57% | 15.84% |
| უმოქმედო სესხების წილი | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 12% | 4.14% |
| უარყოფითად კლასიფიცირებული სესხის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 14% | 5.87% |
| თითო დაკავშირებული მხარეების დაკრედიტება | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 5% | 4.11% |
| ყველა დაკავშირებული მხარის დაკრედიტება | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 15% | 6.07% |
| უკუგება აქტივებზე | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 1.6% | 2.14% |
| ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 100% | 117.97% |
| სავალუტო გეპის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 20% | 0.96% |
| აქტივების და ვალდებულების ვადის გეპის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 40% | 54.25% |
| ლევერიჯის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 9 | 7.29 |
| რეზერვების გადაფარვის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 100% | N.A. ⁵ |

| კოვენანტის განმარტება | დათვლის სიხშირე | დარღვევის რაოდენობა | კოვენანტის მოთხოვნა 31/12/2022 | კოვენანტის შესრულება 31/12/2022 |
|---|------------------|---------------------|--------------------------------|---------------------------------|
| პირველი კაპიტალის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 9.41% | 11.15% |
| მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≥ 13.37% | 14.24% |
| უმოქმედო სესხების წილი | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 10% | 3.76% |
| უარყოფითად კლასიფიცირებული სესხის კოეფიციენტი | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 12% | 6.59% |
| თითო დაკავშირებული მხარეების დაკრედიტება | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 5% | 1.83% |
| ყველა დაკავშირებული მხარის დაკრედიტება | კვარტალში ერთხელ | - | ≤ 15% | 2.48% |

⁴ 2023 წლის იანვრიდან კოვენანტს გაუვიდა ვადა.

⁵ 2023 წლის იანვრიდან კოვენანტს გაუვიდა ვადა.

12. უკუგება აქტივებზე: წლიური მოგება გაყოფილი საშუალო-წლიურ აქტივებზე. კოვენანტი ითვლება მენეჯერული ფინანსური ანგარიშგებიდან. კომპანია ვალდებულია დაიცვას კოვენანტი მთელი პერიოდის განმავლობაში.
13. ღია სავალუტო პოზიცია კაპიტალთან: ღია სავალუტო პოზიცია გაყოფილი კაპიტალზე. კომპანია ვალდებულია დაიცვას კოვენანტი მთელი პერიოდის განმავლობაში.
14. უმოქმედო სესხების გადაფარვის კოეფიციენტი: სესხების გაუფასურების რეზერვი გაყოფილი უმოქმედო სესხებზე. კომპანია ვალდებულია დაიცვას კოვენანტი მთელი პერიოდის განმავლობაში.

„კომპანიას“ ასევე გააჩნდა შემდეგი ძირითადი არა-ფინანსური კოვენანტები:

- კომპანიამ არ უნდა იკისროს ისეთი სახის ვალდებულება, რომელიც უპირატესია დაფინანსების ხელშეკრულებით მოზიდულ სახსრებთან შედარებით. კომპანიის მიერ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება უნდა იყოს დაფინანსების ხელშეკრულებით მოზიდულ სახსრებთან შედარებით სუბორდინირებული ან მასთან რიგითობით თანაბარი. ვალდებულება ჩაითვლება სუბორდინირებულად ან რიგითობით თანაბარი პრიორიტეტულობის მქონედ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ვალდებულება არის უზრუნველყოფილი;
- კომპანიამ არ უნდა განახორციელოს დივიდენდის განაწილება, აქციების გამოსყიდვა ან/და კომპანიის კაპიტალიდან აქციონერის სასარგებლოდ სხვა სახის გადახდა გასული ფისკალური წლის წმინდა მოგების 26%-ზე მეტი ოდენობით;
- კომპანიამ გამსესხებლის თანხმობის გარეშე არ უნდა მოახდინოს საკუთარი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის გასხვისება, მესამე პირთან შერწყმა ან კონსოლიდაცია, ასევე დაშლა ან ლიკვიდაცია;
- კომპანიას უნდა გააჩნდეს საერთაშორისოდ აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი, რომელიც უნდა იყოს უფრო მაღალი ვიდრე „B“ (Fitch-ის სისტემით) ან მისი ექვივალენტი.

კომპანიის მიერ არაფინანსური კოვენანტების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

მიღებული სესხების უზრუნველყოფა

2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით „სებ“-ისგან მიღებული რეფინანსირების სესხები უზრუნველყოფილი იყო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით (333,229 ათასი ლარი) და მომხმარებელთა სესხების პორტფელით (493,178 ათასი ლარი).

2024 წლის 30 ივნისი მდგომარეობით „სებ“-ისგან მიღებული რეფინანსირების სესხები უზრუნველყოფილი იყო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით (184,967 ათასი ლარი) და მომხმარებელთა სესხების პორტფელით (456,451 ათასი ლარი).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სებ“-ისგან მიღებული რეფინანსირების სესხები უზრუნველყოფილი იყო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით (74,055 ათასი ლარი) და მომხმარებელთა სესხების პორტფელით (206,910 ათასი ლარი).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სებ“-ისგან მიღებული რეფინანსირების სესხები უზრუნველყოფილი იყო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებით (154,938 ათასი ლარი) და მომხმარებელთა სესხების პორტფელით (72,623 ათასი ლარი).

10.1.2 წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა იყოს 90 დღეზე უფრო ადრინდელი. გარდა ამისა ეს მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო 2 აუდირებული წლისთვისაც. იმ შემთხვევაში, თუ პროსპექტის შედგენის თარიღამდე 90 დღის მანძილზე ემიტენტის კაპიტალიზაციისა და დავალიანების პოზიციაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, უნდა მოხდეს დეტალების აღწერა და ცვლილებების ჩვენება;

ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში მატერიალური ცვლილება არ მომხდარა.

10.1.3 თუ ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ვერ აკმაყოფილებს სასესხო კონტრაქტის პირობებს, არღვევს კოვენანტებს უნდა მოხდეს ამ ფაქტის გამჟღავნება, ასევე მიეთითოს ინფორმაცია ამ კონტრაქტის დეტალების და პრობლემის გადაჭრის გზის შესახებ (რესტრუქტურირაცია)

„ემიტენტის“ მენეჯმენტის განცხადებით, კომპანია სრულად იცავს მისთვის სავალდებულო ყველა კოვენანტს.

10.1.4 მითითება იმის შესახებ, მოხდა თუ არა ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობა

მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

10.2 ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა

„კომპანიის“ მენეჯმენტის განცხადების მიხედვით, ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, როგორც საბანკო ორგანიზაციას, მუდმივად სჭირდება დაფინანსების რესურსის მოზიდვა.

10.3 ემიტენტის ფულადი ნაკადების ოდენობისა და წყაროების აღწერა საფინანსო, საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან გამომდინარე

| ათასი ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები | | | | |
| მიღებული პროცენტი | 383,911 | 500,460 | 239,569 | 266,813 |
| გადახდილი პროცენტი | (178,945) | (207,124) | (107,185) | (159,485) |
| მიღებული საკომისიო | 47,521 | 51,365 | 26,003 | 26,842 |
| გადახდილი საკომისიო | (18,748) | (23,074) | (11,421) | (13,687) |
| წმინდა რეალიზებული (ზარალი) / შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან | 31,895 | 24,943 | 11,958 | 12,326 |
| მიღებული სხვა შემოსავალი | 3,572 | 16,137 | 7,728 | 8,392 |
| პერსონალზე გაწეული ხარჯების გადახდა | (105,180) | (124,512) | (65,730) | (79,710) |
| იჯარაზე გადახდილი პროცენტი | (1,471) | (1,351) | (687) | (669) |
| ზოგადი, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯები | (56,937) | (57,723) | (27,870) | (29,162) |

| | | | | |
|---|------------------|-----------------|-----------------|------------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე | 105,618 | 179,121 | 72,365 | 31,660 |
| საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება) | | | | |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | (30,203) | 5,777 | (3,426) | 11,661 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | (283,771) | (445,275) | (188,782) | (241,290) |
| ავანსები და სხვა აქტივები | (28,555) | (1,608) | (5,537) | 7,667 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | (5,459) | 35,540 | (31,742) | 291,637 |
| ვალდებულებები მომხმარებლების მიმართ | 241,447 | 318,951 | 124,303 | 89,513 |
| მიმდინარე მოგების გადასახადი | | -- | (6,681) | -- |
| სხვა ვალდებულებები | 9,679 | (23,072) | (12,210) | (14,994) |
| საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე | 8,756 | 69,434 | (51,710) | 175,854 |
| მოგების გადახდილი გადასახადი | -- | (11,000) | -- | (16,093) |
| საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები | 8,756 | 58,434 | (51,710) | 159,761 |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები | | | | |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა | (209,408) | (115,705) | (41,729) | (143,430) |
| შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან | 83,346 | 137,992 | 104,153 | 32,843 |
| არამატერიალური აქტივებისა და ძირითადი საშუალებების შეძენა | (21,975) | (22,578) | (7,641) | (14,516) |
| საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | 1,144 | -- | -- | -- |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები | (146,893) | (291) | 54,783 | (125,103) |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები | | | | |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა | (7,087) | (6,481) | (3,162) | (4,602) |
| სუბორდინირებული სესხის გაცემა | -- | -- | (8,044) | 13,318 |
| სუბორდინირებული ვალის დაფარვა | -- | (4,646) | 3,374 | (3,853) |
| კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებისთვის გადახდილი დივიდენდები | (776) | (776) | -- | -- |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები | (7,863) | (11,903) | (7,832) | 4,863 |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | (45,266) | (1,793) | (7,751) | 12,629 |

| | | | | |
|---|------------------|----------------|-----------------|----------------|
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | (27) | -- | 24 | (10) |
| ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა | (191,293) | 44,447 | (12,486) | 52,140 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში | 641,617 | 450,324 | 450,324 | 494,771 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს | 450,324 | 494,771 | 437,838 | 546,911 |

ძირითადი ზრდა განპირობებულია შემდგომი ფაქტორებით, ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ გაზრდილია საქართველოს ეროვნული ბანკისგან მოზიდული სახსრების ზრდით 250,131 ლარით და ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებების 48,251 ლარით ზრდით.

სახელმწიფო ფასიან ქალაქებზე 2024 წლის პირველ ნახევარში ბაზარზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთების ფონზე, ბანკმა შეისყიდა 143,430 ლარის ფასიანი ქალაქები.

მთლიანობაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2023 წელს 9.9%-ით გაიზარდა და 494,771 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24.9%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 546,911 ათასი ლარი შეადგინა.

10.4 ინფორმაცია ამ დანართის 7.6.2 პუნქტში განხილული სამომავლო ინვესტიციებისთვის საჭირო სავარაუდო რესურსების შესახებ

კომპანია გეგმავს მომხმარებელს შესთავაზოს ფასიანი ქალაქების ბაზრის შუამავლის მომსახურება. მოცემულ ეტაპზე აღნიშნული მომსახურება მოიცავს მომხმარებლის მიერ მიღებული დავალების შესაბამისად, ლოკალური და გლობალური ფასიანი ქალაქების შექმნა/გასხვისების, შენახვის ოპერაციების წარმოებას და აღნიშნულთან დაკავშირებული მომსახურების გაწევას. ამ მხრივ კომპანიის მიერ ამ დრომდე გაწეული ან/და მომავალში დაგეგმილი ინვესტიცია არ არის მატერიალური მოცულობის.

11 მარეგულირებელი გარემო

11.1 ემიტენტის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა, ასევე ინფორმაცია ნებისმიერი სამთავრობო, ეკონომიკური, ფისკალური ან მონეტარული პოლიტიკის, ან იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც მატერიალური გავლენა მოახდინეს ან შეუძლიათ მოახდინონ ემიტენტის ოპერაციებზე

მონეტარული პოლიტიკა საქართველოში

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმით ახორციელებს. ამ რეჟიმის ფარგლებში, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი წინასწარ განისაზღვრება. მონეტარული პოლიტიკა იმგვარად წარიმართება, რომ საშუალოვადიან პერიოდში, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იყოს. მოკლევადიან პერიოდში კი, შოკების გამო, ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლისაგან შესაძლებელია განსხვავდებოდეს.

ინფლაციის თარგეთირების შემოდების საწყის ეტაპზე მიზნობრივი ინფლაცია 6 პროცენტს შეადგენდა. 2015 წლიდან მიზნობრივი ინფლაცია 5 პროცენტამდე, ხოლო 2017 წელს 4 პროცენტამდე შემცირდა. 2018 წლიდან კი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტით არის განსაზღვრული და ამ ეტაპზე მიზნობრივი მაჩვენებლის შეცვლა დაგეგმილი არ არის.

მონეტარული პოლიტიკის ცვლილება ერთობლივ მოთხოვნაზე სხვადასხვა არხით ზემოქმედებს.

საქართველოში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის გადაცემა ეკონომიკაზე ხდება შემდეგი არხებით:

საპროცენტო განაკვეთების არხი

ეროვნული ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთის ზრდა პირდაპირ აისახება საბანკო სექტორის მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებზე. თავის მხრივ, მოკლევადიანი განაკვეთების ცვლილება გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს გადაეცემა და საბოლოო ჯამში, საბანკო სესხების საპროცენტო განაკვეთებზე აისახება. მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში სესხებზე მოთხოვნა იკლებს, რის შედეგადაც ფირმების ინვესტიციები და სამომხმარებლო დანახარჯები მცირდება. სხვა თანაბარ პირობებში, აღნიშნული პროცესი ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას და შედეგად ფასების დონის შემცირებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის მაღალი დოლარიზაციის შედეგად, აღნიშნული არხი მხოლოდ ლარის სესხებზე მოქმედებს. ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებით, როგორც წესი, უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთებზე გავლენას ვერ მოახდენს.

გაცვლითი კურსის არხი

სხვა თანაბარ პირობებში, საპროცენტო განაკვეთის ზრდა ადგილობრივი და უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივების შემოსავლიანობებს შორის სხვაობას ზრდის. შედეგად ლარის ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები უფრო მიმზიდველი ხდება და მოთხოვნა ლარის აქტივებზე იზრდება. ადგილობრივ აქტივებზე მოთხოვნის ზრდა ლარის გამყარებას განაპირობებს. თავის მხრივ, გაცვლითი კურსის ცვლილება ფასების დონეზე მოქმედებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზებით. გაცვლითი კურსის გამყარება იმპორტირებული საქონლის ფასს ამცირებს და პირიქით. ამავდროულად ლარის გამყარება იმპორტზე მოთხოვნას ასტიმულირებს, რამდენადაც იმპორტული საქონლის ფარდობითი ფასი ადგილობრივ საქონელთან შედარებით მცირდება. ამასთან, ლარის გამყარებით, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქცია ძვირდება და საგარეო მოთხოვნას (ექსპორტს) ამცირებს.

საკრედიტო არხი

ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის ცვლილება ეკონომიკაზე კრედიტების მიწოდების ცვლილებითაც აისახება. პოლიტიკის განაკვეთის ზრდა თავდაპირველად ფულად ბაზარს გადაეცემა და მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს ზრდის. შემდგომ კი გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებზე აისახება. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების პირობებში რთულდება კრედიტის ხელმისაწვდომობა, აგრეთვე მცირდება კარგი საკრედიტო პროექტების რაოდენობა, რაც იწვევს ბანკების მიერ საკრედიტო სტანდარტების გამკაცრებას და გაცემული სესხების მოცულობის შემცირებას. შემცირებული დაკრედიტება ერთობლივ მოთხოვნას და, საბოლოოდ, ინფლაციის დონეს ამცირებს. პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას კი საპირისპირო შედეგი აქვს და იწვევს დაკრედიტების ზრდას და ინვესტიციების წახალისებას. შედეგად იზრდება ერთობლივი მოთხოვნა და ფასების დონე.

მოლოდინების არხი

ეკონომიკური სუბიექტები გადაწყვეტილებებს მოლოდინების საფუძველზე იღებენ და ამიტომ, შესაძლოა, ინფლაციურ მოლოდინებს მათ ქცევასა და, შესაბამისად, ინფლაციაზე ძლიერი გავლენა ჰქონდეს. მაგალითად, საოჯახო მეურნეობები მომავალი მოხმარების შესაძლებლობიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებას თუ რამდენი დახარჯონ ან დაზოგონ მიმდინარე პერიოდში. ფირმები საწარმოო შესაძლებლობიდან გამომდინარე განსაზღვრავენ ინვესტიციების მოცულობას. ეს გადაწყვეტილებები კი, საბოლოოდ, ერთობლივ მოთხოვნას განსაზღვრავს და, ამ გზით, ინფლაციაზე აისახება.

საბანკო სექტორის ზედამხედველობა საქართველოში

საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“), ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის ამოცანის ფარგლებში, ზედამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს საქართველოში. კომერციულ ბანკების ზედამხედველობასთან და რეგულირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონით, "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონითა და „სებ“-ის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებებით და დადგენილებებით.

კომერციული ბანკების ლიცენზირება

საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია რომ კომერციულმა ბანკმა მიიღოს შესაბამისი ლიცენზია „სებ“-ისგან. ლიცენზირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია შემდეგი სამართლებრივი აქტებით:

- კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-4 პუნქტი;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის N152/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების ლიცენზირების წესი“;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 3 მაისი №61/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის N151/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულება“.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტები განსაზღვრავენ შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

- **კაპიტალი:** მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი 50 (ორმოცდაათი) მილიონი ლარის ოდენობით;

- **ბიზნეს-გეგმა:** უნდა მოიცავდეს ბიზნეს სტრატეგიას; ინფორმაციას ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის კომერციული ბანკის ბიზნეს სტრატეგიაზე პოტენციური გავლენის შესახებ; მიზნობრივი ბაზრის აღწერას და საკუთარი კონკურენტუნარიანობის შეფასებას; საბიუჯეტო გეგმას და ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზს მათ შორის, სტრესული სცენარის გათვალისწინებით მომდევნო 3 წლისთვის; ბიზნესთან და რეგულაციებთან დაკავშირებულ რისკფაქტორებს; საინფორმაციო ტექნოლოგიების საწყის ეტაპზე დასაწერ მინიმუმს და მათი მომდევნო საოპერაციო პერიოდში დანერგვის გეგმას.
- **აქციონერები და ადმინისტრაცია:** უნდა აკმაყოფილებდნენ „სებ“-ის მიერ დამტკიცებულ შესაფერისობის კრიტერიუმების.
- **სტრუქტურა:** საბანკო ჯგუფის სტრუქტურა, მფლობელობის სტრუქტურა, მმართველობის სტრუქტურა და საოპერაციო საქმიანობა/გარემო უნდა იყოს გამჭვირვალე, შეესაბამებოდეს სათანადო კორპორაციული მართვის სტანდარტებს, უზრუნველყოფდეს ეფექტიანი ინდივიდუალური ან კონსოლიდირებული ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას და საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ბანკის ან/და ფინანსური სექტორის სტაბილურობასა და ჯანსაღ ფუნქციონირებას.
- **კორპორაციული მართვა:** ლიცენზიის აღებისათვის საჭიროა ბანკს შემუშავებული ჰქონდეს ორგანიზაციულ სტრუქტურას და მენეჯმენტის სამუშაოს აღწერილობა; საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების და სხვა შესაბამისი რისკების მართვის ჩარჩო; კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების მოდელი და სააღრიცხვო პოლიტიკა.

საზედამხედველო რეჟიმი

„სებ“-ი საბანკო სექტორის ზედამხედველობას წარმართავს რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც მეტი საზედამხედველო რესურსი ეთმობა უფრო კომპლექსური ან მაღალ-რისკიან ინსტიტუტებს ან ტრანზაქციებს.

GRAPE

საქართველოს ეროვნული ბანკი რისკების შეფასების საერთო პროგრამის (ე.წ. General Risk Assessment Program ან GRAPE) ფარგლებში აფასებს როგორც კომერციული ბანკების რისკებს, ასევე მათ შესაძლებლობებს მართონ აღნიშნული რისკები.

GRAPE-ის ფარგლებში შეფასება მოიცავს კომერციული ბანკების რისკების დონის შეფასებას შემდეგი კატეგორიების მიხედვით: საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯგუფის სტრუქტურა და კორპორაციული მართვა.

შეფასების შედეგად, განისაზღვრება ინდივიდუალური ბანკების კაპიტალის მოთხოვნა, საზედამხედველო ყურადღების დონე კომერციულ ბანკებთან და რისკებთან მიმართებაში და გამოვლენილი რისკებზე საპასუხო რეკომენდაციები კომერციულ ბანკებისათვის.

კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები

საქართველოს საბანკო სექტორისათვის განსაზღვრული კაპიტალის მოთხოვნები ეფუძნება ბაზელ III-ის სტანდარტსა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციებსა და დირექტივებს.

პილარ 1: კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით“, რომლის თანახმადაც, პილარ 1-ის ფარგლებში, მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET 1) კოეფიციენტი: 4.5%
- პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1+ AT 1): 6.0%

- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1+AT1 +Tier 2): 8.0%

პილარ 2: პილარ 1-ის მინიმალური მოთხოვნების შესრულებასთან ერთად, კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას კაპიტალის დამატებითი ბუფერის მოთხოვნები იმ რისკებისთვის, რომელსაც არ მოიცავს პილარ 1. აღნიშნული დამატებითი ბუფერის განსაზღვრა რეგულირდება "პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესით". პილარ 2-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ ბუფერებს:

- არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR);
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი (HHI);
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი – საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი (CRA)
- წმინდა GRAPE ბუფერი – ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი.

დამატებით, კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის, კონტრაციკლური ბუფერისა და სისტემურობის ბუფერისგან.

პილარ 3⁶: პილარ 3-ის ფარგლებში ბანკებს არ უწესდებათ დამატებითი მოთხოვნები კაპიტალთან დაკავშირებით. პილარ 3-ის მოთხოვნების ფარგლებში კომერციული ბანკებს უწესდებათ გამჟღავნების მოთხოვნები, რომლის მიზანიც არის ბანკების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა და საბაზრო დისციპლინის გაძლიერება.

ლიკვიდობის სტანდარტები

ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კაპიტალის სტანდარტების პარალელურად საბანკო სექტორისთვის დაწესებულია ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისა (LCR - Liquidity Coverage Ratio) და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR - Net Stable Funding Ratio) პრუდენციული მოთხოვნები.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის მიზანია, კომერციული ბანკი ფლობდეს ლიკვიდურ აქტივებს, რომელიც საკმარისი იქნება ფინანსური სტრესის დროს მთლიანი წმინდა ფულადი გადინების გადასაფარად. ამისთვის საჭიროა, ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიან სტრესულ პირობებში.

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის მიზანს კი საბანკო სექტორის მიერ მოზიდული დაფინანსების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული პრუდენციული კოეფიციენტის მოთხოვნის მიხედვით, ბანკის ვალდებულებების სტრუქტურა მისივე საბალანსო და გარესაბალანსო აქტივობების ადეკვატური უნდა იყოს.

კორპორაციული მართვის სტანდარტები

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის მოთხოვნები დაწესებულია "კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის" საფუძველზე. კორპორაციული მართვის კოდექსი არეგულირებს სამეთვალყურეო საბჭოსთან და მასთან არსებულ კომიტეტებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა გენდერული ბალანსი, წევრთა რაოდენობა, მათი დამოუკიდებლობა, კვალიფიკაცია, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილების დელეგირება, ასევე

⁶ <https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Quarter>

დირექტორატის შემადგენლობასა და კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ფუნქციებს. კორპორაციული მართვის კოდექსით განსაზღვრულია ანაზღაურების პრინციპები მატერიალური რისკის ამღები პირებისათვის, მათ შორის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორებისათვის.

რეზოლუციის რეჟიმი

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებზე და ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს დირექტივებზე დაყრდნობით, საქართველოში გატარდა რეზოლუციის მექანიზმის დანერგვის რეფორმა და ეროვნულ ბანკმა შეიძინა კომერციული ბანკების სარეზოლუციო ფუნქცია. რეზოლუცია წარმოადგენს პრობლემური კომერციული ბანკების ლიკვიდაციის ერთგვარი ალტერნატივას - იგი არის რეაბილიტაციის მექანიზმი, სტრესული მაჩვენებლების მქონე ფინანსური ინსტიტუტისგან მოსალოდნელი უარყოფითი სისტემური გავლენის შესარბილებლად.

სარეზოლუციო ინსტრუმენტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული ბანკის რეზოლუციის კომიტეტი, რომელიც გადაწყვეტილებაში განსაზღვრავს სარეზოლუციო ინსტრუმენტის გამოყენების საფუძვლებსა და პირობებს. „სებ“-ი უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი სარეზოლუციო ინსტრუმენტები:

- **სარეზოლუციო ბანკის შერწყმა სხვა კომერციულ ბანკთან**, ბაზარზე შესაბამისი კომერციული ინტერესის არსებობის შემთხვევაში და ტრანზაქციის შედეგად ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების გათვალისწინებით.
- **კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისება**, რაც გულისხმობს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების შემძენზე სრულად ან ნაწილობრივ გასხვისებას.
- **კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების დროებითი ბანკისთვის გადაცემა**, რაც ნიშნავს რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის კრიტიკული ფუნქციების შენარჩუნების მიზნით, ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების დროებითი ბანკისთვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემას. ამისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აფუძნებს დროებით ბანკს, განსაზღვრული დროის განმავლობაში საბაზრო პირობებით გასხვისების განზრახვით.
- **კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია ახალი აქციების გამოშვებით**, რომელიც ეროვნულ ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის გასაზრდელად და მისი ჯანსაღი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მიიღოს გადაწყვეტილება ამ ბანკის მიერ ახალი აქციების გამოშვებისა და მათი რეალიზაციის შესახებ.
- **კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით (bail-in)**, რომელიც წარმოადგენს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას გონივრული ფინანსური რესტრუქტურის გზით, რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით მოახდინოს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის შევსება.

აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის ჩარჩოს შემუშავების და დანერგვის შემდგომ, საბანკო სექტორში სარეზოლუციო შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

11.2 საკონტროლო პაკეტის შექმნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების მოკლე აღწერა, ასევე, არსებობის შემთხვევაში, აქციონერების უფლებებისა და მოვალეობების აღწერა საკონტროლო პაკეტის სავალდებულო შექმნის, მცირე აქციონერების უფლებების დარღვევის შემთხვევაში

აქციების საკონტროლო პაკეტის შექმნის შედეგად გამოწვეული პროცესები უნდა წარიმართოს მთლიანად მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ნაწილში „ემიტენტს“ არ აქვს მიღებული რაიმე შიდა დოკუმენტი, რომელიც დამატებით დაარეგულირებს აღნიშნულს საკითხს.

კერძოდ, თუ პირი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ პირთა ჯგუფი შეიძენს ფასიან ქაღალდებს, რის შედეგადაც აკონტროლებს ემიტენტი ანგარიშვალდებული საწარმოს ხმის უფლების მქონე საჯარო წილობრივი ფასიანი ქაღალდების ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს, იგი ვალდებულია ამ ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 45 დღისა განახორციელოს სავალდებულო სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი ფასიანი ქაღალდის გამოსყიდვის თაობაზე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ან იმავე ვადაში ჩამოიყვანოს მისი კონტროლის ქვეშ არსებული ხმები ანგარიშვალდებული საწარმოს ხმათა საერთო რაოდენობის ნახევრის ქვევით. ეს მოთხოვნა არ მოქმედებს, თუ:

ა) ანგარიშვალდებული საწარმოს ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი მყიდველის ხელში აღმოჩნდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული სატენდერო შეთავაზებით, რომლითაც იგი ფასიანი ქაღალდების სხვა მფლობელებს ყველა დარჩენილი ფასიანი ქაღალდის გამოსყიდვას სთავაზობდა;

ბ) მყიდველი აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს ფლობს სხვა პირის/პირების სასარგებლოდ, მათ შორის, საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების გაცემის მიზნით. ამ შემთხვევაში სავალდებულო სატენდერო შეთავაზების განხორციელების ვალდებულება ეკისრება მყიდველს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ანგარიშვალდებული საწარმოს ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს.

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების დასრულებამდე მყიდველს არ აქვს მისი კონტროლის ქვეშ არსებული, ანგარიშვალდებული საწარმოს ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი ხმის საერთო კრებაზე გამოყენების უფლება.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა თავისი დომინანტური მდგომარეობა განზრახ გამოიყენა ამ სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. დომინანტ აქციონერად მიიჩნევა აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს საერთო კრებაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგზე. ეს აქციონერი/აქციონერთა ჯგუფი ვალდებულია, სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, აანაზღაუროს აგრეთვე აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიადგა სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით.

და ბოლოს, აქციონერს უფლება აქვს, სააქციო საზოგადოებას მაღლა განხილული რეგულაციით დადგენილი წესით მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაუმართლებლად და არსებითად ლახავს ამ აქციონერის უფლებებს ან ეხება სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციას.

„ემიტენტის“ შემთხვევაში, მიმდინარე და ბოლო ფინანსური წლის განმავლობაში მესამე მხარის მიერ ემიტენტის საჯარო აქციების საკონტროლო პაკეტის შექმნას ადგილი არ ჰქონია.

„კომპანიას“ დამატებით ეხება შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოქმედება:

| კანონის/რეგულაციის დასახელება | თარიღი |
|---|---------|
| საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ | 09/2009 |
| საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ | 02/1996 |
| საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ | 12/1998 |

| | |
|--|---------|
| საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ | 07/2023 |
| საქართველოს კანონი დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ | 11/2023 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე | 02/2024 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ | 12/2009 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ | 07/2006 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე | 04/2011 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 10/2013 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე | 03/2014 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 06/2014 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ | 03/2015 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე | 02/2017 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ | 05/2017 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულების დამტკიცების თაობაზე | 05/2017 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე | 06/2017 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ | 08/2017 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესი | 12/2017 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის დაწესების თაობაზე | 12/2017 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკის ლიკვიდაციისა და გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების წესის დამტკიცების შესახებ | 03/2018 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების შეფასების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე | 05/2018 |

| | |
|---|---------|
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკებისთვის ლევერიჯის კოეფიციენტის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 09/2018 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე | 09/2018 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე | 12/2018 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ 200 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ | 01/2019 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების ფასდადების მოდელების მოთხოვნების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე | 02/2019 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკებისათვის უძრავი ქონების იჯარით გაცემის დამატებითი/განსხვავებული კრიტერიუმის განსაზღვრის შესახებ | 04/2019 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 11/2019 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 03/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 03/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება დროებითი ადმინისტრატორის დანიშვნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე | 12/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსის დამტკიცების თაობაზე | 02/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება საოპერაციო რისკის მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების თაობაზე | 05/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების ლიცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე | 10/2022 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 10/2022 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შემენის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 10/2022 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე | 01/2023 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების თაობაზე | 01/2023 |

| | |
|--|---------|
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება დაშვებული ვალდებულებებისა და კაპიტალის ინსტრუმენტების მინიმალური მოთხოვნის დაწესების თაობაზე | 05/2023 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება სარეზოლუციო ფონდის შექმნის, ადმინისტრირებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დროებითი სახელმწიფო დაფინანსების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე | 12/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკის რეზოლუციის გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების თაობაზე | 12/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის წესის დამტკიცების თაობაზე | 12/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკის კრიტიკული ფუნქციების განსაზღვრისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ | 06/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება რეზოლუციის მიზნებისთვის კომერციული ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე | 06/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკის გაჯანსაღების გეგმის შემუშავებისა და შეფასების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე | 06/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება ღია ბანკინგში ჩართვის წესის დამტკიცების თაობაზე | 04/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე | 08/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე | 08/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ | 05/2023 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ კომპანიებთან ოპერაციების შეზღუდვის წესის დამტკიცების თაობაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №33/04 ბრძანება | 05/2022 |
| საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ | 04/2021 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება საბარათე ინსტრუმენტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე | 09/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება გადახდის ოპერაციების შესრულების წესის დამტკიცების შესახებ | 01/2015 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციულ ბანკებსა და მიკრობანკებში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე | 01/2018 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ | 02/2022 |

| | |
|--|---------|
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ | 03/2021 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების, სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების წესის თაობაზე | 08/2018 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ | 05/2011 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე | 10/2020 |
| სებ-ის პრეზიდენტის ბრძანება ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე | 10/2020 |

12 ინფორმაცია ტენდენციების შესახებ

12.1 პროდუქციის წარმოების, გაყიდვებისა და მარაგების, დანახარჯებისა და გასაყიდი ფასების ყველაზე მნიშვნელოვანი და უახლესი ტენდენციები ფინანსური წლის ბოლოდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე

2024 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში „სებ“-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.50%-დან 8.00%-მდე შემცირდა. ამავე პერიოდში SOFR განაკვეთი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და 2024 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში 5.30%-5.35% დიაპაზონში მერყეობდა. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია ლარში დენომინირებული ცვლადი განაკვეთის მქონე სესხებზე და ვალდებულებებზე პროცენტის ცვლილება, ხოლო დოლარში დენომინირებული ცვლადი განაკვეთის მქონე სესხებზე და ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთი მატერიალურად არ შეცვლილა.

12.2 არსებობის შემთხვევაში, ბოლო აუდირებული ანგარიშგებების თარიღიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე ემიტენტის/მისი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში და პერსპექტივებში გამოვლენილი მატერიალური უარყოფითი ცვლილებების აღწერა

„კომპანიის“ მენეჯმენტის განცხადებით მატერიალურ უარყოფით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

12.3 ინფორმაცია უკვე ცნობილი ტენდენციების, გაურკვევლობების, მოთხოვნების ან მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ემიტენტის საქმიანობაზე სულ მცირე მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში

„კომპანიის“ მენეჯმენტის განცხადებით მიმდინარედ არ არის რაიმე უკვე ცნობილი ტენდენცია ან მოვლენა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის საქმიანობაზე.

13 მოგების პროგნოზი და ვარაუდები

13.1 თუ ემიტენტი აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების მაჩვენებლებს, ეს მაჩვენებელი უნდა ჩართოს რეგისტრაციის დოკუმენტში. ის უნდა იყოს გარკვეული და არაორაზროვანი და უნდა მოიცავდეს იმ ძირითად დაშვებებს, რომელიც ემიტენტმა გამოიყენა მოგების პროგნოზირებისთვის

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებულ მოგებასა და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

13.2 მითითება, რომ:

13.2.1 ა) მოგების პროგნოზირებისთვის გამოყენებული აღრიცხვის მეთოდები შეესაბამება ემიტენტის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკასა და აღწერილ დაშვებებს

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებულ მოგებასა და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

13.2.2 ბ) მოგების საპროგნოზო მაჩვენებლები მომზადებულია წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებთან შესაბამისობის პრინციპით

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებულ მოგებასა და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

14 მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები

14.1 ქვემოთ ჩამოთვლილი პირების სახელები, იურიდიული მისამართები და ფუნქციები:

ა) მმართველი ორგანო;


„ემიტენტის“ მართვის უმაღლესი ორგანოებია: (ა) აქციონერთა საერთო კრება; (ბ) სამეთვალყურეო საბჭო; და (გ) დირექტორთა საბჭო და გენერალური დირექტორი.

კორპორაციული მართვის ჩარჩო მიმოიხილავს ლიბერთი ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურას, პრინციპებს, პოლიტიკასა და პრაქტიკებს, რომლებიც ბანკს საშუალებას აძლევს დააკმაყოფილოს საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს საფონდო ბირჟის მოლოდინები.

აქციონერთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების დასაცავად ლიბერთი ბანკის კორპორაციული მართვის სისტემა ექვემდებარება მიმდინარე მიმოხილვას, შეფასებასა და გაუმჯობესებას. სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად ნერგავს მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკებს, რომლებიც განკუთვნილია იმისთვის, რომ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ინტერესები შეუსაბამოს აქციონერთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის ყველა დონეზე ეთიკური ქცევისა და რისკის მართვის უმაღლეს სტანდარტებს.

„ლიბერთი ბანკის“ ჩვეულებრივი აქციები წარმოდგენილია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

ბანკის კორპორაციული მართვის ჩარჩო შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოების მიერ გამოყენებული დადგენილი პოლიტიკა და პროცედურები აღწერილია პილარ 3-ის ანგარიშის სხვა სექციებში. სამეთვალყურეო საბჭოს, მისი კომიტეტების, მენეჯმენტის, აქციონერების და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის ფუნდამენტური ურთიერთობები ეფუძნება ბანკის მმართველობის სტრუქტურას, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი. მათი საშუალებით დგინდება ბანკის მმართველობის ეთიკური ღირებულებები, სტრატეგიული და კორპორაციული მიზნები და განისაზღვრება ამ მიზნების მიღწევისა და მონიტორინგის ჩატარების გეგმები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ბანკის საერთო ორგანიზაციული სტრუქტურა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:



2021 წლის ბოლოსთვის ბანკს დასაქმებული ყავდა ჯამში 5124 ადამიანი, 2022 წლის ბოლოსთვის 5232, ხოლო 2023 წლის ბოლოსთვის შესაბამისად 5317. დროებით დასაქმებულთა რაოდენობა მატერიალური არ არის.

აქციონერთა წლიური საერთო კრება

აქციონერთა წლიური საერთო კრება (Annual General Meeting - “AGM”) არის ბანკის აქციონერების სავალდებულო ყოველწლიური შეკრება. აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭო/დირექტორატი წარმოადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აქციონერებისთვის კომპანიის საქმიანობის შედეგების და სტრატეგიის შესახებ. ხმის უფლებების მქონე აქციონერები გადაწყვეტილებას იღებენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭოში წევრების არჩევა, მათი ანაზღაურების განსაზღვრა, დივიდენდის გადახდა, გარე აუდიტორის შერჩევა და „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ ან/და ბანკის წესდებით განსაზღვრული სხვა საკითხები.

ბანკის წესდების შესაბამისად, წლიურ საერთო კრებას სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორთა საბჭო იწვევს ბანკის ბუღალტრული აღრიცხვების გარე აუდიტის დასრულებიდან ორი თვის განმავლობაში და ნებისმიერ შემთხვევაში წინა ფინანსური წლის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში. ის საკითხები, რომლებიც არ იქნა განხილული წლიური საერთო კრების მიერ და შედის წლიური საერთო კრების პასუხისმგებლობის ფარგლებში, განიხილება და გადაწყდება რიგგარეშე საერთო კრებებზე (Extraordinary General Meetings - “EGM”). რიგგარეშე საერთო კრებების რაოდენობა წლის განმავლობაში არ არის შეზღუდული და შესაძლოა შეიცვალოს წლიდან წლამდე. EGM შეიძლება მოწვეულ იქნას სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს ან ბანკის განადგებულ აქციების 5%-ის ან მეტის მფლობელი აქციონერის წერილობითი მოთხოვნით. მოთხოვნა წერილობით უნდა წარედგინოს ბანკის დირექტორატს ან სამეთვალყურეო საბჭოს. აუცილებლობის შემთხვევაში, ბანკის დირექტორატი ან სამეთვალყურეო საბჭო მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე გამოაქვეყნებს გადაწყვეტილებას აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ ასეთი წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში. საერთო კრების მოწვევის შესახებ აქციონერის/აქციონერების წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. აქციონერებს, რომლებიც არ ესწრებიან წლიურ საერთო კრებას, უფლება აქვთ გასცენ მინდობილობა მესამე პირზე, რომელიც მათ ნაცვლად შეძლებს ხმის მიცემას.

აქციონერთა საერთო კრებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი ან საბჭოს ნებისმიერი სხვა წევრი. იმ შემთხვევებში, როდესაც თავმჯდომარე არ ესწრება სხდომას ან/და არ შეუძლია ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღოს ინტერესთა შესაძლო კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების გამო, სხდომას თავმჯდომარეობს თავმჯდომარის მოადგილე, სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არყოფნის შემთხვევაში კრებას ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

AGM-ის ან/და EGM-ის სააღრიცხვო თარიღისთვის რეგისტრირებულ ყველა აქციონერს უფლება აქვს დაესწროს კრებას და მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემაში (საჭიროების შემთხვევაში). აქციონერებს, რომლებიც არ ესწრებიან წლიურ საერთო კრებას, უფლება აქვთ ხმა მისცენ მინდობილობის საფუძველზე.

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ კრებას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე აქციონერთა ნახევარზე მეტი. თუ აქციონერთა საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭო/დირექტორატი მოიწვევს ახალ კრებას იმავე დღის წესრიგით. ასეთი კრება გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრე (ან წარმოდგენილი) ხმის უფლების მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად.

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე ან/და სხვა ისეთ საკითხებზე, რომელიც გათვალისწინებულია ბანკის წესდებით ან/და „მარეგულირებელი კანონმდებლობით“:

| | |
|--|---|
| <p>აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები</p> | <ol style="list-style-type: none"> 1) ბანკის წესდების მიღება, დამტკიცება და შეცვლა; 2) ბანკის კონსოლიდაცია, შერთება, შერწყმა ან მიერთება სხვა იურიდიულ პირთან ან სხვა იურიდიული პირის ბანკთან მიერთება; 3) ბანკის გამოყოფა, გაყოფა, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია, დაშლა ან გარდაქმნა; 4) ბანკის განთავსებული კაპიტალის ცვლილება (გაზრდა ან შემცირება); 5) ბანკის მიერ აქციათა გამოსყიდვის ნებართვის გაცემა; 6) კაპიტალის გაზრდისას აქციონერის მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმება, აგრეთვე ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე თანხმობის გაცემა; 7) მოგების გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წინადადების მიღება ან უარყოფა, ან როდესაც ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ; 8) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გამოწვევა; 9) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა, შეცვლა ან გაუქმება, მათი ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა; 10) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ანგარიშების დამტკიცება ან უარყოფა; 11) გადაწყვეტილებების მიღება სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით; 12) გადაწყვეტილებების მიღება ბანკის მიერ ისეთი ქონების, უფლების, აქტივის შეძენის, გასხვისების, გადაცემის ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულებაც აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის (როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული) 20%-ს (ოცი პროცენტი); 13) წლიური ფინანსური ანგარიშის დამტკიცება და დივიდენდის განაწილება; 14) დამოუკიდებელი აუდიტორის შერჩევა, დანიშვნა და განთავსების უფლება; 15) ბანკის ნებადართული კაპიტალის გაზრდა ან/და შემცირება; 16) განადღებული აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერების წერილობითი მიმართვის საფუძველზე სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალურ შემოწმებაზე გადაწყვეტილების მიღება; 17) სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის მიმართვის შემთხვევაში მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება. |
|--|---|

აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილების ფარგლებში მისაღები ყველა გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმის უფლების მქონე დამსწრე აქციონერთა უბრალო უმრავლესობით, გარდა ა) ზემოთჩამოთვლილი 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 ან/და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა, რომლებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე მთლიანი აქციების არანაკლებ 75%-ის თანხმობა; და ბ) „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელთა მისაღებად „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ გათვალისწინებულია წესდებით დადგენილზე მაღალი ხმათა რაოდენობა.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობები:

- ბანკში კორპორაციული მმართველობის უმაღლესი სტანდარტების ხელშეწყობა;
- აქციონერთა ინტერესების შესაბამისად, ბანკის განვითარების ხელშეწყობა და მდგრადი
- ღირებულებების შექმნა და უზრუნველყოფა;
- მმართველობითი ორგანოების მიერ ბანკის გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობა და შიდა
- კონტროლის ეფექტური სისტემის შენარჩუნება;
- ბანკის წლიური ბიუჯეტისა და განვითარების სტრატეგიის დამტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს და ხელს აწერს შესაბამის კრების ოქმებს, კრების მდივანთან ერთად. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები უნდა გაიმართოს სულ მცირე კვარტალში ერთხელ მაინც.

სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ შემდგარია კვორუმი. კვორუმი შემდგარია, თუ სხდომას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სულ მცირე ნახევარზე მეტი. თუ სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხზე, ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, კვორუმი შემდგარია, თუ სხდომას ესწრება ინტერესთა კონფლიქტის არ მქონე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს ახალი სხდომა 10 (ათი) დღის ვადაში, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, კენჭისყრაში მონაწილე საბჭოს წევრთა რაოდენობის მიუხედავად. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სხდომის თავმჯდომარის ხმა. სამეთვალყურეო საბჭოს კრება შეიძლება ჩატარდეს სატელეფონო ან ვიდეო კონფერენციის მეშვეობით.

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო შემდეგი წევრებისგან შედგება:

| | |
|---|---|
| <p>მურთაზ კიკორია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი</p> | <p>მურთაზ კიკორიას საბანკო და საფინანსო სფეროსთან 25 წლიანი გამოცდილება აკავშირებს. იგი „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად არჩეულ იქნა 2019 წლის ივნისში. 2021 წლის დეკემბრიდან კი იგი იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას. 2016 წლიდან 2018 წლამდე, მურთაზ კიკორია საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი და ვიცე-პრეზიდენტი იყო, ხოლო, 2015-2016 წლებში „საქართველოს ბანკში“ იკავებდა გენერალური და ფინანსური დირექტორის პოზიციებს. მას გამოცდილება აქვს ჯანდაცვის არასაბანკო სფეროს მენეჯმენტშიც, კერძოდ, 2012-2014 წლებში იყო სადაზღვევო კომპანიის „ალდაგის“ და „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ გენერალური დირექტორი. კარიერის განმავლობაში იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსის, უკრაინის სხვადასხვა ბანკებში და საქართველოს საფინანსო სექტორის კომპანიებში. მურთაზ კიკორიას განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ფლობს ხარისხს ეკონომიკაში.</p> |
| <p>ირაკლი ოთარ რუხაძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრი</p> | <p>ირაკლი ოთარ რუხაძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას იკავებს 2017 წლის სექტემბრიდან. 2021 წლის დეკემბრამდე იგი ასევე იყო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. კერძო სექტორში იგი ფლობს</p> |

| | |
|---|--|
| | <p>მრავალწლიან გამოცდილებას, როგორც ინვესტორი, მენეჯერი და მრჩეველი. ირაკლი გახლავთ „Hunnewell Partners“-ის დამფუძნებელი პარტნიორი. ირაკლი ოთარ რუხაძე MIG-ის ყოფილი დირექტორია, რომელიც ფლობს სატელეკომუნიკაციო აქტივებს საქართველოში, მათ შორის მაგთიკომს, რომელიც წამყვანი ტელეკომუნიკაციის პროვაიდერი ორგანიზაციაა ქვეყანაში. ირაკლი ოთარ რუხაძე წლების განმავლობაში არა ერთ კომპანიაში იკავებდა მენეჯერის პოზიციას, მათ შორის, იგი გახლდათ „Caucasus Advisors“-ის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც მართავდა \$100 მილიონიან ფონდს „Caucasus Fund“ ოფისებით საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ირაკლი ოთარ რუხაძეს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების განხრით (MBA) Tuck-ის ბიზნეს სკოლაში, დართმუტის უნივერსიტეტი. ირაკლი ოთარ რუხაძე აქტიურია აკადემიური კუთხითაც, კერძოდ, მას დაწერილი აქვს 3 წიგნი ზოგადი მენეჯმენტის და კორპორატიული ფინანსების მიმართულებით.</p> |
| <p>ბრუნო ხუან ბალვანერა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი</p> | <p>ბრუნო ბალვანერას აქვს 35 წელზე მეტი გამოცდილება საბანკო/საინვესტიციო სფეროში, მათ შორის 23 წელი სხვადასხვა პოზიციებზე EBRD-ში, როგორც სათავო ოფისში (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი), ასევე რეგიონალურ ოფისებში (სანქტ-პეტერბურგი, მოსკოვი, თბილისი და ნურსულთანი). 2013-2018 წლებში ბრუნო ბალვანერა იყო რეგიონალური დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში, რომელიც იმართებოდა თბილისიდან, შემდეგ კი ცენტრალური აზიის რეგიონის მმართველი დირექტორი 2020 წლამდე. მას რამდენიმე კომპანიის საბჭოს წევრის თანამდებობა ეკავა, მათ შორის, 2020 წლის ბოლოს არჩეული იყო არა-აღმასრულებელ დირექტორად Asaka Bank-ში (უზბეკეთი). ის ამჟამად არის კერძო ინვესტორი ფინტექ მიმართულებით, ჩართულია საერთაშორისო ბიზნესსა და აკადემიურ სწავლებაში და ასევე, არის სტრატეგიის კონსულტანტი. ბრუნო ბალვანერას აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ჩიკაგოს უნივერსიტეტისგან, ხარისხი ფინანსებში მექსიკის დამოუკიდებელი ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან და ბაკალავრის ხარისხი ინდუსტრიულ ინჟინერიაში მექსიკის იბეროამერიკული უნივერსიტეტიდან.</p> |
| <p>მაგდა მალრაძე სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი</p> | <p>მაგდა მალრაძე „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2019 წლის აგვისტოში იქნა არჩეული. 2013 წლის სექტემბრიდან იგი იკავებს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას და ახორციელებს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის 140 მილიონიანი კომპაქტის პროექტების მართვას. 2008 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის სექტემბრამდე მაგდა მალრაძე მუშაობდა ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს უმაღლესი განათლების მიმართულების აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის სამხრეთ კავკასიის რეგიონული მენეჯერის პოზიციაზე. 2008 წლამდე კი, დაახლოებით 9 წლის მანძილზე, იგი კოორდინირებდა უწევდა აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებულ განათლებისა და კულტურის პროგრამებს საქართველოში აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში. მაგდა მალრაძეს აქვს იურისტიის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და საერთაშორისო ეკონომიკურ</p> |

| | |
|--|---|
| | <p>ურთიერთობათა მენეჯერის ხარისხი თბილისის ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.</p> |
| <p>მამუკა წერეთელი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი</p> | <p>მამუკა წერეთელი „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად 2018 წლის დეკემბერში დაინიშნა. იგი აგრეთვე გახლავთ America-Georgia Business საბჭოს პრეზიდენტი, Georgian House of Greater Washington, LLC-ის დამფუძნებელი და დირექტორი, American Foreign Policy Council-ში Central Asia-Caucasus Institute-ის უფროსი მკვლევარი. ის ასევე American University’s School of International Service-ის ფაკულტეტის წევრია (Washington, DC & John Hopkins SAIS). 2013 წლამდე მამუკას ამერიკის უნივერსიტეტის School of International Service (SIS)-ის Center for Black Sea-Caspian Studies-ის დირექტორის თანამდებობა ეკავა. მანამდე ის ასისტენტ პროფესორად მუშაობდა და ამერიკული უნივერსიტეტის დამხმარე ფაკულტეტის წევრი იყო. 12 წლის განმავლობაში მამუკა America-Georgia Business Council (AGBC)-ის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა. ამჟამად ის ორგანიზაციის პრეზიდენტია.</p> <p>მამუკას სახელს უკავშირდება AGBC-ს მიერ ორგანიზებული 20-ზე მეტი ყოველწლიური კონფერენციები, რომელიც ქართულ-ამერიკულ ეკონომიკურ პარტნიორობას მიძღვნილი საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ყველაზე პოპულარული ფორუმების სერია გახდა. ყოველწლიური კონფერენციების გარდა, მამუკა უძღვებოდა და ორგანიზებას უწევდა საქართველოში პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ სტრატეგიულ დაგეგმვის მრავალ სესიას. ამ სესიებს სხვადასხვა დროს ესწრებოდნენ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (IMF, World Bank, IFC, EBRD) წარმომადგენლები, ა.შ.შ.-ს ექსპორტიორი სააგენტოები (Ex-Im Bank, OPIC, TDA), დონორი სააგენტოები (USAID, MCC), აშშ-ის და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, რეგიონის კერძო კომპანიები და ექსპერტები.</p> <p>2007-2008 წლებში მამუკა წერეთელი ხელმძღვანელობდა ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს საქართველოსთვის ტურიზმის სტრატეგიისა და საინვესტიციო გეგმის პროექტს, რომელიც დაფინანსებული იყო US Trade and Development Agency-ის მიერ.</p> <p>მამუკას აქვს დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიიდან და მაგისტრის ხარისხი თბილისის უნივერსიტეტის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტიდან.</p> |

იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამეთვალყურეო საბჭო ჩართული იქნება ეფექტური კონტროლის განხორციელების პროცესში, კონკრეტული გადაწყვეტილებები საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებას. ქვემოთ განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციის საკითხები:

| | |
|----------------------------|--|
| სტრატეგია და მართვა | <ul style="list-style-type: none"> ▪ ზედამხედველობა ბანკის საერთო მართვაზე; |
|----------------------------|--|

| | |
|--|--|
| | <ul style="list-style-type: none"> ▪ ბანკის კომერციული და საინვესტიციო სტრატეგიების, წლიური ბიუჯეტების დამტკიცება და მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; ▪ ბანკის საქმიანობის კონტროლი; |
| ფინანსური ანგარიშგება და კონტროლი | <ul style="list-style-type: none"> ▪ ბანკის ოპერირების მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველყოფა; ▪ ხმის მიცემის უფლებების გამოყენება ბანკის ნებისმიერ მსხვილ შვილობილ კომპანიაში; ▪ ფინანსური და საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტაციის და აქტივების შემოწმება; |
| რისკების მართვის ჩარჩო და რისკის დასაშვები დონე | <ul style="list-style-type: none"> ▪ ბანკის ყველა მნიშვნელოვანი რისკის დადგენა და კონტროლი; ▪ რისკის მართვის სტრატეგიისა და რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა და დამტკიცება; ▪ კონკრეტული ზომების განსაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკის პროფილი გადააჭარბებს მისაღები რისკის დონეს; |
| შიდა კონტროლის მექანიზმები | <ul style="list-style-type: none"> ▪ სამეთვალყურეო საბჭოს რეგულაციების ან მსგავსი წესების მიღება, შეწყვეტა ან შეცვლა სამეთვალყურეო ▪ საბჭოს შიდა ორგანიზაციასთან დაკავშირებით; ▪ სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტ(ებ)ის შექმნა; ▪ კომიტეტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, კონკრეტული ზომების მიღება; ▪ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების მარეგულირებელი სამოქმედო პოლიტიკების დამტკიცება. |
| კონტრაქტები | <ul style="list-style-type: none"> ▪ მნიშვნელოვანი სესხების დამტკიცება, თუ ჯამური რისკის პოზიცია აღემატება ბანკის საკუთარი კაპიტალის 5%-ს; ▪ ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების შესაბამისად; ▪ ნებისმიერი აქტივის შეძენა/გასხვისება, ან სხვა სახის ხელშეკრულების გაფორმება რომლის ღირებულება აღემატება 1,000,000 აშშ დოლარს; ▪ იურიდიულ პირთან ან კომპანიასთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გაფორმება ან შეწყვეტა, თუ იგი წარმოშობს წელიწადში 1,000,000 აშშ დოლარის ოდენობის ვალდებულებას ან ამავე ოდენობის თანხის მიღების უფლებას; |
| დანიშვნები და ანაზღაურება | <ul style="list-style-type: none"> ▪ ცვლილებები დირექტორთა საბჭოს სტრუქტურაში, ზომასა და შემადგენლობაში; ▪ დირექტორთა საბჭოს წევრების, აუდიტის და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა კომიტეტების წევრების არჩევა და გათავისუფლება; ▪ დირექტორთა საბჭოს წევრთა ანაზღაურების განსაზღვრა; ▪ ბანკის აქციების დამოუკიდებელი რეგისტრატორის შერჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება; |
| კორპორაციული მართვა | <ul style="list-style-type: none"> ▪ დირექტორთა საბჭოს საქმიანობების ზედამხედველობა; ▪ დირექტორთა საბჭოსთვის ინსტრუქციების მიცემა ბანკის სხვადასხვა პოლიტიკის ზოგადი მიმართულებების შესახებ; ▪ დაკავშირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციების დამტკიცება და ზედამხედველობა; ▪ ბანკის ზოგადი კორპორაციული მართვის სისტემის ანალიზი, წლიური ანგარიშგების და დირექტორთა საბჭოს წინადადებების განხილვა მოგების განაწილების შესახებ; ▪ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა; |

| | |
|--------------------------------------|---|
| | <ul style="list-style-type: none"> ▪ ახალი შვილობილი კომპანიის დაფუძნება; |
| ფასიანი ქაღალდების შეთავაზება | <ul style="list-style-type: none"> ▪ ობლიგაციებისა და სხვა სავალო ფასიანი ქაღალდების საჯარო ან/და კერძო შეთავაზების განხორციელება; |
| სხვა | <ul style="list-style-type: none"> ▪ ნებისმიერი დავის წამოწყება, წარმოება ან გადაწყვეტა, როდესაც დავის თანხა აღემატება 500,000 აშშ დოლარს, ან დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმესთან ან ბანკში მმართველ პოზიციაზე მყოფ პირთან; ▪ ნებისმიერ პირთან ერთად ამხანაგობის ან ერთობლივი საწარმოს დაარსება; ▪ ნებისმიერი პოლიტიკური შენატანის ან პოლიტიკური დონაციის განხორციელება; ▪ „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ ან/და ბანკის წესდებით სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების სხვა გადაწყვეტა. |

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით, სისტემურ კომერციულ ბანკებში სამეთვალყურეო საბჭოსთან უნდა არსებობდეს შემდეგი კომიტეტები:

1. აუდიტის კომიტეტი
2. რისკების კომიტეტი
3. ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი
4. ანაზღაურების კომიტეტი

კომიტეტების რაოდენობის, მათი მოწყობისა და შემადგენლობის მხრივ ბანკი სრულ შესაბამისობაშია კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსთან.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია შიდა კონტროლის ფუნქციების შესრულების მონიტორინგზე, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების დაგეგმვასა და ზედამხედველობაზე, გარე დამოუკიდებელ აუდიტორებთან კომუნიკაციაზე. კომიტეტი ასევე რეკომენდაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს შიდა კონტროლის მექანიზმების შესაძლო სისუსტეზე.

აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ბანკის შესაბამისობას მექრთამეობასა და კორუფციასთან, ინტერესთა კონფლიქტის მართვასა და გამჟღავნებასთან დაკავშირებულ შიდა პოლიტიკებთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტი თვლის, რომ მისი შიდა კონტროლის ჩარჩო ეფექტურია.

„კომპანიის“ წესდების თანახმად, აუდიტის კომიტეტს აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები:

| | |
|--|---|
| აუდიტის კომიტეტის უფლებები და მოვალეობები | <ul style="list-style-type: none"> ▪ ბანკისთვის დააწესოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესები, ზედამხედველობა გაუწიოს ასეთი წესების დაცვას და შეამოწმოს ბანკის ბუღალტრული ანგარიშები და ჩანაწერები ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის მეშვეობით; ▪ ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის მიერ „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ დაცვას; ▪ დაამტკიცოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულება და უზრუნველყოს მისი ფუნქციონირება; ▪ დაამტკიცოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის სამუშაო გეგმა მომდევნო ფისკალური წლისთვის; |
|--|---|

| | |
|--|--|
| | <ul style="list-style-type: none"> ▪ შეისწავლოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის კვარტალური ანგარიშები, დაამტკიცოს და სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმებები და რეკომენდაციები; ▪ ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის მუშაობას, უზრუნველყოს მისი საქმიანობის კვარტალურ და წლიურ გეგმებთან შესაბამისობა; ▪ შეაფასოს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და ცალკეული აუდიტორების მიერ გაწეული მუშაობა; ▪ დაამტკიცოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ შედგენილი წლიური სამუშაო პროგრამა და პერიოდულად გადახედოს აღნიშნულ გეგმას; ▪ შეაფასოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თითოეული თანამშრომლის მიერ გაწეული სამუშაო პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის მიხედვით და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები; ▪ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატთან ერთად უზრუნველყოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლობა ბანკის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან; ▪ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს რეკომენდაციები შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის დაქირავების ან გათავისუფლების, ასევე მათი შრომის ანაზღაურების შესახებ, ან უშუალოდ განახორციელოს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ქმედებები, თუ აღნიშნული მოითხოვება „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ ან აუდიტის კომიტეტის სამოქმედო დებულებით; ▪ ხელი შეუწყოს ბანკში გარე აუდიტორების საქმიანობას. |
|--|--|

ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი

2018 წლის დეკემბერში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დააარსა ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის შერჩევის, დანიშვნების, წევრთა როტაციის, მათი მუშაობის ეფექტურობის შეფასების და ბანკის კორპორაციული მართვის საზედამხედველოდ.

კომიტეტი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია, იგი ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 (სამი) წევრისგან, რომლებიც იმავდროულად უნდა იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.

რისკების მართვის კომიტეტი

რისკების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა/პროცედურების ზედამხედველობასა და შესაბამისობაზე, ასევე რისკის მართვის სტრუქტურის ადეკვატურობის განსაზღვრაზე, ბანკის წინაშე არსებული ყველა რისკის ტიპის მიხედვით.

კომიტეტი დახმარებას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს და აძლევს რეკომენდაციებს რისკების მართვისა და შიდა კონტროლის, რისკის კონტროლის ფუნქციების ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასების მიმართულებით, კონკრეტული ტიპის საოპერაციო, საკრედიტო და სხვა ტიპის რისკების იდენტიფიცირებისა და პრევენციის მიზნით.

რისკების კომიტეტი ასევე ატარებს ბანკის რისკის მართვისა და მიტიგაციის პოლიტიკა-პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კომიტეტი მიიჩნევს, რომ მთლიანობაში ბანკის შიდა კონტროლის საერთო ჩარჩო ეფექტურია.

ანაზღაურების კომიტეტი

ანაზღაურების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის და სხვა მატერიალური რისკის ამღები პირებისთვის ადეკვატური და ეფექტური ანაზღაურების სისტემის შექმნაზე და მისი გამართულად ფუნქციონირების ზედამხედველობაზე.

| | აუდიტის კომიტეტი | ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი | ანაზღაურების კომიტეტი | რისკების კომიტეტი |
|----------------------|------------------|--|-----------------------|-------------------|
| მურთაზ კიკორია | წევრი | | თავმჯდომარე | წევრი |
| ირაკლი ოთარ რუხაძე | | | | |
| მაგდა მალრაძე | თავმჯდომარე | წევრი | წევრი | |
| მამუკა წერეთელი | წევრი | თავმჯდომარე | | წევრი |
| ბრუნო ხუან ბალვანერა | | წევრი | წევრი | თავმჯდომარე |

დირექტორთა საბჭო

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობებს ახორციელებს დირექტორთა საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. ბანკი აცნობიერებს დირექტორთა საბჭოს მნიშვნელობას, რომელიც მოიცავს კვალიფიკაციების, გამოცდილების და დივერსიფიცირებულობის სწორ ბალანსს, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ ეფექტურად შეასრულონ დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები.

ბანკის ყოველდღიური საქმიანობების განხორციელებასთან ერთად, დირექტორთა საბჭოს მთავარი ფუნქციები წარმოდგენილია ქვემოთ:

- აქციონერთა ყოველწლიური/რიგგარეშე კრების მოწვევა;
- აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგის შედგენა;
- აქციონერთა საერთო კრების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე ბანკის აქციების გამოსყიდვა;
- ახალი აქციების წესდებით დადგენილ ნებადართული კაპიტალის მაქსიმალურ რაოდენობამდე გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის წლიური ბიზნეს გეგმის, მათ შორის ბიუჯეტის, მოგების და ზარალის პროგნოზის და ბანკის საინვესტიციო გეგმის წარდგენა;
- სესხების გაცემის, ანგარიშსწორებების, დაფინანსების, სალარო მომსახურებების, ბანკის ფულადი სახსრების და ფასეულობების აღრიცხვის და ანგარიშგების, შიდა კონტროლის და აღრიცხვის ორგანიზება და ზედამხედველობა, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის სათანადო მომსახურებას კლიენტებისთვის;
- ბანკის ფილიალების და სერვის ცენტრების ფუნქციონირების ორგანიზება და ზედამხედველობა;
- შიდა აუდიტიდან ან გარე შემოწმებებიდან მიღებული ინფორმაციის გადახედვა, ასევე ფილიალის/სერვისცენტრის ხელმძღვანელი პირების მიერ წარდგენილი ანგარიშების გადახედვა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- აქციონერთა საერთო კრების და/ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა;
- პროცედურების, შინაგანაწესის, პროდუქტებისა და მომსახურების პირობების, სხვა შიდა დოკუმენტების შემუშავება;

- გადაწყვეტილების მიღება პერსონალის შერჩევის, გათავისუფლების, ტრენინგის და ანაზღაურების შესახებ (იმის გათვალისწინებით, რომ დირექტორთა საბჭოს წევრებისა და სხვა მატერიალური რისკის ამღები პირების ანაზღაურების საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო და ანაზღაურების კომიტეტი);
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი რისკის მართვის პრინციპების მონიტორინგი და ბანკის რისკის პროფილის რისკის აპეტიტის (Risk Appetite Statement – „RAS“) განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში მოქცევის უზრუნველყოფა.

დირექტორთა საბჭო:

| | |
|---|---|
| <p>ბექა გოგიჩაიშვილი გენერალური დირექტორი</p> | <p>ბექა გოგიჩაიშვილის გამოცდილება ფინანსური ანალიტიკისა და ინვესტირებთან ურთიერთობის მენეჯმენტის მიმართულებით უკვე 10 წელზე მეტს ითვლის. წლების განმავლობაში, იგი იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას, ხოლო 2017 წელს, ბექა გოგიჩაიშვილი Hunnewell Partners Georgia-ს ინვესტიციების მენეჯერის პოზიციაზე შეუერთდა. მისი პასუხისმგებლობა მოიცავდა კომპანიის მიერ გაკეთებული ინვესტიციების მენეჯმენტს სს „ლიბერთი ბანკში“ და ასევე, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბიზნესებში. 2015-2017 წლებში, იგი იყო ჩართული „საპარტნიორო ფონდში“ მსხვილი პროექტების რისკების შეფასებისა და ფინანსური ანალიზის მიმართულებით, ხოლო 2013-2014 წლებში იკავებდა ფინანსური ანგარიშგების მენეჯერის პოზიციას სს „თიბისი ბანკში.“ ბექა გოგიჩაიშვილი ფლობს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის ბაკალავრს ფინანსებში, ხოლო, მაგისტრის ხარისხი მან სასექსის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) მოიპოვა ფინანსების მენეჯმენტის მიმართულებით.</p> |
| <p>ვახტანგ ბაბუნაშვილი გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსური დირექტორი</p> | <p>ვახტანგ ბაბუნაშვილს ფინანსურ სექტორში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება აქვს. მისი კარიერა 2005 წელს საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფში“ დაიწყო. 2007 წლიდან მას არაერთი პოზიცია ეკავა ბანკი რესპუბლიკაში (ჯგუფი „სოსიეტე ჯენერალი“), სს „თიბისი ბანკსა“ და სს „საქართველოს ბანკში“ ფინანსური მიმართულებით. ვახტანგ ბაბუნაშვილი „ემიტენტს“ 2020 წლის ივლისში შეუერთდა ფინანსური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, ხოლო 2021 წლის იანვარში გენერალური დირექტორის მოადგილის, ფინანსური დირექტორის პოზიცია დაიკავა. ვახტანგ ბაბუნაშვილი ფლობს ბაკალავრის ხარისხს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლიდან და მოპოვებული აქვს INSEAD-ის მაგისტრის ხარისხი (საფრანგეთი). 2007 წლიდან დღემდე არის მოწვეული ლექტორი კავკასიის უნივერსიტეტში საბანკო და ფინანსური ინტიტუტების მენეჯმენტის მიმართულებით.</p> |
| <p>გიორგი გვაზავა გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების დირექტორი</p> | <p>გიორგი გვაზავას ფინანსურ ინსტიტუტებთან 15 წლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს. მან კარიერა დაიწყო სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საკრედიტო ანალიტიკოსის პოზიციიდან და მას შემდეგ ეკავა სხვადასხვა მენეჯერული პოზიციები. გიორგი გვაზავა „ემიტენტს“ 2022 წლის ივნისში შეუერთდა რისკების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე, ხოლო 2022 წლის სექტემბერში გენერალური დირექტორის მოადგილის, რისკების დირექტორის პოზიცია დაიკავა. გიორგი გვაზავა ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და</p> |

| | |
|--|---|
| | ბიზნესის ბაკალავრს, ასევე იგი ფლობს ედინბურგის ბიზნეს სკოლის (EBS) მაგისტრის ხარისხს. |
|--|---|

ბ) 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორები/აქციონერები;

5%-ზე მეტის მფლობელი პირდაპირი და არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერების შესახებ ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის 1.3.1.4 პუნქტში.

გ) ინფორმაცია ზემოთჩამოთვლილ პირებს შორის ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით;

„კომპანიის“ მენეჯმენტის განცხადებით მსგავსი კავშირი არ არის სახეზე.

14.2 პუნქტში ჩამოთვლილი პირების შესაბამისი გამოცდილების შესახებ ინფორმაცია და შემდეგი მონაცემები:

ა) ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე;

| პირი | კომპანია | პოზიცია | პოზიციის დაკავების პერიოდი: |
|--------------------|---|--|-----------------------------|
| მაგდა მალრაძე | ა(ა)იპ ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის სააგენტო (ს/ნ 405365849) | დირექტორი | 22.11.2019 - დღემდე |
| მაგდა მალრაძე | ა(ა)იპ ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქი (ს/ნ405367240) | დირექტორი/აღმასრულებელი დირექტორი | 02.12.2019 - დღემდე |
| მაგდა მალრაძე | ა(ა)იპ ათასწლეულის ფონდი (ს/ნ 402144167) | დირექტორი/აღმასრულებელი დირექტორი | 06.09.2019 - დღემდე |
| მაგდა მალრაძე | ა(ა)იპ ათასწლეულის გამოწვევა (ს/ნ 404600543) | დირექტორი და გამგეობის წევრი | 24.09.2020 - დღემდე |
| მაგდა მალრაძე | ა(ა)იპ „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405250311) | გამგეობის წევრი | 25.01.2018 წლიდან დღემდე |
| გიორგი გვაზავა | შპს „ჯი-ფორსი“ (ს/ნ 422431586) | დირექტორი | 16/10/2015-19/05/2022 |
| გიორგი გვაზავა | კოოპერატივი „რკ. იდეალისტი“ (ს/ნ 422431407) | გამგეობის თავმჯდომარე | 28/04/2015-20/06/2023 |
| ირაკლი ოთარ რუხაძე | უცხოური საწარმოს ფილიალი „ჰანიველ პარტნერს (ბი.ვი.აი.) ლიმიტიდის წარმომადგენლობა - ჰანიველ პარტნერ სჯორჯია“ (ს/ნ 404413817) | დირექტორი | 16/04/2018 - დღემდე |
| ირაკლი ოთარ რუხაძე | შპს „ტელეიმედი“ (ს/ნ 202188612) | სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე | 24/11/2016 - დღემდე |
| ირაკლი ოთარ რუხაძე | შპს „ვილსონ გარდენი“ (ს/ნ 400300410) | სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე | 29/12/2020 – 18/07/2023 |

| | | | |
|--------------------|--|----------------------|---------------------------|
| ირაკლი ოთარ რუხაძე | შპს „ლერტექსი“ (ს/ნ 202266412) | დირექტორი | 25/03/2004 - დღემდე |
| ირაკლი ოთარ რუხაძე | შპს „AP მენეჯმენტი“ (ს/ნ 204522882) | გენერალური დირექტორი | 26/01/2007 – 31/07/2023 |
| ბექა გოგიჩაიშვილი | შპს „გრემკო“ (ს/ნ 404597174) | დირექტორი | 12/06/2020 – 05/05/2022 წ |
| ბექა გოგიჩაიშვილი | შპს „ჯორჯიან ოფორთიუნითი ფონდი“ (ს/ნ 404633385) | დირექტორი | 25/03/2022 – 01/07/2022 წ |
| იგორ ალექსევი | შპს „რუსთავის ინდუსტრიული ჯგუფი“ (ს/ნ 406051659) | დირექტორი | 14/07/2011 – 22/10/2021 |

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრის მონაცემებით, მაღლა ჩამოთვლილი კომპანიების გარდა, ბოლო 5 წლის განმავლობაში ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრები სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს წევრებად ან/და ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირებად რეგისტრირებული არ არიან/არ ყოფილან.

ბ) არსებობის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის მანძილზე გამოვლენილი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტების შესახებ ინფორმაცია;

„კომპანიის“ მენეჯმენტის მხრიდან მოწოდებულია შემდეგი ინფორმაცია:

2020 წლის მაისში ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ რეგიონალური მასშტაბით განხორციელდა საცალო ოქროს სალომბარდე სესხების პორტფელის შემოწმება. შემოწმების მიმდინარეობისას ქ. ოზურგეთის ერთ-ერთი სერვის-ცენტრის საცავში დაცული, ოქროს სალომბარდე სესხის უზრუნველყოფის სახით სპეციალურ ქისებში მოთავსებული ოქრო შიდა აუდიტის თანამშრომლის მიერ მიჩნეულ იქნა საეჭვოდ. შედეგად, შიდა აუდიტის დეპარტამენტისა და ბანკის სხვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოხდა აღნიშნული შემთხვევის მოკვლევა რის შედეგადაც დადგინდა რომ ბანკის ექსპერტ შემფასებელი, რომლის სამუშაო აღწერილობაც მოიცავდა სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ოქროს შეფასებას, სინჯის დადგენას და მომხმარებელთან შესაბამისი სესხის ხელშეკრულების გაფორმებას, თაღლითური გზით ახდენდა სესხის ხელშეკრულებების გაფორმებას, ხოლო უზრუნველყოფაში ოქროს ნაცვლად იღებდა ღირებულების არმქონე ნივთებს.

თაღლითური ქმედებების განხორციელებაში ბანკის თანამშრომლებთან ერთად ასევე მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ კლიენტები. ჯამში, ზემოაღნიშნული თაღლითური სქემით სესხი გაიცა დაახლოებით 80 კლიენტზე, ხოლო ბანკისთვის მინიჭებულმა ზიანმა, ყალბი სესხების ძირი თანხების სახით შეადგინა დაახლოებით 3,500,000 ლარი.

იმჟამად მოქმედი სადაზღვევო პოლისის პირობების გათვალისწინებით, მზღვეველის მიერ განხორციელდა თაღლითურად გაცემული სესხების ძირი თანხების ბანკისთვის ანაზღაურება.

2021 წლის აპრილში ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა საეჭვო გარემოებები ქ. ბათუმის ერთ-ერთ სერვის-ცენტრში, რის საფუძველზეც განხორციელდა საკითხის ირგვლივ არსებული გარემოებების დეტალური მოკვლევა. შედეგად დადგინდა, რომ ქ. ბათუმის სერვის-ცენტრის მენეჯერი მართლსაწინააღმდეგოდ ახდენდა ბანკის კლიენტების ანგარიშებზე არსებული თანხების მითვისებას, მათ შორის ანაბრების დარღვევას და ნაშთის მითვისებას, არავტორიზებული სალაროს გასავლის ოპერაციებს, გადარიცხვებს, მომხმარებლებს უფორმებდა ანაბრის ხელშეკრულებებს, ანაბრის ხელშეკრულებებს არ ასახავდა პროგრამულად და თანხას იღებდა ნაღდი ფულის სახით ან/და მომხმარებელს განზრახ შეცდომაში შეყვანით არიცხინებდა არამიზნობრივ ანგარიშზე.

თაღლითური სქემის ფარგლებში ჯამურად იდენტიფიცირებული იქნა 36 დაზარალებული კლიენტი, ხოლო თაღლითური ქმედებების განხორციელების შედეგად მითვისებულმა თანხის ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 2,146,000 ლარი, 178,000 აშშ დოლარი და 80,000 ევრო. ბანკის მიერ განხორციელდა დაზარალებული კლიენტებისთვის შესაბამისი ზიანის ანაზღაურება, ხოლო იმჟამად მოქმედი სადაზღვევო პოლისის პირობების გათვალისწინებით, მზღვეველმა აუნაზღაურა ბანკს დაზარალებული კლიენტებისთვის გადახდილი ძირი თანხები.

ზემოაღნიშნული ფაქტების გამოვლენის შედეგად გარკვეული პერიოდით დაგვიანდა შესაბამისი წლების აუდიტული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება. გარე აუდიტორის მიერ გადამოწმდა შესაბამისი ფაქტები, მათ შორის მომხდარი თაღლითური ქმედებების შესაძლო გავლენა საანგარიშგებო და გასულ წლებზე, შეფასდა შესაძლო ზარალის მატერიალურობა, რის შემდეგაც 2019, ისევე როგორც 2020 კალენდარული წლების აუდიტული ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება, ნაცვლად მომდევნო წლის 15 მაისისა, როგორც ეს დადგენილია „მარეგულირებელი კანონმდებლობით“, მოხდა 2020 წლის ივლისში და შესაბამისად, 2021 წლის აგვისტოში.

გ) არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე იმ კომპანიების გაკოტრების, ლიკვიდაციის შესახებ, რომელშიც ამ პირებს ეკავათ ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობები;

კომპანიის მენეჯმენტის განცხადებით, მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

14.3 ინტერესთა კონფლიქტი

14.3.1 ამ დანართის 14.2 „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტში ჩამოთვლილი პირების კერძო და ემიტენტთან დაკავშირებულ მოვალეობებს/პასუხისმგებლობებს შორის არსებული პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, ან იმის მითითება, რომ მსგავს კონფლიქტს ადგილი არ აქვს.

არ არის რელევანტური.

14.3.2 ამ დანართის 14.2 პუნქტში ჩამოთვლილ პირებსა და ძირითად აქციონერებს, მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის ნებისმიერი შეთანხმების აღწერა, რომლის შემდეგაც ამ დანართის 14.2 პუნქტში მითითებული ნებისმიერი პირი არჩეულ იქნა დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წევრად.

არ არის რელევანტური.

14.3.3 ამ დანართის 14.2 პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიმართ არსებული შეზღუდვის დეტალები ემიტენტის ფასიან ქაღალდებში მათი წილების გასხვისებასთან დაკავშირებით

კომპანიის მენეჯმენტის ინფორმაციით მსგავს შეზღუდვებს ადგილი არ აქვს

14.4 ამ პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების ჯამური ოდენობა და ე.წ. დამატებითი ბენეფიტები⁷.

| | 2022 | 2023 | 1H 2023 | 1H 2024 |
|--|------|------|---------|---------|
|--|------|------|---------|---------|

⁷ ინფორმაცია ემყარება სებ-ს ვებ-გვერდზე განთავსებული ბანკის წლიურ პილარ-3 ანგარიშგებას (<https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Annual>). ინფორმაცია მოიცავს ყველა იმ პირზე

| | აუდირებული | აუდირებული | არა-აუდირ- რებული | არა-აუდირ- რებული |
|------------------------------|------------|------------|----------------------|----------------------|
| სამეთვალყურეო საბჭოს წევრები | 732,918 | 782,471 | 396,335 | 412,250 |
| დირექტორთა საბჭოს წევრები | 4,367,718 | 3,819,269 | 595,268 | 783,825 |

ცხრილში აღნიშნული წლიური ანაზღაურებები მოიცავს შესაბამისი კალენდარული წლისთვის გამომუშავებულ ფიქსირებულ და ცვალებად ანაზღაურებას, ხოლო ნახევარწლიური ანაზღაურება მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და დირექტორთა საბჭოს წევრებზე გაცემულ მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას 2023 წლის და შესაბამისად 2024 წლის პირველ ნახევარში, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებზე გაცემული დამატებითი ბენეფიტების ოდენობას, მათ შორის ჯანმრთელობის დაზღვევის, დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში დამსაქმებლის მიერ გადასახდელი თანხები და სხვა. რაც შეეხება წლიურ ცვალებად ანაზღაურებას (გამომუშავებული ბონუსი), მისი მინიჭება ხდება კალენდარული წლის დასრულების შემდეგ, მომდევნო წელს, გასული წლის წლიური შედეგებისა და KPI შედეგების გათვალისწინებით. ამასთან, კონკრეტულ წელს მინიჭებული ცვალებადი ანაზღაურება შესაძლებელია გადავადდეს ბანკის ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად და მისი გადახდა მოხდეს მომდევნო კალენდარული წლების განმავლობაში.

15 მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა

15.1 დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმდინარე კონტრაქტის ვადის ამოწურვის თარიღი და კომპანიაში მუშაობის პერიოდი. მათი ძირითადი საქმიანობის აღწერა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 21 (ოცდაერთი) წევრით. სამეთვალყურეო საბჭო და თითოეული ხმის უფლების მქონე აქციონერი უფლებამოსილია დაასახელოს კანდიდატ(ებ)ი სამეთვალყურეო საბჭოში ასარჩევად. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით, მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. თუ წევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება მომდევნო საერთო კრების ჩატარების თარიღამდე, მისი უფლებამოსილება გაგრძელებულად მიიჩნევა მომდევნო საერთო კრების ჩატარებამდე. სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს უფლება აქვს გადადგეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისთვის გადადგომამდე სულ მცირე 4 (ოთხი) კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია გადადგეს თანამდებობიდან საბჭოს ნებისმიერი წევრისთვის სულ მცირე 4 (ოთხი) კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან:

| სახელი | კომპანიაში მუშაობის გამოცდილება | კონტრაქტის ვადიანობა, წლები | უფლებამოსილების ვადის გასვლის წელი |
|--------|---------------------------------------|--------------------------------|--|
|--------|---------------------------------------|--------------------------------|--|

გაცემულ ანაზღაურებას, რომელიც შესაბამისი წლის რაიმე მონაკვეთში, მათ შორის არასრული წლის განმავლობაში იკავებდა დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას

| | | | |
|----------------------|--------|---|------------|
| მურთაზ კიკორია | 4 წელი | თავდაპირველად არჩეულ იქნა 4 წლის ვადით, ხელახლა იქნა არჩეული დამატებით 3 წლის ვადით | 28.06.2026 |
| მაგდა მალრაძე | 4 წელი | თავდაპირველად არჩეულ იქნა 4 წლის ვადით, ხელახლა იქნა არჩეული დამატებით 6 თვის ვადით | 04.12.2024 |
| ირაკლი ოთარ რუხაძე | 6 წელი | თავდაპირველად არჩეულ იქნა 4 წლის ვადით, ხელახლა იქნა არჩეული დამატებით 4 წლის ვადით | 20.07.2027 |
| მამუკა წერეთელი | 5 წელი | თავდაპირველად არჩეულ იქნა 4 წლის ვადით, ხელახლა იქნა არჩეული დამატებით 3 წლის ვადით | 20.12.2025 |
| ბრუნო ხუან ბალვანერა | 1 წელი | არჩეულია 4 წლის ვადით | 04.08.2026 |

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის აღწერა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საქმიანობის დეტალური აღწერა იხ. წინამდებარე პროსპექტის 14.1. პუნქტში.

დირექტორთა საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადა

ემიტენტის დირექტორთა საბჭოს წევრები არიან:

| სახელი | კომპანიაში მუშაობის გამოცდილება | კონტრაქტის ვადიანობა, წლები | კონტრაქტის ვადის გასვლის წელი |
|---------------------|---------------------------------|---|-------------------------------|
| ვახტანგ ბაბუნაშვილი | 3 წელი | დანიშნულია 15 თვის ვადით, ავტომატური პროლონგაციის პირობით | 03.11.2024 |
| ბექა გოგიჩაიშვილი | 3 წელი | დანიშნულია 3 წლის ვადით | 01.05.2025 |
| გიორგი გვაზავა | 1 წელი | დანიშნულია 33 თვის ვადით | 02.06.2025 |

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ ბაბუნაშვილთან დადებულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება. იმის გათვალისწინებით, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საწარმოსა და მისი ხელმძღვანელი ორგანოს წევრს შორის ფორმდება სასამსახურო ხელშეკრულება, მოქმედ ხელშეკრულებაზე გავრცელდება სასამსახურო ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები.

დირექტორთა საბჭოს წევრების საქმიანობის აღწერა

ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს დირექტორატი, რომლის წევრებსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორისა და დირექტორებისგან. გენერალურ დირექტორს და თითოეულ დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორატი წესდებით ან/და „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორატის შემადგენლობის ნახევარზე მეტით. დირექტორატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს გენერალური დირექტორი.

დირექტორატს ან/და დირექტორებს უფლება აქვთ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელონ „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ და ბანკის წესდებით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების დელეგირება სხვა პირებზე ან/და სტრუქტურულ ერთეულ(ებ)ზე.

ბანკის გენერალური დირექტორი უფლებამოსილია მოახდინოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისა და საკუთარი ფუნქციების დელეგირება ბანკის დირექტორატის წევრ(ებ)ზე, შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელ(ებ)ზე, ფილიალებისა და სერვის-ცენტრების ხელმძღვანელ(ებ)ზე და ნებისმიერ პირ(ებ)ზე, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს გენერალური დირექტორი.

დირექტორთა საბჭოს წევრების საქმიანობის დეტალური აღწერა იხ. წინამდებარე პროსპექტის 14.1. პუნქტში.

15.2 ინფორმაცია ემიტენტის აუდიტისა და რისკების კომიტეტების შესახებ, რომელიც მოიცავს კომიტეტის წევრების სახელებსა და კომიტეტის საქმიანობის აღწერას

ინფორმაცია „ემიტენტის“ აუდიტისა და რისკების კომიტეტების შესახებ, რომელიც მოიცავს კომიტეტის წევრების სახელებსა და კომიტეტის საქმიანობის აღწერას, დეტალურად იხ. წინამდებარე „პროსპექტის“ 14.1. პუნქტში.

15.3 კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა და პროსპექტის რელევანტურ ნაწილებზე მითითება.

„ემიტენტის“ მართვის უმაღლესი ორგანოებია: (ა) აქციონერთა საერთო კრება; (ბ) სამეთვალყურეო საბჭო; და (გ) დირექტორთა საბჭო და გენერალური დირექტორი. კომპანიის აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის ფუნქციებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი დეტალურად იხ. პროსპექტის 14.1. და 15.1 პუნქტებში.

16 თანამშრომლები

16.1 თანამშრომელთა რაოდენობა

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია თანამშრომლების რაოდენობა თითოეული პერიოდისთვის:

| | 2022 | 2023 | 1H 2023 | 1H 2024 |
|--------------------------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| მუდმივ შტატზე | | | | |
| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა | 6 | 6 | 6 | 6 |
| საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა | 135 | 105 | 113 | 93 |
| სხვა თანამშრომლები | 4,672 | 4,625 | 4,589 | 4,783 |
| დროებით დასაქმებული | | | | |
| დროებითი თანამშრომლები | 887 | 1,121 | 1,067 | 1,355 |
| სულ თანამშრომლები | 5,700 | 5,857 | 5,656 | 6,233 |

16.2 წილების ფლობა

„კომპანიაში“ წილის ფლობა პროსპექტის შედენის მომენტში:

ა). მმართველი ორგანო

„კომპანიის“ დირექტორთა საბჭოს წევრებიდან მხოლოდ ერთი პირი, გენერალური დირექტორი ბექა გოგიჩაიშვილი ფლობს 80,000 ცალ პრივილეგირებულ აქციას.

დირექტორთა საბჭოს სხვა წევრები არ ფლობენ „კომპანიის“ ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიდან მხოლოდ ირაკლი ოთარ რუხაძე ფლობს „კომპანიის“ ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს. ირაკლი ოთარ რუხაძე არის „კომპანიის“ მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი-ს 31.9%-ის ბენეფიციარი მესაკუთრე, შესაბამისად იგი არაპირდაპირ ფლობს ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი-ს კუთვნილ ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს (იხილეთ პროსპექტის 1.3.1.4 ქვეთავი).

სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრები არ ფლობენ „კომპანიის“ ჩვეულებრივ ან/და პრივილეგირებულ აქციებს.

ბ) 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორები/აქციონერები;

ბანკის ძირითადი საბოლოო ბენეფიციალური მფლობელები არიან ბატონი ირაკლი ოთარ რუხაძე (31.47%), ბატონი ბენჯამინ ალბერტ მარსონი (31.47%) და ბატონი იგორ ალექსეევი (31.47%). ემიტენტის 5%-ზე მეტი წილის მქონე პირდაპირი და არაპირდაპირი აქციონერების შესახებ ინფორმაცია დეტალურად მოცემულია პროსპექტის 1.3.1.4. და 8.1. პუნქტებში. მათ შორის, პროსპექტის 8.1. პუნქტში შეგიძლიათ იხილოთ „ბანკის“ მფლობელობის დიაგრამა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის მდგომარეობით.

სხვა არცერთი პირი არ ფლობს პირდაპირ ან ირიბად „ბანკის“ 5%-ზე მეტს.

16.3 ემიტენტის კაპიტალში თანამშრომლების მონაწილეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია.

„კომპანიას“ ამჟამად არ გააჩნია აციების საბონუსე სისტემა ან „კომპანიის“ კაპიტალში თანამშრომელთა ტანამონაწილეობს რაიმე სახის სქემა ან აქციებით ანაზღაურების გეგმა (ESOP). „კომპანიას“ წინა წლებში გააჩნდა აქციებით ანაზღაურების გეგმა (ESOP), თუმცა შემდგომში მოხდა მისი გაუქმება. ESOP-ის გაუქმების ეფექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ამ „პროსპექტის“ 20.1.1 პუნქტში.

17 მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები)

17.1 ნებისმიერი პირის სახელი, რომელსაც 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილი აქვს ემიტენტის კაპიტალში, თითოეული ამ წილის ოდენობის დაკონკრეტებით

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით „კომპანიას“ შემდეგი აქციონერები ჰყავდა:

| აქციონერი | აქციათა წილი | ხმის უფლება |
|---|--------------|-------------|
| სს „გალტ & თაგარტი“ (ს/კ 211359206) (ანგარიშის მწარმოებელი) | 95.81% | 99.23% |
| სხვა აქციონერები (თითოეული ფლობს აქციათა და ხმის უფლების 5%-ზე ნაკლებს) | 4.19% | 0.77% |

სს „გალტ & თაგარტი“ კომპანიის აქციებს ფლობს როგორც „ანგარიშის მწარმოებელი“ და მოქმედებს ანგარიშის „მფლობელის“ სასარგებლოდ, მის მიერ გაცემული მითითებისა და მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

პროსპექტის მომზადების მდგომარეობით „კომპანიის“ „ანგარიშის მფლობელებს“ წარმოადგენდნენ:

| აქციონერი | აქციათა წილი | ხმის უფლება |
|--|--------------|-------------|
| ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი | 95.12% | 98.51% |
| სხვა ანგარიშის მფლობელები (თითოეული ფლობს აქციათა და ხმის უფლების 5%-ზე ნაკლებს) | 4.88% | 1.49% |

მმართველი ორგანოების (დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო) წევრებიდან ბანკში წილს ფლობს მხოლოდ ირაკლი ოთარ რუხაძე. იგი არის ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი.-ის და შესაბამისად ბანკის ბენეფიციარი მესაკუთრე და არაპირდაპირ ფლობს ბანკის ხმის უფლების მქონე აქციების 31.47%-ს. დანარჩენი ბენეფიციარი მესაკუთრეებიდან მნიშვნელოვანი წილის მფლობელები არიან ბენჯამინ ალბერტ მარსონი და იგორ ალექსევი, რომელთაგან თითოეული ფლობს ჩვეულებრივი აქციების 31.47%-ს. ხმის უფლების დაანგარიშებაზე განმარტება იხილეთ პროსპექტის 1.3.1.4 პუნქტში.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ბანკმა გააუქმა სახაზინო (საკუთარი) აქციები.

ემიტენტის 5%-ზე მეტი წილის მქონე პირდაპირი და არაპირდაპირი აქციონერების შესახებ ინფორმაცია დეტალურად მოცემულია პროსპექტის 1.3.1.4. და 8.1. პუნქტებში. მათ შორის, პროსპექტის 8.1. პუნქტში შეგიძლიათ იხილოთ „ბანკის“ მფლობელობის დიაგრამა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის მდგომარეობით.

17.2 იმ ფაქტის დაკონკრეტება, აქვთ თუ არა განსხვავებული ხმის უფლებები 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს (პარტნიორებს)

„კომპანიის“ აქციონერებს თანაბარი ხმის უფლებები აქვთ.

17.3 ემიტენტის კაპიტალში 5%-ზე მეტი წილის პირდაპირი და არაპირდაპირი მაკონტროლებლები და მფლობელები, ამ კონტროლის აღწერა

ბანკის ძირითადი საბოლოო ბენეფიციალური მფლობელები არიან ბატონი ირაკლი ოთარ რუხაძე (31.47%), ბატონი ბენჯამინ ალბერტ მარსონი (31.47%) და ბატონი იგორ ალექსეევი (31.47%). ემიტენტის 5%-ზე მეტი წილის მქონე პირდაპირი და არაპირდაპირი აქციონერების შესახებ ინფორმაცია დეტალურად მოცემულია პროსპექტის 1.3.1.4. და 8.1. პუნქტებში. მათ შორის, პროსპექტის 8.1. პუნქტში შეგიძლიათ იხილოთ „ბანკის“ მფლობელობის დიაგრამა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის მდგომარეობით.

17.4 ემიტენტისთვის ცნობილი ნებისმიერი გარიგების აღწერა, რომელიც უკავშირდება ემიტენტის კონტროლის სტრუქტურაში სამომავლო ცვლილებებს.

„ემიტენტისთვის“ „პროსპექტის“ წარდგენის მომენტში მსგავსი გარიგებები ცნობილი არ იყო.

18 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან წლის განმავლობაში განხორციელებული ტრანზაქციები და წლის ბოლოს არსებული ნაშთები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| ‘000 ლარი | 1H 2024 არა-აუდირებული | | |
|--|------------------------|------------------------------|--------------------------------|
| | მფლობელები | საერთო კონტროლის ქვეშ პირები | უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა |
| 1 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი სესხები, მთლიანი | 8,053 | 562 | 504 |
| წლის განმავლობაში გაცემული სესხები | 364 | 571 | 190 |
| სესხის დაფარვა წლის განმავლობაში | (5) | (576) | (327) |
| 30 ივნისის მდგომარეობით დასაფარი მთლიანი სესხები | 8,412 | 557 | 367 |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი ივნისის მდგომარეობით | (408) | (24) | (1) |
| 30 ივნისის მდგომარეობით დასაფარი წმინდა სესხები | 8,004 | 533 | 366 |
| გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები | -- | -- | 17 |
| საპროცენტო შემოსავალი სესხებზე | 326 | 39 | 15 |
| ანაბრები 1 იანვრის მდგომარეობით | -- | 10,771 | 732 |
| წლის განმავლობაში მიღებული ანაბრები | -- | 1,435 | 1,727 |
| წლის განმავლობაში დაფარული ანაბრები | -- | -- | (656) |
| სხვა ცვლილების დინამიკა | -- | 298 | -- |
| ანაბრები 30 ივნისის მდგომარეობით | -- | 12,504 | 1,803 |
| მიმდინარე ანგარიშები 30 ივნისის მდგომარეობით | 49 | 3,974 | 116 |
| ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო ხარჯი | -- | 453 | 30 |

| | | | |
|---|----|---|---|
| შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | 41 | 9 | 1 |
|---|----|---|---|

| '000 ლარი | 1H 2023 არა-აუდიტირებული | | |
|--|--------------------------|------------------------------|--------------------------------|
| | მფლობელები | საერთო კონტროლის ქვეშ პირები | უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა |
| 1 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი სესხები, მთლიანი | 8,083 | 396 | 763 |
| წლის განმავლობაში გაცემული სესხები | 39 | 260 | 152 |
| სესხის დაფარვა წლის განმავლობაში | (288) | (46) | (480) |
| 30 ივნისის მდგომარეობით დასაფარი მთლიანი სესხები | 7,834 | 610 | 435 |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი ივნისის მდგომარეობით | (489) | (1) | (4) |
| 30 ივნისის მდგომარეობით დასაფარი წმინდა სესხები | 7,345 | 609 | 431 |
| გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები | 406 | 5 | 1 |
| საპროცენტო შემოსავალი სესხებზე | 312 | 33 | 17 |
| ანაბრები 1 იანვრის მდგომარეობით | -- | 11,818 | 568 |
| წლის განმავლობაში მიღებული ანაბრები | -- | 1 | 149 |
| წლის განმავლობაში დაფარული ანაბრები | -- | (1,000) | (16) |
| სხვა ცვლილების დინამიკა | -- | (337) | -- |
| ანაბრები 30 ივნისის მდგომარეობით | -- | 10,482 | 701 |
| მიმდინარე ანგარიშები 30 ივნისის მდგომარეობით | 185 | 3,962 | 229 |
| ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო ხარჯი | -- | 308 | 9 |
| შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | 1 | 13 | 1 |

| '000 ლარი | 2023 აუდიტირებული | | |
|---|-------------------|------------------------------|--------------------------------|
| | მფლობელები | საერთო კონტროლის ქვეშ პირები | უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა |
| 1 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი სესხები, მთლიანი | 8,083 | 396 | 762 |
| წლის განმავლობაში გაცემული სესხები | 47 | 265 | 1,206 |
| სესხის დაფარვა წლის განმავლობაში | (77) | (99) | (1,464) |
| 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი მთლიანი სესხები | 8,053 | 562 | 504 |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით | (463) | (21) | (2) |

| | | | |
|--|--------------|---------------|------------|
| 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი წმინდა სესხები | 7,590 | 541 | 502 |
| გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები | - | - | 7 |
| საპროცენტო შემოსავალი სესხებზე | 636 | 71 | 29 |
| ანაზრები 1 იანვრის მდგომარეობით | - | 11,818 | 568 |
| წლის განმავლობაში მიღებული ანაზრები | - | 3 | 292 |
| წლის განმავლობაში დაფარული ანაზრები | - | (1,000) | (128) |
| სხვა ცვლილების დინამიკა | - | (50) | - |
| ანაზრები 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | 10,771 | 732 |
| მიმდინარე ანგარიშები 31 დეკემბრის მდგომარეობით | 249 | 3,894 | 169 |
| ანაზრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო ხარჯი | - | 575 | 21 |
| შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | 42 | 21 | 2 |

| '000 ლარი | 2022 აუდირებული | | |
|---|-----------------|------------------------------|--------------------------------|
| | მფლობელები | საერთო კონტროლის ქვეშ პირები | უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა |
| 1 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი სესხები, მთლიანი | 7,635 | 7,382 | 897 |
| წლის განმავლობაში გაცემული სესხები | 7,390 | 100 | 67 |
| სესხის დაფარვა წლის განმავლობაში | (6,942) | (7,086) | (202) |
| 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი მთლიანი სესხები | 8,083 | 396 | 762 |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით | (489) | (1) | (4) |
| 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი წმინდა სესხები | 7,594 | 395 | 758 |
| გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები | - | - | 6 |
| საპროცენტო შემოსავალი სესხებზე | 680 | 38 | 52 |
| ანაზრები 1 იანვრის მდგომარეობით | - | 12,405 | 40 |
| წლის განმავლობაში მიღებული ანაზრები | - | - | 584 |
| წლის განმავლობაში დაფარული ანაზრები | - | - | (16) |
| სხვა ცვლილების დინამიკა | - | (587) | (40) |
| ანაზრები 31 დეკემბრის მდგომარეობით | - | 11,818 | 568 |
| მიმდინარე ანგარიშები 31 დეკემბრის მდგომარეობით | 275 | 7,548 | 115 |
| ანაზრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე საპროცენტო ხარჯი | 1 | 823 | 16 |
| შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან | 2 | 16 | 2 |

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულებს მიეკუთვნებიან ის ორგანიზაციები, რომლებზეც „კომპანიის“ აქციონერები გარკვეულ კონტროლს ახორციელებენ და რომლებიც „კომპანიის“ დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა შედგებოდა 6 ადამიანისგან (2022 წ.: 6) და მათი ანაზღაურება მოიცავდა შემდეგს:

| ‘000 ლარი | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|--|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| ხელფასები, პრემიები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი | 5,085 | 2,006 | 991 | 1,196 |

19 ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია

19.1 წლიური ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები უკანასკნელი 2 წლისთვის.

თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

იხილეთ პუნქტი 9.1

სრული შემოსავლების ანგარიშგება

იხილეთ პუნქტი 9.2

ფულადი ნაკადების მოძრაობა

იხილეთ პუნქტი 10.3

19.2 ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო თარიღის შეცვლის შემთხვევა

თუ ემიტენტმა შეიცვალა სააღრიცხვო თარიღი, წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგებები უნდა ფარავდეს სულ მცირე 24 თვეს.

თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის.

„ემიტენტს“ არ შეუცვლია სააღრიცხვო თარიღი.

19.3 "სააღრიცხვო სტანდარტი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებული უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად."

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს/IFRS) შესაბამისად.

19.4 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

თუ ემიტენტი ამზადებს ორივეს - საკუთარ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ან ორივე მათგანი.

პროსპექტში წარმოდგენილია „ემიტენტის“ კონსოლიდირებული ანგარიშგებები.

19.5 წარდგენილი ფინანსური ინფორმაციით დაფარული პერიოდი

19.5.1 ბოლო ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო თარიღი არ უნდა იყოს ქვემოთ ჩამოთვლილზე უფრო ადრინდელი:

ა) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 18 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს აუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას.

ბ) პროსპექტის შედგენის თარიღამდე 16 თვეზე უფრო ადრინდელი, თუ ემიტენტი სარეგისტრაციო დოკუმენტში იყენებს არააუდირებულ ფინანსურ ინფორმაციას;

„პროსპექტში“ წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.

19.6 შუალედური და სხვა ფინანსური ინფორმაცია

19.6.1 თუ ემიტენტის მიერ ხდება კვარტლური ან ნახევარწლიური ანგარიშგების გამოქვეყნება ბოლო აუდირებული ანგარიშგების თარიღის შემდეგ, ისინი უნდა შედიოდეს სარეგისტრაციო დოკუმენტში. თუ კვარტლური ან ნახევარწლიური ფინანსური ინფორმაცია აუდირებულია, უნდა მოხდეს მისი თან დართვა. თუ არ არის აუდირებული - მითითებულ უნდა იქნას ამის შესახებ

ემიტენტის მიერ ხდება კვარტლური ანგარიშგების გამოქვეყნება სებ-ის რეგულაციების შესაბამისად. ანგარიშგებების ნახვა შეიძლება შემდეგ ბმულზე: <https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Quarter>

ემიტენტი ასევე აქვეყნებს ნახევარ-წლიურ IFRS ანგარიშგებებს რომლებიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://libertybank.ge/ka/chven-sheakheb/investorebistvis/pinansuri-inpormatsia/audited-financial-statements>

19.6.2 თუ პროსპექტის შედგენის თარიღამდე ბოლო აუდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდეგ 9 თვე ან მეტია გასული, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს შუალედურ ფინანსურ ინფორმაციასაც, რომელიც შესაძლოა არ იყოს აუდირებული (ეს ფაქტი უნდა მიეთითოს) და ასევე უნდა მოიცავდეს მიმდინარე ფინანსური წლის სულ მცირე პირველი 6 თვის მონაცემებს.

შუალედური ფინანსური ანგარიშგებები უნდა მოიცავდეს წინა წლის შესაბამისი პერიოდის შესადარის მონაცემებს და შედგენილი უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

„პროსპექტი“ მოიცავს სრული 2023 და 2022 წლის აუდირებულ მონაცემებს და 2023 და 2024 წლების არააუდირებული ნახევარ-წლიურ მონაცემებს.

19.7 წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი

წლიური ფინანსური ანგარიშგებები შემოწმებულ უნდა იქნას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ის მომზადებული უნდა იყოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

თუ აუდიტის დასკვნა პირობითია, მოდიფიცირებული, უარყოფითი, უარი დასკვნაზე ან მოიცავს მნიშვნელოვანი გარემოების ხაზგასმას (emphasis of matter), უნდა მოხდეს ამგვარი უარის ან პირობების დეტალების და მათი მიზეზების ჩართვა პროსპექტის აღნიშნულ ნაწილში;

ამასთან, არსებობის შემთხვევაში, ამავე ნაწილში უნდა მოხდეს მითითება, თუ პროსპექტში წარმოდგენილი რა ინფორმაციის დადასტურება მოხდა აუდიტის მიერ, გარდა აუდირებული ფინანსური ანგარიშგებისა;

„კომპანიის“ 2023 და 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება და 2023 და 2024 წლების ნახევარ-წლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად და აუდირებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტორმა ორივე წლისთვის უპირობო დასკვნა გამოხატა.

19.8 პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია

ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში (მაგ: შერწყმა, შესყიდვა), ტრანზაქციის ეფექტის აღწერა ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე ფინანსურ შედეგზე იმ დაშვებით რომ ის მოხდა ანგარიშგების საწყისი ან საბოლოო თარიღისთვის.

ეს მოთხოვნა როგორც წესი, შესრულებდა პროსპექტში დანართი 6-ით განსაზღვრული პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაციის ჩართვით. ის იმავე სტანდარტებით უნდა იყოს მომზადებული, როგორც წლიური ფინანსური ანგარიშგებები.

„კომპანიას“ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის შესყიდვის ან გაერთიანების გარიგებაში, რის გამოც პრო-ფორმა ფინანსური მონაცემების საჭიროება არ არის.

19.9 დივიდენდების პოლიტიკა

„კომპანიას“ არ აქვს დამტკიცებული დივიდენდების პოლიტიკა. აკუმულირებული წმინდა მოგების განაწილება ხდება წლიურ ჭრილში, წესდებით გათვალისწინებული წესით. კერძოდ, დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე.

წლიური აუდიტორული შემოწმების დასრულებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში (მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, წლიური აქციონერთა საერთო კრების ჩატარებამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე) ბანკის

დირექტორატმა უნდა მოამზადოს წინადადება მოგების განაწილების შესახებ და წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად. მოგების განაწილების შესახებ წინადადებაზე შეთანხმების შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორატმა აქციონერთა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ ერთობლივი წინადადება. თუ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი ვერ შეთანხმდებიან მოგების განაწილების შესახებ წინადადებაზე, დირექტორატმა და სამეთვალყურეო საბჭომ აქციონერთა საერთო კრებას უნდა წარუდგინონ დამოუკიდებელი წინადადებები. მოგების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს/დამტკიცდეს აქციონერთა საერთო კრების მიერ და განაწილდეს წესდებით დადგენილი პროცედურის დაცვით.

აქციონერზე გაცემული დივიდენდი, რომელსაც ეს აქციონერი არ მიიღებს, დივიდენდის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) წლის შემდეგ, უნდა გაუქმდეს და ბანკისთვის მისი მოთხოვნა დაუშვებელია.

19.9.1 წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისთვის ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდის ოდენობა.

ბოლო ორი წლის და 2023 და 2024 წლების ექვსი თვის განმავლობაში ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდი ბანკს არ გაუცია.

დივიდენდების გაცემა მხოლოდ პრივილეგირებულ აქციებზე ხდება, რომლის გადახდაც ყოველწლიურად სტანდარტულად წლიური 17%-ის ოდენობით ხდება. 2022 წელს ბანკმა დივიდენდი გადაიხადა 4,565,384 ცალ პრივილეგირებულ აქციაზე. გადახდილი დივიდენდის ოდენობა შეადგენს 0.17 ლარს ერთ ცალ პრივილეგირებულ აქციაზე და შესაბამისად 776,115.28 ლარს ყველა განაღდებულ პრივილეგირებულ აქციაზე. ანალოგიური ოდენობის დივიდენდი იქნა გადახდილი 2023 წელსაც.

2024 წლის 6 თვეში პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების გადახდა არ მომხდარა.

19.10 სასამართლო პროცესები

ინფორმაცია ნებისმიერი სასამართლო (მათ შორის სავარაუდო სასამართლო დავების შესახებ, რომელსაც ემიტენტი ელის) პროცესის შესახებ სულ მცირე უკანასკნელი 12 თვის მანძილზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ან უკვე მოახდინა ემიტენტის ან ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა თუ მომგებიანობაზე, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში - შესაბამისი განაცხადი;

ა) საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე დავები

„კომპანია“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აწარმოებდა დაახლოებით 150 საკრედიტო სასამართლო დავას, სადაც ემიტენტი წარმოადგენს მოსარჩელე მხარეს და ამასთან დავის ღირებულება თითოეულ შემთხვევაში აღემატება 50,000 ლარს ან ექვივალენტს. საკრედიტო სასამართლო დავების დარჩენილი ჯამური სასარჩელო მოთხოვნა შეადგენს დაახლოებით 13,000,000 ლარს, 50,000 ევროს და 1,300,000 აშშ დოლარს. აღნიშნული საკრედიტო დავების გარდა, რაც დამახასიათებელია საბანკო სფეროსთვის, ემიტენტი ასევე აწარმოებს არა-საკრედიტო დავებს, რომელთა დარჩენილი ჯამური სასარჩელო მოთხოვნა შეადგენს დაახლოებით 9,000,000 ლარს, 80,000 ევროს და 750,000 აშშ დოლარს. ამას გარდა, „კომპანია“ ჩართულია 20 მიმდინარე შრომით დავაში, ჯამური ღირებულება მოცემულ ეტაპზე არ აღემატება 530,000 ლარს, ხოლო დასრულებული 26 შრომითი დავიდან, ძირითადი ნაწილი დასრულდა ბანკის სასარგებლოდ ან მორიგებით. შრომითი დავების გარდა, „კომპანია“ 67 სასამართლო დავაში წარმოადგენს მოპასუხე მხარეს, რომელთა ჯამური ღირებულება მოცემულ ეტაპზე არ აღემატება 3,210,000 ლარს, 330,000 აშშ დოლარს და 415,000 ევროს.

რაც შეეხება შრომით-სამართლებრივ დავებს, ისინი კომპანიის ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის თანმდევა, კომპანიის მენეჯმენტის განცხადებით არ არის მატერიალური და გავლენას ვერ მოახდენს ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობასა და მომგებიანობაზე.

ზემოაღნიშნული მატერიალური საკრედიტო დავებიდან მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე ემიტენტს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შექმნილი აქვს 10,8 მილიონი ლარის ოდენობის რეზერვი. იმ დავებთან მიმართებით, სადაც ემიტენტი მოპასუხედ არის ჩართული, მოსალოდნელი ზარალი არ არის არსებითი ემიტენტის ფინანსური მდგომარეობისთვის და ამ ეტაპზე, კომპანიას არ უდგას შესაბამისი რეზერვების შექმნის საჭიროება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანია აწარმოებს ორ ადმინისტრაციულ დავას პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის და შრომის ინსპექციის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების გაუქმების მოთხოვნით. დავები ჯერ-ჯერობით პირველ ინსტანციაშია და საბოლოო გადაწყვეტილება არ დამდგარა. თუმცა, კომპანიისათვის პოტენციური სამართლებრივი შედეგის კუთხით, დავები არამატერიალური ხასიათისაა.

ბანკი ასევე წარმოადგენს მოპასუხე მხარეს შვეიცარიაში დაფუძნებული კომპანია Metalloinvest Trading AG-ის წინააღმდეგ სასამართლო დავაში. 2023 წლის ოქტომბერში Metalloinvest AG-მ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც ითხოვს ბანკში გახსნილ მის კუთვნილ ანგარიშზე განთავსებულ ნაშთზე ბლოკის მოხსნას და ზიანის ანაზღაურებას ანგარიშზე ბლოკის არსებობის პერიოდის მანძილზე, აღნიშნული თანხის დეპოზიტზე განთავსების შემთხვევაში მისაღები საპროცენტო სარგებლის პროპორციულად.

Metalloinvest Trading AG-ს ბანკმა ანგარიში გაუხსნა 2022 წლის ოქტომბერში. 2023 წლის 12 აპრილს, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწესებული ფინანსური და ეკონომიკური სანქციების რეჟიმის შესაბამისად Metalloinvest Trading AG დასაჩქირდა ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სააგენტოს (OFAC) მიერ. OFAC-ის მიერ დაწესებული სანქციებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის მიცემული მითითებების შესაბამისად, ბანკმა დაბლოკა Metalloinvest Trading AG-ის საბანკო ანგარიში და მასზე არსებული ფულადი სახსრები და უარი უთხრა მას საბანკო ოპერაციებისა და ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებაზე, მათ შორის, ანგარიშზე არსებული ნაშთის გატანის/გადარიცხვის ოპერაციაზე იმ დრომდე, ვიდრე Metalloinvest Trading AG-ის მიმართ არ განხორციელდება OFAC-ის მიერ დაწესებული სანქციების მოხსნა.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ბანკი მოქმედებდა „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად, ბანკის ინტერესების დაცვის მიზნით და ბანკის მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ყველა არსებული გარემოების გათვალისწინებით სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ბანკის სასარგებლოდ, არსებობს ალბათობა, რომ ბანკმა ვერ მოიგოს აღნიშნული დავა, რა შემთხვევაშიც ბანკს მოუწევს Metalloinvest Trading AG-ისთვის მისი კუთვნილი ფინანსური სახსრების დაბრუნება (რაც შეადგენს 5,189,000 ევროს) და ზიანის ანაზღაურება დაბლოკილი თანხის წლიური 2.65%-ის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ Metalloinvest Trading AG-ის მიერ მოთხოვნილი ზიანი იანგარიშება თანხის დეპოზიტზე განთავსების შემთხვევაში არსებული საპროცენტო სარგებლის განაკვეთის მიხედვით, შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დავის ეტაპი დროში გაიწელება, პროპორციულად გაიზრდება მოთხოვნილი ზიანის ოდენობაც.

ზემოაღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით ბანკს წარდგენილი აქვს შესაგებელი. სასამართლო სხდომა 2024 წლის განმავლობაში რამდენჯერმე გადაიდო და მოცემულ ეტაპზე მისი გამართვის თარიღი ცნობილი არ არის.

ბ) ბანკის ბენეფიციარი მესაკუთრეები ჩართული არიან 2018 წლიდან ინგლისში მიმდინარე სასამართლო დავაში. დავის საგანია ბენეფიციარ მესაკუთრეთა მხრიდან ფიდუციური ვალდებულებების შესაძლო დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ამჟამად გადაწყვეტილება გასაჩივრებულია და დავის განხილვა მიმდინარეობს გაერთიანებული სამეფოს უზენაეს სასამართლოში.

დავა განხილულ იქნა ინგლისისა და უელსის სასამართლოს კომერციული პალატის მიერ (Commercial Court of the High Court of Justice). დავის დაცვის მხარეს წარმოადგენდნენ „ბანკის“ მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრეები - ირაკლი ოთარ რუხაძე, იგორ ალექსეევი და ბენჯამინ ალბერტ მარსონი. მოსარჩელე მხარე აცხადებდა რომ „ბანკის“ ბენეფიციარი მესაკუთრეების მხრიდან Salford Capital Partners და

Revoker LLP-ში (შემდგომში „კომპანიები“) დაკავებული პოზიციებიდან გადადგომა წარმოადგენდა მათ მიერ ფიდუციური ვალდებულებების დარღვევას და აღნიშნულის შედეგად მოსარჩელე მხარეს წაერთვა შესაძლებლობა, გაეფორმებინა აქტივების მოძიების ხელშეკრულება და გაეწია შესაბამისი მომსახურება. კერძოდ, მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა რომ ბენეფიციარმა მესაკუთრეებმა გამოიყენეს „კომპანიების“ ბიზნეს შესაძლებლობა და „კომპანიებში“ დაკავებული პოზიციებიდან გადადგომის შემდეგ გააფორმეს აქტივების მოძიების მომსახურების ხელშეკრულება, რომელი მომსახურებაც თავად „კომპანიებს“ უნდა გაეწიათ.

2018 წლის ნოემბერში სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნა. სასამართლომ ჩათვალა რომ ბენეფიციარ მესაკუთრეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიდუციური ვალდებულებების დარღვევას. აღნიშნულის შემდგომ, დავის მეორე ეტაპზე სასამართლოს უნდა დაედგინა მოპასუხეთა მიერ გადასახდელი ფულადი კომპენსაციის ოდენობა. სასამართლომ დაადგინა რომ მოსარჩელე მხარეს ეკუთვნოდა დაახლოებით 140,000,000 აშშ დოლარი, დამატებული სარგებელი და იურიდიული ხარჯები 30,000,000 აშშ დოლარის ოდენობით.

მოპასუხე მხარე არ დაეთანხმა სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას და წარადგინა სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა ნება დართო მოპასუხეებს, გადაწყვეტილება გაესაჩივრებინათ უზენაეს სასამართლოში, რის შემდეგაც მოპასუხე მხარემ საჩივარი წარადგინა უზენაეს სასამართლოში და მოცემულ ეტაპზე დავის განხილვა გრძელდება უზენაეს სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ ეტაპზე ცნობილი არ არის, მოპასუხეებმა უკვე გადაიხადეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ფულადი კომპენსაციის დიდი ნაწილი. მოსარჩელე მხარისთვის გადახდილ იქნა 86.4 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო დამატებით 28 მილიონი აშშ დოლარი განთავსდა ესქრო ანგარიშზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ მიმდინარე დავის ფარგლებში უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ვერ განხორციელდება მოპასუხეთა პოზიციის გაუარესება და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობა შესაძლოა მხოლოდ შემცირდეს.

„ბანკი“ ისევე როგორც მისი მშობელი კომპანიები, არ წარმოადგენენ ზემოაღნიშნული დავის მხარეებს და აღნიშნული სამართალწარმოების მიმდინარეობას არ მოუხდენია ზეგავლენა „ბანკის“ ბიზნეს და საოპერაციო საქმიანობაზე. გადა ამისა, „ბანკის“ მენეჯმენტის ღრმა რწმენით, მიმდინარე სამართალწარმოება არც მომავალში მოახდენს უარყოფით გავლენას „ბანკის“ საოპერაციო და ბიზნეს საქმიანობაზე.

19.11 ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა

ბოლო ფინანსური პერიოდის შემდეგ, რომლისთვისაც წარდგენილია აუდირებული ანგარიშგება ან შუალედური არააუდირებული ინფორმაცია, ემიტენტის ან მისი ჯგუფის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა, ან ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში - ამგვარი განაცხადი.

კომპანიის მენეჯმენტის ინფორმაციით ემიტენტის ბოლო ფინანსური პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

20 დამატებითი ინფორმაცია

20.1 კაპიტალი

20.1.1 პროსპექტში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია პროსპექტში წარმოდგენილი უახლესი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის:

განცხადებული კაპიტალის ჯამური ოდენობა; ამასთან, აქციის თითოეული კლასისთვის:

ა) გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობა;

ბ) გამოშვებული და ბოლომდე ანაზღაურებული ან გამოშვებული და ნაწილობრივ ანაზღაურებული აქციების რაოდენობა;

გ) აქციების ნომინალური ღირებულება;

დ) მათთან დაკავშირებული უფლებების, შეზღუდვების აღწერა.

ემიტენტის ნებადართული, გამოშვებული, სრულად განაღდებული, გამოსყიდული, ESOP და მიმოქცევაში მყოფი აქციების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| ჩვეულებრივი აქციები | 2022 აუღირებელი | 2023 აუღირებელი | 1H 2023 არა-აუღირებელი | 1H 2024 არა-აუღირებელი |
|---|--------------------|--------------------|---------------------------|---------------------------|
| აქციის ნომინალური ღირებულება (ლარი) | 0.01 | 0.01 | 0.01 | 0.01 |
| ნებადართული სააქციო კაპიტალი | 29,000,000,000 | 4,489,682,955 | 4,449,046,175 | 4,489,682,955 |
| გამოშვებული აქციები | 5,502,254,354 | 4,489,682,955 | 4,449,046,175 | 4,489,682,955 |
| სრულად განაღდებული აქციები | 5,462,874,509 | 4,449,046,175 | 5,502,254,354 | 4,449,046,175 |
| გამოსყიდული აქციები | 1,013,828,327 | -- | 1,013,828,327 | -- |
| Stichting Liberty ESOP-ის მფლობელობაში არსებული აქციები | 39,379,845 | -- | -- | -- |
| პერიოდის განმავლობაში მიმოქცევაში მყოფი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა | 4,488,426,027 | 4,449,046,175 | 4,449,046,175 | 4,449,046,175 |

„ემიტენტის“ აქციები წარმოადგენს ჩვეულებრივ აქციებს, რომლებსაც აქვთ ხმის მიცემის და კომპანიის მოგებაში მონაწილეობის „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ გათვალისწინებული უფლებები და ისინი წესდებით არ არის შეზღუდული.

2023 წელს მოხდა ნებადართული სააქციო კაპიტალის შემცირება 29,000,000,000 აქციიდან 4,489,682,955 აქციამდე. აღნიშნულ ქმედებას არ ჰქონია გავლენა „ემიტენტის“ განაღდებული კაპიტალის მოცულობაზე და მისი მიზანი იყო ბანკის საწესდებო კაპიტალის სტრუქტურს აღქმადობის გამარტივება.

2023 წელს ასევე მოხდა გამოსყიდული აქციების და Stichting Liberty ESOP-ის მფლობელობაში არსებული აქციების გაუქმება. აღნიშნულ ქმედებებს ასევე არ ჰქონიათ გავლენა „ემიტენტის“ განაღდებული კაპიტალის მოცულობაზე.

„ემიტენტის“ მენეჯმენტის განცხადებით, მათთვის არ არის ცნობილი აქციების გასხვისებასთან დაკავშირებით არსებული რაიმე შეზღუდვის შესახებ, გარდა იმ შეზღუდვისა, რაც მითითებულია ანგარიშის მწარმოებლის, Galt & Taggart-ის წერილში. კერძოდ, Galt & Taggart-ის 2023 წლის 01 ივნისის წერილის თანახმად, Georgian Financial

Group B.V.-ს კუთვნილი ფასიანი ქაღალდები, კერძოდ, 4,270,672,478 ჩვეულებრივი აქცია, დატვირთულია ფინანსური გირავნობით სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ და შესაბამისად, ეხება გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეზღუდვები.

Georgian Financial Group B.V.-ის მიერ საქართველოს ბანკიდან აღებული სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს: (i) სესხის გაცემა Georgian Financial Group B.V.-ის ბენეფიციარ მფლობელებზე, ან/და მასთან დაკავშირებულ სხვა პირ(ებ)ზე დიდი ბრიტანეთის სასამართლოებში ბენეფიციარების მიმართ დავის ფარგლებში არსებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის მიზნით;; (ii) საკრედიტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით ფინანსური მრჩევლებისთვის და იურიდიული მომსახურებისთვის გაწეული ხარჯების დაფარვა; და (iii) შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კაპიტალიზირებული პროცენტის და საკომისიოების გადახდა.

თითოეული ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 0.01 ლარს (ერთი თეთრი). ვინაიდან როგორც სესხის, ისე ფინანსური გირავნობის ხელშეკრულების მხარეს წარმოდგენს Georgian Financial Group B.V., და არა კომპანია, ამ უკანასკნელისთვის უცნობია და არ არის ხელმისაწვდომი მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა პირობები.

გარდა აღნიშნულისა, სხვა შეზღუდვები ან სხვა შეთანხმებები ბანკის აქციებთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე არ არსებობს.

| კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები | 2022 აუდირებული | 2023 აუდირებული | 1H 2023 არა-აუდირი- რებული | 1H 2024 არა-აუდირი- რებული |
|---|--------------------|--------------------|----------------------------------|----------------------------------|
| პრივილეგირებული აქციის ნომინალური ღირებულება (ლარი) | 1.00 | 1.00 | 1.00 | 1.00 |
| გამოშვებული პრივილეგირებული აქციები | 4,565,384 | 4,565,384 | 4,565,384 | 4,565,384 |
| პრივილეგირებული აქციის დივიდენდის განაკვეთი | 17.0% | 17.0% | 17.0% | 17.0% |

კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები მუდმივია და მათი კონვერტირება, მფლობელის სურვილისამებრ, შეიძლება ბანკის ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაციის ფასით, რომელიც წარმოადგენს წინა კალენდარული წლის ბოლოსთვის ბანკის კაპიტალის სააღრიცხვო ღირებულების 1.05-ზე გამრავლებულ ოდენობას, მიმოქცევაში არსებულ ერთ ჩვეულებრივ აქციაზე (გამოსყიდული აქციების გამოკლებით).

კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების განაკვეთი წელიწადში 17%-ია, გადაიხდება ყოველწლიურად და ექვემდებარება აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებას ყოველ წელს. დივიდენდები არ არის კუმულაციური.

პრივილეგირებული აქციები უვადო არიან, მათი შეთავაზება 2012 წლის 1 სექტემბერს დაიწყო და 2013 წლის 30 ივნისს დასრულდა. პრივილეგირებული აქციების კონვერტაცია შესაძლებელია „კომპანიის“ ჩვეულებრივ აქციებში უკანასკნელი წლიური IFRS ანგარიშგების შესაბამისად დათვლილი ერთი ჩვეულებრივი აქციის საბალანსო ღირებულების 105%-ად.

დივიდენდის გადახდა დამოკიდებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობის შედეგზე და კაპიტალის ადეკვატურობის გონივრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და შეიძლება, შეიზღუდოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

20.1.2 იმ წილების რაოდენობა, საბალანსო ღირებულება და ნომინალი, რომლებსაც თავად ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ფლობს

იხ. პროსპექტის 8.2. პუნქტი.

20.1.3 სააქციო კაპიტალის ისტორიული მონაცემები, მათ შორის ინფორმაცია ნებისმიერი ცვლილების შესახებ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი თითოეული წლისთვის.

იხ. პროსპექტის 20.1.1 პუნქტი.

20.1.4 ინფორმაცია აქციონერების უფლებებთან დაკავშირებით, ასევე განცხადებულ მაგრამ ჯერ არ გამოშვებულ კაპიტალთან ან კაპიტალის სამომავლო გაზრდასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ.

„მარეგულირებელი კანონმდებლობისა“ და კომპანიის წესდების მიხედვით, კაპიტალის გაზრდა მიეკუთვნება აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას. მოცემულ ეტაპზე ბანკის ნებადართული და განთავსებული კაპიტალი იდენტურია. შესაბამისად, ახალი აქციების გამოსაშვებად კომპანიას დაჭირდება აქციონერთა საერთო კრების მიერ ნებადართული კაპიტალის გაზრდა. ბანკის მენეჯმენტის ინფორმაციით, მოცემულ ეტაპზე ნებადართული კაპიტალის გაზრდა არ იგეგმება.

21 მატერიალური ხელშეკრულებები

პროსპექტის შედგენამდე 2 წლის განმავლობაში დადებული თითოეული კონტრაქტის პირობების მიმოხილვა, რომელიც უკავშირდება არსებით (მატერიალურ) ფაქტს და რომლის მხარეცაა ემიტენტი ან მისი ჯგუფის ნებისმიერი წევრი;

ა) დაფინანსების კონტრაქტები

ემიტენტის მატერიალური ხელშეკრულებები ძირითადად შედგება სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისა თუ ფონდისგან მომდებელი ფინანსური სახსრებით. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების აღწერა დეტალურად მოცემულია ამ პროსპექტის 10.1.1 პუნქტში. სხვადასხვა მოცულობისა თუ ვადიანობის ინსტრუმენტები აღებულია ისეთი ინსტიტუტებისგან, როგორცაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების კორპორაცია (DFC) და Microfinance Enhancement Facility sA, slcAv-sIF (Incofin). ინსტრუმენტები ბანკისთვის მოიცავს რიგ ფინანსურ, კორპორატიულ და საოპერაციო კოვენანტებს, სხვა კოვენანტებს შორის, რომელთა არსებითი ნაწილი მოცემულია პროსპექტის 10.1.1. პუნქტში, აღსანიშნავია, რომ შესაძლოა დაფინანსების კონტრაქტის აქსელერაცია გამოიწიოს კომპანიის მაჟორიტარი/მაკონტროლებელი აქციონერის ცვლილებამ (change of control), მიუხედავად აღნიშნული ცვლილების მიზეზისა, კომპანიის მიერ საერთაშორისო სანქციების დარღვევამ ან თუ მისი აქციონერი გახდა საერთაშორისო სანქციებს დაქვემდებარებული პირი, თუ მოხდა განსაზღვრული შეზღუდული გადახდები (მაგალითად, ემიტენტს ეკრძალება დივიდენდის გადახდა ნეგატიური წმინდა მოგების შემთხვევაში) და ა.შ.

თითოეული აღნიშნული ხელშეკრულება შეიცავს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ კოვენანტებს. არცერთი მათგანი არ ითვალისწინებს ემიტენტის ვალდებულებას მოიპოვოს ჩამოთვლილი პირების წინასწარი თანხმობა „ობლიგაციების“ ემისიამდე.

საგულისხმოა, რომ DFC-ს გაცემული აქვს რამდენიმე ვეივერი კოვენანტების დარღვევის გამო, რაც ძირითადად ეხებოდა ემიტენტის მიერ გარკვეული ანგარიშგების ვალდებულების დარღვევასა და პრივილეგირებული აქციების მფლობელთათვის დივიდენდის გადახდას წინა საანგარიშგებო წლის მანძილზე (2020 წლის) ნეგატიური წმინდა მოგების არსებობის პირობებში. აღნიშნული ვეივერით, DFC-მ ნება დართო ბანკს, გადაეხადა სავალდებულო დივიდენდი კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებისთვის, მიუხედავად წინა 2020 წლის ნეგატიური წმინდა მოგებისა.

ბ) ხელშეკრულება ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების საბანკო მომსახურების თაობაზე

2022 წლის 03 ივნისს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და „ლიბერთი ბანკ“-ს შორის ხელი მოეწერა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც, 105,000,000 ლარის მომსახურების საფასურის სანაცვლოდ ბანკი უზრუნველყოფს სახელმწიფო პენსიისა და სხვა სოციალური გასაცემლების დარიგებას 2029 წლის ბოლომდე. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის სურვილი იქნება სოციალური გასაცემლების ფარგლებში სასესხო პროდუქტით სარგებლობა და სესხის გაცემას ბანკი მიზანშეწონილად მიიჩნევს საკუთარი დაკრედიტების პოლიტიკების შესაბამისად, ბანკმა ბენეფიციარებისთვის სესხის გაცემა უნდა უზრუნველყოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, ხოლო წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს სესხის გაცემის მომენტში 6 თვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსისა (TIBR6M) და 15 (თხუთმეტი) პროცენტული პუნქტის ჯამურ ოდენობას და არ უნდა იცვლებოდეს სესხის ვადის ბოლომდე. ამასთან, ბენეფიციარს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე სახის დამატებითი ფინანსური ხარჯი.

ბანკი უზრუნველყოფს სოციალური გასაცემლების ბენეფიციარების კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე შესაბამისი გასაცემლების თანხების განთავსებას სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში. ამასთან,

ბენეფიციარის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს რომ ბენეფიციარებმა შეძლონ მათ ანგარიშზე განთავსებული სოციალური გასაცემლების თანხის უსასყიდლოდ გადატანა საქართველოში მოქმედ სხვა საბანკო დაწესებულებაში გახსნილ საბანკო ანგარიშზე.

ბანკს ეკისრება ჯარიმის/პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მათ შორის, სოციალური გასაცემლის ბენეფიციარის ანგარიშზე თანხის დაგვიანებით განთავსების, სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობის ან/და არასრულყოფილად მიწოდების, ბენეფიციარებზე სესხის გაცემის პირობების დარღვევის შემთხვევებზე.

ხელშეკრულება ძალაშია 2030 წლის 01 მარტამდე და უთითებს, რომ შესაძლოა შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაც ნიშნავს რომ ბანკის მიერ ნებისმიერი სახელშეკრულებო დარღვევა შესაძლოა იქცეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად, თუ აღნიშული დარღვევა არსებითია ან არ გამოსწორდა სააგენტოს მიერ დაწესებული დამატებითი ვადის მანძილზე.

გ) პორტფელის ნასყიდობის ხელშეკრულება

2022 წლის 03 მარტს ემიტენტსა და სს „ვითიბი ბანკ ჯორჯია“-ს შორის დაიდო აქტივისა და პასივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ემიტენტმა შეიძინა ხელშეკრულებით განსაზღვრული აქტივები (სასესხო პორტფელი) და პასივები (დეპოზიტების, სადეპოზიტო სერთიფიკატების და კომერციული საბარათე ანგარიშების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები). გარიგება განხორციელდა იმ პირობით, რომ გადაცემული პასივების ღირებულება იქნებოდა გადაცემული აქტივების ღირებულების 95%. მხარეთა შორის შეთანხმდა 5%-იანი დისკონტი.

მაღლა ჩამოთვლილი ხელშეკრულებების გარდა, მსგავსი ტიპის კონტრაქტები ემიტენტს არ გააჩნია, გარდა ჩვეულებრივი ბიზნეს-ოპერაციების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებისა.

22 გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი

22.1 იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია (რომლებზეც მითითება არის გაკეთებული) რეგისტრაციის დოკუმენტში; ასევე მითითება, თუ სად შეიძლება ამ დოკუმენტების გაცნობა ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით

გამოყენებული ანგარიშები

- 2023 და 2022 წლების აუდირებული ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა (ხელმისაწვდომია reportal.ge-ზე);
- 2023 და 2024 წლების არა-აუდირებული ნახევარ-წლიური ფინანსური ანგარიშგება (ხელმისაწვდომია reportal.ge-ზე);
- საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები (ხელმისაწვდომია nbg.ge-ზე);
- ემიტენტის წესდება (NAPR ნომერი: B23112326);
- ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულება

„ანგარიშის მფლობელებს“ აქვთ „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ასლის შესწავლის/გაცნობის უფლებამოსილება. ხელშეკრულება ხელმისაწვდომი იქნება „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ განსაზღვრულ ოფისში.

23 მნიშვნელოვანი ინფორმაცია

23.1 განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ, რაც გულისხმობს ემიტენტის მიერ გაკეთებულ დათქმას იმის თაობაზე, რომ საბრუნავი კაპიტალი საკმარისია ემიტენტის მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად ერთი წლის მანძილზე ან, თუ არ არის საკმარისი, როგორ აპირებს საჭირო დამატებითი საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფას

„კომპანია“ წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს - კომერციულ ბანკს. შესაბამისად მას არ გააჩნია ჩვეულებრივი კომპანიებისადმი დამახასიათებელი საბრუნავი კაპიტალი (მარაგები, სავაჭრო მოთხოვნები, სავაჭრო ვალდებულებები და ა.შ.)

როგორც კომერციული ბანკი, „კომპანია“ ვალდებულია დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული ლიკვიდურობის მაჩვენებლები. 2023 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით „კომპანიის“ ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი 108.7%-ს შეადგენდა, ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 127.2%-ს. ორივე კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა 100%-ს შეადგენს, შესაბამისად „კომპანიის“ მიერ მოკლევადიანი ლიკვიდურობის მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყო.

23.2 შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაგ, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი

| შეთავაზებაში ჩართული პირი | როლი შეთავაზებაში | ინტერესის აღწერა | ინტერესთა კონფლიქტის აღწერა |
|------------------------------|--------------------|--|--|
| შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ | მომწეობი | წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსება და სანაცვლოდ, კომპანიასთან შეთანხმებული საზღაურის მიღება. | „ობლიგაციების“ ემისიასთან მიმართებით, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი კომპანიას ან განთავსების აგენტს, ან განთავსების აგენტს და მის პროცესში ჩართულ სხვა რომელიმე პირს შორის. |
| შპს „ბიელსი“ (BLC) | იურიდიული მრჩეველი | BLC არის ტრანზაქციის იურიდიული მრჩეველი. მის კომპეტენციაშია კომპანიის სამართლებრივი შემოწმების დასრულება და შემოწმების შედეგების ემისიის პროსპექტის შესაბამის ნაწილებში ასახვა. კერძოდ, არსებითად BLC-ის მიერ მოხდა ემისიის პროსპექტის შემდეგი ნაწილების დაწერა: მიმდინარე სასამართლო დავები, არსებითი ხელშეკრულებები, კომპანიის კორპორატიული მართვის სტრუქტურის აღწერა, ობლიგაციებთან | მომსახურების ხელშეკრულების ეტაპზე მომსახურე იურიდიული ფირმის მიერ გადამოწმებული იქნა პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, რაც ამ ინდუსტრიაში დამკვიდრებული სტანდარტია. შესაბამისად, არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი „ბიელსი“-სა და კომპანიას შორის. |

| | | | |
|--|--|---|--|
| | | <p>დაკავშირებული საგადასახადო რეჟიმი და ასევე, ობლიგაციების პირობები.</p> <p>ვინაიდან გამჟღავნებული ინფორმაცია ეყრდნობა კომპანიიდან მიღებულ მონაცემებს, მათ სისწორეზე პასუხისმგებლობას კისრულობს კომპანია.</p> <p>BLC დაქირავებულია „კომპანიის“ მიერ.</p> | |
|--|--|---|--|

24 ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქალაქებს

24.1 შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქალაქის სახეობა (ტიპი) და კლასი

„ობლიგაციები“ წარმოადგენენ „კომპანიის“ პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ, სუბორდინირებულ, უვადო ვალდებულებებს pari passu (თანაბარი მოპყრობის პრინციპის) რიგითობით, ჩამოთვლილთა შორის ყოველგვარი უპირატესობის მინიჭების გარეშე.

„ობლიგაციების“ ემისია ხორციელდება კაპიტალის ადეკვატურობის რეგულატორული მოთხოვნების დაცვის მიზნითა და იმ განზრახვით, რომ ჩაითვალოს „ემიტენტის“ „დამატებით პირველად კაპიტალში“ (Additional Tier 1 Capital). „დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებს“, მათ შორის, აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

1. ინსტრუმენტებს აქვთ უნარი დაფაროს ზარალი წარმოშობისთანავე, რათა „ემიტენტმა“ ძირითადი შეფერხებების გარეშე შეძლოს ფუნქციონირება;
2. „ემიტენტი“ უფლებამოსილია ჰქონდეს თანხის განაწილების/გადახდის დისკრეციული უფლებამოსილება, შესაბამისად გადახდის შეჩერება არ იწვევს კომერციული ბანკის დეფოლტს და შესაძლებელია გადახდები მთლიანად იქნას გამოყენებული ზარალის დასაფარად;
3. ინსტრუმენტები სუბორდინირებულია დეპოზიტორების, არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისა და „ემიტენტის“ სუბორდინირებული ვალის მიმართ;
4. არ არის უზრუნველყოფილი და მასზე არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მასთან „დაკავშირებული პირის“ გაცემული გარანტია. ასევე მასზე არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას ანიჭებს კომერციული ბანკის კრედიტორებთან მიმართებაში; და
5. არის უვადო, საპროცენტო განაკვეთი არ იზრდება და არ არსებობს სხვა რაიმე მოტივაცია დაფარვისთვის.

24.2 კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქალაქების გამოშვება

ობლიგაციების გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

24.3 ინფორმაცია ცენტრალური დეპოზიტარის შესახებ

„ობლიგაციები“ აღირიცხება ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში.

მის: ვაჟა-ფშაველას 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, თბილისი 0186

24.4 ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქალაქი

„ობლიგაციები“ გამოშვებულია დემატერიალიზებული ობლიგაციების სახით, თითოეული 1,000 (ათასი) აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით (შემდგომში - „ნომინალური ღირებულება“).

„ობლიგაციები“ შესაძლოა გაიყიდოს მხოლოდ 24.2.1 პუნქტით განსაზღვრულ გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „აგრეგირებული მინიმალური ნომინალური ღირებულება“ ტოლია ან მეტია 100,000 (ასი ათასი) ლარის ექვივალენტზე აშშ დოლარში გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, „ობლიგაციების მფლობელ“ პირს არ მოეთხოვება მის საკუთრებაში არსებული „ობლიგაციების“ ჯამური ნომინალური ღირებულების „აგრეგირებულ მინიმალურ ნომინალურ ღირებულებამდე“ შევსება, თუ ვალუტის კურსის ცვლილების გამო მის მიერ შეძენილი ობლიგაციების საერთო ნომინალური ღირებულება ჩამოსცდება 100,000 (ასი ათასი) ლარის ექვივალენტს აშშ დოლარში.

24.5 გადახდისუნარიანობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში

„კომპანიის“ გადახდისუნარიანობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში (როგორც ეს განმარტებულია „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მიხედვით), „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებები რიგითობით:

1. სუბორდინირებულია დეპოზიტარების, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების, „კომპანიის“ ნებისმიერ ამჟამინდელი ან მომავალი სუბორდინირებული ვალდებულებების მიმართ, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც Tier 2 ინსტრუმენტებად „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სებ-ის ბრძანების შესაბამისად, ასევე „კომპანიის“ ნებისმიერი სხვა ამჟამინდელი ან მომავალი ვალდებულების მიმართ, რომლებიც „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ ან/და მისი პირობებით გათვალისწინებულ ფარგლებში, უპირატესია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებებზე.
2. უპირატესია „კომპანიის“ ძირითადი პირველადი კაპიტალის სალიკვიდაციო ოდენობის ნებისმიერ მოთხოვნაზე, და „კომპანიის“ სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ ან/და მათი პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, სუბორდინირებულია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებზე.

„ობლიგაციებზე“ არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც „ობლიგაციების მფლობელთა“ აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას მიანიჭებს „კომპანიის“ სხვა კრედიტორებთან მიმართებაში, რაც ნიშნავს იმას, რომ წინამდებარე „პროსპექტის“ არც ერთი პირობა არ უნდა იქნას განმარტებული იმგვარად, რომ „ობლიგაციების მფლობელებს“ მიენიჭებათ უპირატესობა „ემიტენტის“ კრედიტორებთან შედარებით (გარდა „ემიტენტის“ ძირითადი პირველადი კაპიტალიდან წარმოშობილი ვალდებულებებისა).

ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე პუნქტს (სუბორდინაციის პირობას) უნდა მიენიჭოს უპირატესობა „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ნებისმიერ ჩანაწერს ან პირობასთან მიმართებით.

24.6 იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა

24.6.1. ინფორმაცია შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების შესახებ

24.6.1.1. შეთავაზებული/სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ტიპი და კლასი

„ობლიგაციები“ (როგორც ქვემოთ არის განმარტებული) წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ, სუბორდინირებულ, უვადო ვალდებულებებს *pari passu* (თანაბარი მოპყრობის პრინციპის) რიგითობით, ჩამოთვლილთა შორის ყოველგვარი უპირატესობის მინიჭების გარეშე.

„ობლიგაციების მფლობელთა“ უფლებები და მოთხოვნები სუბორდინირებულია წინამდებარე პროსპექტის 24.5 მუხლის - „გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში“ - შესაბამისად.

„ობლიგაციების“ ემისია ხორციელდება კაპიტალის ადეკვატურობის რეგულატორული მოთხოვნების დაცვის მიზნითა და იმ განზრახვით, რომ ჩაითვალოს „ემიტენტის“ „დამატებით პირველად კაპიტალში“ (Additional Tier 1 Capital). „დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებს“, მათ შორის, აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- a) აქვს უნარი დაფაროს ზარალი წარმოშობისთანავე, წინამდებარე „ემისიის პროსპექტით“ განსაზღვრული ჩამოწერის მექანიზმით, რათა „ემიტენტმა“ არსებითი შეფერხებების გარეშე შეძლოს ფუნქციონირება;
- b) „ემიტენტი“ უფლებამოსილია ჰქონდეს თანხის განაწილების/გადახდის დისკრეციული უფლებამოსილება, შესაბამისად გადახდის შეჩერება არ იწვევს „ემიტენტის“ დეფოლტს და შესაძლებელია გადახდები მთლიანად იქნას გამოყენებული ზარალის დასაფარად;
- c) ინსტრუმენტები სუბორდინირებულია დეპოზიტარების, არაუზრუნველყოფილი კრედიტორებისა და „ემიტენტის“ მეორად კაპიტალად კლასიფიცირებულ ინსტრუმენტებთან მიმართებით;
- d) არ არის უზრუნველყოფილი და მასზე არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მასთან „დაკავშირებული პირის“ გაცემული გარანტია. ასევე მასზე არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას ანიჭებს „ემიტენტის“ კრედიტორებთან მიმართებაში; და
- e) არის უვადო, საპროცენტო განაკვეთი არ იზრდება და არ არსებობს სხვა რაიმე მოტივაცია დაფარვისთვის.

24.6.1.2. კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ხდება ფასიანი ქაღალდების გამოშვება

„ობლიგაციები“ გამოშვებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

24.6.1.3. ინფორმაცია ცენტრალური დეპოზიტარის შესახებ

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“

24.6.1.4. ინფორმაცია გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულების შესახებ

„ობლიგაციები“ გამოშვებულია დემატერიალიზირებული ფორმით, თითოეული 1,000 (ათასი) აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით.

„ობლიგაციები“ გამოშვებულია გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე გასაყიდად, რაც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეულ ასეთ ინვესტორზე ნებისმიერი ცალკეული ტრანზაქციის ფარგლებში გასხვისებული ყველა „ობლიგაციის“ აგრეგირებული ნომინალური ღირებულების ოდენობა („აგრეგირებულნომინალური ღირებულება“) ტოლია ან მეტია 100 000 ლარის ექვივალენტზე აშშ დოლარში („აგრეგირებული მინიმალური ნომინალური ღირებულება“), გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, „ობლიგაციების მფლობელ“ პირს არ მოეთხოვება მის საკუთრებაში არსებული ობლიგაციების „აგრეგირებული ნომინალური ღირებულების“ შევსება, თუ ვალუტის კურსის ცვლილების გამო მის მიერ შეძენილი ობლიგაციების საერთო ნომინალური ღირებულება ჩამოცდება 100 000 ლარის ექვივალენტს აშშ დოლარში.

24.6.1.5. შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და გადაწყვეტილება, რომლითაც ავტორიზებულია ემისია

შესაბამისი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფიქსირებულ საპროცენტო მარჟას „მარჟა“ % დამატებული „საანგარიშო ინდექსი“, რაც „პროსპექტის“ მიხედვით განისაზღვრება როგორც 5 წლიანი დაფარვის თარიღის მქონე USD SOFR (უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთი) საპროცენტო სვოპის საშუალო განაკვეთი (Mid-Swap Rate). უვადო, სუბორდინირებული, გამოსყიდვის ოფციის (როგორც ეს განსაზღვრულია 24.6.1.7.4 მუხლით) მქონე „დამატებითი პირველადი კაპიტალის“ „ობლიგაციების“ ემისია ავტორიზებულია „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით. „ობლიგაციების“ საბოლოო საპროცენტო სარგებელი დადგინდება სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (book-building-ის) პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით დროის ნებისმიერ მონაკვეთში შეწყდება „საანგარიშო ინდექსის“ გამოქვეყნება, მისი გამოყენება „ობლიგაციებზე“ დასარიცხი კუპონის კალკულაციის მიზნებისთვის გახდება უკანონო ან შეუძლებელი, „კომპანია“ საკუთარი შეხედულებისმებრ დაადგენს „ალტერნატიულ საანგარიშო ინდექსს“ და „რეგულირებად სპრედს“, რის საფუძველზეც „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ მოახდენს „ობლიგაციებზე“ დასარიცხი „პროცენტის“ დაანგარიშებას. „რეგულირებადი სპრედის“ დადგენის მიზანია დაიცვას როგორც „ემიტენტის“ ისე „ინვესტორთა“ უფლებები „საანგარიშო ინდექსის“ გაუქმების შემთხვევაში „ალტერნატიული საანგარიშო ინდექსის“ შემოღებით გამოწვეული ზიანისგან, როგორცაა „ინვესტორთა“ მიერ „ობლიგაციების“ ფლობიდან მისაღები სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირება ან „ემიტენტისთვის“ „ობლიგაციებზე“ პროცენტის სახით გადასახდელი არაგონივრულად მაღალი ხარჯი. „ალტერნატიული საანგარიშო ინდექსის“ ამოქმედების შემთხვევაში „კომპანია“ გაითვალისწინებს იმ დროისთვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ხელმისაწვდომ პრაქტიკას, შესაბამის მითითებებსა და სახელმძღვანელოებს.

„ალტერნატიული საანგარიშო ინდექსის“ ამოქმედების შემთხვევაში „კომპანია“ უფლებამოსილია:

- ა) უახლოესი „გადატვირთვის თარიღის“ დადგომამდე „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშება გააგრძელოს „საანგარიშო ინდექსის“ გამოყენებით, მისი ამოქმედების შეჩერების, გაუქმების, ან ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის თარიღამდე ბოლო დღეს დაფიქსირებული მაჩვენებლის საფუძველზე;
- ბ) დაადგინოს „რეგულირებადი სპრედის“ კალკულაციის ფორმულა ან მეთოდოლოგია, რა შემთხვევაშიც „ობლიგაციებზე“ დასარიცხი კუპონი იქნება „ალტერნატიული საანგარიშო ინდექსის“ დამატებული „რეგულირებადი სპრედი“. იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ განსაზღვრავს „რეგულირებად სპრედს“, „ობლიგაციებზე“ დასარიცხი კუპონის ოდენობა იქნება „ალტერნატიული საანგარიშო ინდექსის“ ტოლი;
- გ) „საანგარიშო ინდექსის“ აღდგენის, მისი გამოქვეყნების გაგრძელების შემთხვევაში „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის კალკულაციისთვის დაუბრუნდეს „საანგარიშო ინდექსის“ გამოყენებას ან განაგრძოს „ალტერნატიული საანგარიშო ინდექსის“ გამოყენება.

„ალტერნატიული საანგარიშო ინდექსის“ ამოქმედების შემთხვევაში „კომპანია“ უშუალოდ ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ საშუალებით შეატყობინებს „ინვესტორებს“ „ალტერნატიული საანგარიშო ინდექსის“ ამოქმედების თარიღამდე არანაკლებ 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე.

„ობლიგაციების“ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დადებულია კომპანიასა და შპს „ალფა კაპიტალ ედვიაზორს“, როგორც „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ („ფისკალური აგენტი“) შორის.

„ანგარიშის მფლობელებს“ (როგორც ეს ტერმინი ქვემოთ არის განმარტებული) აქვთ „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ასლის შესწავლის/გაცნობის უფლებამოსილება. ხელშეკრულება ხელმისაწვდომი იქნება „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ განსაზღვრულ ოფისში.

ასევე მიიჩნევა, რომ „ანგარიშის მფლობელები“ აცნობიერებენ და შეზოჭილნი არიან მოქმედი „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ყველა დებულებით, რომელიც მათზე ვრცელდება.

24.6.1.6. გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების რიგითობა ემიტენტის კაპიტალში

24.6.1.6.1. სუბორდინაცია

„კომპანიის“ გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში (როგორც ეს განმარტებულია „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მიხედვით), „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებები რიგითობით სუბორდინირებულია:

(a) დეპოზიტარების, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების, კომპანიის ნებისმიერ ამჟამინდელ ან მომავალ სუბორდინირებულ ვალდებულებების მიმართ, რომელიც კვალიფიცირდება მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტებად; (b) „ემიტენტის“ ნებისმიერი სხვა ამჟამინდელი ან სამომავლო ვალდებულების მიმართ, რომლებიც „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ უპირატესია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებზე.

„კომპანიის“ გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში (როგორც ეს განმარტებულია „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მიხედვით), „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებები რიგითობით უპირატესია:

a) „კომპანიის“ ძირითადი პირველადი კაპიტალის სალიკვიდაციო ოდენობის ნებისმიერ მოთხოვნაზე; და (b) „კომპანიის“ სხვა ვალდებულებებზე, რომლებიც „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად სუბორდინირებულია „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებთან.

„კომპანიის“ გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში (როგორც ეს განმარტებულია „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ მიხედვით), „კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებები რიგითობით თანაბარია „კომპანიის“ ნებისმიერი და ყველა სხვა იმ ვალდებულებასთან შედარებით, რომელიც „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად, წარმოადგენს „კომპანიის“ დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტს ან სარგებლობს გადახდის იმავე პრიორიტეტით.

„ობლიგაციებზე“ არ ვრცელდება რაიმე სახის იურიდიული ან ეკონომიკური პირობები, რომლებიც „ობლიგაციების მფლობელთა“ აღნიშნულ მოთხოვნას უპირატესობას მიანიჭებს „კომპანიის“ სხვა კრედიტორებთან მიმართებაში, რაც ნიშნავს იმას, რომ წინამდებარე „პროსპექტის“ არც ერთი პირობა არ უნდა იქნას განმარტებული იმგვარად, რომ „ობლიგაციების მფლობელებს“ მიენიჭებათ უპირატესობა „ემიტენტის“ კრედიტორებთან შედარებით (გარდა „ემიტენტის“ ძირითადი პირველადი კაპიტალიდან წარმოშობილი ვალდებულებებისა).

24.6.1.6.2. Pari Passu (თანაბარი) მოპყრობა

„კომპანიის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებები არის თანაბარი რიგითობის (*pari passu*), და უპირატესობა არ ენიჭება მათგან არც ერთს და ასევე თანაბარია ნებისმიერ მოთხოვნასთან „კომპანიის“ სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სუბორდინირებულ ვალდებულებებზე, რომლებიც კვალიფიცირდება „დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტებად“ და თანაბარია „კომპანიის“ სხვა ნებისმიერ სუბორდინირებულ ვალდებულებების მიმართ, რომლებიც „მარეგულირებელი კანონმდებლობით“, თანაბარია (*pari passu*) „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების მიმართ.

„ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ „ემიტენტის“ „დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტის“ (გარდა „ობლიგაციებისა“) მომავალ მფლობელებს, რომლებიც „ემიტენტის“ მიერ წინამდებარე პირობების „დამტკიცების თარიღის“ შემდეგ გამოშვებული ინსტრუმენტების მფლობელები გახდებიან, არ მიენიჭოს რაიმე სახის უპირატესობა ან პრიორიტეტი „ობლიგაციების მფლობელებთან“ შედარებით, მათ შორის გადახდების გაუქმების, შეჩერების ან ვალდებულების ჩამოწერის პროცესში.

ამასთან, „ემიტენტი“ აცხადებს ინვესტორების წინაშე, რომ „კომპანიაში“ დამკვიდრებული ანაზღაურების პოლიტიკის თანახმად, „კომპანიას“ არ წარმოეშობა მენეჯმენტზე გასაცემი ცვალებადი ანაზღაურების გაცემის ვალდებულება იმ პერიოდში, რომელი პერიოდის მანძილზეც შეჩერებულია გადახდები დამატებით პირველად კაპიტალად კლასიფიცირებულ ვალდებულებებთან მიმართებით. აღნიშნული (ა) გავლენას არ ახდენს ცვალებადი ანაზღაურების მიკუთვნებაზე (vesting) იმ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც მინიჭებულ (awarded) იქნა შეჩერებამდე პერიოდში; და (ბ) არ ზღუდავს „კომპანიას“ გასცეს ცვალებადი ანაზღაურება აკუმულირებადად, შეჩერებული საპროცენტო სარგებლის აღდგენის შემდეგ.

24.6.1.7. იმ უფლებებისა და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების სარგებლობის პროცედურა

24.6.1.7.1. უზრუნველყოფა

„ობლიგაციები“ არაუზრუნველყოფილია და „ობლიგაციებიდან“ წარმოშობილ ვალდებულებებზე არ ვრცელდება „კომპანიის“ ან მასთან „დაკავშირებული პირის“ მიერ გაცემული გარანტია. „ობლიგაციები“ არ ექვემდებარება იურიდიულ ან ეკონომიკურ პირობებს, რომლებიც ითვალისწინებს „ობლიგაციების მფლობელთათვის“ უპირატესობის მინიჭებას „კომპანიის“ სხვა კრედიტორებთან შედარებით (გარდა „ემიტენტის“ ძირითადი პირველადი კაპიტალიდან გამომდინარე ვალდებულებებისა).

24.6.1.7.2. შეზღუდვები პროცენტზე

(a) პროცენტის დისკრეციული გადახდა

„კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, თავისი დისკრეციის საფუძველზე, (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეაჩეროს ნებისმიერი „პროცენტის“ გადახდა, ქვემოაღნიშნული მუხლების 24.6.1.7.2.(f) (პროცენტის გაუქმების დაუშვებლობა „დამტკიცების მოვლენისას“) და 24.6.1.7.2.(g) (პროცენტის გაუქმების დაუშვებლობა „კაპიტალის მოვლენისას“) გათვალისწინებით. 24.6.1.7.2. (a) მუხლის შესაბამისად „კომპანიის“ გადაწყვეტილება „პროცენტის“ გადახდის შეჩერების შესახებ არ უნდა იქნეს განხილული დეფოლტად. ქვემოთ მოცემული 24.6.1.7.2. (e) (შეზღუდვა დივიდენდის განაწილებაზე) მუხლის შესაბამისად, „კომპანიას“ ექნება სრული წვდომა შეჩერებულ გადახდებზე, რათა დაფაროს სხვა დავალიანება მისი დაფარვის ვადის დადგომისას. ეს უკანასკნელი ასევე არ უნდა იქნას განხილული დეფოლტის შემთხვევად.

(b) შეზღუდვები პროცენტის გადახდაზე

„ემიტენტის“ მიერ „პროცენტის“ გადახდის ზემოაღნიშნული 24.6.1.7.2.(a) მუხლით (პროცენტის დისკრეციული გადახდა) გათვალისწინებული შეზღუდვის უფლების მიუხედავად:

- i. „პროცენტის გადახდა“ დაფინანსდება მხოლოდ „განაწილებადი ელემენტების“ მეშვეობით. შესაბამისად, „ემიტენტი“ გააუქმებს „პროცენტის“ გადახდას „პროცენტის გადახდის თარიღის“ დღეს, სრულად ან ნაწილობრივ, თუ გადასახდელი „პროცენტის“ ოდენობა, სხვა შესაბამის გასანაწილებელ ოდენობებთან ერთად, აღემატება „ემიტენტის“ „განაწილებადი ელემენტების“ რაოდენობას „პროცენტის გადახდის თარიღისას“.

- ii. თუ „ემიტენტი“ მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად ვალდებულია გააუქმოს „პროცენტის შესაბამისი გადახდები“ (მთლიანად ან ნაწილობრივ), ან თუ „პროცენტის“ გადახდით ირღვევა რომელიმე რეგულატორული მოთხოვნა/ შეზღუდვა ან „დამატებით პირველადი კაპიტალზე“ გადახდების აკრძალვა, „ემიტენტი“ „ობლიგაციებზე“ „პროცენტს“ მხოლოდ ნაწილობრივ გადაიხდის, ან გარემოებების შესაბამისად, საერთოდ გააუქმებს „ობლიგაციების“ შესაბამისი „პროცენტის“ გადახდას.
- iii. თუ „ზედამხედველი“, „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად, მოსთხოვს „ემიტენტს“ სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს შესაბამისი „პროცენტის“ გადახდა, მაშინ „ემიტენტი“ ნაწილობრივ გადაიხდის „ობლიგაციების“ შესაბამის „პროცენტს“, ან გარემოებების შესაბამისად, სრულად გააუქმებს „ობლიგაციების“ შესაბამისი „პროცენტის“ გადახდას.

(c) პროცენტის არაკუმულაციური გადახდები:

„ობლიგაციებზე“ „პროცენტის“ გადახდა არ არის კუმულაციური (არ ექვემდებარება დაგროვებას). შესაბამისად, თუ „ობლიგაციებზე“ „პროცენტის“ (ან მისი ნაწილის) გადახდა არ განხორციელდა წინამდებარე „პროსპექტის“ 24.6.1.7.2(a) მუხლით (პროცენტის დისკრეციული გადახდა) გათვალისწინებული „ემიტენტის“ გადაწყვეტილების შედეგად ან 24.6.1.7.2.(b) მუხლით (პროცენტის გადახდის შეზღუდვები) გათვალისწინებული გადახდის შეზღუდვების საფუძველზე, მაშინ „ობლიგაციების მფლობელთა“ უფლება, მიიღონ შესაბამისი „პროცენტი“ (ან მისი ნაწილი) შესაბამისი „პროცენტის გადახდის პერიოდისთვის“ გაუქმდება და „კომპანია“ აღარ იქნება ვალდებული გადაიხადოს აღნიშნული „პროცენტის პერიოდისთვის“ დარიცხული საპროცენტო სარგებელი (ან მისი ნაწილი), მიუხედავად იმისა, გადაიხდება თუ არა „ობლიგაციებზე“ „პროცენტი“ მომავალი „პროცენტის პერიოდისთვის“.

(d) პროცენტის გაუქმების შეტყობინება

„ემიტენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ არანაკლებ 10 (ათი) დღით ადრე 24.6.1.7.2.(a) (პროცენტის სარგებლის დისკრეციული გადახდა) მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი არჩევნისა და 24.6.1.7.2.(b) (საპროცენტო სარგებლის გადახდის შეზღუდვები) მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი შეზღუდვის გამოყენების შემთხვევაში და ვალდებულია მიუთითოს შესაბამისი გაუქმებისთვის გათვალისწინებული რაოდენობა და „ობლიგაციებზე“ შესაბამისი საპროცენტო სარგებლის თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც გადაიხდება შესაბამის „პროცენტის გადახდის დღეს“. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ზემოაღნიშნული შეტყობინებისთვის გათვალისწინებული ვადების დაცვა, „ემიტენტი“ ვალდებულია ზედმეტი დაყოვნებების გარეშე შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ „ობლიგაციების მფლობელებს“; ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი შეტყობინება უნდა განხორციელდეს შესაბამისი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“.

(e) დივიდენდის განაწილების და ცვალებადი ანაზღაურების გაცემის შეზღუდვა

თუ „პროცენტის“ რომელიმე დაგეგმილი გადახდა სრულად არ განხორციელდება „პროცენტის“ გაუქმების გამო და მანამ, სანამ არ აღდგება „ემიტენტის“ მიერ „პროცენტის“ გადახდები, „კომპანია“ უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

არ მოხდება „ჩვეულებრივ აქციაზე“ დივიდენდის გაცემა და/ან განაწილება ფულადი ან ნატურის სახით;

„კომპანია“ არ იკისრებს დირექტორატის წევრ(ებ)ზე ცვალებადი ანაზღაურების გაცემის ვალდებულებას იმ პერიოდში, რომელიც პერიოდის მანძილზე შეჩერებულია გადახდები დამატებით პირველად კაპიტალად კლასიფიცირებულ ვალდებულებებთან მიმართებით. აღნიშნული (ა) გავლენას არ ახდენს ცვალებადი ანაზღაურების მიკუთვნებაზე (vesting) იმ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც მინიჭებულ (awarded) იქნა შეჩერებამდე პერიოდში; და (ბ) არ ზღუდავს „კომპანიას“ გასცეს ცვალებადი ანაზღაურება აკუმულირებადად, შეჩერებული პროცენტის აღდგენის შემდეგ.

თითოეულ შემთხვევაში, მანამ, სანამ „ობლიგაციებზე“ გადასახდელი და ვადამოსული „პროცენტი“ მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღისთვის“ სრულად არ იქნება დაფარული ან სრულად არ დაიფარება „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები „ობლიგაციების“ გამოსყიდვის ან „ჩამოწერის ღონისძიების“ გამოყენების გზით, .იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციებზე“ „პროცენტის“ გადახდა არ არის კუმულატიური ხასიათის და გადაუხდელი „პროცენტი“ არ ექვემდებარება დაგროვებას იმ პერიოდ(ებ)ისთვის, როდესაც „ობლიგაციებზე“ „პროცენტის“ დარიცხვა / გადახდა შეჩერებული იყო „ემიტენტის“ გადაწყვეტილებით..

(f) პროცენტის გაუქმების დაუშვებლობა დამტკიცების მოვლენისას

თუ დადგა „დამტკიცების მოვლენა“, დაუშვებელია ზემოაღნიშნული 24.6.1.7.2 (a) მუხლის გამოყენება და შესაბამისად „ემიტენტს“ არ აქვს დისკრეციული უფლებამოსილება გააუქმოს „ობლიგაციებზე“ გადასახდელი „პროცენტი“ ნებისმიერ პროცენტის გადახდის თარიღზე. „ემიტენტმა“ უნდა აცნობოს „ობლიგაციების მფლობელებს“ 24.6.1.7.10 (შეტყობინებები) მუხლის შესაბამისად, გამოიცა თუ არა „საბოლოო დასკვნა“, „საბოლოო დასკვნის“ შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ ან, საჭიროებისამებრ, „დამტკიცების თარიღისთანავე“.

(g) პროცენტის გაუქმების დაუშვებლობა კაპიტალის მოვლენისას

იმ შემთხვევაში, თუ დადგება „კაპიტალის მოვლენა“, დაუშვებელია 24.6.1.7.2.(a) მუხლის გამოყენება იმ „ობლიგაციებზე“ (ან მათ ნებისმიერ ნაწილზე), რომლებიც აღარ არის ჩართული „ემიტენტის“ „დამატებით პირველად კაპიტალში“ „კაპიტალის მოვლენის“ დადგომის შედეგად („ბონდი რომელსაც შეეხო ჩამოწერის მოვლენა“). „ემიტენტს“ არ აქვს დისკრეციული უფლებამოსილება შეწყვიტოს ასეთ „ობლიგაციებზე“ „პროცენტის“ გადახდა „პროცენტის გადახდის ნებისმიერი თარიღის დღეს“ მანამ, სანამ ასეთი „კაპიტალის მოვლენა“ გრძელდება. „ემიტენტი“, ნებისმიერ შემთხვევაში, ზედმეტი დაყოვნების გარეშე, „კაპიტალის მოვლენის“ დადგომიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, ვალდებულია შეატყობინოს „ობლიგაციების მფლობელებს“ 24.6.1.7.10 (შეტყობინებები) მუხლის შესაბამისად. აღნიშნული შეტყობინება სავალდებულოდ უნდა ასახავდეს გონივრულ დეტალებს/ინფორმაციას „კაპიტალის მოვლენის“ დადგომის შესახებ.

(h) პროცენტის დაანგარიშება აღდგენის შემთხვევაში

24.6.1.7.2 (a) ქვეპუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება „ობლიგაციების“ აღდგენა 24.6.1.7.3 (e) ქვეპუნქტის შესაბამისად, პროცენტის დარიცხვა დაიწყება აღდგენის შემდეგ იმ მოცულობის ძირ თანხაზე სრულად, რომელიც აღდგენის ერთი ან რამდენიმე შემთხვევის შემდეგ აღდგა.

(i) უფლებამოსილი ორგანო

იმ შემთხვევაში, როდესაც პროცენტის გადახდის გაუქმების ან შეჩერების უფლებამოსილებას იყენებს „ემიტენტი“, „ზედამხედველის“ მითითების გარეშე, წინამდებარე 24.6.1.7.2 პუნქტის საფუძველზე პროცენტის გადახდების ნაწილობრივ ან სრულად გაუქმების ან შეჩერების უფლებამოსილება „ემიტენტს“ წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის გადაწყვეტილებას მოიწონებს „ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭო.

24.6.1.7.3. ჩამოწერის მოვლენა

(a) იმ შემთხვევაში თუ დადგება „ჩამოწერის მოვლენა“ და გაგრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც „ჩამოწერის ღონისძიებები“ შედის ძალაში (რაც დადგება „ჩამოწერის მოვლენის“ დადგომიდან 30 სამუშაო დღის გასვლის თარიღამდე („ჩამოწერის ღონისძიების ამოქმედების თარიღი“),

(i) შემდეგი გარემოებები წარმოიქმნება:

(1) „ობლიგაციების“ გადასახდელი ნებისმიერი დარიცხული და გადაუხდელი „პროცენტი“ არ გადაიხდება და არ აკუმულირდება. ხოლო „ემიტენტის“ „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები დარიცხული და გადაუხდელი „პროცენტების“ თანხებთან მიმართებით სრულად უნდა შეწყდეს (ასეთი ღონისძიება უნდა იქნას განმარტებული როგორც „პროცენტის გაუქმების ღონისძიება“ ან „პროცენტის გაუქმება“ და „გაუქმება“ ან „გაუქმებული“); და

(2) (A) „გამომწვევი მოვლენის“ შემთხვევაში, ემიტენტის ვალდებულება „ობლიგაციების“ „გადასახდელი ძირი თანხის“ დაფარვის, აგრეთვე ნებისმიერი ფულადი ზიანის გადახდის შესახებ უნდა შეწყდეს, რამდენადაც აღნიშნული აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ „CET1 კოეფიციენტი“ უდრიდეს 5.125 პროცენტს; ზემოაღნიშნული ვალდებულებები სრულად შეწყდება 24.6.1.7.3 (h) მუხლის შესაბამისად, თუ ასეთი შეწყვეტის შედეგად „CET1 კოეფიციენტი“ შეინარჩუნებს 5.125 პროცენტზე მეტ ნიშნულს; ან

(B) „სიცოცხლისუნარიანობის მოვლენის“ შემთხვევაში, „ემიტენტის ობლიგაციების“ „ძირი თანხის“ დაფარვის, აგრეთვე ნებისმიერი შესაბამისი „ფულადი ზიანის“ გადახდის შესახებ ვალდებულება სრულად ან ნაწილობრივ შეწყდება მხოლოდ 24.6.1.7.3. (h) მუხლის შესაბამისად.

თითოეული ასეთი ზომა ობლიგაციების ძირი თანხის მიმართ არის „ძირი თანხის ჩამოწერის ზომა“, ხოლო ნებისმიერი ფულადი ზიანის მიმართ არის „ფულადი ზიანის გაუქმების ღონისძიება“ და ტერმინები ჩამოწერა, ჩამოწერილი, „ფულადი ზიანის“ გაუქმება და გაუქმებული უნდა განიმარტოს შესაბამისად; და

(ii) „ჩამოწერის ზომების ამოქმედების თარიღის“ დადგომისას:

(a) ნებისმიერი შესაბამისი ფულადი ზიანი გაუქმდება;

(b) ნებისმიერი შესაბამისი დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი გაუქმდება სრულად;

(c) ჩამოწერის თანხა ჩამოიწერება.

(b) „ემიტენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ობლიგაციების მფლობელებს“ „ჩამოწერის მოვლენის“ შესახებ 24.6.1.7.10. (შეტყობინებები) მუხლის შესაბამისად (i) დაუყოვნებლივ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში „ჩამოწერის მოვლენის“ დადგომიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა; და ჩამოწერის ღონისძიების შესახებ „ჩამოწერის ღონისძიების“ ამოქმედებამდე არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა.

(c) „ნებისმიერი ფულადი“ ზიანი ან/და 24.6.1.7.3. მუხლის (ჩამოწერის მოვლენა) შესაბამისად გაუქმებული დარიცხული „პროცენტი“ არ აკუმულირდება, ასევე არ გადაიხდება შემდგომში ნებისმიერ დროს, მათ შორის, მაშინ, როდესაც „ჩამოწერის მოვლენა“ აღარ გრძელდება. „პროცენტის“ დარიცხვა და გადახდა დაუშვებელია მანამ, სანამ ჩამოწერის მოვლენა გრძელდება. „ემიტენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს „ობლიგაციების მფლობელებს“ 24.6.1.7.10 (შეტყობინებები) მუხლის შესაბამისად ნებისმიერი „ჩამოწერის მოვლენის“ შეწყვეტის შესახებ.

(d) „ობლიგაციების“ ძირი თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ „ჩამოწერის მოვლენის“ გამოსასწორებლად, ჩამოწერის ინსტრუმენტებისა და „ფულადი ზიანის“ პროპორციულად. დარიცხული პროცენტი შეიძლება გაუქმდეს „ფულადი ზიანისა“ და ჩამოწერის ინსტრუმენტებზე დარიცხული პროცენტის პროპორციულად იმ პირობით, რომ თითოეულ შემთხვევაში ჩამოწერა ან გაუქმება არ შეღავათებს უშუალოდ „ობლიგაციების“ ჩამოწერას ან „ობლიგაციებით“ გათვალისწინებული „ფულადი ზიანის“ ან პროცენტის გაუქმებას.

„ობლიგაციების“ ნებისმიერ „ფულადი ზიანის“ გაუქმებასთან, ან „პროცენტის“ გაუქმებასთან ან/და „ჩამოწერის“ შემთხვევაში, თუ შესაბამისი თანაფარდობა უნდა განისაზღვროს „ფულადი ზიანის“ ან პროცენტის გაუქმებისა და ობლიგაციების ჩამოწერის, ნებისმიერი ჩამოწერის ინსტრუმენტის, „ფულადი

ზიანის“, დარიცხული პროცენტისა და ვალდებულებების ძირი თანხების მიმართ პროპორციულობისთვის და თუ აღნიშნული ვალდებულებები არ არის დენომინირებული აშშ დოლარში, მიიჩნევა (მხოლოდ აღნიშნული მიზნებისთვის), რომ თანხები კონვერტირდება აშშ დოლარში იმ დროისთვის მოქმედი „სავალუტო კურსით“. კონვერტაციის პერიოდი დგინდება ემიტენტის დისკრეციის საფუძველზე, მისი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკისა და შესაბამისი საბუღალტრო სტანდარტების გათვალისწინებით.

- (e) ჩამოწერის განხორციელების შემდეგ, „ემიტენტი“ უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ „ზედამხედველის“ წინასწარი თანხმობის საფუძველზე, გაზარდოს თითოეული „ობლიგაციის“ ძირი თანხა მისი თავდაპირველი ძირი თანხის მაქსიმუმ ოდენობამდე პროპორციულად („აღდგენა“) იმ პირობით, რომ (i) აღდგენა არ განხორციელდება მანამ, სანამ „ჩამოწერის მოვლენა“ დამდგარია და გრძელდება; (ii) აღდგენა არ უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი აღდგენა გამოიწვევს „ჩამოწერის მოვლენას“.
- (f) „ჩამოწერის მოვლენა“ შეიძლება დადგეს არაერთხელ (და „ფულადი ზიანი“ და დარიცხული პროცენტი შეიძლება გაუქმდეს და „ობლიგაციები“ შეიძლება ჩამოიწეროს 24.6.1.7.3. მუხლის (ჩამოწერის მოვლენა) შესაბამისად არაერთხელ).
- (g) „ზედამხედველი“ უფლებამოსილია, თავისი უფლებამოსილებისა და „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად, „ჩამოწერის მოვლენის“ დადგომისას, განსაზღვროს (i) ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს ნებისმიერი „ფულადი ზიანი“ ან/და დარიცხული და გადაუხდელი „პროცენტი“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თუ სრულად; (ii) ნაწილობრივ უნდა ჩამოიწეროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა თითოეულ შემთხვევაში, „ჩამოწერის მოვლენის“ გამოსწორების მიზნით თუ სრულად. ასეთ შემთხვევაში, „ზედამხედველი“ „ჩამოწერის ღონისძიების“ ამოქმედების თარიღამდე „ემიტენტს“ გადასცემს წერილობით მითითებას, რომელიც დაადასტურებს, რომ მან მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება და მიუთითებს „ფულადი ზიანის“, „ობლიგაციის“ ძირი თანხის შესაბამის გასაუქმებელ/ჩამოსაწერ ოდენობას „ჩამოწერის ღონისძიების“ ძალაში შესვლის თარიღისთვის („ნაწილობრივი ჩამოწერის თანხები“), „ფულადი ზიანის“, „პროცენტის“ გაუქმებისა და ჩამოწერის თანხის ოდენობები უნდა გაუქმდეს „ჩამოწერის ღონისძიების“ ძალაში შესვლის თარიღის დადგომისას და უნდა იქნას განმარტებული შესაბამისად.
- (h) „ჩამოწერის მოვლენის“ 24.6.1.7.3 მუხლით დადგენილი „ჩამოწერის მექანიზმი“ არ გამოიყენება, თუ „ზედამხედველი“ არ გამოსცემს „საბოლოო დასკვნას“. „ემიტენტი“ ვალდებულია „საბოლოო დასკვნის“ მიღებისთანავე ან საჭიროებისამებრ, „დამტკიცების თარიღის“ შემდეგ, დაუყოვნებლივ აცნობოს „ობლიგაციების მფლობელებს“ 24.6.1.7.10 (შეტყობინებები) მუხლის შესაბამისად გამოიგა თუ არა „საბოლოო დასკვნა“, ან შესაბამის შემთხვევაში, „დამტკიცების თარიღის“ შემდეგ.
- (i) თუ დადგა „კაპიტალის მოვლენა“, 24.6.1.7.3. (ჩამოწერის მოვლენა) მუხლით გათვალისწინებული ჩამოწერის მექანიზმი არ ვრცელდება „ბონდებზე, რომელსაც შეეხო ჩამოწერის მოვლენა“.

24.6.1.7.4. ობლიგაციების ნებაყოფლობითი გამოსყიდვა

24.6.1.7.4.1. თუ „ობლიგაციების“ გამოშვების თარიღისას ან მის შემდეგ მოხდა „საგადასახადო მოვლენა“, „დამტკიცების მოვლენა“ ან „კაპიტალის მოვლენა“, რომელიც გრძელდება, „კომპანია“ უფლებამოსილია, თუმცა არ არის ვალდებული, გამოსყიდოს ის „ობლიგაციები“, რომელთაც შეეხო „საგადასახადო მოვლენა“, „დამტკიცების მოვლენა“ ან/და „კაპიტალის მოვლენა“, მთლიანად, მაგრამ არა ნაწილობრივ, ამ 24.6.1.7.4 პუნქტის წინაპირობების დაცვით, გამოსყიდვის ფასად.

24.6.1.7.4.2. 24.6.1.7.4.3 პუნქტის გათვალისწინებით, ყველა და არა ზოგიერთი „ობლიგაციის“ გამოსყიდვა შეიძლება განხორციელდეს „ემიტენტის“ არჩევნით პირველი „გადატვირთვის თარიღზე“ ან „პროცენტის გადახდის ნებისმიერ თარიღზე“, რომელიც მოდის „პირველი გადატვირთვის თარიღის“ შემდეგ, თითოეულ შემთხვევაში გამოსყიდვის ფასის 100%-ით იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ აქვს მიღებული „ზედამხედველის“ წინასწარი თანხმობა და დასტური გამოსყიდვაზე („გამოსყიდვის ოფცია“). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად,

„ემიტენტს“ არ შეუძლია გამოიყენოს „გამოსყიდვის ოფცია“ გამოშვების თარიღიდან 5 (ხუთი) წლის გასვლამდე, გარდა 24.6.1.7.4.1. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

24.6.1.7.4.3. „ობლიგაციის მფლობელები“ და „ემიტენტი“ აღიარებენ, რომ „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად, „ობლიგაციები“ შეიძლება იყოს გამოსყიდული ან გადახდილი „ემიტენტის“ ინიციატივით შემდეგი პირობებით: (i) „გამოსყიდვის ოფციის“ განსახორციელებლად „ემიტენტს“ ყოველთვის მოპოვებული უნდა ჰქონდეს წინასწარი წერილობითი თანხმობა „სებ“-ისგან ; (ii) „ემიტენტმა“ არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ შექმნას „გამოსყიდვის ოფციის“ გამოყენების მოლოდინი; (iii) „ემიტენტმა“ არ უნდა გამოიყენოს „გამოსყიდვის ოფცია“ თუ (a) არ ჩანაცვლებს გამოსყიდულ ინსტრუმენტს იმავე ან უკეთესი ხარისხის კაპიტალით და აღნიშნული კაპიტალის ჩანაცვლება ხდება ისეთი პირობებით, რომელიც შეესაბამება კომერციული ბანკის შემოსავლის მასშტაბებს; ან (b) „ემიტენტი“ აჩვენებს, რომ მისი კაპიტალის მდგომარეობა მნიშვნელოვნად აღემატება კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალურ მოთხოვნებს „გამოსყიდვის ოფციის“ გამოყენების შემდეგ. „ემიტენტის“ მიერ „დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტად“ კვალიფიცირებული „ობლიგაციების“ ძირი თანხის დაბრუნებისთვის სავალდებულოა „სებ“-ის წინასწარი თანხმობა და „ობლიგაციის მფლობელებმა“ არ უნდა ივარაუდონ ან შექმნან მოლოდინი ბაზარზე, რომ სებ-ი ბანკს მისცემს აღნიშნულ თანხმობას.

24.6.1.7.4.4. „ობლიგაციების“ გამოსყიდვის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება 24.6.1.7.4.1 და 24.6.1.7.4.2. მუხლების შესაბამისად „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების მფლობელებს“ უნდა ეცნობოთ არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე შესაბამისი გამოსყიდვის თარიღამდე, 24.6.1.7.10. მუხლის წესის დაცვით.

24.6.1.7.4.5. თუ „ემიტენტი“ აცნობებს გამოსყიდვის შესახებ 24.6.1.7.4.4. მუხლის შესაბამისად, „ემიტენტი“ ვალდებულია (a) დაადეპონიროს „გადახდისა და კალკულაციის აგენტთან“ გამოსყიდვის ფასის გადასახდელად საკმარისი თანხა, გარდა იმ „ინვესტორთა“ კუთვნილი „ობლიგაციების“ გამოსყიდვისთვის საჭირო თანხისა, რომელთათვისაც პირველი საფეხურის ანგარიშის მწარმოებელს (როგორც ეს განმარტებულია „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 თებერვლის N48/04 ბრძანებაში) წარმოადგენს თავად „ემიტენტი“ და (b) უზრუნველყოს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ შესაბამისი მითითებებითა და უფლებამოსილებით „ობლიგაციის მფლობელებისთვის“ შესაბამისი თანხების გადახდის მიზნით.

24.6.1.7.4.6. თუ გამოსყიდვის შესახებ შეტყობინება გაცემულია და დეპონირებული თანხები და მითითებები, გადახდის უფლებამოსილება გაცემულია, მაშინ ასეთი დეპონირების თარიღიდან (ა) „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდა“ არ უნდა განხორციელდეს, (b) „ობლიგაციები“ ჩაითვლება გადახდილად და (c) „ობლიგაციების მფლობელებს“ აღარ ექნებათ წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული უფლებამოსილება, გარდა გამოსყიდვის ფასის მიღების უფლებისა, შესაბამისი შეტყობინების თარიღიდან.

24.6.1.7.4.7. თუ გამოსყიდვის შესახებ შეტყობინება განხორციელდა და თანხები არ არის დეპონირებული ისე, როგორც არის მოთხოვნილი დეპონირების განხორციელების თარიღისთვის, ან „ემიტენტი“ არამართლზომიერად იკავებს თავს ან უარს ამბობს „ობლიგაციების“ გამოსყიდვის ფასის გადახდაზე, „პროცენტის“ დარიცხვა გაგრძელდება ამ პირობებით გათვალისწინებული წესით, გამოსყიდვის თარიღიდან გამოსყიდვის ფასის ფაქტობრივად გადახდის თარიღამდე.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მიუხედავად იმისა, „ემიტენტის“ მიერ ფაქტობრივად გადახდილია თუ არა „ობლიგაციების“ „გამოსყიდვის ფასი“, ინსტრუმენტი „ემიტენტის კაპიტალში“ არ ჩაითვლება.“

24.6.1.7.5. დაბეგვრა

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი თანხისა და „პროცენტის“ გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგვრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ „პროცენტის გადახდა“ გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციის მფლობელი“ უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავათით და მიიღოს თანხა სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

24.6.1.7.6. დარღვევა

„ობლიგაციის მფლობელებს“ არ აქვთ უფლებამოსილება განახორციელონ რაიმე ქმედება „ემიტენტის“ წინააღმდეგ თავიანთი ინტერესების დასაცავად, ამ უკანასკნელის მიერ „ობლიგაციების“ პირობების დარღვევის ან ინვესტირებული თანხების გამოსყიდვის შემთხვევაში, გარდა 24.6.1.7.6. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

(a) **ძირითადი თანხის გადაუხდელობა:** თუ „ემიტენტი“ ვერ გადაიხდის ობლიგაციების ძირითად თანხას 24.6.1.7.4. პუნქტის შესაბამისად და ამგვარი გადაუხდელობა გრძელდება 5 (ხუთი) დღის ვადით, „ობლიგაციის მფლობელები“ უფლებამოსილნი არიან მიმართონ უფლებამოსილ ორგანოს „ემიტენტის“ გადახდის უუნარობის საქმის გახსნის ინიციატივით, ან მოითხოვონ „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ საფუძველზე შეფასდეს და განისაზღვროს არის თუ არა „ემიტენტი“ გადახდის უუნარო;

(b) **გაკოტრება:** „ემიტენტის“ გაკოტრების ან ლიკვიდაციის მიზნით დაწყებული ნებისმიერი პროცედურის ფარგლებში „ობლიგაციის მფლობელები“ უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ გადაუხდელი თანხის (რაც მოიცავს გადაუხდელ ძირითად თანხას, ჩამოწერილი თანხების გამოკლებით, ასევე დარიცხულ პროცენტს, იმ თანხების გამოკლებით, რომელიც გააუქმა „ემიტენტმა“) სრული ოდენობა.

(c) **ვალდებულების შესრულება:** „ობლიგაციის მფლობელები“ უფლებამოსილნი არიან, ობლიგაციის მფლობელთა კრების გადაწყვეტილების მეშვეობით, მოითხოვონ „ემიტენტის“ მიერ წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

მიუხედავად იმისა, თუ რომელი საფუძველით მოხდა დარღვევა, „ემიტენტს“ ეკრძალება რაიმე საქმის წარმოების დაწყების ან „ობლიგაციის მფლობელების“ ნებისმიერი მოთხოვნის გამო, გადაიხადოს ნებისმიერი თანხა, ძირითად თანხა ან პროცენტი იმაზე ადრე, ვიდრე აღნიშნულის გადახდის ვადა დადგებოდა წინამდებარე „პროსპექტის“ შესაბამისად.

ამ „პირობების“ ნებისმიერი სხვა დებულების მიუხედავად, წინამდებარე 24.6.1.7.6 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი მოვლენის შემთხვევაში, „ობლიგაციის მფლობელებს“, ისევე, როგორც „ობლიგაციების თითოეულ მფლობელს“ უფლება აქვს შესაბამისად ჯგუფურად ან ინდივიდუალურად დაიწყოს შესაბამისი წარმოება „ემიტენტის“ წინააღმდეგ იმ პირობით, რომ ასეთი „ობლიგაციის“ მფლობელები ან „ობლიგაციის მფლობელი“, კონტექსტის შესაბამისად, ფლობს „ობლიგაციების“ მთლიანი ძირითადი თანხის არანაკლებ 25%-ს ამ დროისთვის.

24.6.1.7.7. ობლიგაციების შექმნა

24.6.1.7.7.1. არც „ემიტენტს“ და არც მასთან „დაკავშირებულ პირს“, რომელზეც „ემიტენტს“ აქვს „მნიშვნელოვანი გავლენა“ ან/და „კონტროლი“ არ აქვს უფლებამოსილება შეიძინოს „ობლიგაციები“ ან მათი ნაწილი ღია ბაზარზე ნებისმიერ ფასად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი შექმნა შექმნის მომენტში ნებადართულია „მარეგულირებელი კანონმდებლობით“. ნებისმიერი „დაკავშირებული პირი“, რომელზეც „ემიტენტს“ არ გააჩნია „მნიშვნელოვანი გავლენა“ ან/და „კონტროლი“, მათ შორის „ემიტენტის“ მფლობელობით სტრუქტურაში აღმავალი ჯაჭვის ნებისმიერი რგოლის „ემიტენტთან“ „დაკავშირებულ პირს“ აქვს

უფლებამოსილება, თავისუფლად შეიძინოს „ობლიგაცია“ წინამდებარე ემისიის პროსპექტით დადგენილი წესით. „ემიტენტს“ ეკრძალება პირდაპირ ან/და ირიბად „ობლიგაციების“ შექმნის დაფინანსება.

24.6.1.7.7.2. არც „ემიტენტს“ და არც მასთან „დაკავშირებულ პირს“, რომელზეც „ემიტენტს“ გააჩნია „მნიშვნელოვანი გავლენა“ ან/და „კონტროლი“, აქვს უფლებამოსილება პირდაპირ ან ირიბად იყოს ჩართული „ობლიგაციების“ შექმნის დაფინანსებაში.

24.6.1.7.7.3. თითოეული „ანგარიშის მწარმოებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს რომ (i) „ინვესტორი“ არ იქნება „ემიტენტი“ ან მასთან „დაკავშირებული პირი“, რომელზეც „ემიტენტს“ აქვს „კონტროლი“ ან „მნიშვნელოვანი გავლენა“; (ii) „ემიტენტს“ ან მასთან „დაკავშირებულ პირს“, რომელზეც „ემიტენტს“ აქვს „კონტროლი“ ან „მნიშვნელოვანი გავლენა“, არ უნდა ჰქონდეს შესყიდული „ობლიგაცი(ებ)ი“; (iii) პირდაპირ ან არაპირდაპირ, „ემიტენტს“ არ ექნება დაფინანსებული „ობლიგაციების“ შექმნა; და (iv) „ობლიგაციების“ შექმნის არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით (დოკუმენტის ნომერი: 1745, მიღების თარიღი: 24/12/1998) განსაზღვრული გათვითცნობიერებული ინვესტორი და „ობლიგაციების“ შექმნის ტრანზაქცია აკმაყოფილების „აგრეგირებული მინიმალური ნომინალური ღირებულების“ მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებელი“ ბლოკავს ტრანზაქციას და უარს ამბობს მის დამუშავებაზე.

24.6.1.7.8. გაქვითვის დაუშვებლობა

არცერთ „ინვესტორს“ არ აქვს უფლება მოახდინოს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „მოთხოვნების გაქვითვა“ იმ მოთხოვნას ან უფლებაში, რომელიც „ემიტენტს“ „ემისიის მომენტში“ აქვს ან შესაძლოა შეიძინოს მომავალში აღნიშნული „ინვესტორის“ მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ საიდან არის წარმოშობილი „ემიტენტის“ მოთხოვნა ან უფლება „ინვესტორის“ მიმართ და ჩაითვლება, რომ ყოველი ასეთი „ობლიგაციის მფლობელი“ უარს აცხადებს გაქვითვის უფლებაზე, რომელიც ნებადართულია „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ ყველა ასეთ რეალურ, პოტენციურ უფლებასთან, მოთხოვნასთან და ვალდებულებასთან დაკავშირებით.

24.6.1.7.9. ობლიგაციის მფლობელთა კრება

(A) „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულება“ ადგენს „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებზე გავლენის მქონე საკითხების განსახილველად კრების მოწვევის შესაბამის პირობებს, მათ შორის, წინამდებარე „პროსპექტითა“ და „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ შესაბამისად, სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე ხმათა არანაკლებ 75 პროცენტის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით (განსაკუთრებული გადაწყვეტილება) წინამდებარე „პროსპექტისა“ ან „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ნებისმიერი სახის ცვლილების საკითხს, გარდა ნებისმიერი ცვლილებისა, რომელმაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ შესაძლოა გამოიწვიოს „კაპიტალის“ ან „საგადასახადო“ მოვლენა. კრება შეიძლება მოიწვიოს „ემიტენტმა“ ან „ობლიგაციების“ არანაკლებ 10%-ის მქონე „ობლიგაციის მფლობელ(ებ)მა“. იმისათვის, რომ ნებისმიერი მოწვეული კრება ჩაითვალოს განსაკუთრებული გადაწყვეტილების განსახილველად, კვორუმი უნდა შეადგენდეს „ობლიგაციების“ მთლიანი ძირი თანხის 75%-ზე მეტ მფლობელებს ამ დროისთვის (იმ პირობით, რომ გადადებული კრების კვორუმის მოთხოვნა მცირდება და განისაზღვრება, „ობლიგაციების მფლობელების“ მიხედვით, რომლებიც ფლობენ ან წარმომადგენენ ობლიგაციების მთლიანი ძირი თანხის არანაკლებ ორმოცდათერთმეტ პროცენტს იმ დროისთვის). ასეთი შეხვედრის დღის წესრიგი შეიძლება მოიცავდეს შემდეგი წინადადებების განხილვას: i) შეიცვალოს „ობლიგაციების“ ძირი თანხის ან „პროცენტის“ გადახდის თარიღი; ii) შეიცვალოს „ობლიგაციების“ ნებისმიერი გადახდის თანხის გამოთვლის მეთოდი ან ნებისმიერი ასეთი გადახდის თარიღი; iii) „ობლიგაციების“ გადასახდელი ძირი ან „პროცენტის“ ოდენობის შემცირება ნებისმიერ თარიღში (გარდა ჩამოწერის მოვლენის შემდეგ) iv) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი სხვა პირის ობლიგაციების გაცვლის ან ობლიგაციების აქციებად, „ობლიგაციებად“ ან სხვა ვალდებულებებად კონვერტირების დამტკიცება; v) „ობლიგაციების“ გადახდების

ვალუტის შეცვლა (გარდა მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილი ცვლილებისა); vi) „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ მოწვევის ან კვორუმის მოთხოვნების შეცვლა, რომელიც საჭიროა განსაკუთრებული გადაწყვეტილების მისაღებად; vii) წინამდებარე პირობების მარეგულირებელი კანონმდებლობის ან „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ პირობების ცვლილება იმ პირობით, რომ ამ პირობების ან „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილების მიუხედავად უპირატესი ძალის მქონე იქნება წინამდებარე „პროსპექტის“ ან/და „მოქმედი საბანკო რეგულაციების“ დებულებები; viii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი და პროცენტის ოდენობის ცვლილება. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული განსაკუთრებული გადაწყვეტილება მხოლოდ „ობლიგაციების მფლობელთათვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

- (B) ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც „ობლიგაციების მფლობელების“ კრება იხილავს და წყვეტს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს, იგი აცნობიერებს, რომ წინამდებარე „პირობებში“ ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა და მავალდებულებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) ცვლილებები შესაბამისობაში იქნება კაპიტალის ინსტრუმენტისთვის (დამატებითი პირველადი კაპიტალი) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის #100/04 ბრძანებით დამტკიცებული კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან; და (ბ) მოპოვებული იქნება „ზედამხედველის“ თანხმობა.
- (C) განსახილველი დროისთვის გამოშვებული ობლიგაციების 75%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილებს ძალაში შევა როგორც განსაკუთრებული გადაწყვეტილება. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან რამდენიმე დოკუმენტად იმავე ფორმით, რომელთაგანაც თითოეული იქნება ერთიან რამდენიმე ობლიგაციების მფლობელის მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი.
- (D) „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ გამოტანილი ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება განსაკუთრებულ გადაწყვეტილებად, მიიღება ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“). ჩვეულებრივი გადაწყვეტილების მისაღებად მოწვეული კრების ქვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი განმეორებით კრების შემთხვევაში „ობლიგაციების“ ოცდაათი პროცენტზე მეტის მფლობელები, მიუხედავად მათ საკუთრებაში არსებული ობლიგაციების ძირი თანხისა.
- (E) გამოშვებული ობლიგაციების იმ დროისთვის 51% ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შედის ისევე, როგორც ჩვეულებრივი გადაწყვეტილება. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან რამდენიმე დოკუმენტად იმავე ფორმით, რომელთაგანაც თითოეული იქნება ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის/მფლობელების“ მიერ ან მისი/მათი სახელით ხელმოწერილი.
- (F) ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, როგორც განსაკუთრებული, ისე ჩვეულებრივი გადაწყვეტილების ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ „ემიტენტს“. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „ობლიგაციების მფლობელები“ აცნობიერებენ, რომ „ემიტენტი“ წარმოადგენს რეგულირებად სუბიექტს, ხოლო „ობლიგაციები“ - რეგულირებადი კაპიტალის ნაწილს (კერძოდ, „ბანკის“ „დამატებით პირველად კაპიტალს“). აქედან გამომდინარე, „ობლიგაციები“ უნდა აკმაყოფილებდეს „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ დადგენილ მოთხოვნებს. ნებისმიერი „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ ან „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ ბათილია და ძალაში ვერ შევა თუ იგი ეწინააღმდეგება „ზედამხედველის“ მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. წინამდებარე პირობებისა და „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ნებისმიერი სხვა პირობების მიუხედავად, წინამდებარე პირობების ნებისმიერი ცვლილება ან მოდიფიკაცია საჭიროებს სებ-ის წინასწარ წერილობით თანხმობას (თუ ეს საჭიროა „მოქმედი საბანკო რეგულაციების“ შესაბამისად).

„ფინანსური წარმომადგენლობის ხელშეკრულების“ პირობები წარმოადგენს ამ „პროსპექტის“ პირობების განუყოფელ ნაწილს. მათი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამ „პროსპექტის“ პირობებს. „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს „ფინანსური წარმომადგენლობის ხელშეკრულებაზე“ (რაც მოიცავს როგორც აღნიშნული ხელშეკრულების თავდაპირველ ვარიანტს, ასევე მასში დროდადრო შესულ ცვლილებებს) წვდომა და დროულად მიეწოდოთ ინფორმაცია ხელშეკრულების ნებისმიერი არატექნიკური ხასიათის ცვლილების შესახებ. კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ინვესტორებს ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული წესით.

24.6.1.7.10. შეტყობინებები

- (A) „ემიტენტის“ ნებისმიერი შეტყობინება „ობლიგაციების მფლობელების“ მიმართ უნდა გაეგზავნოს „ემიტენტის“ ფინანსურ წარმომადგენელს (გადახდისა და კალკულაციის აგენტს). „ობლიგაციების მფლობელებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ ფინანსურ წარმომადგენელს წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის მისამართზე, თუ ფინანსური წარმომადგენელი „ობლიგაციების მფლობელს“ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებს. თითოეულ შემთხვევაში, ფინანსური წარმომადგენელი ვალდებულია შეტყობინების ადრესატისთვის გადაცემა უზრუნველყოს მისი მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში. შეტყობინების ფინანსური წარმომადგენლისთვის ჩაბარება ჩაითვლება ადრესატისათვის ჩაბარებად. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ნებისმიერი შეტყობინება წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და ჩაითვლება სათანადო წესით ჩაბარებულად, თუ მოხდა მისი მიწოდება პირადად, ფოსტის, ელ. ფოსტის ან დაზღვეული გზავნილის მეშვეობით, შესაბამისი მხარის წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრულ მისამართზე, ან „პროსპექტის“ თარიღის შემდეგ შეცვლილ მისამართზე, თუ ცვლილება სათანადო წესით ეცნობა გამგზავნ მხარეს. ნებისმიერი შეტყობინება, რომლის მიწოდებაც მოხდა პირადად ან ფოსტის მეშვეობით, ჩაბარებულად ითვლება ფაქტობრივი მიწოდების თარიღზე. ნებისმიერი შეტყობინება, რომლის მიწოდებაც მოხდა ელ. ფოსტის მეშვეობით, ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე, და ნებისმიერი შეტყობინება, რომლის მიწოდებაც მოხდა დაზღვეული გზავნილის მეშვეობით, ჩაბარებულად ითვლება 2 (ორი) სამუშაო დღის შემდეგ, თუკი იგზავნება მისამართზე იმავე ქვეყანაში, რომლიდანაც მოხდა გაგზავნა, ხოლო 7 (შვიდი) სამუშაო დღის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუკი იგზავნება სხვა ქვეყანაში არსებულ მისამართზე. ნებისმიერი შეტყობინების ჩაბარების დასამოწმებლად, თუ საქმე ეხება წერილს, საკმარისია დადასტურდეს, რომ წერილს სათანადოდ ახლავს ბეჭედი, მითითებულია შესაბამისი მისამართი და განთავსებულია ფოსტაში.
- (B) „ემიტენტი“ ვალდებულია გაასაჯაროს ნებისმიერი ცვლილება სხვადასხვა კლასის წილობრივი ფასიანი ქაღალდების უფლებებთან დაკავშირებით, წილობრივ ფასიანი ქაღალდებზე დივიდენდის განაწილებისა და გადახდის, ახალი წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვების, აქციათა განთავსების, შეძენის, კონვერტაციის ან გაუქმების შესახებ, ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომელმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომელიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებიდან, ასევე ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების ან დაფარვის შესახებ. „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ განსაზღვრული მნიშვნელოვანი შენაძენის (როგორც ეს განმარტებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის #181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მიხედვით) განხორციელების შესახებ მისთვის შეტყობინებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, „ემიტენტი“ ვალდებულია გაასაჯაროს აღნიშნული შეტყობინება. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, გასაჯაროება გულისხმობს „ემიტენტის“ მიერ შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს, მარეგულირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე „ემიტენტის“ ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის, ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს „ინვესტორთათვის“ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

(C) იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური წარმომადგენელი დაარღვევს შეტყობინების ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით ჩაბარების ვალდებულებას, იგი პასუხის აგებს დამდგარ ზიანზე „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ დადგენილი წესით.

წინამდებარე „პროსპექტის“ მიზნებისთვის ელექტრონული ფოსტით განხორციელებული კორესპონდენცია ჩაითვლება წერილობით კომუნიკაციად.

24.6.1.7.11. „ზედამხედველის“ სარეზოლუციო უფლებამოსილებები

იმ შემთხვევაში თუკი „ზედამხედველის“ გადაწყვეტილებით „ემიტენტის“ მიმართ შემოღებული იქნება რეზოლუციის რეჟიმი, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების დაკმაყოფილება მოხდება „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ გათვალისწინებული წესით.

„ემიტენტი“ და „ინვესტორები“ აცნობიერებენ და აცხადებენ თანხმობას საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებაზე, რეზოლუციის რეჟიმში მყოფი ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით, რეზოლუციის რეჟიმის დადგომის შემთხვევაში „ობლიგაციების“ მიმართ გამოიყენოს ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტი „მარეგულირებელი კანონმდებლობის“, მათ შორის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული „რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაციის მიზნით კომერციული ბანკის ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის წესის“ შესაბამისად.

„ობლიგაციებზე“ ვრცელდება „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ განსაზღვრული სარეზოლუციო ინსტრუმენტი, კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ხოლო „ინვესტორები“ აღიარებენ და აცხადებენ თანხმობას საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებაზე, დროდადრო მოქმედი „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ მისთვის მიანიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, „ემიტენტის“ რეზოლუციის რეჟიმის დადგომისას მისი რეკაპიტალიზაციის მიზნით, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ ვალდებულებები ა) სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწეროს; ან/და ბ) სრულად ან ნაწილობრივ დააკონვერტიროს „კომპანიის“ ჩვეულებრივ აქციებში ან/და საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სარეზოლუციო რეჟიმთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ინვესტორის უფლებები „კომპანიის“ მიმართ შესაძლოა შემცირდეს (სრულად ან ნაწილობრივ), ჩამოიწეროს, შეწყდეს, აგრეთვე, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „კომპანიის“ ვალდებულება შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ დააკონვერტირდეს „კომპანიის“ ჩვეულებრივ აქციებში ან/და საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში;

„ინვესტორები“ აღიარებენ და აცხადებენ თანხმობას რომ მიიღებენ ნებისმიერ აქციას/აქციებს ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტ(ებ)ს, რომლებშიც „პროსპექტით“ გათვალისწინებული „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული „კომპანიის“ ვალდებულება დაკონვერტირებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

24.6.1.8. შემდგომი ემისიები

„კომპანია“ უფლებამოსილია „ინვესტორებთან“ შეთანხმების გარეშე და იმ პირობით, რომ დაცული იქნება წინამდებარე „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებული პირობები, დროდადრო გამოუშვას სხვა ფასიანი ქაღალდები იმავე ან განსხვავებული პირობებით, როგორც ამას „კომპანია“ განსაზღვრავს, გამოშვების მომენტისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

24.6.1.9. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) მარეგულირებელი სამართალი

წინამდებარე „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია

საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური იურისდიქცია „ემისიის პროსპექტსა“ და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით წარმოშობილ დავაზე (მათ შორის, ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც უკავშირდება „ემისიის პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გაცემას, ნამდვილობას, არსებობას, შეწყვეტას ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებას).

იმ შემთხვევაში, როდესაც „ობლიგაციების მფლობელი“ წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებას („IFI ობლიგაციის მფლობელი“), (ა) ნებისმიერი დავა, დაპირისპირება ან სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს ან უკავშირდება წინამდებარე „ემისიის პროსპექტს“ ან/და „ობლიგაციებს“, გადაწყდება არბიტრაჟის მიერ მოქმედი UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) მიერ დანიშნული ერთი არბიტრის მიერ. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი იქნება ლონდონი, ინგლისი, ხოლო საარბიტრაჟო განხილვის ენა - ინგლისური. მხარეები უარს ამბობენ 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის შესაბამის ნებისმიერ უფლებაზე ან ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვაგვარად გასაჩივრებაზე, ან გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერი საკითხზე გადაწყვეტილების მოპოვებაზე, ინგლისის სასამართლოებში. საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ იქნება უფლებამოსილი მიანიჭოს, და „ემიტენტი“ თანხმდება, რომ ის არ მოითხოვს, ნებისმიერი სამართლებრივი ხელისუფლებისგან, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი ღონისძიებების განხორციელებას „ობლიგაციის მფლობელების“ წინააღმდეგ, მიუხედავად UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების ნებისმიერი პირობისა. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გააერთიანოს ნებისმიერ პროცესში ან გადაწყვეტილებაში მის წინაშე (მხოლოდ) „IFI ობლიგაციების მფლობელების“ მიერ სათანადოდ აღძრული ნებისმიერი დამატებითი დავა, იმდენად რამდენადაც, ასეთი დავა გამომდინარეობს წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ან/და „ობლიგაციებიდან“, მაგრამ, აღნიშნულის გათვალისწინებით, დაუშვებელია ნებისმიერი სხვა მხარის ან სხვა დავების ჩართვა ან გაერთიანება მიმდინარე საარბიტრაჟო პროცესში/პროცესთან.

მიუხედავად ზემოთხსენებული პირობისა, „ემისიის პროსპექტის“ ან/და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული „IFI ობლიგაციების მფლობელის“ ნებისმიერი უფლება, ამ უკანასკნელის არჩევანისამებრ, შესაძლებელია აღსრულდეს საქართველოს სასამართლოებში. წინამდებარე „პროსპექტის“ დამტკიცების მომენტში, „ემიტენტს“ არ დაუდია არცერთი მსგავსი შეთანხმება „IFI ობლიგაციების მფლობელებთან“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

24.6.1.10. ობლიგაციაზე პროცენტის დარიცხვა და გადახდა

ა) საპროცენტო განაკვეთი

თითოეულ „ობლიგაციას“ ძირ თანხაზე დაერიცხება პროცენტი, რომლის გადახდაც განხორციელდება, „ემისიის პროსპექტის“ 24.6.1.10(ბ) პუნქტით დადგენილი პერიოდულობით:

- (i) საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განსაზღვრული იქნება შესაბამისი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით.

(ii) „პროსპექტის“ 24.6.1.5(b) პუნქტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით, ყოველი გადატვირთვის პერიოდის დროს „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ განსაზღვრული კალკულაციით, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება გადატვირთვის შესაბამისი თარიღზე შესაბამისი „საანგარიშო ინდექსს“ დამატებული „მარჟით“ (საჭიროების შემთხვევაში, დამრგვალებდა ხუთი ათწილადის 0.000005-ის მეტობით დამრგვალებით).

ბ) პროცენტის გადახდა

ობლიგაციებს პროცენტი გადახდილ უნდა იქნას ნახევარწლიურად. თითოეული ემისიის პორცენტი გადახდის თარიღები დადგინდება შესაბამისი „ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, იმ „ინვესტორთა“ სასარგებლოდ, რომლებიც „ცენტრალური დეპოზიტარის“ მიერ მომზადებულ იმ „ინვესტორთა“/„ინვესტორისგან“ უფლებამოსილ პირველი საფეხურის ანგარიშის მწარმოებელთა (როგორც ეს განმარტებულია „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 თებერვლის N48/04 ბრძანებაში) სიის მიხედვით „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე ფიქსირდება „ობლიგაციის მფლობელებად“ („სააღრიცხვო თარიღი“). „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ თანხის განაწილება „ანგარიშის მწარმოებლების“ იმ ანგარიშებზე, რომლებიც მიწოდებული იქნება „ცენტრალური დეპოზიტარის“ მიერ. გადახდა უნდა განხორციელდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პირველივე „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პროსპექტის“ მიზნებისთვის, „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა „ობლიგაციების მფლობელთა“ ანგარიშზე.

ამ ემისიის მიზნებისთვის, „ინვესტორს“ პირველი საფეხურის ანგარიშის მწარმოებლისთვის (რომელიც იმავედროულად „გადახდის და კალკულაციის აგენტია“) გადაცემული აქვს მისი ინტერესებისათვის შესაბამისი მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება ემიტენტის „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოების წესით“ გათვალისწინებულ კორპორაციულ ქმედებებთან დაკავშირებით.

„პროცენტის“ დაანგარიშება მოხდება შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებული კალენდარული დღეების შესაბამისად 30/360 ISMA წესის საფუძველზე, რომელიც ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევროზონდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC) = მრიცხველი / 360. მრიცხველის ფორმულა შემდეგია:

1. თუ $D1=31$, მაშინ $D1=30$
2. თუ $D2=31$, მაშინ $D2=30$
3. თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება
4. მრიცხველი = $(D2-D1)+30*(M2-M1)+360*(Y2-Y1)$,

სადაც „D“ ნიშნავს დღეს, „M“ - თვეს და „Y“ - წელს.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „ანგარიშსწორების თარიღიდან“ (ამ პირობების მიზნებისთვის, „ანგარიშსწორების თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როდესაც „ობლიგაციის თითოეული მფლობელი“ ახორციელებს შესაბამის გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ გადაიწვეს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის

დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 180 დღეზე მეტი. ვინაიდან შემდგომი პერიოდი გამოითვლება „პროცენტის გადახდის“ ბოლო (გადადებული) თარიღიდან პროცენტის მომდევნო გადახდის თარიღამდე (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 180 დღეზე ნაკლები, თუ შემდგომი „პროცენტის“ გადახდის თარიღი დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე პროსპექტის პირობების შესაბამისად, არ იქნება 0.01 აშშ დოლარის ჯერადი, ეს თანხა დამრგვალდება 0.01 აშშ დოლარის უახლოეს ჯერად რიცხვამდე (0.005 – 0.009 აშშ დოლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

პროცენტის გადახდა

„პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს თითოეულ 180 დღიან პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, გარდა პირველი პერიოდისა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს.

გ) საპროცენტო განაკვეთის გადატვირთვა

- (i) „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“, როგორც კი შესაძლებელი იქნება, ყოველი „გადატვირთვის განსაზღვრულ თარიღზე“ 11:00 (ნიუ-იორკის დროით) სთ განსაზღვრავს საპროცენტო განაკვეთის ოდენობას შესაბამის გადატვირთვის პერიოდთან მიმართებით.
- (ii) „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ უზრუნველყოფს საპროცენტო განაკვეთის შესახებ ყოველ „გადატვირთვის პერიოდთან“ დაკავშირებით „ემიტენტის“ შეტყობინებას.
- (iii) ყველა შეტყობინება, სერთიფიკატი, კომუნიკაცია, მოსაზრება, დასკვნა, გამოთვლები, ციტატები, გადაწყვეტილება, რომელიც გაცემული გამოხატული მიღებული ან განხორციელებულია „ემისიის პროსპექტის“ წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის „ფისკალური აგენტის“ მიერ, ცალსახა შეცდომის შემთხვევების გარდა, არის საბოლოო და სავალდებულოა „ემიტენტისა“ და ყველა „ობლიგაციის მფლობელისთვის“.

24.6.1.11. გადახდის პირობები და გადახდის პროცედურები

„ობლიგაციები“ არის უვადო და არ აქვს ფიქსირებული ვადიანობა.

ა) ობლიგაციების“ პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

- (i) „ობლიგაციების“ პროცენტის გადახდა უნდა განხორციელდეს იმ „ობლიგაციების მფლობელებისთვის“ რომლებიც „ცენტრალური დეპოზიტარის“ მიერ მომზადებული „ინვესტორთა“/„ინვესტორისგან“ უფლებამოსილ პირველი საფეხურის ანგარიშის მწარმოებელთა (როგორც ეს განმარტებულია „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და ანგარიშის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 29 თებერვლის N48/04 ბრძანებაში) სიის მიხედვით შესაბამის გადახდამდე სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე ფიქსირდებიან „ობლიგაციის მფლობელებად“ გადახდები უნდა განხორციელდეს აშშ დოლარში (“USD”).
- (ii) გადარიცხვის ნებისმიერი საკომისიო შესაძლებელია დაქვითულ იქნას გადასახდელი თანხიდან. თუ „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ წინა პარაგრაფში მითითებულ ანგარიში არის სხვა ნებისმიერ ვალუტაში გარდა აშშ დოლარისა, მაშინ „ობლიგაციების მფლობელისათვის“ ან

„ანგარიშის მწარმოებლისთვის“ გადახდის განხორციელება დასაშვებია გადახდის დღეს „ემიტენტის“ მიერ დადგენილი კომერციული გაცვლითი კურსის შესაბამისად ვალუტის კონვერტირების საფასურის გამოკლებით.

- (iii) ობლიგაციონერების“ მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული საპროცენტო გადახდების სრულად და ჯეროვნად მიღების უფლების მოდიფიცირების გარეშე, თუ გადახდის დღეს გადახდილი ნებისმიერი პროცენტი არის ამ თარიღისათვის ვადამოსულ თანხაზე ნაკლები, მაშინ „ემიტენტმა“ ყველა „ობლიგაციების მფლობელს“ პროპორციულად უნდა გადაუხადოს ის თანხები, რომლებიც ხელმისაწვდომია ამგვარი თარიღისათვის.
- (iv) „ემიტენტის“ და/ან „ცენტრალური დეპოზიტარის“ მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია აიკრძალოს ან შეიზღუდოს „ობლიგაციების“ გადაცემა იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება „სააღრიცხვო თარიღზე“ და სრულდება იმ დღეს, როცა შესაბამისი გადახდა ხდება ვადამოსული.

ბ) აგენტების დანიშვნა:

„გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ და „განთავსების აგენტი“ მოქმედებენ როგორც მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტები და, წინამდებარე „ემისიის პროსპექტისა“, შეთავაზების მიზნებისათვის და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში, არ იღებენ რაიმე ვალდებულებას რომელიმე „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ წინაშე და არ წამოადგენენ მათ აგენტებს ან მინდობილ პირებს. აღნიშნული არ ცვლის და აუქმებს რომელიმე აქ ჩამოთვლილი პირის ვალდებულებას, რაც გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოთი. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს, „ობლიგაციების მფლობელებისთვის“ წინასწარი შეტყობინების გზით, შეცვალოს ან გააუქმოს „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ დანიშვნა და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰყავდეს „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“, დადასტურებული „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ.

გ) კალკულაცია და გადახდა:

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი ნებისმიერი თანხა (მათ შორის, პროცენტი) უნდა დაანგარიშდეს და გადახდილ იქნას „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ, წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ პირობებისა და „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად. „გადახდისა და კალკულაციის აგენტმა“ თანხები უნდა დაიანგარიშოს შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 10 (ათი) „სამუშაო დღით“ ადრე და შეატყობინოს „ემიტენტს“. შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე, „ემიტენტმა“ შესაბამისი თანხები უნდა განათავსოს „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე და მისცეს ამ უკანასკნელს მითითება აღნიშნული თანხების გადარიცხვის თაობაზე. თუ „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ ანგარიშზე არის საკმარისი თანხა, „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ ვალდებულია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ვადამოსული გადახდები განხორციელოს „ემიტენტის“ შესაბამისი მითითებების გარეშე. თუ შესაბამისი გადახდის თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ ანგარიშზე არსებული თანხა საკმარისი არ არის, „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ემიტენტს“, ხოლო თუ გადახდის თარიღზე თანხა არ არის საკმარისი, შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნოს „ემიტენტს“, „ინვესტორებს“/„ობლიგაციების მფლობელებს“ (ან მათ წარმომადგენლებს არსებობის შემთხვევაში) და „ცენტრალურ დეპოზიტარს“.

დ) საგადასახადო კანონმდებლობას დაქვემდებარებული გადახდები:

ყველა გადახდა, ნებისმიერ შემთხვევაში, ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო ან შესაბამისი სპეციფიკის „მარეგულირებელ კანონმდებლობას“.

ე) გადახდის დაგვიანება/არასამუშაო დღეები

„ობლიგაციების მფლობელებს“ არ ექნებათ უფლება მიიღონ რაიმე პროცენტი, პირგასამტეხლო ან სხვა თანხა „ობლიგაციასთან“ დაკავშირებული ვადამოსული თანხის დაგვიანებით მიღებისთვის, თუ გადახდის დღე არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო „სამუშაო დღეს“.

24.6.1.12. ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვის აღწერა

24.6.1.12.1. ობლიგაციების მეორად ბაზარზე ვაჭრობის შეზღუდვა

„ობლიგაციების“ პირველადი განთავსება, ყოველი გადაყიდვა, გასხვისება ან ნებისმიერი სხვა ფორმით გადაცემა მეორად ბაზარზე დასაშვებია მხოლოდ (i) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონისა და „პირის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 16 დეკემბრის N223/04 ბრძანების შესაბამისად განმარტებულ „გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორებზე“ და (ii) „ემიტენტთან“ არა „დაკავშირებულ პირზე“ ან ისეთ „დაკავშირებულ პირზე“, რომელზეც „ემიტენტს“ არ გააჩნია „კონტროლი“ ან „მნიშვნელოვანი გავლენა“ და მხოლოდ იმ პირობით, რომ ნებისმიერი ასეთი ტრანზაქციის მოცულობა უტოლდება ან აღემატება „აგრეგირებულ მინიმალურ ნომინალურ ღირებულებას“ და არ იქნება „ემიტენტის“ მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ დაფინანსებული, წინამდებარე პროსპექტის 24.6.1.4. და 24.6.1.7.7. მუხლების შესაბამისად.

ნებისმიერი „ანგარიშის მწარმოებელი“ პასუხისმგებელია განახორციელოს შესაბამისი ქმედებები აღნიშნულ შეზღუდვასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. „ანგარიშის მწარმოებელი“ ვალდებულია შეაფასოს აკმაყოფილებს თუ არა თითოეული პოტენციური ინვესტორი გათვითცნობიერებული ინვესტორის კრიტერიუმებს „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად. კერძოდ, „ანგარიშის მწარმოებელი“ ვალდებულია მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია, ინფორმაცია და დარწმუნდეს, რომ „ობლიგაციების შემსყიდველი პირი“ არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით (დოკუმენტის ნომერი: 1745, მიღების თარიღი: 24/12/1998) განსაზღვრული გათვითცნობიერებული ინვესტორი, აკმაყოფილებს თუ არა ტრანზაქცია „აგრეგირებული მინიმალური ნომინალური ღირებულების“ მოთხოვნას და ხომ არ აქვს „ემიტენტს“ „ობლიგაციების შემსყიდველ პირზე“ „კონტროლი“ ან „მნიშვნელოვანი გავლენა“. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებელი“ ბლოკავს ტრანზაქციას და უარს ამბობს მის დამუშავებაზე.

24.6.1.12.2. „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა

(A) საჯარო ფასიანი ქაღალდი საქართველოში გამოშვებული უნდა იქნეს დემატერიალიზებული ფორმით, ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში. „ემიტენტი“ ვალდებულია საჯარო ფასიანი ქაღალდები აღრიცხოს ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში. დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი ანგარიშის მწარმოებლის მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით. ანგარიშის მწარმოებელი ანგარიშის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში მასზე გასცემს დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე ამ პირის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

(B) ვინაიდან „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხდება „ანგარიშის მწარმოებლის“ ჩანაწერებში ცვლილების შეტანის შედეგად, „კომპანიამ“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტმა“ გადახდისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უნდა შეასრულონ მხოლოდ „ანგარიშის მფლობელების“ წინაშე, მიუხედავად იმისა, „ობლიგაცია“ ან, პროცენტის გადახდის შემთხვევაში, ამგვარი გადახდა იქნება თუ არა ვადაგადაცილებული, და ამგვარი „ანგარიშის მფლობელისათვის“ განხორციელებული ყველა გადახდა ჩაითვლება ნამდვილად და საკმარისად „კომპანიის“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ

ამგვარ „ობლიგაციასთან“ მიმართებით ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად, გადახდილი თანხ(ებ)ის ფარგლებში.

- (C) ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, იმ შემთხვევებში, როდესაც „ანგარიშის მფლობელი“ წარმოადგენს „ანგარიშის მწარმოებელს“, (i) ეს უკანასკნელი ობლიგაციებს იძენს კლიენტებისაგან მიწოდებული სახსრებით, მათი დავალებით და ფლობს „ობლიგაციებს“ მხოლოდ კლიენტების სასარგებლოდ; (ii) იგი არ წარმოადგენს „ინვესტორს“ და შესაბამისად არ აქვს „ინვესტორის“ უფლებები და მოთხოვნები. აქედან გამომდინარე „ანგარიშის მწარმოებელი“ ნებისმიერ შემთხვევაში გვევლინება შესაბამისი თანხების გამტარად, „მარეგულირებელი კანონმდებლობისა“ და ამ პროსპექტის ფარგლებში.
- (D) „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილი არიან განახორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა, თუ ისინი ამის შესახებ სათანადო წესით შეატყობინებენ „ანგარიშის მწარმოებელს“ და შემძენი აკმაყოფილებს 24.6.1.12.1 („ობლიგაციების მეორად ბაზარზე ვაჭრობის შეზღუდვა“) პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- (E) „ობლიგაციების“ განკარგვა დასაშვებია საქართველოს ტერიტორიაზე „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ (მათ შორის, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის) შესაბამისად. „ობლიგაციების“ განკარგვა და მათზე საკუთრების უფლების გადაცემა ნამდვილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების ცვლილება (შესაბამისი ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება) აღირიცხება „ანგარიშის მწარმოებლის“ ჩანაწერებში, ფასიანი ქაღალდების დაკრედიტების გზით.
- (F) ობლიგაციებთან მიმართებით მოქმედებს ე.წ „დახურული პერიოდები“ - არც ერთ „ანგარიშის მფლობელს“ არ აქვს უფლება მოითხოვოს „ობლიგაციების“ გადაცემის რეგისტრაცია იმ პერიოდში, რომელიც იწყება „სააღრიცხვო თარიღის“ სამუშაო დღის დასასრულის შემდეგ და სრულდება „პროცენტის გადახდის დღეს“ (ამ თარიღის ჩათვლით). წინამდებარე მუხლის დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს თანხების განაწილება არასწორი მიმღებებისთვის. ასეთ შემთხვევაში „გადახდისა და კალკულაციის აგენტს“ პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

24.6.1.13. „ინვესტორების“ უფლებები და ვალდებულებები

A) „ინვესტორი“ უფლებამოსილია

- ნებისმიერ დროს გადაიტანოს „ობლიგაციები“ ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში (რა შემთხვევაშიც, იგი პირდაპირ დაიჭერს „ობლიგაციებს“) ან სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“. ამასთან, „ინვესტორს“ ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში „ობლიგაციების“ გადატანა შეუძლია მხოლოდ მაშინ თუ იგი არის ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მონაწილე; როგორც ეს განმარტებულია საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონით;
- მიიღოს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სარგებელი და ინფორმაცია;
- მისცეს ინსტრუქციები „ანგარიშის მწარმოებელს“ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განახორციელოს ამ უკანასკნელმა ხმის მიცემის უფლება „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე განსახილველ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით;
- განახორციელოს საქართველოს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით „ინვესტორისთვის“ მინიჭებული ნებისმიერი უფლება;
- მოსთხოვოს „ანგარიშის მწარმოებელს“ ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ იგი არღვევს ამ „პროსპექტით“ ან „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

B) „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ კლიენტის ფასიანი ქაღალდების ფლობა ხორციელდება „ინვესტორის“ სასარგებლოდ, რისკითა და ხარჯებით და არ გულისხმობს „ობლიგაციებზე“ საკუთრების ან სარგებლის მიღების უფლების გადაცემას „ანგარიშის მწარმოებლისთვის“.

C) „ინვესტორი“ ვალდებულია სრულად გაიღოს და გადაიხადოს „ობლიგაციების“ შემენისთვის საჭირო სახსრები.

იმ შემთხვევაში, როდესაც „ანგარიშის მწარმოებელი“ „ემიტენტია“, ეს უკანასკნელი არ იღებს საკომისიოს შესაბამისი „ანგარიშის მფლობელისგან“; ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული არ ვრცელდება საბანკო ტრანზაქციის (გადარიცხვის) საკომისიოზე.

24.6.1.14. განმარტებები

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე პირობებში გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები.

„საადრიცხო ვალუტა“ ნიშნავს ქართულ ლარს ან სხვა ძირითად ვალუტას, რომელიც გამოიყენება ემიტენტის ანგარიშების წარდგენისას პერიოდულად.

„დამატებითი პირველადი კაპიტალი“ ნიშნავს ნებისმიერ ან ყველა ერთეულს. რომელიც წარმოადგენს დამატებით პირველად კაპიტალს „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად ნებისმიერ დროს.

„დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტი“ ნიშნავს ხელშეკრულებით სუბორდინირებულ ემიტენტის ნებისმიერ ვალდებულებას, რომელიც წარმოადგენს დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტს „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად.

„განმეორებითი კრება“ ნიშნავს „ობლიგაციების მფლობელების“ კრებას, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, რომელზეც საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო ქვორუმი არ შედგა.

„მარეგულირებელი კანონმდებლობა“ ნიშნავს საქართველოს იურისდიქციაში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ერთობლიობას, მათ შორის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, „ზედამხედველის“ მიერ მიღებულ ბრძანებებსა და რეგულაციებს.

„დამტკიცების თარიღი“ ნიშნავს თარიღს რომელიც დადგება დახურვის თარიღიდან 15 დღის შემდეგ.⁸

„დამტკიცების მოვლენა“ დგება მაშინ თუ ზედამხედველი არ გასცემს „საბოლოო დასკვნას“ ემიტენტისთვის დამტკიცების თარიღისას ან თარიღამდე.

„ინვესტორი“ ნიშნავს „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის“ შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინვესტორს;

⁸ განისაზღვრება ემიტენტთან ერთად. დამტკიცების თარიღი წარმოადგენს თარიღს, რომლისთვისაც სებ-ის საბოლოო (უპირობო) დასტურის სავალდებულოდ უნდა იქნას მიღებული. დამტკიცების თარიღამდე სებ-ის საბოლოო დასტურის მიუღებლობა გაუტოლდება დამტკიცების მოვლენას.

„ანგარიშის მფლობელი”, „ობლიგაციის მფლობელი“ ან „ობლიგაციონერი“ ნიშნავს „ინვესტორს“ ან „ანგარიშის მწარმოებელს“ რომლის სახელზეც აღრიცხულია „ობლიგაცია“.

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათისა და კვირის გარდა), როდესაც თბილისში არსებული კომერციული ბანკები ახორციელებენ გადარიცხვებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (ვალუტის გაცვლის ჩათვლით).

„კაპიტალის მოვლენა“ დგება მაშინ, თუ დამტკიცების თარიღის შემდეგ ნებისმიერ დროს „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ ცვლილების შედეგად „ზედამხედველი“ ნებისმიერ დროს შეწყვეტს მათ აღიარებას დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტად, ან მოახდენს „ობლიგაციების“ რეკლასიფიცირებას სხვა ხარისხის კაპიტალის ინსტრუმენტად. ამასთან, „კაპიტალის მოვლენის“ დადგომისთვის აუცილებელია რომ „მარეგულირებელ კანონმდებლობაში“ მომხდარი ცვლილება „ზედამხედველის“ მიერ აღიარებული იქნას „ობლიგაციების“ დამატებით პირველად კაპიტალში ჩართვაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონედ და „ემიტენტი“ „ზედამხედველისთვის“ მისაღები ფორმით მოახდენს იმის დადასტურებას, რომ მის მიერ „ობლიგაციების“ შესაძლო რეკლასიფიცირების წინასწარ განჭვრეტა „ობლიგაციების“ ემისიის თარიღისთვის გონივრულად შეუძლებელი იყო. „კაპიტალის მოვლენა“ არ დადგება თუ „ობლიგაციები“ აღარ მონაწილეობს დამატებით პირველად კაპიტალში მხოლოდ „ჩამოწერის მოვლენის“ გამო.

„კომპანია“ ნიშნავს სს „ლიბერთი ბანკს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304).

„ძირითადი პირველადი კაპიტალი“ ნიშნავს ძირითადი პირველად კაპიტალს, „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად ნებისმიერ დროს, ნებისმიერ მოქმედი, გარდამავალი, ეტაპობრივი ან მსგავსი დებულებების ჩათვლით.

„პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი“ ნიშნავს ნებისმიერ დროს, ემიტენტის პირველადი კაპიტალის საფუძველზე ერთობლივი თანხის (სააღრიცხვო ვალუტაში) თანაფარდობას (პროცენტულად), გაყოფილი „ემიტენტის“ რისკის მიხედვით შეწონილ აქტივების რაოდენობაზე, გამოთვლილი „ემიტენტის“ მიერ.

„დახურვის თარიღი“ ნიშნავს“ თარიღს, რომელიც დაფიქსირდება საბოლოო შეთავაზების დოკუმენტში.

„განაწილებადი ელემენტები“ ნიშნავს ნებისმიერ დროს „პროცენტის“ გადახდასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ იმ მოგებასა და რეზერვებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რომლებიც ხელმისაწვდომია „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად, „პროცენტის“ გადახდისთვის გათვალისწინებულ დროს.

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, დანაკისრს, ვალდებულებას, ბაჟს ან სხვა საკომისიოს ან მსგავს გამოქვითვას, წარმოშობის (დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების და შესაბამისი დამატებების ჩათვლით), განსაზღვრის და დაკისრების საფუძვლის და ფორმის მიუხედავად.

„აშშ დოლარი“ ნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ვალუტას.

„საბოლოო დასკვნა“ ნიშნავს „ზედამხედველის“ საბოლოო წერილობით დასკვნას, რომელიც ადასტურებს „ობლიგაციების“ „ზედამხედველის“ მიერ საბოლოო დამტკიცებას „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ საკუთარ სახსრებში (კაპიტალში) დამატებითი პირველადი კაპიტალის სახით სრულად ჩართვის თაობაზე.

„პირველი გადატვირთვის თარიღი“ ნიშნავს „დახურვის თარიღიდან“ მეხუთე წლის თავს.

„ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულება“ ნიშნავს ემისიის თარიღზე ან თარიღის შემდეგ დადებულ ხელშეკრულებას ემიტენტსა და შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორს“ შორის (გადახდისა და

კალკულაციის აგენტი), რომლის პირობების მიხედვითაც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს „ემიტენტის“ მიერ „პროცენტის“ ყოველი გადახდის თარიღისთვის გადასახდელი „პროცენტის“ გამოთვლასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ასევე გადახდის პროცესის ადმინისტრირებასა და გადახდის განხორციელებას (ეს უკანასკნელი მოქმედებს მაშინ, როდესაც „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ მოქმედებს როგორც „ანგარიშის მწარმოებელი“).

„ლარი“ ნიშნავს ქართულ ლარს, საქართველოს ეროვნულ ვალუტას.

„პროცენტი“ ნიშნავს „ემიტენტის“ მიერ „ინვესტორებისთვის“ გადასახდელ სარგებელს, რომლის დაანგარიშებაც ხდება 24.6.1.10(a) პუნქტის საფუძველზე.

„პროცენტის გაუქმების თანხა“ ნიშნავს საპროცენტო ოდენობის მთელ ან ისეთ ნაწილს, რომელიც დარიცხულია ჩამოწერის ღონისძიების ძალაში შესვლის თარიღზე, რომელიც განსაზღვრულია „ემიტენტის“ ან/და „ზედამხედველის“ მიერ როგორც აუცილებლად გასაუქმებელი (ჩამოწერილ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც დამატებითი პირველადი კაპიტალი) „ჩამოწერის მოვლენის“ დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

„პროცენტის გადახდის თარიღი“ ნიშნავს „დახურვის თარიღიდან“ ყოველ 180 დღიანი პერიოდის დასასრულს;

„საპროცენტო პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს და მათ შორის, ერთი „პროცენტის“ გადახდის თარიღიდან (ან პირველი საპროცენტო პერიოდის შემთხვევაში, დახურვის თარიღამდე) მომდევნო „პროცენტის“ გადახდის თარიღამდე.

„ემიტენტი“ ნიშნავს სს „ლიბერთი ბანკი“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, ს/კ 203828304), ისევე როგორც მის სამართალმემკვიდრეებსა და კანონიერ უფლებამონაცვლეებს.

„მარჟა“ ნიშნავს ფიქსირებულ განაკვეთს რომელიც დაფიქსირდება საბოლოო შეთავაზების დოკუმენტში.

„პროსპექტი“ და მითითება „წინამდებარე პროსპექტზე“ გულისხმობს მითითებას „ემიტენტის“ მიერ სათანადო წესით დამტკიცებულ და ხელმოწერილ „პროსპექტზე“.

„ფულადი ზიანი“ ნიშნავს ფინანსური ზიანის ნებისმიერ ოდენობას, რომლის გადახდაც „ემიტენტს“ შეიძლება დაეკისროს წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

„ფულადი ზიანის გასაუქმებელი თანხის ოდენობა“ ნიშნავს ფულადი ზიანის ოდენობის მთლიან ან ნაწილს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც ერიცხება „ჩამოწერის ღონისძიების“ ძალაში შესვლის „ემიტენტის“ ან/და „ზედამხედველის“ მიერ განსაზღვრულ თარიღზე, როგორც აუცილებლად გასაუქმებელი (ჩამოწერილ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რომლებიც კვალიფიცირდება, როგორც დამატებითი პირველადი კაპიტალი) „ჩამოწერის მოვლენის“ დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

„ანგარიშის მწარმოებელი“ ნიშნავს ფინანსურ ინსტიტუტს (მათ შორის, ცენტრალური დეპოზიტარი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.

„თავდაპირველი ძირი თანხა“ ნიშნავს „ობლიგაციებთან“ ან და „ობლიგაციებთან“ მიმართებით (როგორც კონტექსტი მოითხოვს) ობლიგაციების ძირი თანხა ემისიის თარიღის მდგომარეობით, ყოველგვარი შემდგომი ჩამოწერის გარეშე.

„გადასახდელი ძირი თანხა“ ნიშნავს „ობლიგაციებთან“ ან „ობლიგაციასთან“ (კონტექსტუალურად) ნებისმიერ დროს, ობლიგაციების თავდაპირველ ძირ თანხას, რომელიც დროდადრო მცირდება ნებისმიერი ჩამოწერით და თუ შესაძლებელია, დროდადრო იზრდება წინამდებარე პირობების 24.6.1.7.3. (e) მუხლის შესაბამისად.

„პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, ასოციაციას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, საჯარო ან სხვა ნებისმიერ პირს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

„გამოსყიდვის ფასი“ ნიშნავს თითოეულ ობლიგაციაზე, გადასახდელ ძირ თანხას პლუს, სადაც არ არის გაუქმებული, ან სხვაგვარად არ ექვემდებარება 24.6.1.7.2 მუხლში მოცემულ გადახდის შეზღუდვებს, თანხას, რომელიც ტოლია დარიცხული და გადაუხდელი „პროცენტებისა“ იმდროინდელი საპროცენტო პერიოდისთვის „ობლიგაციების“ გამოსყიდვისთვის დადგენილ თარიღამდე.

„საანგარიშო ინდექსი“ ნიშნავს USD SOFR საპროცენტო სვოპის საშუალო განაკვეთს (Mid-Swap rate) 5 წლიანი დაფარვის თარიღით, გამოხატული პროცენტულად, რომელიც მითითებულია Bloomberg-ის ტერმინალის შემდეგ მისამართზე: USOSFR5 (ან სხვა გვერდზე, რომელიც შეიძლება შეიცვალოს „ემიტენტის“ გადაწყვეტილებით) ნიუ იორკის დროით 11:00 ობლიგაციის დახურვის და გადატვირთვის თარიღამდე ორი სამუშაო დღით ადრე. თითოეული გადატვირთვის თარიღზე, ახალი კუპონის დასადგენად, გამოიყენება მხოლოდ ამავე გადატვირთვის თარიღამდე ორი სამუშაო დღით ადრე დაფიქსირებული საანგარიშო ინდექსის ნიშნული. იმ შემთხვევაში, თუ მომავალში აღნიშნული ინდექსი გაუქმდება, წინამდებარე პროსპექტის მიზნებისთვის საჯარო ინდექსი შესაძლებელია ჩანაცვლდეს სხვა შესაბამისი ინდექსით.

„ალტერნატიული საანგარიშო ინდექსი“ ნიშნავს „საანგარიშო ინდექსის“ გაუქმების, ხელმიუწვდომლობის ან გამოქვეყნების შეწყვეტის შემთხვევაში „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ ახალ ინდექსს, რომელზე დაყრდნობითაც „გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ განახორციელებს „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის კალკულაციას და რომელიც უნდა იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სავალო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის დასაანგარიშებლად მიღებული და აღიარებული 5 წლიანი დაფარვის თარიღის მქონე საშუალო განაკვეთის ინდექსი, ან თუ „ემიტენტი“ მიიჩნევს რომ აღნიშნული ინდექსის შემოღება გონივრულად შეუძლებელია, მასთან თვისობრივად ყველაზე ახლოს მდგომი ინდექსი.

„რეგულირებადი სპრედი“ ნიშნავს დადებითი ან უარყოფითი ნიშნის მქონე, ფორმულით, მეთოდოლოგიით ან სხვაგვარად გამოხატულ სპრედს / ოდენობას, რომელიც დგინდება „ემიტენტის“ მიერ კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, „საანგარიშო ინდექსის“ გაუქმების შედეგად „ინვესტორისთვის“ ან „ემიტენტისთვის“ გამოწვეული ეკონომიკური ზიანის გამოსარიცხად ან შესარბილებლად და რომლის „ალტერნატიულ საანგარიშო ინდექსთან“ დაჯამებით მიიღება „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი „ალტერნატიული ინდექსის“ შემოღების შემთხვევაში.

„რელევანტური განაწილება“ ნიშნავს პროცენტის გადახდის ნებისმიერ დღეს: i) „ემიტენტის“ მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ნებისმიერი საპროცენტო გადახდის ობლიგაციებზე „ემიტენტის“ იმდროინდელ ფინანსურ წელს; და ii) „ემიტენტის“ მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ნებისმიერი პროცენტის გადახდა ან განაწილება სხვა ინსტრუმენტებზე, რომლებიც კვალიფიცირდება როგორც დამატებითი პირველადი კაპიტალი ემიტენტის შესაბამის ფინანსურ წელს.

„გადატვირთვის თარიღი“ ნიშნავს გადატვირთვის პირველ თარიღსა და მის ყოველ მეხუთე წლის თავს.

„გადატვირთვის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს ყოველი „გადატვირთვის თარიღამდე“ მეორე სამუშაო დღეს.

„გადატვირთვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს (და მათ შორის მოიცავს) გადატვირთვის თარიღიდან მომდევნო გადატვირთვის თარიღამდე პერიოდს.

„რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ოდენობა“ ნიშნავს „კომპანიის“ ბალანსზე არსებულ ან გარესაბალანსო აქტივებს, შეწონილი რისკის მიხედვით, „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად.

„ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა“ ნიშნავს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცვლილებებით;

„ზედამხედველი“ ან „სებ“ ნიშნავს საქართველოს ეროვნულ ბანკს ან მომავალში გაჩენილ სხვა ზედამხედველ ორგანოს, რომელსაც „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ ევალება ან დაევალება საბანკო საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა საქართველოში.

„საგადასახადო მოვლენა“ დგება მაშინ, თუ „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ ან/და საგადასახადო პრაქტიკის ცვლილების შედეგად შეიცვლება „ობლიგაციების“ კუპონის საგადასახადო სტატუსი და „კომპანიის“ მიერ გატარებული გონივრული ღონისძიებების მიუხედავად „კომპანიას“ (ა) გაუუქმდება კუპონის ხარჯის ჩათვლის უფლება, ან (ბ) გაუჩნდება რაიმე სახის დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები კუპონის გადახდასთან დაკავშირებით და „ემიტენტი“ „ზედამხედველისთვის“ მისაღები ფორმით მოახდენს იმის დადასტურებას, რომ აღნიშნული ცვლილება იყო „ობლიგაციების“ საგადასახადო სტატუსზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე და „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ემისიის თარიღისთვის მისი განჭვრეტა გონივრულად შეუძლებელი იყო („საგადასახადო მოვლენა“).

“ვადა“ ნიშნავს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ ვადას, რომელიც წინამდებარე პროსპექტითაა განსაზღვრული.

„გამომწვევი მოვლენა“ დგება მაშინ, როდესაც ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1) კოეფიციენტი არის 5.125 პროცენტზე ნაკლები, „ემიტენტის“ ან „ზედამხედველის“ ან „ზედამხედველის მიერ დანიშნულის აგენტის მიერ განხორციელებული კალკულაციით.

„სიცოცხლისუნარიანობის მოვლენა“ ნიშნავს გარემოებას ან/და მოვლენას, როდესაც 1) “მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად და 2) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით: ა) აუცილებელია „ობლიგაციების“ ჩამოწერა და ნებისმიერი ჩამოწერის ინსტრუმენტის გამოყენება, რომლის გარეშეც „ემიტენტი“ გახდებოდა არასიცოცხლისუნარიანი (როგორც დადგენილია “მარეგულირებელი კანონმდებლობით“); ბ) აუცილებელია საჯარო სექტორის კაპიტალით ინექცია, ან ექვივალენტური მხარდაჭერა, რომლის გარეშეც „ემიტენტი“ არასიცოცხლისუნარიანი გახდებოდა (“მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად).

„გაქვითვის უფლება“ ნიშნავს ნებისმიერი „ობლიგაციების“ მფლობელის ნებისმიერ უფლებას ან მოთხოვნას გაქვითვის, კომპენსაციის, დაკავების ან შესაგებლის შესახებ, რომელიც რომელიმე ობლიგაციიდან ან მასთან დაკავშირებით პირდაპირ ან ირიბად წარმოიქმნება.

„ჩამოწერის თანხა“ ნიშნავს „ობლიგაციების“ ძირი თანხის მთელ ან ისეთ ნაწილს, რომელსაც „ემიტენტი“ „ზედამხედველთან“ კონსულტაციით განსაზღვრავს ან „ზედამხედველი“ განსაზღვრავს “მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად, საჭიროებისამებრ ჩამოწერის (პროცენტის გაუქმების ნებისმიერ თანხასთან, ფულადი ზიანის გაუქმების ოდენობასთან, ჩამოწერის ან კონვერტაციის სხვა ღონისძიებასთან ერთად, რომელიც მიღებულია ჩამოწერის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით და რომელიც კვალიფიცირდება „დამატებით პირველად კაპიტალად“) მოვლენის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

„ჩამოწერის მოვლენა“ ნიშნავს „გამომწვევი მოვლენის“ ან „სიცოცხლისუნარიანობის მოვლენის“ დადგომას იმ პირობით, თუ ასეთი მოვლენა დგება „კაპიტალის მოვლენის“ ან/და „დამტკიცების მოვლენის“ შემდეგ, რაც გულისხმობს რომ თუ „კაპიტალის მოვლენა“ ან „დამტკიცების მოვლენა“ წინ უსწრებს „ჩამოწერის მოვლენას“, „ობლიგაციები“ არ ჩამოიწერება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

„შეტყობინება ჩამოწერის მოვლენის შესახებ“ ნიშნავს შეტყობინებას, რომელიც უნდა გაუგზავნოს „ემიტენტმა“ „ობლიგაციის მფლობელებს“ წინამდებარე პროსპექტის 24.6.1.7.3. ბ) მუხლის შესაბამისად და რომელშიც მითითებული იქნება, რომ „ჩამოწერის მოვლენა“ დადგა და მიაწოდოს გონივრული დეტალები მოვლენების შესახებ, რამაც გამოიწვია ასეთი ჩამოწერის მოვლენის დადგომა.

„ჩამოწერის ინსტრუმენტი“ ნიშნავს „ემიტენტის“ ნებისმიერ ვალდებულებას (გარდა ობლიგაციებისა), რომელიც: a) „ემიტენტის“ გავრცელების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში („მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად) რიგითობით არის თანაბარი *pari passu* პრინციპით „ობლიგაციებთან“, b) არის „ემიტენტის“ „დამატებითი პირველადი კაპიტალის“ ინსტრუმენტი და c) შეიცავს 24.6.1.7.3. მუხლის ანალოგიურ დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია პროცენტის გაუქმებასთან, ფულად ზიანთან და ამ ინსტრუმენტის ძირითადი თანხის ჩამოწერასთან, ან რომელიც სხვაგვარად იძლევა ან მოითხოვს პროცენტისა და ფულადი ზიანის გაუქმებას და ისეთი ინსტრუმენტის ჩამოწერას, შესაბამისი სერთიფიკატის ან შეტყობინების გზით, რომელიც შეიძლება გაცემული იყოს „ემიტენტის“ მიერ).

„ჩამოწერის ღონისძიების შესახებ შეტყობინება“ ნიშნავს შეტყობინებას, რომელიც „ემიტენტის“ მიერ უნდა გადაეცეს „ობლიგაციის მფლობელებს“, სადაც მითითებული უნდა იყოს გონივრული დეტალები, როგორცაა: a) ჩამოწერის ღონისძიების ძალაში შესვლის თარიღი; b) განხორციელებული ჩამოწერის ღონისძიებები, მათ შორის, ნებისმიერი პროცენტის გაუქმების თანხის ოდენობა, ნებისმიერი ჩამოწერის თანხის ოდენობა და მათი გაანგარიშების საფუძვლები.

„ჩამოწერის ღონისძიება“ ნიშნავს პროცენტის გაუქმების ღონისძიებას, ფულადი ზიანის გაუქმების ან/და ძირითადი თანხის ჩამოწერის ღონისძიებას.

„პირობები“ ნიშნავს ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების პირობებს“.

„დაკავშირებული პირი“ ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის N26/04 ბრძანებით დამტკიცებული ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებით გათვალისწინებულ დაკავშირებულ პირს.

„კონტროლი“ გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის N26/04 ბრძანებით დამტკიცებული ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებითა და 1996 წლის 23 თებერვლის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„მნიშვნელოვანი გავლენა“ გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის ბრძანებით დამტკიცებული ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებითა და 1996 წლის 23 თებერვლის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„შემსყიდველი ინვესტორები“ ნიშნავს ინვესტორებს, რომელთა განაცხადები, შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, დაკმაყოფილდა, შესაბამისად არის გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის.

„ობლიგაციები“ ნიშნავს „კომპანიის“ პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ, სუბორდინირებულ, უვადო ვალდებულებებს pari passu (თანაბარი მოპყრობის პრინციპის) რიგითობით, ჩამოთვლილთა შორის ყოველგვარი უპირატესობის მინიჭების გარეშე და რომელთა ემისია ხორციელდება „კომპანიის“ მიერ კაპიტალის ადეკვატურობის რეგულატორული მოთხოვნების დაცვის მიზნითა და იმ განზრახვით, რომ ჩაითვალოს „ემიტენტის“ „დამატებით პირველად კაპიტალში“ (Additional Tier 1 Capital), საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანების შესაბამისად „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

„აგრეგირებული მინიმალური ნომინალური ღირებულება“ ნიშნავს თითოეულ პირზე ნებისმიერი ცალკეული ტრანზაქციის ფარგლებში გასხვისებული ყველა „ობლიგაციის“ ჯამური ნომინალური ღირებულების ოდენობას.

„გადახდისა და კალკულაციის აგენტი“ ნიშნავს სუბიექტს, რომელიც ახორციელებს კუპონისა და ძირი თანხის კალკულაციასა და ანგარიშსწორებას და რომელიც არ შეიძლება იყოს „ემიტენტი“ ან „ინვესტორი“.

24.7 ფასიანი ქაღალდების მფლობელთა წარმომადგენლის მითითება; ამ წარმომადგენლობის პირობებისა და იმ ვებ-გვერდის მითითება, სადაც ინვესტორები შეძლებენ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაცნობას

„ანგარიშის მფლობელებს“ აქვთ „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ასლის შესწავლის/გაცნობის უფლებამოსილება. ხელშეკრულება ხელმისაწვდომი იქნება „გადახდისა და კალკულაციის აგენტის“ მიერ განსაზღვრულ ოფისში. ასევე მიიჩნევა, რომ „ანგარიშის მფლობელები“ აცნობიერებენ და შებოჭილნი არიან მოქმედი „ფინანსური წარმომადგენლობის შესახებ ხელშეკრულების“ ყველა დებულებით, რომელიც მათზე ვრცელდება.

24.8 ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვის აღწერა

24.8.1 ობლიგაციების მეორედ ბაზარზე ვაჭრობის შეზღუდვა

იხ. პროსპექტის 24.6.1.12.1. პუნქტი „ობლიგაციების მეორედ ბაზარზე ვაჭრობის შეზღუდვა.“

24.8.2 ობლიგაციებზე საკუთრების უფლების გადაცემა

იხ. პროსპექტის 24.6.1.12.2. პუნქტი „ობლიგაციებზე საკუთრების უფლების გადაცემა.“

24.9 ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შესახებ. ინფორმაცია ობლიგაციების საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით

„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში

წინამდებარე თავი შეჯამებას უკეთებს ქართულ საგადასახადო სისტემას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელთათვის. წინამდებარე შეჯამება ეფუძნება „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონების,

რეგულაციების და გადაწყვეტილებების გაგებას და ექვემდებარება საგადასახადო სამართლის ინტერპრეტაციების და პრაქტიკის ცვლილებებს, მათ შორის, ცვლილებებს, ინტერპრეტაციებს და განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უკუძალა. ქვემოთ აღნიშნული გარკვეული განცხადებები „ობლიგაციების“ მფლობელების შესაძლო საგადასახადო რეგულირებასთან დაკავშირებით ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული.

წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახადო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის, განსაკუთრებით იმ „ობლიგაციების“ მფლობელთათვის, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. რეკომენდებულია „ობლიგაციების“ მფლობელებმა კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შექმნის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. როგორც „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ სხვა სფეროები, საქართველოს საგადასახადო სამართალი და პრაქტიკა არ არის ისე მკაფიო და ნათელი, როგორც სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში. შესაბამისად, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები, როგორც კანონში, ასევე მის ამჟამინდელ ინტერპრეტაციაში., ა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ გადასახდელი თანხები დაექვემდებაროს საგადასახადო დაბეგვრას ან ამჟამად არსებული საგადასახადო განაკვეთები გაიზარდოს, რაც შეუძლებელია ნავარაუდები იქნას წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის. „ობლიგაციების“ თითოეულმა პოტენციურმა შემძენმა უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო პრობლემატიკა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც გავრცელდება მის მიერ „ობლიგაციების“ შექმნაზე, ფლობასა და გაყიდვაზე.

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

ზოგადი წესის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირები, არარეზიდენტი საწარმოები და რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაციები) გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით. გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტი მიმღები ფიზიკური პირის მიერ არ უნდა იქნას ჩართული მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივი დაწესებულებები შემოსავალში რთავენ ობლიგაციის ფლობისგან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი ადგენს განსხვავებულ წესს ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული საპროცენტო სარგებლისთვის და განსაზღვრავს, რომ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული საპროცენტო სარგებელი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება. ამასთან, აღნიშნული პროცენტები მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ამ პროცენტების მიმღები არ არის ასევე ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ობლიგაციებიდან მისაღები პროცენტი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და ამგვარი პროცენტი არ უნდა იქნას ჩართული ობლიგაციების მფლობელების საქართველოში დასადეკლარირებელ შემოსავალში (როგორც ფიზიკური, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების შემთხვევაში), თუ ობლიგაციები იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით არის გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე („აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“).

არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული შემოსავალი არ უნდა მიეკუთვნებოდეს საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას. ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული გათავისუფლება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე.

რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მისაღები/მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება. თუ პროცენტის მიმღები გადასულია მოგების გადასახადის ახალ, ე.წ. „ესტონურ მოდელზე“, ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, ისევე როგორც სხვა სტანდარტული შემოსავალი გათვალისწინებულ უნდა იქნას გასანაწილებელი მოგების გაანგარიშებაში და მოგების დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, უნდა დაბეგროს „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ შესაბამისად. თუ პროცენტის მიმღები ჯერ არ გადასულა ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე (ფინანსური ინსტიტუტები), დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას მან ობლიგაციიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი უნდა ჩართოს ერთობლივ შემოსავალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცენტის მიმღები არის ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი.

„ობლიგაციების“ იმ მფლობელებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ზონებად აღიარებულ და შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, იბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ორმაგი დაბეგვრის თაობაზე საქართველოს და იმ ქვეყანას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის „ობლიგაციების“ მფლობელი, რის საფუძველზეც ობლიგაციის მფლობელმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით (გათავისუფლდეს გადახდის წყაროსთან დაბეგვრისგან).

„ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების ან საშემოსავლო გადასახადი არ იქნება გადასახდელი „ობლიგაციების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, თუ მასზე გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“.

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი საწარმო (რის საფუძველზეც გამყიდველმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით და გათავისუფლდეს გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოში).

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებული არიან შემოსავალში ჩართონ „ობლიგაციების“ გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომლის დაანგარიშება ხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტ იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოემვას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებული არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „ობლიგაციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციის“ მფლობელების მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვისას მიღებული ძირი თანხა არ ითვლება დასაბეგრ შემოსავლად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოში, იმ პირობით, რომ გამოსასყიდი ფასი არ აღემატება „ობლიგაციის“ თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი „ობლიგაციების“ გაყიდვას განიხილავს იმგვარ ფინანსურ ოპერაციადა, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

სხვა საკითხები

საქართველოს საგადასახდო კოდექსი საგადასახდო ორგანოს აძლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

24.10 არსებობის შემთხვევაში ემიტენტის ან მისი სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგები

ემიტენტის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს საკრედიტო რეიტინგი არ გააჩნიათ. თავად ემიტენტის საკრედიტო რეიტინგები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| სარეიტინგო სააგენტო | კომპანიის გრძელვადიანი რეიტინგი | კომპანიის მოკლევადიანი რეიტინგი | პროგნოზი | რეიტინგის თარიღი |
|---------------------|---------------------------------|---------------------------------|-----------|------------------|
| Fitch | B+ | B | პოზიტიური | 24/04/2024 |
| Moody's | Ba3 | NP | სტაბილური | 28/03/2024 |

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ პუნქტი 6.5 („არსებობის შემთხვევაში, კომპანიის საკრედიტო რეიტინგი“). სარეიტინგო სააგენტოების უახლესი ანგარიშები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე:

Fitch: <https://www.fitchratings.com/entity/jsc-liberty-bank-88787064>

Moody's: <https://www.moody.com/credit-ratings/Liberty-Bank-JSC-credit-rating-825364714>

24.11 ობლიგაციაზე პროცენტის დარიცხვა და გადახდა

„ობლიგაციებს“ პროცენტი დაერიცხება ნახევარ წლიურად „ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ გათვალისწინებულ თარიღებზე. ზემოთხსენებული პროცენტის გადახდის თითოეული თარიღი შემდგომში მოიხსენება როგორც „პროცენტის გადახდის თარიღი“, ხოლო თარიღი, როდესაც „ემიტენტი“ განახორციელებს ობლიგაციების გამოსყიდვას, ამ პროსპექტის 24.6.1.7.4 პუნქტით გათვალისწინებული წესით, „გამოსყიდვის თარიღი“. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „ობლიგაციები“ უვადო ფასიანი ქაღალდებია, რომელთან მიმართებითაც შესაძლოა არ დადგეს „გამოსყიდვის თარიღი“.

„ობლიგაციაზე“ პროცენტის დარიცხვისა და გადახდის წესის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ ამ „პროსპექტის“ 24.6.1.10 პუნქტი.

25 საჯარო შეთავაზების პირობები

25.1 შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

25.1.1 პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ და ამ ემისიის პროსპექტის გათვალისწინებულ პირობებს.

25.1.2 ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობის საორიენტაციო მაჩვენებელი

შეთავაზებული „ობლიგაციების“ ჯამური ოდენობა იქნება 25,000,000 (ოცდახუთ მილიონი) აშშ დოლარამდე. „ობლიგაციები“ გამოშვებულ იქნება ოთხი ინდივიდუალური ემისიით, რომელთა მოცულობა იქნება შესაბამისად (i) 5,000,000 (ხუთ მილიონ) აშშ დოლარამდე; (ii) 5,000,000 (ხუთ მილიონ) აშშ დოლარამდე; (iii) 5,000,000 (ხუთ მილიონ) აშშ დოლარამდე; და (iv) 10,000,000 (ათ მილიონ) აშშ დოლარამდე.

25.1.3 პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა

ბუქბილდინგის პროცესი დაიწყება წინასწარი პროსპექტის დამტკიცებასთან ერთად, ხოლო ობლიგაციების შეთავაზება შესაძლებელი იქნება სებ-ის მიერ საბოლოო პროსპექტის დამტკიცებასთან ერთად და დასრულდება შეთავაზება დასრულდება არაუგვიანეს პირველი საბოლოო შეთავაზების პირობების დამტკიცებიდან 12 თვის ვადაში. შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

(ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესი

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

„განთავსების აგენტი“ განახორციელებს „ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით, „ემიტენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებისადმი“ ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, „განთავსების აგენტს“ და/ან მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული წინასწარი „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ „გათვითცნობიერებულ ინვესტორებს“.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ მათი ინტერესი „ობლიგაციების“ შესყიდვისადმი გამოხატონ „განთავსების აგენტისთვის“ განაცხადის/შეტყობინების მიწოდების გზით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის ან „განთავსების აგენტის“ მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღი განისაზღვრება ემიტენტის და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით, რომელიც არ უნდა იყოს შესაბამისი განაცხადის/შეტყობინების მიწოდებიდან 4 სამუშაო დღეზე ნაკლები. თუ ამგვარი საბოლოო თარიღი არ არის „სამუშაო დღე“, წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდება პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში. ამგვარი საბოლოო საპროცენტო განაკვეთი აისახება საბოლოო „ემისიის პროსპექტში“.

თუ პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, ისინი გამოხატავენ ინტერესს შეიძინონ წინასწარი ან საბოლოო „პროსპექტით“ შეთავაზებულზე მეტი ოდენობის „ობლიგაციები“, ამგვარი მოთხოვნა დაკმაყოფილება ნაწილობრივ, ინვესტორების მიერ წარდგენილ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამგვარ პოტენციურ ინვესტორს უფლება აქვს უარი თქვას ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. „განთავსების აგენტს“ ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონულად ან სხვა ფორმით დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს იმ „სამუშაო დღის“ 14:00 საათისა (თბილისის დროით), რომელიც მოსდევს იმ დღეს, როცა ინვესტორს ეცნობა მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ რაოდენობასთან მიმართებით) თაობაზე. ამგვარი გადაწყვეტილების „განთავსების აგენტისათვის“ შეუტყობინებლობა უფლებას აძლევს „განთავსების აგენტს“, თავისი შეხედულებისამებრ, განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ რაოდენობასთან მიმართებით) ან უარი თქვას განაცხადზე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის („შემსყიდველი ინვესტორები“).

„შემსყიდველმა ინვესტორებმა“ „ობლიგაციების“ შესაბამისი რაოდენობის შესასყიდად საჭირო თანხები სრულად უნდა განათავსონ „გადახდის და კალკულაციის“ აგენტთან ან შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელთან“ გახსნილ ანგარიშებზე „გამოშვების თარიღამდე“ არა უგვიანეს 2 „სამუშაო დღისა“. „შემსყიდველმა ინვესტორებმა“ ამგვარი ანგარიშები უნდა გახსნან „გადახდის და კალკულაციის აგენტთან“ ან შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელთან“. „ემიტენტი“ შესყიდული „ობლიგაციების“ მიწოდებას განახორციელებს „გამოშვების დღეს“ იმავე ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუკი პირველადი განთავსების პერიოდში ინვესტორი „ობლიგაციებს“ შეიძენს მათი გამოშვების თარიღის შემდეგ, იგი ვალდებული იქნება ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად გადაიხადოს მათი შეძენის თარიღისთვის დარიცხული კუპონიც.

გამონაკლისის სახით, „ემიტენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“ ემიტენტის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში უფლებამოსილია პოტენციური ინვესტორებისთვის (მათ შორის და არა მხოლოდ, „შემსყიდველი ინვესტორებისთვის“) დაადგინოს გარკვეული შეღავათები ვადებთან ან პირობებთან დაკავშირებით.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილნი არიან ფლობდნენ „ობლიგაციებს“ ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში პირდაპირ, ამ პროსპექტის 24.6.18(A) პუნქტის გათვალისწინებით ან სხვა ანგარიშში მწარმოებელთან გახსნილ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციები“ გადატანილი იქნება სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“, „ობლიგაციების მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებელი“ „გადახდის და კალკულაციის აგენტს“ მოთხოვნისთანავე უმოკლეს ვადებში მიაწვდის ინფორმაციის „ინვესტორების“ და მათი საგადასახადო სტატუსის შესახებ.

(ბ) ცვლილებების განხორციელება შეთავაზების მიმდინარეობისას

თუ შეთავაზების პროცესში (დროის მონაკვეთი შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვების თარიღამდე“) „ემიტენტი“ გადაწყვეტს შეცვალოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით (ცვლილებები დაექვემდებარება ეროვნული ბანკის მიერ თავიდან დამტკიცებას, რაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მოხდება მათი დამტკიცება), მაგალითად, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი, საპროცენტო განაკვეთი, შეთავაზების პერიოდი და ა.შ., „ემიტენტმა“ ინვესტორებს უნდა განუსაზღვროს სულ მცირე 5 დღის ვადა მათი მოთხოვნის გაუქმებისათვის. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, „ემიტენტს“ უფლება აქვს გააგრძელოს შეთავაზება შეცვლილი პირობებით.

თუ ინფორმაცია რომელიმე არსებით მოვლენასთან (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია საქართველოს ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობით) დაკავშირებით შეიცვლება, ინვესტორებს, რომლებმაც შეისყიდეს „ობლიგაციები“, უფლება აქვთ გააუქმონ ამგვარი ნასყიდობა და მოითხოვონ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ გამოსყიდვა მათი ძირი თანხისა და ნებისმიერი დარიცხული პროცენტის სანაცვლოდ. ინვესტორები („ობლიგაციების მფლობელები“), რომლებიც არ გააუქმებენ „ობლიგაციების“ შესყიდვას, დაექვემდებარებიან შეთავაზების შეცვლილ პირობებს.

თუ შეთავაზების პროცესში შეიცვლება რაიმე არაარსებითი ინფორმაცია, „ემიტენტმა“, შესაბამისი ცვლილების „ემისიის პროსპექტში“ შეტანამდე, უნდა შეატყობინოს „ინვესტორებს“ და მიაწოდოს მათ დოკუმენტი, რომელიც ასახავს ამგვარ შეცვლილ ინფორმაციას.

შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა (საორიენტაციოდ არაუგვიანეს 2025 წლის 9 დეკემბერი); ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.

25.1.4 მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ ან მათი ნაწილის გასხვისება ან განთავსება ვერ მოხდა პირველად ბაზარზე შესაბამის მფლობელებზე, „ობლიგაციები“ ჯერ დაუბრუნდება „კომპანიას“ და შემდეგ კი გაუქმდება.

25.1.5 განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

25.1.6 ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა

„ობლიგაციების“ საფასური გადახდილი უნდა იქნას წინასწარ, შესაბამისი ობლიგაციების საკუთრებაში მიღების წინაპირობად.

25.1.7 იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ

ინვესტორებს არ აქვთ „განთავსების აგენტისთვის“ გაგზავნილი ოფიციალური განაცხადის გაუქმების უფლება.

25.1.8 შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება

შეთავაზების შედეგები გასაჯაროდება „მარეგულირებელი კანონმდებლობით“ დადგენილ ვადაში განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენიდან 1 (ერთ) კვირის ვადაში „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მეშვეობით.

25.2 განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა

25.2.1 პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება

„ობლიგაციების“ შეთავაზება და პირველადი განთავსება, ასევე, მეორად ბაზარზე (როგორც საბირჟო, ასევე არა-საბირჟო გარიგებების ან სხვა გზით) ამ „ობლიგაციების“ გადაყიდვა, გასხვისება ან ნებისმიერი სხვა ფორმით გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ემისიის პროსპექტის 24.6.16 პუნქტით განსაზღვრული წესით, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონისა და „პირის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 16 დეკემბრის N223/04 ბრძანების შესაბამისად განმარტებულ „გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორებზე“ და მხოლოდ ისეთი სუბიექტის მეშვეობით, რომელსაც „მარეგულირებელი კანონმდებლობის“ საფუძველზე აქვს ფასიანი ქაღალდების გარიგებებში შუამავლის ფუნქციის შესრულების უფლება.

25.2.2 ფასიანი ქაღალდის შემენაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი, ამასთან იმის მითითება, შესაძლებელია თუ არა ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დაწყება ასეთი შეტყობინების გაგზავნამდე

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის.

ვაჭრობის დაწყება დაუშვებელია ამგვარი შეტყობინების მიღებამდე.

25.2.3 რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, მითითება აპირებენ თუ არა ემიტენტის მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები) მონაწილეობა მიიღონ შეთავაზებაში და შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, ან არსებობს თუ არა პირი, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 პროცენტზე მეტი

არც „ემიტენტს“ და არც მასთან დაკავშირებულ პირს, რომელზეც „ემიტენტს“ აქვს მნიშვნელოვანი კონტროლი ან/და გავლენა არ აქვს უფლებამოსილება შეიძინოს „ობლიგაციები“ ან მათი ნაწილი ღია ბაზარზე. შესაბამისად, ემიტენტის მენეჯმენტი ან მმართველი პირები არ აპირებენ მონაწილეობა მიიღონ ემისიაში.

25.3 ფასის დადგენა

25.3.1 არსებობის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით

შეთავაზების საბოლოო მოცულობა (ანუ გამოსაშვები „ობლიგაციების“ რაოდენობა და თითოეული კონკრეტული ემისიის ღირებულება) დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნის გათვალისწინებით (Book-building-ის შედეგად). იმ შემთხვევაში, თუ თითოეული კონკრეტული ემისიის საბოლოო ფასი (საპროცენტო განაკვეთი) განსხვავებული იქნება Book-building-ის პროცესში გაცხადებული ან თავად „ინვესტორის“ მიერ დაფიქსირებული ფასისაგან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შეძენაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ინვესტორზე ნებისმიერი სხვა ხარჯის ან გადასახადის დაკისრება არ მოხდება.

25.3.2 შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა

„ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის აღწერისთვის იხილეთ ამ „პროსპექტის“ 25.1.3.(ა) პუნქტი.

25.3.3 იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტის აქციონერებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება და ეს უფლება შეზღუდულია ან გაუქმებული, უნდა მიეთითოს ამგვარი შეზღუდვისა და გაუქმების მიზეზები

აქციონერებს არ აქვთ ობლიგაციების უპირატესი შესყიდვის უფლება.

25.4 განთავსება

25.4.1 შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და ობლიგაციონერების წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია

შეთავაზებაში ჩართული იურიდიული ფირმა: შპს „იურიდიული ფირმა ბიელსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211389291)

მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 129ა, სართული 4.

25.4.2 კალკულაციის და გადახდის აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405482721)

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3

ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com

ტელ.: (+995) 555 088 88 88

ვებგვერდი: www.alphacapitaladvisory.com

25.4.3 განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით. თუ არ ხდება სრული შეთავაზების ანდერაიტინგი, ხელშეკრულებით დაფარული ნაწილის მითითება

შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“

მის: ლისი ვერანდა, იასამნების ქ., N 5, ბ. 3, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995) 555 088 88 88

ელ. ფოსტა: info@alphacapitaladvisory.com

ხელშეკრულება შპს „ალფა კაპიტალ ედვაიზორი“ ავალდებულებს უზრუნველყოს ობლიგაციების ანდერაიტინგი მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. თითოეული განთავსების აგენტის მოვალეობაა მოამზადოს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.

25.4.4 მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად.

ემისიის საბოლოო პროსპექტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებიდან 12 თვის შემდეგ ან ემისიის თანხის სრული განთავსების თარიღისთვის (რომელიც უფრო ადრეა), თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის სხვაგვარად დადგენა.